თბილისის უნივერსიტეტის ბერძნულ-ლათინური
ბიბლიოთეკა

ГРЕЧЕСКО-ЛАТИНСКАЯ БИБЛИОТЕКА ТБИЛИССКОГО
УНИВЕРСИТЕТА

BIBLIOTHECA GRAECO-LATINA UNIVERSITATIS
THBILISSIENSIS

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე

რიტორიკა

ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი,
შენიშვნები და საძიებელი დაურთო
თამარ კუკავამ

რედაქტორი აკაკი ურუშაძე

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1981

1 (3)
87.3 (0) 3
1 [არისტოტელე] + 808.5
ა 808

არისტოტელეს „რიტორიკა“ თბილისის უნივერსიტეტის ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის სერიის მორიგი წიგნია. „რიტორიკაში“ არისტოტელეს დამუშავებული აქვს ორატორული ხელოვნების თეორიული საკითხები. აქვეა განხილული პოეტური შემოქმედების ისეთი საკითხები, რომლებიც „პოეტიკის“ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში არ მოიპოვება. არისტოტელეს „რიტორიკა“ ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.

თსუ ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის სარედაქციო კოლეგია

შ. ფაქიძე, ა. ალექსიძე, რ. გორდეზიანი (სწავლული მდივანი) გ. თევზაძე, რ. მიმინოშვილი, ო. ნოდია, ა. ურუშაძე (თავმჯდომარე), სიმ. ყაუხჩიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ი. შენგელია, შ. ძიძიგური, ვ. ჭელიძე.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1981

A 70404 / M 608 (06)

არისტოტელე და მისი „რიტორიკა“

არისტოტელე უდიდესი მოაზროვნეა, რომელმაც თავისი სიტყვა თქვა მეცნიერების მრავალ სფეროში, მრავალ დარგს საფუძველი ჩაუყარა და ღრმა კვალი გაავლო აზროვნების მთელს შემდგომდროინდელ განვითარებას. ამიტომაც მარქსიზმის კლასიკოსები მის მოღვაწეობას უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევენ. კ. მარქსი მას „აზროვნების ბუმბერაზს“, „ძველი დროის უდიდეს მოაზროვნეს“ უწოდებს. ფ. ენგელსი არისტოტელეს ახასიათებდა როგორც „ყველაზე უნივერსალური აზროვნების მქონე ადამიანს“, რომელმაც „დიალექტიკური აზროვნების არსებითი ფორმები გამოიკვლია“, ხოლო მის მემკვიდრეობას „ენციკლოპედიურ მეცნიერებას“ უწოდებდა. ენგელსი წერდა: „მისი ხმა საუკუნეებს გაწვდა“, ხოლო „უახლესი ფილოსოფია განაგრძობდა მხოლოდ იმ მუშაობას, რომელიც უკვე დაიწყო ჰერაკლიტემ და არისტოტელემ“[1]. არისტოტელეს აზროვნებით აღტაცებული ლენინი წერდა: „საუცხოოა! ეკვი არაა გარესამყაროს რეალობაში“[2]. არისტოტელე „სიძნელეთა გადაწყვეტას იძლევა საუცხოოდ, მკაფიოდ, ნათლად, მატერიალისტურად“[3]. განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა მან არისტოტელეს ბრძოლას იდეებზე პლატონის მოძღვრების წინააღმდეგ. ლენინი ამბობდა, რომ არისტოტელემ ამით იდეალიზმს შეურყია საფუძველი, რადგან არისტოტელეს კრიტიკა იყო „კრიტიკა იდეალიზმისა როგორც იდეალიზმისა საერთოდ“[4].

არისტოტელე დაიბადა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 384 წელს ქ. სტაგიროში, საიდანაც წარმოდგა მისი ზედწოდება სტაგირიტი

---

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, ანტიდიბრის შესახებ, თბ., 1937, გვ. 5, 6, 26, 206, 228.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, 1963, გვ. 381.

[3] იქვე, გვ. 385.

[4] იქვე, გვ. 287.

(სტაგირელი, სტაგირედან). სტაგირას მახლობლად, აღმოსავლეთით მდებარეობდა ორი დიდი მოაზროვნის, დემოკრიტესა და პროტაგორას სამშობლო აბდერა. არისტოტელეს მამა ნიკომაქე მაკედონიის მეფის ამინტა II-ის კარის ექიმი იყო. 15 წლის არისტოტელეს მამა გარდაეცვალა. მიუხედავად ამისა, მან დიდი გავლენა მოახდინა არისტოტელეს აზროვნებისა და მოღვაწეობის მიმართულებაზე. მართალია, არისტოტელე ექიმი არ გამოსულა, მაგრამ დიდი ცოდნა დააგროვა მედიცინაში, ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში. ერთ-ერთი ცნობით, არისტოტელეს მამისაგან მემკვიდრეობით დარჩა მრავალი ნაშრომი ცხოველთა და მცენარეთა შესახებ. ეს ცნობა სწორიც რომ არ იყოს, უდავოა ის, რომ არისტოტელეს მოღვაწეობა შიშველ ნიადაგზე არ დაუწყია. მას მდიდარი ტრადიციები დახვდა როგორც ოჯახში, ისე ათენსა და მაკედონიაში და საერთოდ, მის თანამედროვე საბერძნეთში. მან ყოველივე ეს აითვისა, გადაამუშავა, გააკრიტიკა და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბა საკუთარი მოძღვრება.

არანაკლები გავლენა მოახდინა არისტოტელეს აზროვნების მიმართულებაზე ბიბლიოთეკარმა, რომელმაც მამის გარდაცვალების შემდეგ მისი მეურვეობა იკისრა. გადმოცემის მიხედვით, პროქსენოსი უაღრესად განათლებული ადამიანი ყოფილა, რომელიც მამაზე არანაკლებ ზრუნავდა არისტოტელეს ცოდნის შევსებასა და გაფართოებაზე. ამიტომაც იყო, რომ არისტოტელე პროქსენოსის გარდაცვალების შემდეგ განუწყვეტლივ ზრუნავდა მის ქვრივზე, ხოლო თავის ანდერძში გამოთქვამდა სურვილს, რომ მისი ქალიშვილი პითია ეთხოვა პროქსენოსის ვაჟს ნიკანორს.

367 წელს 17 წლის არისტოტელე მიემგზავრება ათენს პლატონთან. იგი 60 წლის პლატონს შეხვდა პირველად. ამ დროისთვის პლატონს უკვე შექმნილი და დასრულებული ჰქონდა თავისი ფილოსოფიური სისტემა. არისტოტელეს ჩამოსვლისას პლატონი ათენში არ იმყოფებოდა, არამედ მოგზაურობდა სირაკუზაში. პლატონის დაბრუნებისთანავე არისტოტელე მისი მოწაფე ხდება და არ განშორებია მას სიკვდილამდე.

პლატონის აკადემიას შესანიშნავი ადგილმდებარეობა ჰქონია. აქ ყველა პირობა იყო მოწაფეთა სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის. მდიდარ ბაღში, ათენის ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ, მდინარის პირას, რომელიც ბაღს კვეთდა, ფოთოლთა შრიალში აყალიბებდა არისტოტელე თავისი მომავალი ფილოსოფიური და მეცნიერული მოღვაწეობის ძირითად პრინციპებს.

გადმოცემით, არისტოტელემ თავიდანვე მიიპყრო პლატონის ყურადღება ცოცხალი და მკვირცხლი ხასიათით, ღრმა აზროვნების უნარით, რის გამოც მას პლატონი აკადემიის ჭკუას უწოდებდა. ზოგიერთი ცნობით კი, პლატონს უთქვამს: არისტოტელეს აღვირი სჭირდება, ქსენოკრატეს კი მათრახი. ამ შემთხვევაში იგი ალბათ არისტოტელეს უაღრესად აღგზნებად ბუნებას გულისხმობდა. შეიძლება ამითვე აიხსნას ის გარემოება, რომ პლატონმა უპირატესობა თავის ნათესავს სპეუზიპეს მიანიჭა, რომელმაც დაიკავა კიდეც პლატონის ადგილი აკადემიაში მისი გარდაცვალების შემდეგ.

აკადემიაში არისტოტელეს ყოფნის დროს პლატონი აღარ ემყარებოდა მხოლოდ სოკრატეს შეხედულებებს. პლატონმა და მისმა მოწაფეებმა უკვე კარგა ხანია, რაც გადააბიჯეს სოკრატული პრობლემების სფეროს. აკადემიაში ამ დროს ძირითადად სადავო იყო ერთისა და მრავალის პრობლემა და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები. თვით პლატონს სულ უფრო და უფრო მეტად იზიდავდა დიალექტიკა. არისტოტელეს აკადემიაში ყოფნის დროს შექმნა პლატონმა ისეთი მნიშვნელოვანი დიალოგები, როგორიცაა „თეეტეტი“, „სოფისტი“, „პოლიტიკოსი“, „პარმენიდე“ და „სახელმწიფო“. მაგრამ არისტოტელეზე გავლენას ახდენდა არა მხოლოდ პლატონი, არამედ თეეტეტიც, რომელმაც სტერეომეტრია აღმოაჩინა, აგრეთვე ევდოქსე, თეოდორე და არქიტა. ერთი სიტყვით, პლატონის აკადემიაში დაგროვდა დიდი რაოდენობის პოზიტიური ცოდნა. არისტოტელემ აითვისა როგორც აკადემიაში დაგროვილი ცოდნა, ისე წინამორბედთა მიერ დატოვებული ფილოსოფიური მემკვიდრეობა. გამოიყენა ყოველივე ეს ყალბი ცოდნის უარსაყოფად და საკუთარი სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

დიდი იყო თაყვანისცემა მოწაფისა მასწავლებლისადმი, რაც არისტოტელემ კარგად გამოხატა „ნიკომაქეს ეთიკაში“: „მოძღვრება იდეებზე შემოღებული იქნა ჩემთვის მახლობელი ადამიანების მიერ; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტების დაცვის მიზნით უკეთესია უყურადღებოდ დავტოვო პიროვნებები. ამ წესს განსაკუთრებით უნდა იცავდნენ ფილოსოფოსები. და თუმცა ჩემთვის ძვირფასია პლატონიცა და ჭეშმარიტებაც, მაგრამ წმინდა მოვალეობა მიკარნახებს უპირატესობა ჭეშმარიტებას მივანიჭო“[1]. არისტო-

---

[1] ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, ნიკომაქეს ეთიკა, I, 4.

ტელეს ამით იმის თქმა უნდოდა, რომ ადამიანებმა ჭეშმარიტება, სიმართლე ყველაფერზე მაღლა უნდა დააყენონ და მას შესწირონ ყოველივე, იქნება ეს მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობა, ქონებრივი ინტერესები თუ სხვა რამ.

პლატონი გარდაიცვალა 347 წელს. აკადემიის სკოლარქად მისი დისწული სპევზიპე დაინიშნა. არისტოტელე ტოვებს ათენს და მიემგზავრება მცირე აზიაში, ასოსში ატარნეს ტირან ჰერმიასთან. აქვე ჩამოვიდნენ მისი მეგობრები აკადემიიდან ერასტე და კორისკე. ჰერმია ატარნეს ყოფილი ტირანის მონა იყო. არისტოტელე და მისი მეგობრები ცდილობდნენ დადებითი გავლენა მოეხდინათ ჰერმიაზე. ურჩევდნენ გაეღრმავებინა თავისი განათლება, შეესწავლა გეომეტრია და. დიალექტიკა, აგრეთვე მმართველობისთვის უფრო ჰუმანური ფორმა მიეცა. ამისათვის კი საჭირო იყო პოლიტიკური რეფორმების ჩატარება. ჰერმია პრაქტიკულად ახორციელებდა მეგობრების მითითებებს. ამის შედეგად ჰერმიას მხარეზე გადმოვიდა მოსახლეობის დიდი ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ვერ განახორციელა პლატონმა სირაკუზაში, აქ, მცირე აზიაში განახორციელა არისტოტელემ.

344—343 წწ. არისტოტელე მიემგზავრება კუნძულ ლესბოსზე მიტილენეში. 343 წელს იგი მიიწვია მეფე ფილიპემ თავისი ვაჟის ალექსანდრეს აღსაზრდელად, შესაძლებელია, ეს ჰერმიას რჩევით მოხდა. მეფე ფილიპე არისტოტელეს წერდა:

„მაკედონიის მეფე სალამს უძღვნის არისტოტელეს! გაცნობებ, რომ მე მეყოლა ვაჟი. ღმერთებს მადლობას ვწირავ არა იმდენად იმიტომ, რომ მათ მე ვაჟი მაჩუქეს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ის არისტოტელეს დროში შემეძინა. ვიმედოვნებ, რომ შენი დარიგებანი მას ჩემი მემკვიდრეობისა და მაკედონიის მბრძანებლობის ღირსად გახდიან“[1].

არისტოტელემ მიიღო მეფე ფილიპეს მიწვევა და მიატოვა ქალაქი ასოსი, სადაც მისი არყოფნისას საშინელი ტრაგედია დატრიალდა: სპარსეთის მეფემ ბერძენი მენტორის დასმენით დააპატიმრა ჰერმია, რომელსაც ბრალად დასდეს შეთქმულება სპარსეთის წინააღმდეგ და კავშირი ფილიპესთან. შესაძლებელია, ჰერმია მართლაც მონაწილეობდა შეთქმულებაში. ფაქტია ისიც, რომ მეფე ფილიპე

[1] ამის შესახებ იხ. Аристотель, его жизнь и значение в истории науки. Биографический очерк Е. Ф. Литвиновсй, СПб, 1892.

342—341 წწ. ემზადებოდა საომრად სპარსეთის წინააღმდეგ. ჰერმია დაკითხეს, საშინლად აწამეს ქ. სუზაში, მაგრამ იგი მტკიცედ დუმდა. მეფემ ჰკითხა, რა იყო მისი უკანასკნელი სურვილი, რაზეც ჰერმიას უპასუხნია: გადაეცით ჩემს მეგობრებს, რომ მე ფილოსოფიისათვის არავითარი უღირსი არ ჩამიდენია. ჰერმია წამების შემდეგ ჯვარს აცვეს 341 წელს.

არისტოტელემ ჰერმიას სიკვდილი გაიგო კუნძულ ლესბოსზე. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად მან შეთხზა ორი ჰიმნი: ერთი სათნოებაზე, რომელშიც ჰერმიას გულისხმობდა, მეორე კი ჰერმიას საფლავის ქვის წარწერას წარმოადგენდა, რომელშიც არისტოტელე ბრალს სდებდა სპარსელებს მუხანათობაში: მათ პირისპირ ბრძოლაში კი არ დაამარცხეს ჰერმია, არამედ მოტყუებით და ვერაგულად მოკლესო. ხოლო მენტორს კი ბრალს სდებდა მაცთურობასა და სიფლიდეში, რომ მან მეგობრად მოაჩვენა თავი ჰერმიას და შემდეგ ვერაგულად გასცა. არისტოტელე ჰერმიას ადარებდა ჰომეროსის გმირებს აიაქსსა და აქილევსს, აგრეთვე ჰერაკლესა და დიოსკურებს.

ბევრი რამ შეიცვალა ჰერმიას გარდაცვალების შემდეგ. უცვლელი დარჩა მხოლოდ ბერძნების სიძულვილი სპარსელების მიმართ. არისტოტელემ კარგად იცოდა, რომ საბერძნეთს თავისუფლება სჭირდებოდა, რისთვისაც აუცილებელი იყო ძლიერი და ნიჭიერი მთავარსარდალი. სწორედ ამ მიზნისთვის ზრდიდა არისტოტელე ალექსანდრეს მრავალი წლის განმავლობაში. დიდხანს აჩქენებდნენ იმ ადგილს, სადაც ამეცადინებდა გენიოსი მასწავლებელი თავის გენიალურ მოწაფეს 343—339 წწ. განმავლობაში. არისტოტელე ასწავლიდა მას საბერძნეთისა და სპარსეთის ისტორიას, გეოგრაფიას, ეთიკას, პოლიტიკას, პოეზიას, ბერძნულ, ლათინურ და ებრაულ ენებს.

338 წელს ფილიპემ სხვა ქალზე იქორწინა. ალექსანდრე და დედამისი იძულებული არიან გაიქცნენ. მაგრამ 336 წელს მეფე ფილიპეს კლავენ თავისი ქალიშვილის ქორწილში და ტახტზე ადის ალექსანდრე. ალექსანდრე სწრაფად უღებს ბოლოს ანტიმაკედონურ მოძრაობას და ზედიზედ ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევს: 334 წელს დაამარცხა სპარსელები მდინარე გრანიკოსთან. დაიპყრო მცირე აზიის ნავსადგურები, დაიპყრო სირია და პალესტინა, აგრეთვე ეგვიპტე. 332—331 წწ. დააარსა ქ. ალექსანდრია. 331 წელს საბოლოოდ ამარცხებს სპარსელებს. დარიოსი გარბის და 330 წელს მას კლავენ მისივე ქვეშევრდომები. ალექსანდრე იპყრობს სუზას, ბაბილონს, პერ-

სეპოლს, ეკბატანს, გადალახავს მდინარეებს სირდარიას და ამუდარიას. 327 წელს მიადგება ინდოეთს.

ამ დაპყრობებმა უაღრესად გააფართოვეს ბერძნების მსოფლმხედველობის არე, მათი ცოდნა. პლინიუსის ცნობით, მადლიერი მოწაფე სამაგიეროს უხდიდა თავის მასწავლებელს. მას ყველა ლაშქრობაში თან დაჰყავდა არისტოტელე. მრავალზე მრავალი ხელქვეითიც დაუნიშნა, რომ მისთვის მასალები შეეგროვებინათ ცოდნის ყველა დარგიდან, განსაკუთრებით ცნობები დაპყრობილი ქვეყნების ფლორისა და ფაუნის შესახებ.

მაგრამ ალ. მაკედონელის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ვაუარესდა ურთიერთობა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის. ამის მიზეზი, ნაწილობრივ, ალექსანდრეს ეჭვიანობა იყო, რაც განსაკუთრებით მისი ცხოვრების ბოლო წლებში გაძლიერდა. მან არისტოტელეს ერთგულებაშიც კი შეიტანა ეჭვი. მაგრამ მისი ეჭვიანობის მსხვერპლი გახდა არა არისტოტელე, არამედ მისი ძმისწული კალისთენე, უაღრესად განათლებული ახალგაზრდა, ფილოსოფოსი, ორატორი, ფილოლოგი, იმპროვიზატორი. მას ალექსანდრესთან ურთიერთობაში თავი უაღრესად თავისუფლად ეჭირა. მას არაერთხელ უთქვამს ალექსანდრესთვის, რომ ის ღმერთი არაა და ამიტომ ღვთაებრივი პატივი არ შეეფერის; რომ მას, კალისთენეს, არ სჭირდება ალექსანდრე, მაგრამ ალექსანდრეს კი სჭირდება ორატორი კალისთენეს სახით. იგი აკრიტიკებდა ალექსანდრეს აგრეთვე სპარსელების ბრმა მიმბაძველობისათვის. გადმოცემის მიხედვით, ერთ-ერთ წვეულებაზე კალისთენემ ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა მაკედონელის სადიდებლად. ამაზე ალექსანდრეს ეთქვა, რომ ქება ადვილია, მთავარია, რომ ძაგება შეძლოო. კალისთენემ ეს მოთხოვნა უმალ შეუსრულა ალექსანდრეს. ალექსანდრემ დაიმახსოვრა ეს და ელოდა მოხერხებულ შემთხვევას, რათა სამაგიერო გადაეხადა. ეს შემთხვევაც მიეცა. კალისთენე დაასმინეს, რომ იგი მონაწილეობდა შეთქმულებაში ალექსანდრეს წინააღმდეგ. 327 წელს ალექსანდრემ კალისთენე სიკვდილით დასაჯა. ამან ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის უკიდურესად დაძაბული გახადა.

მიუხედავად ამისა, 323 წელს, ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ იწყება არისტოტელეს, როგორც მაკედონური ორიენტაციის მქონე პიროვნების დევნა. ანტიმაკედონური პარტია გამარჯვებას დღესასწაულობდა. ათენში დიდი ტრიუმფით შემოუძღვნენ დემოს-

თენეს. არისტოტელეს ბრალად ედებოდა, რომ იგი თავის გარდაცვლილ მეუღლეს პითიას და სიმამრ ჰერმიას ისეთსავე პატივს სცემდა, როგორც ღმერთებს შეჰფერით. არისტოტელე იძულებულია დატოვოს ათენი და კუნძულ ევბეაზე ქ. ქალკიდაში გაიქცეს, რადგან შიშობდა, ათენელებს არ ჩაედინათ მეორე დანაშაული ფილოსოფიის წინაშე. პირველ დანაშაულში იგი სოკრატეს მკვლელობას გულისხმობდა. 322 წელს არისტოტელე აქვე გარდაიცვალა კუჭის დაავადებით. ზოგიერთი ცნობით, მან თავი მოიკლა, რათა არეოპაგში არ მოხვედრილიყო, ზოგიერთი ცნობით კი, მან თავი დაიხრჩო, რადგან ვერ ახსნა ნილოსის მიმოქცევის მიზეზები. ქალკიდიდან არისტოტელეს ცხედარი სტაგირაში გადაასვენეს და ანდერძში მის მიერვე გამოთქმული სურვილის თანახმად დიდი მავზოლეუმი აუგეს. მაგრამ დაინგრა მავზოლეუმი, მისმა შრომებმა კი საუკუნეებს გაუძლო და კიდევ მრავალს გაუძლებს.

არისტოტელეს პირველი მეუღლე ყოფილა ტირან ჰერმიას შვილიშვილი პითია, რომელთანაც ჰყავდა ქალიშვილი სახელად პითია. ანდერძში არისტოტელე თავის მეგობარს ანტიპატრეს თხოვდა, რომ როცა პითია სრულწლოვანი გახდებოდა, მიეთხოვებინათ ნიკანორისთვის, მისი მეურვის პროქსენოსის ვაჟისათვის. პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ არისტოტელემ ცოლად შეირთო მონა-ქალი ჰერპილე, რომელთანაც ჰყავდა ვაჟიშვილი ნიკომაქე. ცნობილი ნაშრომი „ნიკომაქეს ეთიკა“ არისტოტელემ თავის ვაჟს ნიკომაქეს უძღვნა. არისტოტელე ნიკანორსა და ანტიპატრეს ავალებდა ზრუნვას როგორც შვილებზე, ისე მეუღლეზე, რომელსაც ქონებაც დაუტოვა. ამაზე ანდერძში არის გარკვევით მითითება.

არისტოტელე ანდერძში ითხოვდა, რომ პირველი მეუღლის გვამი მის საფლავში გადმოესვენებინათ და იქ დაეკრძალათ, როგორც ეს თვით პითიას სურდა. მეორე მეუღლეს უტოვებდა გათხოვების უფლებას. თანახმა იყო ბავშვების სრულწლოვანებამდე რამდენიმე მონის განთავისუფლებისა, ხოლო მათი სრულწლოვანებისას კი — ითქმის ყველას განთავისუფლებისა, რაც მის ჰუმანურობასა და დემოკრატიზმზე მეტყველებს.

50 წლის არისტოტელემ ძვ. წელთაღრიცხვის 335 წელს ჩამოაყალიბა თავისი სკოლა ლიკეიონი[1]. სკოლა მდებარეობდა ათენის აღ-

---

[1] ზოგიერთი მკვლევრის აზრით, არისტოტელეს სკოლა ჩამოყალიბდა მისი სიკვდილის შემდეგ და მას სათავეში ჩაუდგა თეოფრასტე ლესბოსელი. ამის შესახებ იხ. В. П. Зубов, Аристотель, М., 1963, გვ. 52.

მოსავლეთით მდ. ილისეს ველზე, მარათონის მასლობლად. პლატონის აკადემია კი ათენის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. არისტოტელე, გადმოცემის მიხედვით, ასწავლიდა სეირნობის დროს. ამიტომ მის სკოლას „პერიპატეტული სკოლა“ (მოსეირნეთა სკოლა) შეარქვეს[1]. ამ სკოლის ზოგი დეტალის აღდგენა შეიძლება არისტოტელეს შრომებიდანაც. ერთ-ერთ დარბაზში დაგროვილია რუკები, მოწყობილია ბიბლიოთეკა, მეორეგან დარბაზში მაგიდებზე გადაფარებულია სუფრები და ალაგია სასმისები. როგორც ჩანს, სკოლაში წარმოებდა სტუმრების მიღება, ეწყობოდა სიმპოზიუმები. აქ იდგა სკამები, სამფეხა მაგიდა; უნდა ყოფილიყო თეთრი დაფა, ბრინჯაოს ქანდაკება და სხვ. არისტოტელე დილით ატარებდა სერიოზულ ლექციებს რთულ საკითხებზე, ე. წ. „ესოტერიულ ლექციებს“ საკუთარი მოსწავლეებისათვის, საღამოთი „ექსოტერიულ ლექციებს“ გარეშეთათვის რიტორიკასა და დიალექტიკაში. ლექციებს კითხულობდნენ მისი მოწაფეებიც: ევდემოსი და თეოფრასტე. ერთი სიტყვით, არისტოტელეს სკოლა თავისებური უნივერსიტეტი იყო, სადაც მრავალი უცხოელიც სწავლობდა. სკოლა არსებობას განაგრძობდა არისტოტელეს გარდაცვალების შემდეგაც. 38 წლის განმავლობაში 323—286 წწ. სკოლას ხელმძღვანელობდა არისტოტელეს მოწაფე თეოფრასტე, რომელიც ცდილობდა გაეღრმავებინა არისტოტელეს მიერ დაწყებული კვლევა. ბუნებისმეტყველებაში მან ორი ნაშრომი დაწერა: „მცენარეების აღწერა“ და „მცენარეთა წარმოშობის მიზეზები“. იგი განაგრძობდა მასწავლებლის გეზს ფიზიკასა და ფილოსოფიაშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წიგნები: „ფიზიკოსთა შეხედულებები“ და „ხასიათები“, რომელშიც იგი ეხებოდა ეთიკურ პრობლემებს.

სკოლაში წარმოებდა ფართო მეცნიერული მუშაობა. თეოფრასტეს მეგობარი დიკეარქე მესენიდან მუშაობდა პოლიტიკასა და ლიტერატურის ისტორიაში, აგრეთვე გეოგრაფიის სფეროში. ევდემე როდოსელმა დაწერა გეომეტრიის, არითმეტიკისა და ასტრონომიის ისტორია. შემდეგ კი როდოსზე საკუთარი სკოლა ჩამოაყალიბა. მენონმა ლექსად დაწერა მედიცინის ისტორია. არისტოქსენე ტარენტელი წერს ნაწარმოებს მუსიკის შესახებ. დიოკლე კარისტელი მუშაობს მედიცინის პრობლემებზე. არისტოტელეს მოწაფე დიმიტრი

[1] ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ სკოლის სახელწოდება წარმოსდგა იმ პატარა ნავსადგურის სახელწოდებიდან, რომელთანაც ლიკეონი მდებარეობდა. იხ. იქვე.

ფალერელი, 318 წლიდან მოყოლებული, 10 წლის განმავლობაში სათავეში უდგას ათენის სახელმწიფოს. 286—268 წწ. სკოლარქი იყო სტრატონ ლამპსაკოელი, რომელიც მუშაობდა ბუნებისმეტყველებაში, ეთიკასა და ლოგიკაში. შემდგომ მან სკოლაში შემოიტანა დემოკრიტეს მოძღვრება, რომელიც არისტოტელისას დაუპირისპირა. იგი უარყოფდა ღმერთების არსებობას და ყოველივეს ბუნებრივ წარმოშობას უპირველ მხარს.

III—II საუკუნეებიდან მოყოლებული არისტოტელეს სკოლაში ახალი აღარაფერი არ შექმნილა, წარმოებს მხოლოდ არისტოტელესა და პლატონის სისტემების მორიგების ცდები; მრავლდება კომენტატორების რიცხვი. ფილოსოფიური მოღვაწეობა შემდეგში ათენიდან კონსტანტინეპოლსა და ალექსანდრიაში გადაინაცვლებს და აქ, ბიზანტიაში არისტოტელესა და პლატონის სისტემების შერწყმით იქმნება ახალი ფილოსოფიური სისტემა, რომელიც ისტორიაში ნეოპლატონიზმის სახელით არის ცნობილი. ივი ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში ჩამოყალიბდა და ისტორიას არა ერთი გამოჩენილი მოაზროვნე მისცა.

არისტოტელეს პირველი ბიოგრაფია დაწერილი იყო ფილოქორეს მიერ, 306 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მისი ბიოგრაფია ჰერმიპემ დაწერა, რომელიც ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მუშაობდა. დიოგენე ლაერტელმა ამ ბიოგრაფიის საფუძველზე შეადგინა არისტოტელეს ცხოვრების მიმოხილვა. ნეოპლატონიკოსები სარგებლობდნენ პტოლემეს მიერ დაწერილი ბიოგრაფიით, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ჩვენამდე მოაღწიეს მის საფუძველზე შედგენილმა მე-13 საუკუნეში დაწერილმა ბიოგრაფიებმა.

თავისებური ბედი ხვდა არისტოტელეს შრომებს. არისტოტელეს ბიბლიოთეკა თეოფრასტემ დაუტოვა კორისკეს შვილს ნელეოსს. ნელეოსის მემკვიდრეებს, გაუნათლებელ ადამიანებს, არისტოტელეს ბიბლიოთეკა გამოკეტილი ჰქონდათ სარდაფში. შემდეგ მათ ბიბლიოთეკა დიდ თანხად მიყიდეს აპელიკონ ტეოსელს, რომელმაც არისტოტელეს შრომები დიდი შეცდომებით გამოსცა. აპელიკონი მონაწილეობდა რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში და 86 წელს, როდესაც სულამ ათენი აიღო, აპელიკონმა არისტოტელეს ბიბლიოთეკა რომში წაიღო. აქ გრამატიკოსმა ტირანიონმა — ციცერონის შვილების მასწავლებელმა — დაამუშავა არისტოტელეს ტექსტები და შეამზადა მათი სიები. ტირანიონისაგან არისტოტელეს შრომები მოხვდა ან-

დრონიკე როდოსელის ხელში, რომელმაც ძველი წელთაღრიცხვის 50—40 წწ. ისინი გამოსცა.

არისტოტელე შრომებს თავდაპირველად პლატონის მიბაძვით დიალოგური ფორმით წერდა. ეს დიალოგებია „ევდემოსი“, „გრილოსი“, „სამართლიანობისათვის“, „პროტრეპტიკოსი“. პლატონის აკადემიაში ყოფნის პერიოდში არისტოტელე პლატონის მიმდევარი იყო. პლატონის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ წერს დიალოგს „იდეებისათვის“, რომელშიც პაულ ვილპერტის აზრით, იგივე საკითხები იყო განხილული, რაც „მეტაფიზიკის“ I წიგნის მე-9 თავში[1]. აქ არისტოტელე აყენებდა იდეებზე პლატონის მოძღვრების წინააღმდეგ იმავე არგუმენტებს, რაც წამოყენებული იყო პლატონის აკადემიაში. არისტოტელემ მოღვაწეობა იდეებზე მოძღვრების უარყოფით დაიწყო, მაგრამ შემდეგ შემოიტანა მოძღვრება პრინციპების შესახებ, ე. ი. განაგრძო იქიდან, სადაც შეჩერდა მისი მასწავლებელი.

3. ვილპერტი არისტოტელეს მეორე ადრეულ დიალოგად მიიჩნევს დიალოგს „სიკეთისათვის“, სადაც არისტოტელე არ აკრიტიკებს მოძღვრებას იდეებზე, არამედ გადმოსცემს პლატონის დიალოგს „მიზეზებისათვის“, რაც არისტოტელესთვის შემეცნების პრინციპებია. იგი დაწერილი უნდა იყოს პლატონის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე. ახალგაზრდობის პერიოდში უნდა ჰქონდეს არისტოტელეს დაწერილი დიალოგი „ალექსანდრე ანუ კოლონიზაციისათვის“. მან შექმნა დიალოგის ახალი ფორმა „მეცნიერული დისკუსიური დიალოგი“. ამ ფორმით აქვს მას დაწერილი დიალოგი „ევდემოსი“, ანუ „სულისათვის“, „გრილოსი“, „სამართლიანობისათვის“. არისტოტელეს „ევდემოსი“ ახლოს უნდა მდგარიყო პლატონის „ფედონთან“, „გრილოსი“ კი — „გორგიასთან“. დიალოგი „სამართლიანობისათვის“ კი უნდა უახლოვდებოდეს „სახელმწიფოს“. არისტოტელე თავის ადრეულ ნაწარმოებებში იყენებდა მითებს, ჰქონდა წინასწარმეტყველის სტილი. ციცერონის გამოთქმით, მის შრომებში მიედინებოდა „მჭევრმეტყველების ოქროს ნაკადი“. იეგერი, რომელიც იკვლევდა არისტოტელეს ადრეული დიალოგების ფორმას, ეწინააღმდეგება იმ მკვლევრებს, რომლებიც ვარაუდობენ, თითქოს არისტოტელე თავიდანვე ებრძოდა თავის მასწავლებელს. იეგერის აზრით, არისტოტელე თავდაპირველად პლატონის მიმდევარი იყო[2].

---

[1] Paul W i l p e r t, Zwei Aristotelische Frühschriften. Regensburg, 1949, გვ. 107.

[2] W. J a e g e r, Aristoteles, Berlin, 1923, გვ. 34.

დიალოგ „ევდემოსის“ სიუჟეტის აღდგენა შეიძლება ციცერონის თხზულებებიდან. დიალოგში დგას სულის უკვდავების პრობლემა, რაც იდგა აგრეთვე პლატონის „ფედონში“. არისტოტელე ისევე, როგორც პლატონი, ებრძოდა სულის ჰარმონიად გაგებას. ამ დიალოგში იგი მთლიანად პლატონის პოზიციებზე დგას[1]. ეს გავლენა გრძელდება პლატონის გარდაცვალებამდე.

არისტოტელეს ადრეული დიალოგია აგრეთვე „პროტრეპტიკოსი“, რომლის შინაარსიც ციცერონმა შემოგვინახა. ამ დიალოგის ფრაგმენტები დამოწმებული აქვს აგრეთვე ნეოპლატონიკოს იამბლიქეს. „პროტრეპტიკოსის“ ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ყველაფერს ჯობს ფილოსოფიითა და შემეცნებით ცხოვრება. გამოთქმულია იმის სურვილი, რომ ფილოსოფია აყვანილ იქნას მათემატიკური სიზუსტის დონემდე. არისტოტელე „პროტრეპტიკოსში“ იდეებზე მოძღვრების მიმდევარია და არა მოწინააღმდეგე. დიალოგში მოცემულია ამქვეყნიური ცხოვრების წინაშე იმქვეყნიური ცხოვრების უპირატესობის მტკიცება.

პლატონის გავლენისაგან განთავისუფლების პერიოდს განეკუთვნება დიალოგი „ფილოსოფიისათვის“, რომელშიც მოცემულია იდეებზე მოძღვრების კრიტიკა. ამ დიალოგის ფრაგმენტები შემონახული აქვს სირიანეს, .პლუტარქეს, პროკლესა და ციცერონს. დიალოგი ასახავს აკადემიაში მიმდინარე დისკუსიას იდეების შესახებ. იეგერის ვარაუდით, „მეტაფიზიკის“ პირველი წიგნი ამ დიალოგის გაგრძელებას წარმოადგენს. დიალოგში არისტოტელე ფილოსოფიის ისტორიას იწყებს აღმოსავლეთის ქვეყნებით, ეხება ეგვიპტელებს, სპარსელებს, მოგვებს, შვიდ ბრძენს, რომლებიც ქრონოლოგიურად პლატონს უსწრებდნენ. ფორმულას „შეიცან შენი თავი“ არისტოტელე პითაგორას მიაწერს და სოკრატეს დამსახურებად მხოლოდ ამ ფორმულის განახლებას მიიჩნევს. არისტოტელეს ისტორიულ პიროვნებად მიაჩნია ზარატუსტრა. ავითარებს ციკლური განვითარების თეორიას, რომლის მიხედვით ყოველი 1200 წლის შემდეგ განახლება იწყება. აქ შეიგრძნობა პლატონის კატასტროფების თეორიის გავლენა.

ადარებს რა არისტოტელეს და პლატონს, იეგერი დაასკვნის, რომ არისტოტელე უფრო ანალიტიკოსია, პლატონი კი სინთეტიკო-

---

[1] W. Jaeger, Aristoteles, Berlin, 1923, გვ. 47.

სი, რომ არისტოტელემ თავისი მეთოდით საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მეცნიერებას[1].

მართალია, არისტოტელეს ახალგაზრდობის პერიოდის შრომები თითქმის მთლიანად დაიკარგა, სამაგიეროდ ბედნიერმა შემთხვევამ მისი მოწიფულობის ხანის თითქმის ყველა ნაშრომი შემოგვინახა.

არისტოტელეს შრომები შეიძლება დანაწილდეს შემდეგ ჯგუფებად:

1. ლოგიკური შრომები: კრებული „ორგანონი", რომელშიც შედის „კატეგორიები", „პერი ჰერმენეიას", „ტოპიკა", „ანალიტიკები", „სოფისტური გაბათილებანი".

2. სოციალურ-პოლიტიკური შრომები: „პოლიტიკა", „ათენელთა პოლიტია".

3. ეთიკური შრომები: „ნიკომაქეს ეთიკა", „ევდემოსის ეთიკა", „დიდი ეთიკა".

4. ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური შრომები: „სულის შესახებ", „ცხოველთა ისტორია", „ცხოველთა ნაწილებისათვის", „ცხოველთა წარმოშობისათვის", „ცხოველთა მოძრაობისათვის", „შეგრძნებებისა და შეგრძნებადისათვის", „მეხსიერებისა და მოგონებისათვის" და სხვ.

5. ხელოვნების, პოეზიისა და რიტორიკის შესახებ: „პოეტიკა", „რიტორიკა".

6. ფიზიკური ტრაქტატები: „ფიზიკა", „ცისათვის", „წარმოშობისა და მოსპობისათვის", „მეტეოროლოგია" და სხვ.

7. თხზულება პირველი ფილოსოფიის შესახებ: „მეტაფიზიკა".

* * *

არისტოტელე „რიტორიკაში" გვევლინება დიდი დიაპაზონის, ფართო ერუდიციის და ღრმა კრიტიკის უნარის მქონე მოაზროვნედ, რომელიც არა მხოლოდ აჯამებს და ასისტემებს წინამორბედი მოაზროვნეების შედეგებს, არამედ წინ სწევს მათ. იგი ღრმად და ყოველ-

---

[1] Aristoteles Denken sich zum platonischen Verhält, wie der anatomische Atlas zur platonischen Menschengestalt. Die Durchführung dieses Prinzips wurde die Geburtstunde der Wissenschaft im modernen Sinne. გვ. 397—398.

მხრივ იკვლევს ესთეტიკის, ეთიკის, პოლიტიკის, ფსიქოლოგიის პრობლემებს და თითქმის ყველგან თავის ახალ სიტყვას ამბობს, რომელსაც ბევრ შემთხვევაში დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

არისტოტელეს „რიტორიკის" და, საერთოდ, მთელი მისი ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როდესაც კაცობრიობამ აღნიშნა მისი გარდაცვალებიდან 2300 წელს და როდესაც არის არაერთი ცდა იმისა, რომ დამცირებულ იქნეს მისი დამსახურება და როლი აზროვნების ისტორიაში. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

პლაცეკის აზრით, არისტოტელე სილოგიზმის, მსჯელობისა და მტკიცების თეორიაში პლატონთან შედარებით წინ არ წასულა. ნ. ჰარტმანის აზრით, არისტოტელემ ცნება არ იცოდა, ყოველ შემთხვევაში, ეს მასზე უკეთ იცოდა პლატონმა. ნატორპის აზრით, პლატონის იდეებზე მოძღვრების არისტოტელესეული კრიტიკა გაუგებრობის შედეგია, რადგან არისტოტელეს სხვათა ნააზრევის გაგების უნარი არ შესწევდა. ჰერბერტცის აზრით, არისტოტელემ შემეცნების თეორიაში არ გადადგა არც ერთი ნაბიჯი წინ და თუ გადადგა, სრულიად უმნიშვნელო. ფრაიტაგის აზრით, მან პლატონისაგან ბევრი რამ აიღო, ბევრშიც ჩამორჩა[1].

ზოგიერთი მკვლევარი უარყოფდა არისტოტელეს დამსახურებას რიტორიკული ხელოვნების განვითარების საქმეში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ არისტოტელეს მჭევრმეტყველება ესმოდა მხოლოდ კამათის და კამათში ნებისმიერი ხერხით გამარჯვების ხელოვნებად. მათ წინააღმდეგ კრაუსი ამტკიცებდა, რომ არისტოტელესათვის რიტორიკა იყო ეთიკურ-პოლიტიკური იარაღი, რომელიც გზას კაფავდა სამართლიანობის, სარგებლობისა და ზნეობისაკენ, რომ არისტოტელე არ იყო მხოლოდ კრიტიკოსი და სისტემატიკოსი, არამედ რეფორმატორი და ორიგინალური მოაზროვნე[2].

მართლაც, ზერელე თვალის გადავლებაც კი დაარწმუნებს მკითხველს იმაში, რომ არისტოტელეს „რიტორიკა" ძველი ბერძნული

---

[1] E. W. Platzek. Von Analogie zum Syllogismus. Padeborn. 1954, გვ. 102, 104 და ქვ. N. Hartmann, Aristoteles und das Problem des Begriffs. Berlin, 1939, გვ. 11, 17. P. Natorp. Platos Ideenlehre. Leipzig, 1921. R. Herbertz. Das Wahrheitsproblem in d. griechischen Philosophie. Berlin, 1913, გვ. 184. W. Freytag. Die Entwicklung der griechischen Erkenntnistheorie bis Aristoteles, Halle, 1905, გვ. 114.

[2] O. Kraus, Neue Studien zu Aristotelischen Rhetorik, Halle, 1907.

აზროვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე მონაპოვარია როგორც პრობლემათა მრავალფეროვანებით, ისე კვლევის სიღრმითა და ამომწურაობით. არისტოტელე მისთვის ჩვეული ლაკონიურობით პასუხს იძლევა ფილოსოფიის, მეცნიერებების, ლოგიკის, ეთიკის, სოციალურ ურთიერთობათა მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე. მისი პასუხები დგას არა მხოლოდ მისი თანამედროვეობის, არამედ დღევანდელობის დონეზეც.

„რიტორიკის" I ნაწილში არისტოტელე განიხილავს რიტორიკის, ანუ ორატორული ხელოვნების პრობლემატიკას, II-ში, ძირითადად, ეთიკური პრობლემებია განხილული, III-ში — სტილი.

არისტოტელე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რიტორიკისა და დიალექტიკის, ანუ ორატორული ხელოვნებისა და ფილოსოფიის მიმართების საკითხს. არისტოტელე მათ შორის დიდ მსგავსებას ხედავს, რაც, პირველ ყოვლისა, მათი ობიექტების მსგავსებაში მდგომარეობს. დიალექტიკაცა და რიტორიკაც ისეთ საგნებს ეხება, რაც ყველამ იცის და რაც შესწავლას არ საჭიროებს („რიტორიკა", 1354 b). თუ ეს საგანი ზოგადია, მაშინ დიალექტიკასა და რიტორიკას გარკვეული ობიექტი არ ექნებათ. არისტოტელე წერს: „რიტორიკა არის ხელოვნება, რომელსაც განსაზღვრული ობიექტი არა აქვს, ისევე როგორც დიალექტიკას" (1355 a). მსგავსების მეორე მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ ორივე იყენებს დასაბუთების ერთგვარ მეთოდს: დიალექტიკა — სილოგიზმს, რიტორიკა — ენთიმემას (1355 a). მესამე: ორივე სწავლობს წინააღმდეგობას, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობის ორივე მხარე ჭეშმარიტებად მიიჩნიოს, არამედ საგნის ნათელყოფის მიზნით.

ერთგან არისტოტელე რიტორიკას დიალექტიკისა და ეთიკის ნაწილად თვლის (1356 b). აახლოებს რა რიტორიკასა და დიალექტიკას, გამოყოფს და უპირისპირებს მათ სოფისტიკას; რადგან თუ დიალექტიკა და რიტორიკა ცოდნაა, სოფისტიკა — მხოლოდ მისწრაფება ცოდნისაკენ.

რიტორიკას შესასწავლი საგნის ზოგადობა აახლოებს არა მხოლოდ ფილოსოფიასთან, არამედ მთელ მეცნიერებასთანაც. არისტოტელე ამბობს: „მედიცინა სწავლობს არა იმას, რაც ჯანმრთელობისთვის სჭირდება სოკრატეს ან კალიასს, არამედ იმას, რაც სჭირდება ამგვარი ადამიანის ან ამგვარ ადამიანთა ჯანმრთელობას. სწორედ ესაა ხელოვნების საქმეც, რადგან ცალკეული შემთხვევები განუსაზღვრელია და არც შესწავლას ექვემდებარება. ასევე არც რიტო-

რიკა განიხილავს ისეთ შემთხვევებს, რაც სარწმუნოდ ეჩვენება რომელიმე ცალკე პირს, სოკრატეს ან კალიასს, არამედ იმას, რაც სარწმუნოდ მიაჩნიათ ადამიანებს საერთოდ" (1356 b). არისტოტელეს რიტორიკის ძირითად მიზნად დარწმუნება მიაჩნია (1355 a). რიტორიკის შემდეგი მიზანია თავდაცვა. არისტოტელე წერს: „შეუსაბამობაა, რომ სამარცხვინოდ ვთვლით იმას, როცა ფიზიკური თავდაცვა არ შეგვიძლია, იმას კი აღარ ვთვლით სამარცხვინოდ, რომ სიტყვით ვერ ვიცავთ თავს. მაშინ, როდესაც ადამიანისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია მეტყველება, ვიდრე ფიზიკური ძალა". (1355 b). არისტოტელეს აზრით, დასაბუთება ისევე, როგორც თავდაცვა საჭიროა იქ, სადაც მსჯელობის საგანი სადავოა, ან ორაზროვანი, ან დაუდგენელი, რადგან, სადაც ყოველივე გარკვეულია, იქ აღარც მსჯელობაა საჭირო.

არისტოტელეს აზრით, ყოველ სიტყვას, მათ შორის ორატორულს, სამი ნაწილი აქვს: შესავალი, შინაარსი და დასკვნა. შესავლის დანიშნულებაა ნაწარმოების მიზნის ნათელყოფა, დასკვნა კი სიტყვას დასრულებულ ფორმას აძლევს. არისტოტელე არჩევს რიტორიკული სიტყვის სამ მხარეს: ორატორი, ის, რის შესახებაც ორატორი ლაპარაკობს და ვისაც სიტყვით მიმართავს, ე. ი. მსმენელი (1358 a).

რიტორიკული სიტყვის ფორმაც სამია: სათათბირო, სამოსამართლო და ეპიდიქტიკური. პირველი რაიმეს კრძალავს, ან რაიმესკენ მოუწოდებს, მეორე — ბრალს დებს ან იცავს, მესამე კი რაიმეს აძაგებს ან აქებს. პირველი მომავალს ეხება, მეორე, იურიდიული — წარსულს, ეპიდიქტიკური — აწმყოს, სათათბირო სიტყვის საგანია სარგებლობა და ზარალი, იურიდიულისა — სიმართლე ან სიცრუე, ეპიდიქტიკურისა — მშვენიერი და მახინჯი. სიტყვის დამაჯერებლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, არის თუ არა ორატორი გონიერი, სათნო და მსმენელისადმი კეთილგანწყობილი (1378 a). მას ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰყავდეს მსმენელი, რომ მისი ყურადღება არ მოდუნდეს. ხოლო თუ მსმენელი ყურადღებას მოადუნებს, ორატორმა უმალ უნდა მიიღოს ზომები, რათა აღადგინოს და კვლავ მოიპოვოს მსმენელის დაკარგული ყურადღება.

ნაწარმოების III ნაწილში არისტოტელე განიხილავს სტილის საკითხებს. სტილი, მისი აზრით, ნიშნავს არა იმას, თუ რა თქვა, არამედ იმას, თუ როგორ თქვა. არისტოტელეს „რიტორიკის" ეს

ნაწილი ერთგვარი ლიტერატურათმცოდნეობაა. აქ არისტოტელე განიხილავს იმ ხერხებს, რაც საჭიროა მსმენელებზე შთაბეჭდილების მოსახდენად და რაც სიტყვას ანიჭებს ბრწყინვალებას და მშვენიერებას. აზრის კარგად გამოთქმის ცოდნა განსაკუთრებით ცუდად მოწყობილ სახელმწიფოშია საჭირო, სადაც იმარჯვებენ არა ისინი, რომელთა მხარეზეც სიმართლეა, არამედ ისინი, რომლებმაც კარგი ლაპარაკი იციან. მისი აზრით, აქტიორები იბადებიან, ორატორები კი იზრდებიან ვარჯიშის შედეგად. არისტოტელე ორატორულ სიტყვას ფერწერას ადარებს, სადაც საჭიროა შუქ-ჩრდილის გამოყენება (1414 a). აუცილებლად მიაჩნდა აგრეთვე მეტაფორების, ეპითეტებისა და სხვა მხატვრული ხერხების ხმარება. არისტოტელეს აზრით, შედარება იგივე მეტაფორაა, ოღონდ მისგან მხოლოდ კავშირით განსხვავდება (1410 b). საბოლოო ჯამში, როგორც მეტაფორა, ისე ჰიპერბოლა, ანდაზები და გამოცანებიც კი არისტოტელეს დაჰყავდა შედარებაზე. მისი აზრით, სიტყვის პათოსს აძლიერებს აგრეთვე არაკები, სენტენციები, აპოთეგმები. აფორიზმების ხმარება შეშვენის მოხუცს, რადგან აფორიზმი ეხება ისეთ ზოგად მოვლენას, რომლის ცოდნა დიდ გამოცდილებასთან არის დაკავშირებული. არისტოტელე განსაკუთრებით საჭიროდ თვლის ეპითეტების ხმარებას, ოღონდ ზომიერად. ამიტომ აკრიტიკებდა ის ალკიდამანტს, რომელიც ეპითეტებს ხმარობდა არა როგორც საჭმლის საკაზმს, არამედ როგორც საჭმელს (1406 a). ზედმეტი ეპითეტების ხმარება აცივებს, ამცირებს პათოსს. იგი აფრთხილებდა ორატორებს ორაზროვანი, გაუგებარი გამოთქმებისა და მრავალი კავშირის ხმარებისაგან, რაც მსმენელზე უარყოფით გავლენას ახდენს. არისტოტელეს აზრით, სიტყვას უნდა ჰქონდეს რიტმი, მაგრამ არა მეტრი. რიტმული ფორმებიდან ყველაზე მეტად მისაღებად მიაჩნდა იამბი, რომელიც უახლოვდება სალაპარაკო ენას.

არისტოტელეს აზრით, კარგი სტილის სიტყვა ან ნაწარმოები მიზანშეწონილი უნდა იყოს, ე. ი. საგნის შესაბამისი. გარდა ამისა, იგი პათეტური უნდა იყოს. სიტყვა კი „პათეტურია მაშინ, თუ შეურაცხყოფის გადმოცემისას მრისხანეა, უღმერთო და სამარცხვინო მოქმედების გადმოცემისას უკმაყოფილებისა და სიფრთხილის გამომხატველი, ხოტბის შესხმისას — სადღესასწაულო, ხოლო სიბრალულის გამოხატვისას — დაბალი სტილისა“ (1408 a). თუ ორატორი გრძნობით ლაპარაკობს, საქმეზეც რომ არ ლაპარაკობდეს, მას მაინც ყურადღებით მოუსმენენ. პათოსს აძლიერებს ყურადღების გამა-

ხვილება იმაზე, რომ ეს საქმე ამ პიროვნებამ პირველმა ჩაიდინა. კარგია აგრეთვე პიროვნების დამსახურების ან დანაშაულის გაზვიადება და ამავე მიზნით შედარება გამოჩენილ ან საქებ ადამიანებთან (1367 b). პათოსის გასაძლიერებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ხმის მიზანშეწონილად გამოყენებას. ვინც ეს ხელოვნება იცის, დიდ წარმატებას აღწევს, გამარჯვებული გამოდის და დიდი უპირატესობითაც სარგებლობს სახელმწიფოში. არისტოტელე სპეციალურად ჩერდება სიტყვის სიცივის მიზეზებზე, რასაც წარმოშობს: ა. რთული ან შერწყმული სიტყვების ხმარება, ბ. უჩვეული და გაუგებარი სიტყვების, ეპითეტებისა და სხვა მხატვრული ხერხების შეუსაბამოდ გამოყენება. არისტოტელე წინააღმდეგია მრავალსიტყვაობისა და სიტყვის უწყვეტობისა. სიტყვა უნდა თავდებოდეს იქ, სადაც თავდება საგნის შესახებ მსჯელობა. კარგია პერიოდებად დანაწევრებული დასრულებული აზრის შემცველი სიტყვა, არ ვარგა არც მოკლე და არც ვრცელი პერიოდები. ვარგისია მხოლოდ მიზანშეწონილი.

ზეპირი სიტყვა, სადაც აქტიორული და პათეტური მომენტები ჭარბობს, წერილობითთან შედარებით ნაკლებ ზუსტია, რაც გამოწვეულია დეკლამაციურობის სიჭარბით. სამაგიეროდ ზეპირი სიტყვა უფრო სასიამოვნოა მშრალ წერილობით სიტყვასთან შედარებით.

არისტოტელე დიდ ყურადღებას უთმობს ტოპებსა და ენთიმემებს. განხილულია მათი მრავალრიცხოვანი ფორმები. რადგან ენთიმემას სილოგიზმი შეესაბამება, ამიტომ ენთიმემას ისევე სჭირდება წანამძღვრები, როგორც სილოგიზმს. წანამძღვრები კი მაშინაა საჭირო, თუ აუცილებელი დასკვნებისაკენ მივყავართ.

„რიტორიკის“ მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს ეთიკურ პრობლემატიკას, რადგან, ავტორის აზრით, სიტყვა მაშინაა დამაჯერებელი, თუ ორატორი ზნეობრივად ფაქიზი პიროვნებაა და ასეთადვე ეელინება მსმენელს. მით უმეტეს, რომ „ყოველი სიტყვის საბოლოო მიზანია წინასწარგანზრახული სიკეთე: სარგებლობა, მშვენიერება, სამართლიანობა“ (1393 a). არისტოტელემ რიტორიკის საბოლოო მიზნად სიკეთე გამოაცხადა და ის მშვენიერებასთან გააიგივა: „მშვენიერია ის, რაც არის რა თავისთავად სასურველი, საქებიცაა. ანდა არის რა კეთილი, სასიამოვნოცაა. თუ მშვენიერება ესაა, აუცილებელია, რომ სათნოება მშვენიერება იყოს“ — წერს არისტოტელე (1366 a). ცოტა ქვემოთ უფრო გარკვევით არის გამოთქმული აზრი სათნოებისა და მშვენიერების იგივეობის შესახებ: ცხადია, რომ ის, რაც სათნოებას ემსახურება, მშვენიერიც არის, რადგან

მშვენიერების მიზანია სათნოება და სათნოებიდანვე გამომდინარეობს. ამიტომ მშვენიერება სათნოების ნიშანია და მისი შედეგი (1366 b). მაგრამ არისტოტელე კიდევ უფრო შორს მიდის, როდესაც მშვენიერებასთან აიგივებს სიმამაცეს, სამართლიანობას, გამარჯვებას, პატივისცემას, საზოგადო ინტერესების პირადულზე მაღლა დაყენებას, მოქმედებას სხვის საკეთილდღეოდ, საერთოდ, ქველმოქმედებას, მტრების დასჯას, დიდებას, უპირატესობას და ა. შ. როგორც ვხედავთ, არისტოტელემ სათნოების ყველა სახე მშვენიერებასთან გააიგივა. ამიტომ წარმატების შოპოვებისათვის საჭიროა ორატორმა ყველა ეს სახე ფლობდეს. ამით არისტოტელემ ესთეტიკასა და ხელოვნებას ეთიკური ფუნქცია დააკისრა, რაშიც იგრძნობა პლატონის შეხედულებათა გავლენის კვალი. ისიც ხომ სიკეთესა და მშვენიერებას აიგივებდა.

ყოველივე ამის პარალელურად „რიტორიკაში" ვხვდებით მშვენიერების უტილიტარულ და ჰედონისტურ გაგებას. არისტოტელეს ზოგჯერ მშვენიერება სარგებლობაზე დაჰყავს, მაგრამ მშვენიერებას მაინც უპირატესობას აძლევს: „სარგებლობა პიროვნებისთვის არის სიკეთე, მშვენიერება კი აბსოლუტური სიკეთეა" (1390 a). ზოგჯერ კი იგი მშვენიერებას აიგივებს სიამოვნებასთან. მისთვის სიკეთე წარმოადგენს სასიამოვნო და მშვენიერ მოვლენას, რადგან ზოგი მშვენიერება სიამოვნებას იწვევს, ზოგი კი თავისთავად არის სასურველი (1364 b).

არისტოტელეს აზრით, ორატორი თვითონაც უნდა იყოს ზნეობრივად ამაღლებული და მაღალ მორალურ თვისებებსაც უნდა ქადაგებდეს, ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნია მორალის იმ ძირეული პრობლემების განხილვა, რის ცოდნაც აუცილებელია ჭეშმარიტი ორატორისათვის. არისტოტელე აანალიზებს სიკეთისა და სათნოების მრავალ ფორმას: უპირატესობას, დღეგრძელობას, კარგად მეტყველებისა და მოქმედების უნარს, ცოდნას, ხელოვნებას, ბედნიერებას, სამართლიანობას, სიმამაცეს, გონიერებას, დიდსულოვნებას, კეთილშობილებას, სიმდიდრეს, სიმშვიდეს, იმას, რაც სიმშვიდეს იწვევს, მცირე სიკეთის წილ დიდის მოპოვებას და დიდი ბოროტების სანაცვლოდ მცირისა, პატივისცემას თანამოქალაქეთა მხრივ, კარგი შთამომავლობის ყოლას, ბრძოლისუნარიანობას, კარგ მოხუცებულობას, ხელგაშლილობას, თავმდაბლობასა და ა. შ.

არისტოტელე აანალიზებს „უკეთესის" ცნებას და მის სახეებს.

ესენია: მეტად სასიამოვნო, მეტად მშვენიერი, მეტად სასარგებლო, მეტად ჭეშმარიტი და მათი საპირისპირო ცნებები.

არისტოტელე ასხვავებს სხეულებრივსა და სულიერ სათნოებებს. ქალის ფიზიკურ სათნოებად მიჩნეულია სილამაზე, სიმაღლე და სხვ., სულიერად — გონიერება, შრომისმოყვარეობა, თავშეკავების უნარი და სხვ.

ადამიანთა მოქმედებისა და არსებობის უმაღლეს მიზნად არისტოტელე თვლის ბედნიერებას. იგი ფიქრობს, რომ ის მიზანი, რომლისაკენაც არის მიმართული როგორც რჩევა, ისე აკრძალვა, არის ბედნიერება ან მისი ნაწილები (1360 b).

საყურადღებოა სიკეთის არისტოტელესეული განსაზღვრება: სიკეთე არის ის, რისკენაც ისწრაფვიან თვით მისთვის, ანდა რომლის მისაღწევად ვირჩევთ სხვა რამეს. აგრეთვე ის, რისკენაც ისწრაფვის ყველა, ვისაც აქვს გონება ან გრძნობა, ან რისკენაც მოინდომებდა სწრაფვას ვინმე, ვისაც გონება ექნებოდა (1362 a). ანალოგიურია მეორე განსაზღვრებაც: სიკეთეს ვუწოდებთ იმას, რასაც ვირჩევთ თვით მისივე გულისთვის და არა რაიმე სხვა მიზნით. სიკეთეა ის, რისკენაც ისწრაფვის ყველა, ვისაც აქვს გონება ან აზროვნების უნარი (1363 b). აქ საინტერესოა არა მხოლოდ სიკეთის, არამედ თავისთავადი მოვლენების ინტერპრეტაციაც. არისტოტელე „თავისთავადში“ გულისხმობს დამოუკიდებელ მოვლენებს, რომელნიც არსებობისთვის სხვა რაიმეს არ საჭიროებენ. იგი წერს: „ის, რაც სასურველია თავისთავად, ჯობს იმას, რაც თავისთავად არაა სასურველი“. და იქვე ახსნის, თუ რატომ სჯობია თავისთავადი არათავისთავადს: „ის, რომელსაც სხვა არ სჭირდება, დამოუკიდებელია, ამიტომ ის უფრო დიდი სიკეთე უნდა იყოს“ (1364 a). ამიტომაცაა, რომ არისტოტელეს ყველაზე დიდ სიამოვნებად მიაჩნია ის, რომელსაც ეძებენ და არჩევენ თვით მისივე გულისთვის (1364 b).

სასიამოვნო კი არისტოტელეს გაიგივებული აქვს ღირებულებასთან: „სასიამოვნოში ვგულისხმობ იმას, საიდანაც არ ვიღებთ რაიმე სარგებლობას, არამედ რაღაც ღირებულს“ (1360 a). მეორეს მხრივ, სასიამოვნო გაიგივებულია სიკეთესთან და მშვენიერებასთან: „სიამოვნება სიკეთეა, ამიტომ ყოველ ცოცხალ არსებას ახასიათებს სწრაფვა მისკენ. ასე რომ, სასიამოვნო და მშვენიერი მოვლენები აუცილებლად სიკეთეს წარმოადგენს“ (1362 b). ანალოგიურად ესმის არისტოტელეს მშვენიერება: მშვენიერია მოვლენები, რომლებიც „სასურველნი არიან თავისთავად მათგან გამომდინარე სარგებლობის

გარეშე“ (1367 a). ამრიგად, „რიტორიკაში“ შეიძლება შევხვდეთ ისეთ ადგილებს, სადაც მშვენიერება, სიკეთე და სიამოვნება გაიგივებულია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პლატონის ტრიადაში არისტოტელესთან ჭეშმარიტების ადგილს სიამოვნება იკავებს. მოტანილ განსაზღვრებებში საყურადღებოა: თავისთავადი მოვლენებისათვის უპირატესობის მინიჭება არათავისთავადის წინაშე, ღირებულისათვის უპირატესობის მინიჭება სასარგებლოს წინაშე, მშვენიერებისა და სიკეთის გაიგივება და სხვ. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დასკვნისათვის, რომ

1. ამოსავალი იმ მიმდინარეობისა, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ფილოსოფიასა და ესთეტიკაში და რომელსაც აქსიოლოგია ეწოდება, საძიებელია არისტოტელეს „რიტორიკაში“.

2. მშვენიერებისა და ღირებულების არისტოტელესეული გაგება წარმოადგენს კანტის ესთეტიკური თეორიის წინამორბედსა და საფუძველს.

3. არისტოტელესთან ესთეტიკა და, კერძოდ, რიტორიკული ხელოვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული მორალთან, ეთიკასთან, რაც საფუძველს აცლის იმ მკვლევრებს, რომლებიც არისტოტელეს „რიტორიკაში“ მხოლოდ კამათის ხელოვნებას ხედავენ და მეტს არაფერს[1].

არისტოტელე სიამოვნების ფორმებზე ისევე დეტალურად ჩერდება, როგორც სათნოებისა და სიკეთისაზე. ეს გასავებიც არის, რადგან მან სიამოვნება და სიკეთე გააიგივა როგორც ერთმანეთთან, ისე მშვენიერებასთან. არისტოტელე განიხილავს სიამოვნების შემდეგ სახეებს: უზრუნველობა, თამაში, ძილი, დასვენება, მომავლის იმედები, უსიამოვნება, რომელსაც შედეგად სიამოვნება მოსდევს, სხეულებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, საქმის დასრულება, რჩევის მიცემა, აგრეთვე „მრავალი ბუნებრივი მოვლენა, რომელიც სასიამოვნო არაა, მაგრამ რომელსაც სიამოვნებით ასრულებენ, თუ მიეჩვივნენ“ (1369 b), ლაპარაკი საყვარელ ადამიანთან, საყვარელი ადამიანი, სიყვარულის ობიექტად ყოფნა, მლიქვნელი, რომელიც მხოლოდ მოჩვენებითი მეგობარია, მრავალფეროვანება (რადგან ერთფეროვნება მოსაწყენია), აღტაცება, სწავლა, მიბაძვა, თუნდაც

---

[1] ამის შესახებ იხ. O. Kraus, Neue Studien zur Aristotelischen Rhetorik, Halle, 1907.

მიბაძვის ობიექტი ღირსეული პიროვნება არ იყოს (რადგან მიბაძვის დროს ხდება შემეცნება), მოქმედების მოულოდნელი შეცვლა, ბატონობა, მახლობლების გაკიცხვა, სიცილი, ხუმრობა და სხვ.

არისტოტელემ გააანალიზა ადამიანთა ურთიერთობის ისეთი მნიშვნელოვანი ფორმა, როგორიცაა მეგობრობა და სიყვარული. მისი აზრით, „სიყვარული ნიშნავს იმას, რომ ადამიანს სიკეთე სურს იმისთვის, ვინც უყვარს და არა თავისთვის და შეძლებისდაგვარად ახორციელებს კიდეც ამას. მეგობარია ის, რომელსაც უყვარს და სიყვარულითვე უპასუხებენ... მეგობარია ის, ვინც მეგობართან ერთად იტანჯება მისი წარუმატებლობის გამო და მეგობართან ერთად უხარია მეგობრის სიკეთე. მეგობარია ის, ვინც იცის, თუ რაა მეგობრისათვის კარგი და ავი და კიდევაც აკეთებს ამას საქმით“ (1361 b). ამას გარდა, მეგობრებს აკავშირებს მიზნის, მტრების, მეგობრებისა და სურვილების ერთიანობა. გვიყვარს ისინი, ფიქრობს არისტოტელე, ვინც სიკეთე გაგვიწია, გვიყვარს ჩვენი მტრების მტრები, აგრეთვე გონიერი, სამართლიანი, სათნო, თავშეკავებული, კარგი სახელის მქონე ადამიანები, ვისთანაც სასიამოვნოა დროსტარება, რომლებიც ადვილად ივიწყებენ მათ მიმართ ჩადენილ ბოროტებას, ამჩნევენ და აფასებენ ჩვენს დადებით თვისებებს, ჩვენდამი კეთილგანწყობილნი არიან და სხვ. არისტოტელე ასევე ფართოდ აანალიზებს მეგობრობისა და სიყვარულის საწინააღმდეგო მოვლენებს, როგორიცაა მტრობა და სიძულვილი.

რადგან ორატორის წარმატებისათვის საჭიროა მსმენელთა ფსიქიკის ცოდნა, ამიტომ არისტოტელე განიხილავს ისეთ სულიერ თვისებებს, როგორიცაა აპათია, სიმპათია, მორცხვობა, ურცხვობა, თანაგრძნობა, სიბრალული, სიმშვიდე, სიბრაზე და სხვ.

განხილულია დანაშაულისა და უსამართლობის გამომწვევი მიზეზები და პირობები, ვის მიმართ სჩადიან დანაშაულს, ან რატომ ფიქრობენ, რომ შერჩებათ ჩადენილი დანაშაული. განხილულია ყველა ასაკში შეძენილი და ბუნებრივი თვისებები. არისტოტელეს სათნოებად და სიკეთედ მიაჩნია კეთილშობილებაც, მაგრამ ასხვავებს ბუნებრივსა და წარმოშობით კეთილშობილებას. ბუნებრივ კეთილშობილებას უპირატესობას ანიჭებს წარმოშობით კეთილშობილების წინაშე: „კეთილშობილება წარმოშობით იგივე არაა, რაც ბუნებრივი კეთილშობილება. უმეტეს შემთხვევაში იგი მიუწვდომელია წარმოშობით კეთილშობილთათვის. პირიქით, ისინი უმეტეს შემთხვევაში მდაბალი ადამიანები არიან“ (1390 b).

არისტოტელესათვის დამახასიათებელი სიღრმითა და სიფართოვით არის განხილული სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკა. ეს პრობლემებიც არისტოტელეს აინტერესებს არა თავისთავად, არამედ რიტორიკასთან კავშირში. მისი აზრით, ვისაც სახელმწიფოზე მსჯელობა სურს, მან სახელმწიფო უნდა შეისწავლოს მთელი სიგრძე-სიგანით. კერძოდ, უნდა შეისწავლოს ომისა და ზავის, შემოსავალ-გასავლის, ვაჭრობის, კანონისა და კანონმდებლობის, ქონებრივი ურთიერთობისა და სხვა საკითხები. არისტოტელე იცავს ქონებრივ უთანასწორობას, ამავე დროს ჰგმობს მას მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგების გამო. არისტოტელეს დაკვირვებით, მდიდარი მოქალაქენი ამაყნი, თავხედნი, ფუფუნების მოყვარენი, მოტრაბახენი, განებივრებულნი და უზრდელნი არიან. ეს თვისებები თვალში საცემია იმ მდიდრებში, რომელთაც ძალა-უფლება აქვთ და განსაკუთრებით ახლახანს გამდიდრებულებში. ამიტომაც ამბობდა ის, რომ „სიმდიდრე მხოლოდ უგუნურთ ანიჭებს ბედნიერებას". ახლადგამდიდრებულთა შესახებ კი არისტოტელე იყენებდა ეზოპეს არაკს მელას შესახებ, რომელიც მდინარეზე გადასვლისას ხევში ჩავარდა და ძაღლის ტილებით აივსო. ზღარბმა დახმარება შესთავაზა, ტილებს ამოგაცლიო. მაგრამ მელამ უარი განაცხადა: ძველი ტილები დაძღნენ, თუ მათ ამომაცლი, ახლებით გავივსები. ესენი კი დამშეულნი იქნებიან და დარჩენილ სისხლს მთლად ამომწოვენო.

არისტოტელე სწორ პოზიციაზე იდგა რასობრივ საკითხშიც. იგი წერდა: „ადამიანის თეთრი ან შავი ფერი, დიდი ან პატარა ტანი არ იწვევს არავითარ შედეგებს, მაგრამ ახალგაზრდასა და მოხუცს, სამართლიანსა და უსამართლოს შორის კი დიდია სხვაობა" (1369 a).

არისტოტელე ასხვავებდა მმართველობის ოთხ ძირითად ფორმას: დემოკრატიას, მონარქიას, არისტოკრატიას, ოლიგარქიას. მმართველობის ფორმებს იგი ასე განსაზღვრავდა: „დემოკრატია მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც ხელმძღვანელი ადგილები კენჭისყრით ნაწილდება, ოლიგარქიაში — სიმდიდრის მიხედვით, არისტოკრატიაში — განათლების მიხედვით. ამიტომ არისტოკრატიულ სახელმწიფოს მართავენ კანონიერების დამცველნი. ესენი კი კეთილშობილი ადამიანები უნდა იყვნენ, საიდანაც მიიღო სახელწოდება ამ სახელმწიფომ" (1365 b). სახელმწიფოს თითოეული ამ ფორმის მიზანი არისტოტელეს ასე ესმის: „დემოკრატიის მიზანია თავისუფლება, ოლიგარქიისა — სიმდიდრე, არისტოკრატიისა — განათლება და კანონმდებლობა, ტირანიისა — სახელმწიფოს დაცვა" (1366). არისტო-

ტელე წინააღმდეგი იყო სახელმწიფოს ხელმძღვანელის კენჭისყრით არჩევისა: „მმართველის კენჭისყრით არჩევა იმას ჰგავს, რომ ათლეტს ირჩევდნენ არა იმის მიხედვით, შეუძლია თუ არა მას ბრძოლა, არამედ კენჭისყრით. რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწონთ არჩეული და არა მცოდნე“ (1393). არისტოტელე ჰგმობს მონარქიული მმართველობის ფორმას: „მონარქია, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, ისეთი მმართველობაა, სადაც ერთი ადამიანი არის ყველაზე ძლიერი“ (366 a). მაშასადამე, ამ სახელმწიფოში ძალაუფლება კონცენტრირებულია ერთი ადამიანის ხელში ყოველგვარი დამსახურების გარეშე, ამიტომ მმართველობის ეს ფორმა დასაგმობია, ფიქრობს არისტოტელე. დამოწმებული ამონაწერები მოწმობენ იმას, რომ არისტოტელე არისტოკრატული მმართველობის მომხრეა. ასეთ სახელმწიფოში მმართველს კი არ ირჩევენ, არამედ ნიშნავენ დამსახურებისა და პირადი ბუნებრივი მონაცემების მიხედვით.

საყურადღებოა არისტოტელეს კვლევა, მიმართული სახელმწიფოს დამღუპველი მიზეზების დადგენისაკენ. დემოკრატიაზე დაკვირვებით, არისტოტელე დაასკვნიდა, რომ „იგი სუსტდება არა მხოლოდ თავისუფლებით, ასე რომ, ბოლოს ოლიგარქიად იქცევა, არამედ დიდი სიმკაცრითაც“. თუ გავითვალისწინებთ არისტოტელეს დამოკიდებულებას სიმდიდრისა და ქონებისადმი, ნათელი გახდება, რომ იგი წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო ოლიგარქიისაც და მმართველობის ერთადერთ მისაღებ ფორმად არისტოკრატია მიაჩნდა, რომელსაც მართავენ სამართლიანი კანონმდებლობითა და განათლებით.

არისტოტელეს აზრით, როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეთა კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული კანონმდებლობისაგან, ამიტომ საჭიროა დიდი სიფრთხილე და ცოდნა როგორც რომელიმე ახალი კანონის შემოღებისას, ისე მისი უარყოფისას. არისტოტელე ასხვავებდა კანონთა ორ სახეს: დაწერილსა და დაუწერელს, ანუ კერძოსა და ზოგადს. დაწერილ კანონში იგი სახელმწიფოსა და მმართველის მიერ დადგენილ კანონს გულისხმობდა, დაუწერელში — ბუნებრივს, ანუ ადამიანის ბუნების შესატყვისს. ეს უკანასკნელი ზოგადია და უცვლელი. ამიტომ: „კარგ ადამიანებს შეშვენით სარგებლობდნენ უფრო დაუწერელი, ვიდრე დაწერილი კანონით“ (1375 b). პირობები იცვლება, კანონები კი იგივე რჩება, ამიტომ კანონები ხშირად წინააღმდეგობაში ექცევიან შეცვლილ ვითარებასთან. საჭიროა კანონები სწრაფად იცვლებოდნენ შეცვლილ ვითარებასთან ერთად: „თუ ის მდგომარეობა, რომლის გამო შემოღებული იყო კანო-

ნი, აღარ არსებობს, კანონი კი კვლავ არსებობას განაგრძობს, უნდა შეეცადოთ მდგომარეობაში გაეერკვეთ და ამ კანონის წინააღმდეგ გავილაშქროთ“ (1375 b). არისტოტელეს აზრით, „სისულელეა, როცა ვფიქრობთ, რომ აჩასწორად შედგენილ და შეცდომებზე დამყარებულ კანონებს უნდა დავემორჩილოთ“ (1375 b). ამიტომ კანონმდებელი ვალდებულია გაარკვიოს, „ხომ არ ეწინააღმდეგება კანონი ან გონივრულ კანონს, ან თავის თავს“ (1375 b). არისტოტელე ასხვავებდა ძველსა და ახალ კანონებს და უპირატესობას ძველს ანიჭებდა: „მოგვიანო კანონები უფრო ძლიერნი არიან, ადრეულნი კი უფრო სუსტნი, მაგრამ უფრო სწორნი“ (1376 b). მისი აზრით, მიზანშეწონილი მოქმედება უნდა დავუპირისპიროთ არა ბუნებრივს, არამედ დაწერილ კანონს. გონივრული კანონმდებლობის შემოღებისათვის, არისტოტელეს აზრით, საჭიროა არა მხოლოდ საკუთარი კანონების ცოდნა, არამედ სხვა სახელმწიფოებისაც, რისთვისაც კარგია მოგზაურობა, „რადგან კანონები მოსახლეობისათვის შეიძლება სხვა სახელმწიფოებიდანაც გადმოვიღოთ“ (1360 a). „ხელშეკრულება ან თავისებური კანონია, ან ნაწილობრივ კანონი. ხელშეკრულებები კი არ ამტკიცებენ კანონს, არამედ პირიქით, კანონები ამტკიცებენ ხელშეკრულებას. ასე რომ, ვინც ხელშეკრულებას უარყოფს, ის კანონსაც უარყოფს“ (1376).

არისტოტელე უპირატესობას ანიჭებდა ბუნებრივ კანონებს და მოითხოვდა, რომ მოსამართლეს ემოქმედა არა დაწერილი კანონებით, არამედ სამართლიანობით. დაწერილი კანონებით შეიძლება ადამიანთა მოტყუებაცა და სამართლის შეტრიალებაც, მაშინ, როდესაც ბუნებრივი კანონით ეს შეუძლებელია და დაუშვებელი. არისტოტელე კატეგორიულად მოითხოვდა, რომ სასამართლოებში დაეცვათ ბუნებრივი კანონები, არ გადაეხვიათ მისგან სიბრაზის, შურის, ან მრისხანების ზეგავლენით. ამიტომ აფრთხილებდა ორატორებს: „დაუშვებელია მოსამართლის გადაბირება მასში სიბრაზის, შურის ან სიბრალულის გრძნობის აღძვრით. ეს იმას ჰგავს, რომ ვინმეს სახაზავის გამოყენება სურდეს და წინასწარ გაღუნოს ის“ (1354 a). არისტოტელემ კარგად იცის, რომ მოსამართლეც ადამიანია და არაა დაზღვეული შემთხვევითი ზემოქმედებისაგან. სწორედ ამიტომ მოითხოვდა, რომ მოსამართლეებისათვის, რაც შეიძლება, ნაკლები უფლებები დაეტოვებინათ (1354 b). ამ შემთხვევაში მას კანონები უფრო სანდოდ მიაჩნდა, ვიდრე მოსამართლეთა განაჩენი: „კანონები ხანგრძლივი მოფიქრების შედეგია, განაჩენი კი უცებ გამოაქვთ. ამი-

ტომ მოსამართლეებს უძნელდებათ იმის კარგად განსაზღვრა, თუ რაა სამართლიანი და რაა სასარგებლო“ (1354 b). რათა კანონი და კანონმდებლობა მართებული იყოს, საჭიროა ადამიანის ბუნების შესწავლა და მის შესაბამისად მოქმედება.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სამართლიანობის არისტოტელესეული გაგება. ერთ-ერთი განსაზღვრების მიხედვით, რომელიც „რიტორიკაშია“ მოცემული, სამართლიანობა არის სათნოება, რომლითაც თითოეულს მისთვის განკუთვნილი ქონება აქვს, რაც კანონიერია. უსამართლობა არის სხვისი ქონების უკანონოდ მითვისება (1366 b).

არისტოტელემ „რიტორიკაში“ იქადაგა თავისუფლების იდეებიც. მართალია, მას არ მოსწონდა დემოკრატია იმიტომ, რომ იქ შეიძლება სათავეში უღირსი მოქალაქენი მოქცეულიყვნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არისტოტელე საერთოდ, თავისუფლების მოწინააღმდეგე იყო. არისტოტელემ კარგად იცოდა, რომ ყოველი წამოწყებისა და საქმის წარმატების საწინდარი იყო ადამიანის თავისუფალი ნება, მოქმედება საკუთარი სურვილით და გატაცებით და არა იძულებით: „ამრიგად, ყოველივე ის, რასაც ადამიანები თავისი სურვილით აკეთებენ, არის ან კეთილი, ან მოჩვენებით კეთილი, სასიამოვნო ან მოჩვენებით სასიამოვნო“ (1369 b).

არისტოტელეს საბოლოო მიზანი ასე ესმოდა: „ის, რაც ცხოვრების საბოლოო მიზანია, ყველაფერზე უკეთესიც არის, რადგან მიზანი უფრო სასურველია, ვიდრე ის, რაც მის მოპოვებას ემსახურება“ (1365 b). ასეთ საბოლოო მიზნად კაცობრიობისათვის მას ბედნიერება მიაჩნდა.

ასეთი ზოგადი თვალის გადავლებაც კი გვარწმუნებს იმაში, რომ „რიტორიკის“ სახით ჩვენ გვაქვს არისტოტელეს გენიის ბრწყინვალე ძეგლი, რომელიც საუკუნეების მანძილზე სახელმძღვანელოს წარმოადგენდა არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ ეთიკაში, სამართალში, კანონმდებლობასა და პოლიტიკაში, აგრეთვე ადამიანთა მოქმედებისა თუ აზროვნების მრავალ სფეროში. თუ ზოგი რამ უკვე მოძველებულად გვეჩვენება, ეს იმიტომ, რომ კაცობრიობამ შეისისხლხორცა და აითვისა ამ უბადლო გენიოსის მრავალი მინახვედრი და მონაპოვარი. მაგრამ კაცობრიობის აზროვნება მრავალ შემთხვევაში დღესაც არისტოტელეს მიერ მითითებული გზით მიემართება.

რიტორიკის თარგმნაზე მუშაობის დროს ჩვენ ვეყრდნობოდით შემდეგ გამოცემებს:

1. Aristotle, The "Art" of Rhetorik. with an english translation by John Henry Freese, London, MCMLIX.

2. Aristoteles, Ars Retorica, Lipsiae, MCMXIV.

3. Aristoteles, Ars Rhetorica, Ed. Ad. Roemer, Lipsiae, 1898.

4. Aristotelis Ars rhetorica, rec. W. D. Ross, Oxonii, 1959.

5. Aristotelis Ars rhetorica, ed. R. Kassel, Berolini et Noni Eboraci, 1976.

შედარებულია გერმანულ და ფრანგულ თარგმანებთან:

6. Aristotle, Rhetorique, Paris, 1932.

7. Aristoteles, Drei Bücher der Redekunst, Übersetzt von Prof. Adolf Stahr, Berlin, Stuttgart, 1855—1907.

8. Aristoteles, Rhetorik, Übersetzt und erläutert von D-r Heinrich Knebel, Stuttgart, 1838.

შედარებულია რუსულ თარგმანთან:

9. „Риторика" Аристотеля, пер. Надежды Платонсвой, СПб, 1894.

10. Античные риторики, под общей ред. проф. А. А. Тахо-Годи, Изд. Московского университета, 1978.

წიგნი პირველი

1

(დიალექტიკა[1] რიტორიკას ჰგავს, რადგან ორივე ეხება ისეთ 1354a
საგნებს, რაც როგორღაც იცის ყველამ და რასაც არ სწავლობს
რომელიმე ერთი მეცნიერება[2]. ამიტომაც ყველა ადამიანი რო-
გორღაც შეიძლება იყოს ორივე ამ მეცნიერების მცოდნე,
რადგან გარკვეულ საზღვრამდე ყოველ კაცს ძალუძს გაარკ-
ვიოს და დაიცვას სათანადო აზრი, გაიმართლოს თავი ან ბრალ-
მდებლად გამოვიდეს. ამ შემთხვევაში ზოგი დაუფიქრებლად
მოქმედებს, ზოგიც ჩვევით, რაც შემდეგში თვისებად ექცევათ
ხოლმე. მაშასადამე, რადგან ორივე ეს შემთხვევა შესაძლებე-
ლია, ამიტომ ცხადია, რომ ორივეს ახსნა-განმარტება სჭირდე-
ბა. ე. ი. საჭიროა როგორც შემთხვევითი, ისე ჩვეულებით ან
მექანიკურად ჩადენილი მოქმედების მიზეზების გარკვევა.)ყვე-
ლა დამეთანხმება, რომ ეს ხელოვნების საქმეა. იმათ, რომლებ-
მაც ახლახანს შექმნეს სწავლანი მჭევრმეტყველების ხელოვნე-
ბის შესაწებ, ამ ხელოვნების მცირედი ნაწილი დაამუშავეს,
რადგან რიტორიკის ძირითადი ნაწილი დასაბუთებაა. ყოველი-
ვე სხვა კი ამის დანამატია. ეს მოძღვარნი კი არაფერს არ ამ-
ბობენ ენთიმემებზე[3], რაც დასაბუთების ძირითადი ბირთვია,
ხოლო იმაზე, რაც ამ საკითხს არ ეხება, ბევრს ლაპარაკობენ,
მაგალითად, სიძულვილზე, სიბრალულზე, სიბრაზეზე და სხვა
სულიერ განცდებზე. ყოველივე ეს კი ეხება არა საქმეს, არა-
მედ მოსამართლეს. სასამართლო საქმეების წარმოება ყველგან
რომ ისე იყოს მოწესრიგებული, როგორც ზოგიერთ პოლისში[4],
განსაკუთრებით ისეთ პოლისში, რომელსაც კარგი კანონმდებ-
ლობა აქვს, მაშინ ამ მოძღვართ არაფერი ექნებოდათ სათქმე-
ლი.(ზოგი ფიქრობს, რომ ყველაფერი კანონების შესაბამისად
უნდა იქნეს განხილული. ზოგან იყენებენ კიდეც ამ მოსაზრე-

ბას და კრძალავენ ძირითადი საკითხიდან გადახვევას, როგორც მაგალითად, არეოპაგში[5]. ეს სწორიც არის, რადგან დაუშვებელია მოსამართლის გადაბირება მასში სიბრაზის, შურის ან სიბრალულის გრძნობების აღძვრით. ეს იმას ჰგავს, რომ ვინმეს სახაზავის გამოყენება სურდეს და ის წინასწარ გაღუნოს.)

გარდა ამისა, ცხადია, რომ მოდავეს სხვა არა უნდა რა, იმის დამტკიცების გარდა, რომ რაიმე არსებობს ან არა, მოხდა ან არ მომხდარა. მაგრამ დიდია ის, თუ მცირე, მართებული, თუ უმართებულო, რაც კანონმდებელმა ვერ განსაზღვრა, უნდა დაადგინოს მოსამართლემ როგორმე ისე, რომ მოდავე მხარეებს არ დაეკითხოს.

კარგად შედგენილ კანონმდებლობას ყველაზე მეტად ის შეჰფერის, რომ რამდენადაც კი შესაძლებელია, ყოველივე თვითონ განსაზღვროს და მოსამართლეებისათვის განსახილველად ნაკლები დატოვოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ადვილია ერთი ან მცირე რაოდენობის, ვიდრე ბევრი საღად მოაზროვნე
1354b ადამიანის მონახვა, რომელთაც შეუძლიათ როგორც კანონების დადგენა, ისე გასამართლება. მეორე, რადგან კანონები ხანგრძლივი მოფიქრების შედეგია, განაჩენი კი უცებ გამოაქვთ, ამიტომ მოსამართლეებისათვის ძნელია იმის კარგად დადგენა, თუ რაა სამართლიანი და რაა სასარგებლო.

მთავარი კი ისაა, რომ კანონმდებელი ეხება არა კერძო შემთხვევას, არამედ ზოგადს და ამავე დროს მომავალს, რიტორი[6] და მოსამართლე კი განსჯიან არსებულსა და კერძო შემთხვევას ხშირად სიძულვილის, სიყვარულის ან საკუთარი სარგებლობის მიხედვით. ამიტომ მათ არ შეუძლიათ დამაკმაყოფილებელი სახით განჭვრიტონ ჭეშმარიტება. პირიქით, აბნელებენ მას საკუთარი სიამოვნებისა და უსიამოვნების მიხედვით.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში, როგორცა ვთქვით, მოსამართლეს, რაც შეიძლება, ნაკლები უფლება უნდა დავუტოვოთ. რაც შეეხება მომხდარს ან არმომხდარს, მოსალოდნელს ან მოულოდნელს, არსებულს ან არარსებულს, ამის განხილვა მოსამართლეთ უნდა მივანდოთ, რადგან ამის განჭვრეტა კანონმდებელს არ შეუძლია. და თუ ეს ასეა, ცხადია, რომ ისინი, რომლებიც განსაზღვრავენ რაღაც სხვა საკითხებს, მაგალითად, როგორი უნდა იყოს სიტყვის შესავალი, შინაარსი და სხვა ნაწი-

ლები, განიხილავენ იმას, რაც საქმეს უშუალოდ არ ეხება და ამით სხვას არას აკეთებენ, იმის გარდა, რომ როგორღაც გავლენას ახდენენ მოსამართლეზე. დასაბუთების ხელოვნებაზე კი არას ამბობენ. ენთიმემატიკოსი კი მხოლოდ ამ გზით შეიძლება გახდეს კაცი.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც საჯარო, ისე სამოსამართლო სიტყვებში ერთი და იგივე მეთოდი გამოიყენება და მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სიტყვა უფრო მშვენიერიცაა და უფრო საყოველთაოც, ვიდრე სამოსამართლო, ისინი საჯარო სიტყვებზე არას ამბობენ, სამოსამართლო ხელოვნებაში კი ყველა რაღაცის გამოკვლევას ცდილობს. ეს იმიტომ, რომ საჯარო სიტყვებში ნაკლები სარგებლობა მოაქვს ლაპარაკს იმაზე, რაც საქმეს არ ეხება და მათ სამოსამართლო სიტყვებთან შედარებით ნაკლები ზიანიც მოაქვთ, რადგან უფრო ზოგადი ხასიათისა არიან. საჯაროდ გამოსული მსჯელობს მისთვის მაწლობელ საკითხებზე და მას სხვა არა ესაჭიროება რა, იმის დამტკიცების გარდა, რომ საქმე ისეა, როგორც მას მრჩეველი ეუბნება. სამოსამართლო სიტყვაში კი ეს არ კმარა, არამედ საჭიროა აგრეთვე, მსმენელის მიმხრობა, რადგან მსჯელობა ეხება მსმენელისათვის უცხო საკითხებს. ასე რომ, მოსამართლე, ზრუნავს რა თავის სარგებლობაზე, საქმის გარკვევას მომჩივან მხარეებს მიანდობს ხოლმე მსმენელთა სასიამოვნოდ. ამიტომ, როგორც ზემოთაც ვთქვი, ხშირად კანონი კრძალავს იმ საკითხებზე ლაპარაკს. რაც საქმეს არ ეხება. მოსამართლენიც საკმაოდ იცავენ ამ კანონს. 1355a

(რადგან ნათელია, რომ მჭევრმეტყველების ხელოვნების მეთოდი დარწმუნების მეთოდია, დარწმუნება კი რაღაც დასაბუთებაა. ამიტომაც ყველაზე მეტად გვწამს ის, რაც დასაბუთებულად მიგვაჩნია.) რიტორიკული დასაბუთება კი არის ენთიმემა. მარტივად რომ ვთქვათ, ის დარწმუნების ძირითადი ხერხია. ენთიმემა კი ერთგვარი სილოგიზმია. სილოგიზმს განიხილავს ან მთელი დიალექტიკა, ან მისი რომელიმე ნაწილი. აქედან ცხადია, რომ ვისაც იმის კარგად განხილვა შეუძლია, თუ საიდან ან როგორ მიიღება სილოგიზმი, იგი კარგი ენთიმემატიკოსიც იქნება, ეცოდინება რა ის, თუ რას ეხება ენთიმემა ან რით განსხვავდება იგი ლოგიკური სილოგიზმისაგან, რადგან

როგორც ჭეშმარიტების, ისე ჭეშმარიტებისდაგვარის განხილვას ერთი და იგივე უნარი სჭირდება. ამავე დროს ადამიანებს საკმარისი ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ ჭეშმარიტებისაკენ და უმეტეს შემთხვევაში პოულობენ კიდევაც მას. ამიტომ ჭეშმარიტებისმაგვარის პოვნის უნარი აქვს იმას, ვისაც ჭეშმარიტების პოვნის უნარი აქვს.

ცხადია, ხსენებული ხელოვნების სხვა მოძღვარნი, რომლებიც თემიდან უხვევენ, უფრო სამოსამართლო მჭევრმეტყველებისაკენ იხრებიან. მაგრამ რიტორიკა უფრო სასარგებლოა, რადგან მასში ბუნებრივი ჭეშმარიტება და სიმართლე ჭარბობს საწინააღმდეგოს. ასე რომ, თუ სათანადო გადაწყვეტილება არ იქნა გამოტანილი, ეს იმიტომ, რომ სიმართლე და ჭეშმარიტება მის საპირისპიროზე სუსტი აღმოჩნდა, რაც დასაგმობია. გარდა ამისა, უზუსტესი ცოდნაც რომ გაგვაჩნდეს, ადვილი არაა ზოგიერთის დარწმუნება ამაში, რადგან სიტყვები, რომელიც ცოდნას ეხება, ექვემდებარება შესწავლას, რიტორიკული სიტყვა კი არა. ამ შემთხვევაში აუცილებელია როგორც საბუთები, ისე სიტყვები ზოგადი იყოს, როგორც უკვე ვთქვი „ტოპიკებში“[7] საჯარო გამოსვლების შესახებ. გარდა ამისა, საჭიროა განვიხილოთ საწინააღმდეგო მოსაზრებებიც, ისევე როგორც სილოგიზმებში. მაგრამ არა იმ მიზნით, რომ ორივე ვირწმუნოთ (უსამართლობა არასოდეს არ უნდა გვწამდეს), არამედ იმიტომ, რომ ჩვენთვის მდგომარეობა არ იყოს გაურკვეველი და შეგვეძლოს იმის დაძლევა, ვინც მჭევრმეტყველების უნარს უმართებულოდ იყენებს.

არც ერთი სხვა ხელოვნება არ განიხილავს საწინააღმდეგო არგუმენტებს, დიალექტიკისა და რიტორიკის გარდა. რადგან ისინი ერთნაირად სწავლობენ წინააღმდეგობებს[8], მაგრამ საწინააღმდეგო შეხედულებებს არსი ერთნაირი არა აქვთ. რადგან ის, რაც ბუნებით ჭეშმარიტი და საუკეთესოა, უფრო ადვილად გამოიყვანება წანამძღვრებიდან და მარტივად რომ ვთქვათ, ადვილად დასაბუთებადიცაა.

ამას გარდა, შეუსაბამობაა, სამარცხვინოდ ჩავთვალოთ ის, რომ ფიზიკურად თავდაცვა არ შეგვიძლია, სიტყვით თავდა-
1355b ცვის უუნარობას კი არ ვთვლით სამარცხვინოდ[9]. მაშინ, როდესაც ადამიანებისათვის უფრო დამახასიათებელია მეტყველე-

ბა, ვიდრე სხეულებრივი მოთხოვნილებანი. დიდი ზიანი მოაქვს იმას, ვინც მჭევრმეტყველების უნარს უმართებულოდ იყენებს. ეს ერთნაირად ეხება ყველა სიკეთეს, სათნოების გარდა. ეხება თვით ყველაზე სასარგებლო სიკეთეს, როგორიცაა ფიზიკური ძალა, ჯანმრთელობა, სიმდიდრე, სამხედრო საქმე. ვინც მას სწორად გამოიყენებს, დიდ სარგებლობას ნახავს და პირიქით, ვნებას — მისი არასწორად გამოყენებისას.

ცხადია, რომ რიტორიკას არა აქვს შესასწავლი გარკვეული გვარის საგნები, ისევე როგორც დიალექტიკას, რომ რიტორიკა სასარგებლოა და რომ მისი საქმეა არა დარწმუნება, არამედ თითოეულ შემთხვევაში იმ საშუალებების ცოდნა, რომლითაც დარწმუნება შეიძლება. აქ ისეა საქმე, როგორც ყველა სხვა ხელოვნებაში. მაგალითად, საექიმო ხელოვნებას არ ევალება ჯანმრთელობის შექმნა. მან უნდა მიუთითოს იმ საშუალებებზე. რასაც ჯანმრთელობა მოსდევს. რადგან კარგად შეიძლება ვუმკურნალოთ იმასაც, რომლის განკურნება შეუძლებელია.

ამას გარდა, რიტორიკის საქმეა, როგორც ნამდვილი, ისე მოჩვენებითი დასაბუთების ცოდნა, ხოლო დიალექტიკისა — როგორც სილოგიზმის, ისე მოჩვენებითი სილოგიზმის ცოდნა. სოფისტს ამის უნარი კი არ გააჩნია, არამედ მხოლოდ მისწრაფება აქვეთკენ. გარდა ამისა, რიტორი მჭევრმეტყველია ცოდნის საფუძველზე, სოფისტი კი მისწრაფების საფუძველზე. ამრიგად, დიალექტიკოსი ემყარება არა მიდრეკილებას, არამედ უნარს[10].

ჩვენ ახლა შევეცდებით ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ და რა საშუალებით შეგვიძლია მივაღწიოთ დასახულ მიზანს, როგორც დასაწყისში, ისე აქაც, განვსაზღვრავთ რა იმას, თუ რას წარმოადგენს რიტორიკა, ამის შემდეგ განვიხილავთ სხვა საკითხებს.

2

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რიტორიკა უნდა იყოს ყოველი საგნის შესატყვისი დამაჯერებლობით განხილვის უნარი. ეს კი არც ერთი სხვა ხელოვნების საქმეა არაა, რადგან ყველა სხვა ხელოვნება არის გარკვეული საგნის ცოდნა და დასაბუთება, მა-

გალითად, მედიცინა — ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის, გეომეტრია — სიდიდეების შემთხვევითი თვისებებისა, არითმეტიკა — რიცხვებისა, ასევე სხვა მეცნიერებანი და ხელოვნებანი. რიტორიკა კი, როგორცა ვთქვით, ჩვენი ვარაუდით, ნებისმიერი საგნის დამაჯერებლად განხილვის უნარია. ამიტომაც ვამბობთ, რომ იგი არაა ერთი განსაზღვრული გვარის მოვლენათა ხელოვნება[1].

დასაბუთების საშუალებების ნაწილი ხელოვნურია, ნაწილი კი არა. არახელოვნურს მე იმას ვუწოდებ, რომელიც ჩვენგან კი არ არის დადგენილი, არამედ არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად, მაგალითად, მოწმეთა ჩვენებები, ბრალდებულთა წამებით მიღებული ცნობები, ხელშეკრულებები და სხვა ამდაგვარი. ხელოვნური საბუთები კი გარკვეული მეთოდის გამოყენებით და ჩვენი უნარით არის მოპოვებული. პირველი უნდა გამოვიყენოთ, მეორე კი — მოვიპოვოთ.

მეტყველებით მოპოვებული საბუთები სამი სახისაა: ერთი
1356a მოცემულია მოლაპარაკის ჩვევებში, მეორე — მსმენელის გარკვეულ განწყობაში, მესამე კი თვით სიტყვაში — ნამდვილი ან მოჩვენებითი მტკიცების მიზნით.

ზნეობრივი ხასიათის მტკიცება მაშინ გვაქვს, როცა სიტყვა ისეა წარმართული, რომ მოლაპარაკე ნდობას იმსახურებს, რადგან, საერთოდ, კარგ ადამიანებს უფრო მეტად და უფრო სწრაფად ვენდობით ყველაფერში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც არაა სიზუსტე და საკითხი მთლად სადავოა. მაგრამ ესეც სიტყვიდან უნდა გამომდინარეობდეს და არ უნდა იყოს მთქმელის თვისებებზე წინასწარ შედგენილი შეხედულების შედეგი. მაგრამ არა ისე, როგორც ხელოვნების ზოგიერთი მცოდნე იქცევა, რომელიც ყველაფერს მჭევრმეტყველის ოსტატობასა და განწყობაზე ამყარებს, ხოლო მის ზნეობას დასაბუთებისათვის არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს. პირიქით, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოლაპარაკის ზნეობას უდიდესი ზემოქმედებითი ძალა აქვს მსმენელებზე, რომელთაც სიტყვით აღტაცება შეუძლიათ[2]. ჩვენც ხომ ერთნაირად არ განვსჯით ხოლმე სიამოვნებისა და უსიამოვნების, სიყვარულისა და სიძულვილის გავლენის ქვეშ მყოფნი. როგორც უკვე ვთქვით, ხელოვნების ახლანდელი მოძღვარნი მხოლოდ ამ სა-

კითხების განხილვით არიან დაინტერესებულნი. თითოეული საკითხი კი მაშინ გახდება ნათელი, როდესაც ვნებებზე ვილაპარაკებთ[3]. სიტყვით კი მაშინ დავარწმუნებთ, როდესაც ვამტკიცებთ ან ჭეშმარიტებას, ან ჭეშმარიტების მაგვარს თითოეული საგნისათვის მიზანშეწონილი საშუალებებით.

რადგან დასაბუთება ამ საშუალებით ხდება, ცხადია, რომ ეს საშუალება უნდა იცოდეს იმან, ვისაც სილოგიზმის შედგენის უნარი აქვს და თვისებების, სათნოებისა და ვნებების შესახებ შემდეგ სამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლია: ა) რაში მდგომარეობს თითოეული ვნების არსი, ბ) საიდან და გ) როგორ წარმოიშობა ის? აქედან გამომდინარეობს, რომ რიტორიკა არის დიალექტიკისა და ეთიკის მეცნიერების ერთგვარი განშტოება[4] და მართებული იქნებოდა, თუ მას პოლიტიკას ვუწოდებდით. ამიტომაცაა, რომ რიტორიკა პოლიტიკის სახეს აც იღებს ხოლმე და მას ეტანებიან ან უცოდინარობის, ან სიამაყის, ან სხვა რომელიმე ადამიანური სისუსტის გამო. სინამდვილეში კი რიტორიკა არის დიალექტიკის რაღაც ნაწილი და მსგავსება, როგორც დასაწყისშივე ვთქვი. არც ერთი ამათგანი არაა რომელიმე გარკვეული სფეროს საგნების ცოდნა, არამედ-სიტყვათა თავისებური თხზვის უნარი. ამ უნართა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ თითქმის საკმარისი ვთქვი.

რაც შეეხება ნამდვილ ან მოჩვენებით მტკიცებას, როგორც 1356b
დიალექტიკაში, ის ან ინდუქციაა, ან სილოგიზმი, ან მოჩვენებითი სილოგიზმი, ასევეა აქაც. რადგან რიტორიკაში საბუთი დიალექტიკის ინდუქციას შეესაბამება, ამიტომ რიტორიკის ენთიმემა შეესაბამება დიალექტიკაში სილოგიზმს, მოჩვენებითი ენთიმემა კი — მოჩვენებით სილოგიზმს. მე ენთიმემას რიტორიკულ სილოგიზმს ვუწოდებ, საბუთს — რიტორიკულ დასკვნას. ყველა მიმართავს დასაბუთებას დარწმუნების მიზნით, რისთვისაც იყენებს ან მაგალითებს, ან ენთიმემებს. ამათ გარდა, სხვა საშუალება არ არსებობს. ამიტომ, თუ საერთოდ რაიმეს მტკიცება აუცილებელია ან სილოგიზმით, ან ინდუქციით, რაც ჩვენთვის ცნობილია „ანალიტიკებიდან"[5], ამიტომ საჭიროა, ყოველი ეს მეთოდი ემთხვეოდეს რიტორიკის თითოეულ ზემოხსენებულ მეთოდს[6].

თუ რა განსხვავებაა მაგალითებსა და ენთიმემებს შორის, ეს ცხადია „ტოპიკებიდან“[7], რადგან პირველად იქ გვქონდა მსჯელობა სილოგიზმისა და ინდუქციის შესახებ. როდესაც მტკიცდება, რომ ბევრსა და მსგავს მოვლენებში ეს ასეა, ამას დიალექტიკაში ინდუქცია[8] ეწოდება, რიტორიკაში კი — საბუთი. მაგრამ როდესაც არსებულ საგნებს, საერთოდ, ან უმეტეს შემთხვევაში მათგან დამოუკიდებელი რაღაც სხვა საგანი მოჰყვება, ამას დიალექტიკაში სილოგიზმი ეწოდება, რიტორიკაში კი — ენთიმემა.

ცხადია, რომ რიტორიკის თითოეულ ამ მეთოდს თავისი დადებითი მხარე აქვს, რადგან აქ ისეთივე მდგომარეობაა, რის შესახებაც უკვე ნათქვამი იყო „მეთოდიკებში“[9]. ზოგი სიტყვა ემყარება მაგალითებს, ზოგი კი ენთიმემებს. ასევე ზოგი ორატორი უფრო მაგალითებს იყენებს, ზოგი — ენთიმემებს. სიტყვები, სადაც მაგალითებია გამოყენებული, არანაკლებ დამაჯერებელია, მაგრამ ენთიმემების შემცველი სიტყვა უფრო მეტად მოსწონთ. ამის მიზეზების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული თითოეული მათგანი, ქვემოთ ვილაპარაკებთ[10]. ახლა კი უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ყოველი მათგანი.

სარწმუნო ნიშნავს სარწმუნოს ვინმესთვის. ერთი მხრივ, არსებობს ის, რაც სარწმუნოა და დამაჯერებელი თავისთავად. მეორე მხრივ კი ის, რაც, ვფიქრობთ, ამათი მეშვეობით უნდა დასაბუთდეს. მაგალითად, მედიცინა არ იკვლევს იმას, თუ რა სჭირდება სოკრატეს ან კალიასს ჯანმრთელობისათვის, არამედ იმას, რაც სჭირდება ამდაგვარი ადამიანის ან ამდაგვარ ადამიანთა ჯანმრთელობას (სწორედ ესაა ხელოვნების საქმეც, რადგან ცალკეული შემთხვევები განუსაზღვრელია და შესწავლას არ ექვემდებარება). არც რიტორიკა განიხილავს ისეთ შემთხვევებს, რაც სარწმუნოდ ეჩვენება რომელიმე ცალკე პირს, მაგალითად, სოკრატეს ან ჰიპიას, არამედ იმას, რაც სარწმუნოდ მიაჩნიათ ამგვარ ადამიანებს საერთოდ[11]. ასევეა დიალექტიკაშიც. არც აქ წარმოებს მსჯელობა შემთხვევით საგანზე (სულელები ხომ ყველაფერზე ლაპარაკობენ), არამედ იმაზე, რა-
1357a საც ლოგიკური დასაბუთება სჭირდება, რიტორიკაში კი იმაზე, რაც მოთათბირებას მოითხოვს.

რიტორიკა ისეთ მოვლენებს სწავლობს, რომელთა შესახებ ვთათბირობთ, მაგრამ რომელთა შესახებ არა გვაქვს გარკვეული კანონები. ორატორთა მსმენელნი კი ისინი არიან, რომელთაც არ შეუძლიათ მრავალი მოვლენის ერთდროულად განჭვრეტა და არც ვრცელი დასაბუთება. ჩვენ ვთათბირობთ ხოლმე ისეთ საგნებზე, რომლებიც შეიძლება საწინააღმდეგო მდგომარეობაშიც არსებობდნენ. იმ მოვლენებზე კი, რომლებიც არ შეიძლება სხვაგვარად არსებულიყვნენ, არსებობენ ან ეარსებათ, არაფერია სადავო, რადგან ეს უშედეგო იქნებოდა. თუ ისინი ასეთნი არიან, მსჯელობა და დასკვნა უნდა ვაწარმოოთ. როგორც იქიდან, საიდანაც ადრეც გამოგვიტანია დასკვნა, ასევე იქიდან, საიდანაც არ გამოგვიტანია, მაგრამ, რასაც სილოგიზმის სახე სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სარწმუნო არ იქნება მრავალსიტყვაობის გამო (მოსამართლეც ხომ უბრალო ადამიანია). მეორე კი დამაჯერებელი არ იქნება იმიტომ, რომ გამოყვანილია ისეთი წანამძღვრებიდან, რაც არაა დადგენილი და სანდო. ასე რომ, ენთიმემები და მაგალითები აუცილებლად უნდა ეხებოდეს ისეთ საგნებს, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, სხვაგვარადაც შეუძლიათ არსებობა. ამასთან ერთად, მაგალითები ასრულებენ ინდუქციის როლს, ენთიმემები კი—სილოგიზმისა. ისინი გამოჰყავთ მცირე რაოდენობის წანამძღვრებიდან, ხშირად უფრო ნაკლებიდან, ვიდრე ეს საჭიროა პირველ სილოგიზმში[12], რადგან თუ რომელიმე ამათგანი ცნობილია, იმაზე მსჯელობა აღარაა საჭირო. მაგალითად, მსჯელობაში „შეჯიბრებაში გამარჯვებულმა დორიევსემ[13] გვირგვინი მოიპოვა“ — საკმარისია იმის თქმა, რომ მან ოლიმპიურ თამაშობებში გაიმარჯვა, მაგრამ რომ მან გვირგვინი მიიღო, ამის დამატება აღარ არის საჭირო, რადგან ეს ყველამ იცის.

ძალიან ცოტაა აუცილებელი წანამძღვრები, საიდანაც რიტორიკული სილოგიზმი იწარმოება, რადგან საგანთა უმრავლესობა, რომელთა შესახებ მსჯელობა და კვლევა წარმოებს, სხვაგვარადაც შეიძლება არსებობდეს. ადამიანები თათბირობენ იმაზე, რასაც სჩადიან, მაგრამ ყოველი მათი მოქმედება ასეთია და ზოგადად რომ ვთქვათ, აუცილებელ ხასიათს არ ატარებს. დასკვნები იმის შესახებ, რაც უმეტეს შემთხვევაში ხდება და არსებობს, სხვა ასეთივე წანამძღვრებიდან უნდა

გამოვიყვანოთ, აუცილებელი კი — აუცილებელი წანამძღვრებიდან. ჩვენთვის ესეც „ანალიტიკებიდან“[14] არის ცნობილი. ცხადია ისიც, რომ მოვლენებიდან, რომელთა შესახებ ენთიმემები ითქმის, ნაწილი აუცილებელია, უმრავლესობა კი ისეთია, რაც ხშირად გვხვდება. ენთიმემები იწარმოება ისეთი საგნებიდან, რომელთაც საალბათო ხასიათი აქვთ და ნიშნებიდან. ამრიგად, აუცილებელია, რომ რიტორიკული სიტყვის თითოეული ელემენტი დიალექტიკური მსჯელობის ელემენტების შესაბამისი იყოს.

საალბათოა ის საგნები, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ხდება და არა ყოველთვის, როგორც ზოგიერთი ვარაუდობს.
1357b ე. ი. საალბათოა ის, რაც შეიძლება სხვაგვარადაც არსებობდეს. ეს საგნები ისეთსავე მიმართებაში არიან იმ საგნებთან, რომელნიც აგრეთვე საალბათონი არიან, როგორც ზოგადი კერძოსთან.

ხოლო ნიშანთაგან ზოგი ისეთსავე მიმართებაშია მეორესთან, როგორც ერთეული ზოგადთან, ზოგი კი, როგორც ზოგადი-კერძოსთან.

ამათგან იმას, რომელიც აუცილებელია, „ტეკმერიონი[15]“ ეწოდება, არააუცილებელს კი სახელი არა აქვს მისი განსხვავებული ხასიათის გამო.

აუცილებელს მე იმას ვუწოდებ, რომელთაგან სილოგიზმი მიიღება. მაშასადამე, საბუთი ასეთი ნიშანია. როდესაც ჰგონიათ, რომ მსჯელობის დარღვევა არ შეიძლება, მაშინ ვარაუდობენ, რომ მათ მოიტანეს საბუთი, როგორც დამტკიცებული და განსაზღვრული რამე, რადგან ძველ ენაზე საბუთი და საზღვარი ერთი და იგივეა.

ზოგი ნიშანი მდგომარეობს კერძოს მიმართებაში ზოგადთან. მაგალითად, ვინმეს რომ ეთქვა: საბუთი იმისა, რომ ბრძენნი სამართლიანნი არიან, არის სოკრატე, რომელიც ბრძენიც იყო და სამართლიანიც. ეს სწორედ ისეთი საბუთია, რომლის უარყოფა შეიძლება, თუნდაც მსჯელობა ჭეშმარიტი იყოს, რადგან იგი არ დაიყვანება სილოგიზმზე. მაგრამ როდესაც ამბობენ, ნიშანი ადამიანის ავადმყოფობისა არის ის, რომ გახურებულია, ანდა ქალმა შობა, რადგან რძე აქვს, ეს ნიშნები აუცილებელნი არიან. ამრიგად, ნიშნისაგან მხოლოდ მაშინ მი-

ვიღებთ საბუთს, თუ ის ჭეშმარიტია, რადგან მისი უარყოფა არ შეიძლება. მაგალითი ზოგადის მიმართებისა კერძოსთან: თუ ვინმე ამბობს, რომ ნიშანი იმისა, რომ ის ციებ-ცხელებითაა ავად, არის ხშირი სუნთქვა. ამ მსჯელობის დარღვევა შეიძლება, თუნდაც ის ჭეშმარიტი იყოს, რადგან ხშირად სუნთქავს ისიც, ვინც ავად არ არის.

ამრიგად, იმის შესახებ, თუ რაა საალბათო, რაა ნიშანი, რაა აუცილებელი ნიშანი, და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან, ახლახან ვილაპარაკეთ. როგორც ამის შესახებ, ისე იმაზე თუ ზოგან რატომ მიიღება სილოგიზმი, ზოგან კი არა, უფრო ნათლად „ანალიტიკებში“ გვქონდა მსჯელობა[16].

უკვე ითქვა იმაზე, რომ მაგალითი არის ინდუქციური დასკვნა და იმაზეც, თუ რას ეხება ის. იგი არ ეხება იმას, რაც მეორესთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც ნაწილი მთელთან, ან როგორც მთელი ნაწილთან, ან როგორც მთელი მთელთან, არამედ იმას, რაც მეორესთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც ნაწილი ნაწილთან და მსგავსი მსგავსთან. ესეც იმ შემთხვევაში, თუ ორივე ერთსა და იმავე გვარს განეკუთვნება და ამათგან ერთი უფრო ცნობილია, ვიდრე მეორე. მაგალითისთვის მოვიტანოთ შემდეგი შემთხვევა: დიონისიოსს ტირანად გახდომა სურს, რადგან მოითხოვს პირად დაცვას. უფრო ადრე პისისტრატემაც მოითხოვა დაცვა და მიიღო რა ის, გახდა კიდეც ტირანი. ასევე თეაგენე მეგარელი და სხვები, რომლებსაც მსმენელები იცნობენ[17]. ყველა ეს გამოდგება მაგალითად დიონისიოსისათვის, რომლის შესახებ არ იციან, თუ რატომ მოითხოვს დაცვას. ყველა ეს შემთხვევა შეიძლება განზოგადებულ იქნეს, რომ ვისაც ტირანად გახდომა სურს, პირად დაცვას ითხოვს.

1358a

ამრიგად, უკვე ითქვა იმის შესახებ, თუ რას ეწოდება მოჩვენებით პოდიქტიკური საბუთები. ენთიმემებს შორის არსებობს უდიდესი სხვაობა, რომელთა უმრავლესობა არავის შეუმჩნევია. დაახლოებით იგივე უნდა ითქვას სილოგიზმების წარმოების დიალექტიკური მეთოდის შესახებაც. ამათგან ნაწილი რიტორიკულადაა მიღებული, ნაწილი კი დიალექტიკური სილოგიზმის მეთოდით, ზოგი სხვა ხელოვნებისა და საშუალებების გზით. ზოგი უკვე არსებობს. ზოგი კი დადგენილი არაა. ამიტომაც ისინი გაუგებარნი არიან და როდესაც ორატორები

იყენებენ მათ, ხშირად გადაუხვევენ ხოლმე მათგან. ნათქვამი ნათელი გახდება მაშინ, თუ უფრო ვრცლად ვიმსჯელებთ.

მე ვამბობ, რომ დიალექტიკური და რიტორიკულის სილოგიზმებია იქ, სადაც გამოყენებულია ტოპები[18]. ისინი საერთოა სამართლებრივი, ბუნებრივი, პოლიტიკური და მრავალი სხვა სფეროსთვის. მაგალითად, ტოპი „მეტი" და „ნაკლები" ერთნაირად გამოიყენება როგორც სილოგიზმის, ისე ენთიმემის შესადგენად, იქნება ეს სამართლებრივი, ბუნებრივი, თუ სხვა რომელიმე სფერო. თუმცა ეს სფეროები სხვადასხვა სახისა არის. კერძოობითია ის ტოპები, რომლებიც სხვადასხვა სახისა და გვარის წანამძღვრებიდანაა მიღებული. მაგალითად. ფიზიკურ საგნებს ისეთი წანამძღვრები აქვთ, საიდანაც ეთიკური სფეროსათვის არც ენთიმემებისა და არც სილოგიზმის შედგენა არ შეიძლება. ეთიკურ სფეროს კი სხვა წანამძღვრები აქვს, საიდანაც არ მიიღება დასკვნები ფიზიკური მოვლენებისათვის. ასეა ყველა სხვა შემთხვევაში. პირველი სახის ტოპები არ იძლევა ცოდნას არც ერთი სფეროს შესახებ, რადგან ის არ ეხება რომელიმე კონკრეტულ სფეროს. მეორე სახის წანამძღვრებიდან, თუ მათ ორატორი კარგად გამოიყენებს, მიიღებს სრულიად შეუმჩნევლად დიალექტიკისა და რიტორიკისაგან განსხვავებულ ცოდნას. მაგრამ თუ ორატორი საწყისებს წაიწყდა. ეს არ იქნება დიალექტიკური ან რიტორიკული საწყისები, არამედ ისეთი, საიდანაც რაღაც სხვა ცოდნას ვიღებთ. განხილული ენთიმემების უმრავლესობა კი გამომდინარეობს ერთეული და კერძოობითი ხასიათის წანამძღვრებიდან, იშვიათად ზოგადიდან.

როგორც „ტოპიკებში", ისე აქაც უნდა განვასხვავოთ ენთიმემების სახეები და ტოპები, საიდანაც დასკვნებს ვიღებთ. ტოპის კერძო სახეში ვგულისხმობ იმას, რაც გამოიყენება წანამძღვრად რომელიმე ცალკე გვარისათვის, ზოგად ტოპებში კი იმათ, რაც ყველა გვარისათვის საერთოა. თავდაპირველად ვთქვათ ტოპების სახეების შესახებ.

დავიწყოთ რიტორიკული ტოპების სახეებით და როცა დავადგენთ თუ რამდენია ის, ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული მათგანის ელემენტები და წანამძღვრები.

არსებობს რიტორიკული სიტყვის სამი სახე, რადგან ამდენივეა მსმენელთა სახეებიც. სიტყვა შედგება სამი ნაწილისაგან: მოლაპარაკე, ის, რის შესახებაც ლაპარაკობს და ვისდამიც
არის სიტყვა მიმართული. სწორედ ეს უკანასკნელი, ე. ი. მსმე- 1358b
ნელი არის სიტყვის მიზანი. მსმენელი კი აუცილებლად ან მაყურებელია, ან მოსამართლე, რომელიც განსჯის წარსულ ან მყობად მოვლენებს. მომავალს განსჯის სახალხო ყრილობის წევრი, მომხდარს — მოსამართლე, ხოლო მათ უნარს — მაყურებელი. ასე რომ, აუცილებელია არსებობდეს რიტორიკული სიტყვის სამი სახე: სათათბირო, სამართლებრივი და ეპიდიქტიკური.

სათათბირო სიტყვებში, იქნება ის კერძო პირისადმი მიმართული, თუ საზოგადო მნიშვნელობისა, მოცემულია რაიმესაკენ მოწოდება, ან აკრძალვა. სამოსამართლო სიტყვა ან საბრალმდებლოა, ან თავდაცვითი. მომჩივანი მხარეებიც ან თავს იცავენ, ან ბრალს სდებენ. ეპიდიქტიკური სიტყვა შეიცავს ან ქებას, ან ძაგებას.

სიტყვის თითოეული სახე მოითხოვს გარკვეულ დროს, სათათბირო სიტყვა — მყობადს, რადგან ვინც ურჩევს ან უკრძალავს, მომავალს გულისხმობს. სამოსამართლო სიტყვა ეხება წარსულს, რადგან როგორც ის, ვინც ბრალს სდებს, ისე ის, ვინც თავს იცავს, მომხდარს გულისხმობს. ეპიდიქტიკური სიტყვა კი აწმყოს ეხება, რადგან ყველა აქებს ან აძაგებს აწმყოში არსებულ საგნებს, რისთვისაც ხშირად იგონებენ წარსულსა და წინასწარმეტყველებენ მომავალს.

სიტყვის თითოეულ ამ სახეს განსხვავებული მიზანი აქვს[1]. სიტყვის სამ სახეს სამი მიზანი შეესაბამება. სათათბირო სიტყვის მიზანია ან სიკეთე ან ზიანი, რადგან სიტყვა, რომელიც აქებს, მიმართულია უკეთესისკენ, რომელიც კრძალავს — კრძალავს უარესს; ყოველივე დანარჩენს კი, სამართლიანობასა და უსამართლობას, მშვენიერებასა და სიმახინჯეს ამ მიზნით იყენებს. სამოსამართლო სიტყვის მიზანია მართალისა და მტყუანის გარჩევა; ყველა დანარჩენ მოსაზრებას კი ამისთვის იყენებს. ის, ვინც აქებს ან აძაგებს, ეხება მშვენიერსა და მახინჯს. ყველა სხვა მოსაზრებას კი ამისთვის იყენებს.

საბუთი იმისა, რომ ზემოთქმული თითოეული ამ სიტყვის მიზანს შეადგენს, არის ის, რომ დანარჩენ საკითხებზე ზოგჯერ დავა არც წარმოებს. მაგალითად, მომჩივანი არ იკამათებს იმაზე, რაც არ მომხდარა და რასაც ზიანი არ მოუტანია. მაგრამ მან რომ უსამართლობა ჩაიდინა, ამაზე არ დაეთანხმება, რადგან მაშინ სასამართლოც არ იქნებოდა საჭირო. ასევე მრჩეველიც ყველა სხვა საკითხს ხშირად გვერდს უვლის, მაგრამ იმაზე კი არ დათანხმდება, რომ ის უსარგებლოს ურჩევს, სასარგებლოს კი უკრძალავს. თუმცა იმაზე ხშირად არ ზრუნავს, რომ მეზობლის ან იმის დამონება, ვისაც უსამართლობა არასოდეს ჩაუდენია, სამართლიანი არაა. ასევე ადამიანებიც, რომ-
1359 a ლებიც აქებენ ან აძაგებენ, არ იკვლევენ, სასარგებლო თუ საზიანო საქმე ჩაიდინა ამ კაცმა, არამედ ხშირად საქებრად თვლიან, რომ ადამიანმა საკუთარი სარგებლობა უარყო, რათა სასახელო საქმე ჩაედინა. მაგალითად, აქილევსს აქებენ იმიტომ, რომ დაეხმარა მეგობარ პატროკლეს, თუმცა იცოდა, რომ სიკვდილი არ ასცდებოდა მაშინ, როცა შეეძლო ცოცხალი დარჩენილიყო[2]. მისთვის სიკვდილი მშვენიერი იყო, სიცოცხლე კი სასარგებლო.

აქედან ცხადია, რომ ასეთ მოვლენებზე მსჯელობის დროს საჭიროა წანამძღვრები[3], რადგან მოწმეთა ჩვენებები, ვარაუდი და ნიშნები რიტორიკული წანამძღვრებია. საერთოდ, სილოგიზმი წანამძღვრებს ემყარება, ხოლო ენთიმემა ზემოხსენებული წანამძღვრებიდან შემდგარი სილოგიზმია. რადგან შეუძლებელი არ მომხდარა და არც მოხდება, არამედ მხოლოდ შესაძლებელი ხდება, ამიტომ შეუძლებელი არ არსებულა და არც იარსებებს, არ მომხდარა და არც მოხდება. ამიტომ აუცილებელია, რომ როგორც იმ ორატორს, რომელიც ურჩევს, ასევე იმას, რომელიც სასამართლოში გამოდის და ამტკიცებს, ჰქონდეთ წანამძღვარი შესაძლებელსა და შეუძლებელზე, მომხდარსა და არმომხდარზე, მოსალოდნელსა და მოულოდნელზე.

ამას გარდა, რადგან ყველამ, როგორც იმან, ვინც აქებს, ისე იმან, ვინც აძაგებს, აქეზებს ან უკრძალავს, ბრალს სდებს, თუ თავს იმართლებს, უნდა სცადოს არა მხოლოდ ზემოთქმულის დამტკიცება, არამედ იმისაც, დიდია თუ პატარა, კეთილი თუ ბოროტი, მშვენიერი თუ მახინჯი, სამართლიანი თუ უსამართლო საგანი თავისთავად, ან სხვასთან მიმართებაში. ცხადია

ისიც, რომ მათ უნდა ჰქონდეთ წანამძღვარი აგრეთვე სიდიდისა და სიმცირის, უფრო დიდისა და უფრო მცირეს შესახებ, როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად. მაგალითად, თუ რა არის დიდი ან მცირე სიკეთე, უსამართლობა და სამართლიანობა, ასევე ყოველივე დანარჩენის შესახებ.

ამრიგად, ვთქვით იმაზე, თუ რა შემთხვევაში უნდა გამოიყენოს ორატორმა წანამძღვრები. ამის შემდეგ უნდა დავადგინოთ თითოეული მათგანის თავისებურება, მაგალითად, თუ რას ეხება სათათბირო, ეპიდიქტიკური თუ სამოსამართლო სიტყვა.

4

პირველ ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, თუ რა სიკეთესა და ბოროტებას გვირჩევს ორატორი[1], რადგან მან უნდა გვირჩიოს არა ყველა საგნის შესახებ, არამედ იმ საგნების შესახებ, რომლებიც შეიძლება წარმოიშვნენ და არც წარმოიშვნენ. ხოლო იმ საგნების შესახებ, რომელნიც აუცილებლად არსებობენ ან იარსებებენ, ან რომელთა წარმოშობა ან არსებობა შეუძლებელია, ან ყოველივე იმის შესახებ, რაც შესაძლებელის სფეროს განეკუთვნება, რჩევა რა საჭიროა. რადგან არსებობს ზოგი ისეთი ბუნებრივი და შემთხვევითი შესაძლებელი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს და არც განხორციელდეს, მათ შესახებ რჩევას არასოდეს არ ექნება აზრი. ცხადია, რომ საგნები, რომელთა შესახებ შეიძლება რჩევა-დარიგების მიცემა, ის საგნებია, რაც ჩვენზე დაიყვანება და რომელთა წარმოშობის მიზეზები ჩვენშივეა. რადგან კვლევა-ძიებას მანამდე ვაწარმოებთ, სანამ არ დავადგენთ, შეგვიძლია, თუ არა მათი წარმოება.

იმ მოვლენების ზუსტად აღრიცხვა და სახეების დადგენა, 1359b
რომელთა შესახებ კამათს ვაპირებთ, აგრეთვე იმის დადგენა, თუ რამდენი ჭეშმარიტი განსაზღვრების მიღება შეიძლება, არაა საჭირო რიტორიკული მეთოდებით, რადგან ეს არაა რიტორიკული ხელოვნების საქმე, არამედ უფრო გონივრული და ჭეშმარიტი მეცნიერებისა[2]. რიტორიკას ისედაც გაცილებით მეტი პრობლემა აქვს მინდობილი განსახილველად, ვიდრე ეს მის გამგებლობაში შედის.

სწორია ის, რაც დასაწყისშივე შევნიშნეთ, რომ რიტორიკა შეიცავს ანალიტიკურ ცოდნასაც და პოლიტიკურსაც, რომელიც ზნეობასთანაა დაკავშირებული. ის, ერთის მხრივ, დიალექტიკურ მსჯელობას გავს, მეორეს მხრივ კი — სოფისტიკურს. ხოლო ის, ვინც შეეცდება დიალექტიკა და რიტორიკა წარმოადგინოს არა როგორც რაღაც უნარი, არამედ როგორც მეცნიერება, ის ვერც მის ბუნებას ნათელყოფს და თავისდა შეუმჩნევლად აურევს იმ მეცნიერებებში, რომელთა შესწავლის საგანია არა მხოლოდ სიტყვები, არამედ რაღაც საგნები.

იმის შესახებ, რაც ამ საკითხებისა და პოლიტიკური მეცნიერების განსახილველად არის საჭირო, ახლა გვექნება ლაპარაკი.

საგნები, რომელთა შესახებ ყველა თათბირობს და რასაც ორატორები საჯაროდ გვირჩევენ, ძირითადად, ხუთია. ესენია სახელმწიფოს შემოსავალი, ომი და ზავი, სახელმწიფოს დაცვა, საქონლის შემოტანა და გატანა და კანონმდებლობა.

ვისაც რჩევის მიცემა სურს სახელმწიფოს შემოსავლის შესახებ, მან უნდა იცოდეს შემოსავლის სახეები და რაოდენობა. თუ რომელიმე სახე დავიწყებულია, უნდა დაუმატოს, თუ სადმე შემცირდა, გაზარდოს, ასევე სახელმწიფოს მთელი გასავლის შესახებ, თუ ზედმეტია, მოაკლოს, თუ ძალიან დიდია, შეამციროს, რადგან სახელმწიფო მდიდრდება არა მხოლოდ ქონების მომატებით, არამედ მომჭირნეობითაც. ამის კარგად შესწავლა შეიძლება არა მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით, არამედ იმითაც, რაც სხვების მიერ არის მიგნებული.

ორატორმა, რომელიც ეხება ომისა და ზავის საკითხებს, უნდა იცოდეს სახელმწიფოს ძლიერება, ე. ი. თუ რის უნარი აქვს ახლა და როგორ შეიძლება ის გაიზარდოს მომავალში, რომელ ომებში და როგორ მონაწილეობდა სახელმწიფო. ყოველივე ამის ცოდნა საჭიროა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მეზობელი სახელმწიფოების შესახებაც. საჭიროა იმის გათვალისწინებაც, თუ ვისთანაა მოსალოდნელი ომი, რათა უფრო
136C ძლიერ მეზობლებთან შეეკრათ ზავი, ხოლო უფრო სუსტებთან ომის წარმოება ჩვენს სურვილზე იყოს დამოკიდებული.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ როგორია მოწინააღმდეგის საბრძოლო ძალები, მსგავსი, თუ განსხვავებული. რადგან ამაზეა დამოკიდებული მოგებაცა და წაგებაც. ყოველივე

ამის განხილვა საჭიროა არა მხოლოდ ჩვენი საკუთარი, არამედ სხვათა ომების მიმდინარეობის გასათვალისწინებლად, რადგან ბუნებრივია, რომ მსგავსი მოვლენები მსგავს შედეგებს წარმოშობენ.

რაც შეეხება სახელმწიფოს დაცვას, არ უნდა დარჩეს გაურკვეველი, თუ როგორია ის. საჭიროა მცველთა, მათი სათვალთვალო პუნქტების რაოდენობის, ფორმებისა და განლაგების ცოდნა (ეს კი შეუძლებელია ქვეყნის ადგილმდებარეობის ცოდნის გარეშე), რადგან თუ დაცვა სუსტია, გავაძლიეროთ, ხოლო თუ ზედმეტია, მოვხსნათ, რათა უკეთ დავიცვათ უფრო მნიშვნელოვანი ადგილები.

რაც შეეხება სურსათს, უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენი და რა სახის სურსათია საკმარისი სახელმწიფოსათვის, რომელია მის მიერ წარმოებული და რომელი შემოტანილი. რომელი სახელმწიფო უნდა ავირჩიოთ საქონლის შემოსატანად და რომელი გასატანად, რათა მათთან მოლაპარაკება ვაწარმოოთ და ხელშეკრულება დავდოთ. ამიტომ მოქალაქენი უნდა გავაფრთხილოთ, რომ ჩვენზე ძლიერ და სავაჭრო საქმიანობაში გამოსადეგ სახელმწიფოს არ დაუპირისპირდნენ.

ყოველივე ამის ცოდნა სჭირდება ორატორს სახელმწიფოს უშიშროებისათვის, მაგრამ არანაკლებ სჭირდება მას კანონმდებლობის ცოდნა, რადგან კანონმდებლობაზე არის დამოკიდებული სახელმწიფოს კეთილდღეობა.

ასე რომ, აუცილებელია იმის ცოდნაც, თუ სახელმწიფოების რამდენი სახე არსებობს, რა არის მათთვის სასარგებლო და დამღუპველი მიზეზები. იქნება ეს მისთვის დამახასიათებელი, თუ საწინააღმდეგო. სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ მიზეზებში მე ვგულისხმობ იმას, რაც ღუპავს როგორც თავისუფალ, ისე დესპოტურ სახელმწიფოს, საუკეთესო სახელმწიფოს გარდა. მაგალითად, დემოკრატია სუსტდება და ბოლოს ოლიგარქიად იქცევა არა მხოლოდ თავისუფლებით, არამედ დიდი სიმკაცრითაც, როგორც კეხიანობისა და პაჭუაობის შემცირება ან გაზრდა არა მარტო ქმნის ზომიერ ცხვირს, არამედ თითქოს ჩქმალავს კიდეც მას.

კანონმდებლობას შველის არა მხოლოდ იმის ცოდნა, რაც სასარგებლო იყო წარსულში, არამედ თანამედროვე სახელმწიფოზე დაკვირვებით მიღებული ცოდნა იმის შესახებ, თუ საც

როგორი მმართველობის სახეა შესაფერი. აქედან ცხადია, რომ კანონმდებლისათვის საჭიროა მოგზაურობაც, რადგან მოსახლეობისათვის კანონები შეიძლება სხვა სახელმწიფოებიდანაც გადმოვიღოთ, ხოლო პოლიტიკური საქმიანობისათვის საჭიროა იმ ისტორიების შესწავლა, რაც პოლიტიკურ პრაქტიკას ეხება. მაგრამ ყოველივე ეს არის არა რიტორიკის, არამედ პოლიტიკის საქმე.

1360b აი, ძირითადი პირობები, რაც უნდა გაითვალისწინოს ორატორმა, რომელსაც რჩევა-დარიგების მიცემა სურს. ხოლო იმ საშუალებების შესახებ, რომელთა მიხედვით შეიძლება როგორც ამ, ისე სხვა საკითხებზე რჩევა და აკრძალვა, ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ნ

შეიძლება ითქვას, რომ როგორც ცალკეულ ადამიანს, ისე ყველას ერთად აქვს რაღაც მიზანი, რომლის მიღწევისათვის არჩევენ ან იწუნებენ საგნებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მიზანი არის ბედნიერება და მისი ნაწილები. მაგალითისათვის გასვესაზღვროთ მარტივად, თუ რა არის ბედნიერება და რისგან შედგება მისი ნაწილები. რადგან ყველა რჩევა და აკრძალვა ეხება ან ამას, ან იმას, რაც მიმართულია მისკენ, ანდა მის საპირისპირო მოვლენებს, ამიტომ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ხელს უწყობს ბედნიერებას, ან მის რომელიმე ნაწილს, ან იმას, რაც მცირეს სანაცვლოდ მეტ ბედნიერებას მოგვიტანს. ხოლო ის, რაც ბედნიერებას სპობს, ან ხელს უშლის, ან მის საწინააღმდეგო შედეგს იწვევს, არ უნდა გავაკეთოთ.

ბედნიერება არის სათნოებით გამოწვეული კეთილდღეობა: ან დამოუკიდებლად ცხოვრება, ან მშვიდ სიამოვნებასთან დაკავშირებული ცხოვრება, ან ქონებისა და მონების სიმრავლე, მათი დაცვისა და გამოყენების უნართან ერთად[3]. ყველა დამეთანხმება, რომ ბედნიერება დაახლოებით ერთ-ერთი ამათგანია ან მათი უმრავლესობა.

თუ ბედნიერება ესაა, მაშინ მისი ნაწილები აუცილებლად იქნება: კეთილშობილება, მრავალი მეგობარი, სიმდიდრე, კარგი და მრავალრიცხოვანი შვილები, კარგი მოხუცებულობა, ფიზიკური უპირატესობანი, როგორიცაა ჯანმრთელობა, სილამაზე, ფიზიკური ძალა, სიმაღლე, ბრძოლისუნარიანობა, კარგი

სახელი, პატივი, წარმატება, სათნოება. კაცი მაშინ იქნება უაღრესად კმაყოფილი, თუ მას ექნება როგორც პირადი, ისე მისგან დამოუკიდებელი სათნოებანი, რადგან ამას გარდა სხვა სიკეთე არ არსებობს. პირადი სათნოებებია სულიერი და სხეულებრივი უპირატესობანი: პიროვნებისაგან დამოუკიდებელი სათნოებებია: კეთილშობილება, მეგობრობა, ქონება და პატივი. მე ვფიქრობ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ამას დავუმატებდით უნარსა და კარგ ბედს, რადგან ამ შემთხვევაში ცხოვრება უაღრესად უშიშარი იქნებოდა. ახლა ასევე განვსაზღვროთ, თუ რას წარმოადგენს თითოეული ამათგანი.

ხალხისა და სახელმწიფოს კეთილშობილება ნიშნავს ან ავტოქთონურობას, ან ძველისძველ წარმოშობას, წინამორბედებში ბევრი ცნობილი ბელადის ყოლას, რომელთაც დაიმსახურეს პატივისცემა მეგობართა შორის. პირადი კეთილშობილება შეიძლება გამოჰყვეს როგორც დედის, ისე მამის და ან, მით უმეტეს, ორივეს მხრივ. ასევე სახელმწიფოში ადამიანები, პირველ ყოვლისა, ცნობილი არიან ან სათნოებით, ან სიმდიდრით, ან სხვა რომელიმე თვისებით, რასაც პატივს სცემენ. ცნობილი არიან ისინიც, რომელთაც გვარში ბევრი ჰყავდათ გამოჩენილი ადამიანები, კაცები და ქალები, ახალგაზრდები და მოხუცები.

ძნელი გასაგები არაა, თუ რას ნიშნავს ბევრი და კარგი
შთამომავლობა. საზოგადოებისათვის ეს ნიშნავს კარგი ახალ- 1361a
გაზრდობის ყოლას. კარგი — სხეულებრივი უპირატესობის თვალსაზრისით — ნიშნავს სიმაღლეს, მშვენიერებას, ძალას, ბრძოლისუნარიანობას. სულიერი უპირატესობანია: თავდაჭერილობა და სიმამაცე.

ცალკე პირისათვის კარგი და მრავალი მემკვიდრეობა ნიშნავს, რომ ჰყავდეს ბევრი საკუთარი შვილი, როგორც ქალიშვილები, ისე ვაჟიშვილები. ქალთა სხეულებრივი უპირატესობანია: სილამაზე და სიმაღლე. სულიერი უპირატესობანია: თავდაჭერილობა და შრომისმოყვარეობა, სიხარბის გარეშე. როგორც ცალკეული ადამიანები, ისე მთელი საზოგადოება უნდა ისწრაფოდეს, რომ ეს თვისებები ახასიათებდეს როგორც კაცებს, ისე ქალებს, რადგან ის სახელმწიფოები, სადაც ქალები ისე ცუდნი არიან, როგორც ლაკედემონში, ნახევრად უბედურნი არიან[4].

სიმდიდრის სახეებია: ფულის, მიწის, ადგილის, უძრავი ქონების ფლობა. გარდა ამისა, მოძრავი ქონება: საქონლისა და მონების სიმრავლე, სიდიდითა და სილამაზით გამორჩეულობა, ოღონდ თუ ყოველივე ეს არის მყარი, თავისუფალი ადამიანისათვის შესაფერი და სასარგებლო. ყველაზე მეტად სასარგებლოა დიდი სიუხვე. თავისუფლებისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი არის სიამოვნება. სიუხვეში მე ვგულისხმობ იმას, რაც მოგებას იძლევა, სასიამოვნოში იმას, საიდანაც არ ვიღებთ რაიმე ისეთ სარგებლობას, რომ მისი ხსენება ღირდეს[5]. უშიშრად ვფლობთ ქონებას იქ და ისე, რომ მთლიანად ჩვენზე არის დამოკიდებული მისი გამოყენება, გასხვისება ან არგასხვისება. გასხვისებაში მე ვგულისხმობ ჩუქებას ან გაყიდვას. საერთოდ კი, სიმდიდრე უფრო მეტად გამოყენებაში მდგომარეობს, ვიდრე ფლობაში, რადგან სიმდიდრე მოქმედებასა და გამოყენებას მოითხოვს.

კარგი სახელი ნიშნავს იმას, რომ ყველა პატიოსან კაცად გთვლიდეს, ან ისეთი რამის ქონებას, რისკენაც ყველა მიისწრაფვის, ან მიისწრაფვის უმრავლესობა, ან კეთილი და გონიერი ადამიანები.

პატივისცემა ნიშნავს იმას, რომ ვისაც პატივს სცემენ, ცნობილია ქველმოქმედად. უმეტეს შემთხვევაში ასეთ ადამიანებს რომ სცემენ პატივს, ეს სამართლიანია. მაგრამ პატივს სცემენ იმათაც, რომლებსაც ამის უნარი აქვთ. ქველმოქმედება ნიშნავს ან კეთილი საქმეების ჩადენას, ან მათი გამომწვევი მიზეზების წარმოქმნას, გამიზნულს ან სიმდიდრისაკენ, ან სხვა რაიმე ამდაგვარი სიკეთისაკენ, რომლის მოპოვება ან საერთოდ, ან მაშინ ანდა იქ ადვილი არაა. ზოგნი პატივისცემას აღწევენ მცირე დამსახურებითაც, მაგრამ ამის მიზეზია დრო და ადგილი. მსხვერპლშეწირვა, ლექსად და პროზად ხოტბის შესხმა, დასაჩუქრება, საპატიო ადგილების დათმობა, პატივისცემით დამარხვა, მიწის ნაკვეთებით დასაჩუქრება, სურათები, სახელმწიფოს ხარჯზე კვება — ყოველივე ეს პატივისცემას გამოხატავს. რადგან საჩუქარი ნიშნავს ქონების გადაცემასაც და პატივისცემასაც, ამიტომ ეტანებიან მას ქონებისა და პატივის მოყვარენი, საჩუქარი ხომ შეიცავს ორივე იმ თვისებას, რაც
1361b მათ აინტერესებთ. საჩუქარი ქონებაა, რისკენაც ისწრაფვიან

სიმდიდრისმოყვარენი და პატივი კი ის, რისკენაც პატივმოყვარენი მიისწრაფვიან.

სხეულებრივი უპირატესობაა ჯანმრთელობა, რაც სხეულის ისეთ ფლობას ნიშნავს, რომ ავადმყოფობისაგან თავისუფალი იყო. ბევრნი კი ჯანმრთელნი არიან, მაგრამ მათ არავინ არ თვლის ბედნიერად, როგორც ჰეროდიკეც ამბობს[7], რადგან თავს იკავებენ ყველა ან უმეტესი ადამიანური სიამოვნებისაგან.

ყოველ ასაკს თავისი სილამაზე აქვს. ახალგაზრდობისათვის ესაა გამძლე სხეული, რომელიც სიძნელეების ამტანია როგორც სირბილში, ისე ბრძოლაში. მოძრაობის დროს მისი ჭვრეტა სასიამოვნოა. ამიტომაც პენტათლები[8] ყველაზე მშვენიერნი არიან. ისინი ერთნაირად მოქნილი არიან ძალოსნობასა და სისწრაფეში.

მოწიფულობის ასაკში კარგია, თუ ადამიანს ბრძოლაში სიძნელეების გადატანის უნარი აქვს და აქვს სასიამოვნო ვაჟკაცური გარეგნობაც.

მოხუცის მშვენიერება მდგომარეობს აუცილებელი შრომისათვის საჭირო უნარის შენარჩუნებასა და სიმშვიდეში, რასაც შეიძლება მივაღწიოთ მაშინ, თუ თავიდან ავიცილებთ იმას, რაც მოხუცებულობას სატანჯველად აქცევს.

ძალა მდგომარეობს საკუთარი სურვილით სხვა რომელიმე საგნის ამოძრავების უნარში. ამოძრავება კი ხდება ან გაწევით, ან ბიძგით, ან აწევით, ან ზემოდან დაწოლით, ან შეკუმშვით. ასე რომ, ფიზიკური ძალა ან ყოველივე ამის უნარია, ან რომელიმე ამათგანისა.

სიდიდით უპირატესობა ნიშნავს სჯობდე სხვას სიმაღლით, ან სიმძლავრით, ან სისქით, თუ ეს სიჭარბე არ ანელებს ადამიანის მოძრაობას.

სხეულის ბრძოლისუნარიანობა დამოკიდებულია სიდიდეზე, ძალასა და სისწრაფეზე, რადგან სისწრაფეც ძალაა. ვისაც შეუძლია სირბილი ნებისმიერ გზაზე და შორ მანძილზე, მორბენალია. ვისაც შეუძლია მოწინააღმდეგის ხელში მომწყვდევა და დაბლა დანარცხება, მოჭიდავეა. ვინც გამოცდილია მუშტიკრივში, მოკრივეა. ვინც ძლიერია ორივე ამ სახეობაში, ის პანკრატისტია[9], ხოლო ძლიერი ყოველივე ამაში პენტათლია.

კარგი მოხუცებულობა ესაა გვიანი მოხუცებულობა ტანჯვის გარეშე. კარგი მოხუცებულობა არა აქვს იმას, ვინც ადრე დაბერდა და არც იმას, ვინც გვიან დაბერდა, მაგრამ ტანჯვაშია. ეს დამოკიდებულია სხეულის ჯანმრთელობასა და შემთხვევაზე. ვინც არც ჯანმრთელია და არც ფიზიკურად ძლიერი, ის არ იქნება თავისუფალი ვნებებისა და ტკივილებისაგან და მხოლოდ შემთხვევით შეიძლება მიაღწიოს დღეგრძელობასა და უტანჯველობას. ფიზიკური ძლიერებისა და ჯანმრთელობის გარდა, არსებობს დღეგრძელობის სხვა საშუალებები, რადგან ბევრნი ჯანმრთელობის გარეშეც აღწევენ დღეგრძელობას. მაგრამ აქ ამის დაწვრილებით განხილვა არაა საჭირო[10].

მრავალმეგობრიანობისა და კეთილმეგობრიანობის ცნება არ იქნება ბუნდოვანი და გაუგებარი, თუ მეგობრობას განვსაზღვრავთ. მეგობარია ის, ვინც ფიქრობს, რომ ეს მეორე მხარისათვის კარგია და საქმითაც აკეთებს ამას. ვისაც მრავალი ასეთი მეგობარი ჰყავს, ის მრავალმეგობრიანია, ხოლო ღირსეული მეგობრების მყოლი კარგმეგობრიანია.

ბედნიერებას იქა აქვს ადგილი, სადაც კეთილდღეობის
1362a მიზეზი შემთხვევაა. იგი წარმოიქმნება და არსებობს ან ყოველთვის, ან მეტწილად, ან დიდ საქმეებში. შემთხვევა არის ზოგი ისეთი სიკეთის მიზეზი, რომელიც დაკავშირებულია ხელოვნებასთან, ზოგჯერ კი ისეთისა, რომელსაც ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ასეთია ბუნებრივი და არაბუნებრივი მოვლენები. მაგალითად, ჯანმრთელობის მიზეზი შეიძლება ხელოვნება იყოს[11], სილამაზისა და სიმაღლისა — ბუნება. საერთოდ კი, ის სიკეთეა შემთხვევითი, რაც შურს იწვევს.

შემთხვევა არის მიზეზი ისეთ სიკეთეთა, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. მაგალითად, თუ ყველა ძმა მახინჯია, ეს ერთი კი ლამაზი, ანდა თუ სხვებმა ვერ შეამჩნიეს განძი, ამან კი იპოვა, თუ გვერდზე მდგომს მახვილი მოხვდა, ამას კი არა, თუ ის, რომელიც ყოველთვის იქ დადიოდა, ვერ მივიდა, სხვები კი მივიდნენ იქ პირველად და დაიღუპნენ, ვფიქრობთ, რომ ყოველივე ეს ბედნიერი შემთხვევა უნდა იყოს.

იმ სათნოებას კი, რომელიც ქებასთან არის დაკავშირებული, მაშინ განვსაზღვრავთ, როცა ქებაზე გვექნება ლაპარაკი.

აქედან ცხადია, თუ რა უნდა გაითვალისწინოს ორატორმა არსებულ ან მომავალ საგნებზე რჩევისა და აკრძალვის დროს, რადგან ესენი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენებია. როდესაც მრჩეველმა იცის, რომ მიზანი არის სარგებლობა, მიზანზე აღარას ამბობს, არამედ ლაპარაკობს იმაზე, რაც ამ მიზანს ემსახურება. ეს პრაქტიკულად სასარგებლოა, სასარგებლო კი სიკეთეა[1].

ახლა ცალ-ცალკე განვიხილოთ სიკეთის ნაწილები და სათნოება საერთოდ. დავუშვათ, რომ სიკეთე არის ის, რაც სასურველია თავისთავად, ანდა ის, რომლის მისაღწევად ვარჩევთ სხვა რამეს, აგრეთვე ის, რისკენაც მიისწრაფვის ყველა, ვისაც აქვს გრძნობა ან გონება, ანდა რისკენაც მოინდომებდა სწრაფვას, გონება რომ ჰქონოდა. სიკეთე არის ის, რასაც თითოეულს მისი გონება უკარნახებს[2]. აი, ესაა თითოეული ადამიანის სიკეთე. ადამიანს, რომელიც მას ფლობს, კარგი განწყობა აქვს და კმაყოფილია. სიკეთეა ის, რაც წარმოქმნის ან იცავს კმაყოფილებას, ან რასაც კმაყოფილება მოსდევს შედეგად. ამის საპირისპირო მოვლენა კი სპობს და ანადგურებს კმაყოფილებას.

„მომდევნო“ ორგვარია: ის ან საგნის თანადროულია, ან შემდგომი. მაგალითად, ცოდნა შესწავლას მოსდევს, მაგრამ ჯანმრთელობა სიცოცხლის თანადროულია.

„შემოქმედი“ სამი მნიშვნელობით იხმარება ისევე, როგორც ჯანმრთელობა წარმოიშობა ან გამოკეთებით, ან კვებით, ან ბუნებრივ შემთხვევაში კი ფიზიკური ვარჯიშით. მას შემდეგ, რაც ეს დავადგინეთ, ცხადი გახდა, რომ სიკეთეა სიკეთის მოპოვებაცა და ბოროტების უარყოფაც. რადგან პირველ შემთხვევაში ბოროტებას ადგილი არა აქვს, მეორე შემთხვევას კი სიკეთე მოსდევს შედეგად. სიკეთეა ისიც, როცა მცირე სიკეთის ნაცვლად მიიღებ დიდს და დიდი ბოროტების ნაცვლად — მცირეს. რადგან დიდი მცირეს ჭარბობს, ამიტომ სიკეთეს ერთ 1362b
შემთხვევაში მომატებით ვაღწევთ, მეორე შემთხვევაში დაკლებით. სათნოებებიც აუცილებლად სიკეთის სფეროს განეკუთვნება, რადგან ვინც მას ფლობს, აუცილებლად კეთილდღეობაშია. მას შეუძლია სიკეთის წარმოქმნაცა და გამოყენე-

ბაც. განვიხილოთ ცალ-ცალკე, თუ რამდენი სახის სათნოება არსებობს და როგორია თითოეული მათგანი. სიამოვნებაც სიკეთეა, ამიტომაც ყოველი ცოცხალი არსება მისკენ მიისწრაფვის. ასე რომ, სასიამოვნო და მშვენიერი საგნები აუცილებლად სიკეთეს წარმოადგენს, რადგან პირველნი ტკბობას იწვევს, ხოლო მშვენიერი საგნებიდან ზოგი სიამოვნებას იწვევს, ზოგი კი სასურველია თავისთავად[3].

მოკლედ რომ ვთქვათ, არსებობს სიკეთის შემდეგი სახეები: ბედნიერება, რომელიც სასურველია თავისთავად, დამაკმაყოფილებელია და მისი გულისათვის მრავალ სხვა სათნოებას ვარჩევთ—სამართლიანობას, სიმამაცეს, თავშეკავებას, დიდსულოვნებას, კეთილშობილებას და სხვა ამდაგვარს. ყველა ეს სულიერი სათნოებებია. ჯანმრთელობა, სილამაზე და სხვა ამდაგვარი სხეულებრივი უპირატესობანია და მრავალი სხვა სიკეთის მიზეზნი არიან. მაგალითად, ჯანმრთელობა არის როგორც სიამოვნების, ისე სიცოცხლის მიზეზი. ამიტომ უნდა ვიკარაუდოთ. რომ ის საუკეთესო თვისებაა. ის ხომ ორ ყველაზე მეტად ღირებულ მოვლენას იწვევს — სიამოვნებასა და სიცოცხლეს[4]. სიმდიდრე არის ქონებისა და მრავალი სხვა უპირატესობათა მიზეზი. მეგობარი და მეგობრობა სასურველია თავისთავად და მრავალი სხვა სიკეთის მიზეზიცაა. ასევე პატივისცემა და კარგი სახელი სასიამოვნოა თავისთავად და მრავალ სხვა სიკეთესაც წარმოქმნის, უმეტესად კი მას შედეგად მოსდევს პატივისცემა. სიკეთეა მჭევრმეტყველება და მოქმედების უნარი, რადგან ის მრავალ სხვა ამგვარ სიკეთეს იწვევს. ნიჭი, მეხსიერება, კარგი ათვისების უნარი, გონებამახვილობა და ყოველი სხვა ამგვარი არის სიკეთის შემოქმედების უნარი. ასევე ყოველგვარი ცოდნა, ხელოვნება და სიცოცხლე სხვა სიკეთესაც რომ არ იწვევდეს, თავისთავად მაინც სასურველი იქნებოდა. ასევე სამართლიანობაც, რადგან იგი სასარგებლოა ყველასათვის.

დაახლოებით ესენია ყველასგან აღიარებული სიკეთენი. სადავო საკითხებზე სილოგიზმები აქედან უნდა შევადგინოთ. სიკეთეა ის, რომლის საპირისპირო არის ბოროტება. სიკეთეა ისიც, რომლის საწინააღმდეგო სასარგებლოა მტრებისთვის. მაგალითად, ჩვენი სიმხდალე მტრებისთვის სასარგებლოა. ცხადია, რომ ჩვენი სიმამაცე სასარგებლო იქნება თანამოქალაქეე-

ბისათვის. საერთოდ, რაც მტრებს სურთ ან რაც მათ ახარებთ, ამის საწინააღმდეგო სასარგებლო იქნება ჩვენთვის. ამიტომაც კარგადაა ნათქვამი:

„ო, როგორ გაუხარდება პრიამეს!“[5]

მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის, არამედ მეტწილად, რადგან არაფერი არ უშლის ხელს იმას, რომ ზოგიერთი ამათგანი სასარგებლო იყოს მოწინააღმდეგე მხარეებისათვის. ამაზეა ნათქვამი: „უბედურება აერთიანებს ადამიანებს მაშინ, როცა ეს ორივე მხარისათვის საზიანოა“. 1363a

სიკეთეა იქაც, სადაც ადგილი არა აქვს გადაჭარბებას. მაგრამ თუ საგანი უფრო მეტია, ვიდრე უნდა იყოს, მაშინ ბოროტებას ექნება ადგილი. ის, რისთვისაც ბევრს ეწვალნენ და ბევრი დახარჯეს, აგრეთვე სიკეთედ მოჩანს, რადგან აღიქმება როგორც ამგვარი, ისე სხვა მრავალი მოვლენის მიზნად. საბოლოო მიზანი კი სიკეთეა. ამიტომაცაა ნათქვამი:

„თქვენ დაუტოვეთ სასახელოდ პრიამესა და ტროელებს არგოსელი ელენე...“[6]

„ჩვენთვის სირცხვილი იყო ასე დაყოვნება“...[7]

არსებობს ანდაზაც: „წყლიანი კოკა კართან გატეხაო“...[8] სიკეთეა ის, რისკენაც მრავალი ისწრაფვის და რის მოპოვებასაც ცდილობს, რადგან, რასაც მიზნად ისახავს მრავალი, სიკეთეა. ხოლო „მრავალი“ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც „ყველა“. კეთილია ქებულიც, რადგან ცუდს არავინ აქებს. სიკეთეა ისიც, რასაც აქებენ მტრებიც და ცუდი ადამიანებიც, რადგან ამ შემთხვევაში ყველა ერთი აზრისაა — უბედურებაგამოვლილი ადამიანებიც კი. ამიტომაც კორინთელებმა სიმონიდეს ლექსი შეურაცხყოფად მიიღეს:

„ილიონი კორინთელებს არ უსაყვედურებს“[9].

კეთილია ისიც, რაც აირჩია რომელიმე გონიერმა ან კეთილმა ადამიანმა, კაცმა ან ქალმა. მაგალითად, ოდისევსი ათენამ. ელენე თეზევსმა, ალექსანდრე ღმერთქალებმა, აქილევსი ჰომეროსმა[10].

როგორცა ვთქვით, კეთილია ის, რასაც უპირატესობას აძლევენ. ხოლო უპირატესობას აძლევენ როგორც ყოველივე ზე-

მოჩამოთვლილს, ისე იმას, რაც საზიანოა მტრებისთვის და სასიკეთო მეგობრებისთვის, აგრეთვე საერთოდ, შესაძლებელი. ეს უკანასკნელი კი ორგვარია: ის, რაც შეიძლება მოხდეს საერთოდ, ან რაც ადვილად შეიძლება მოხდეს. ადვილი კი არის ის, რაც ან უტანჯველად, ანდა მცირე დროში ხორციელდება. ძნელი ხორციელდება ან ტანჯვით, ან დიდი დროის განმავლობაში. სიკეთეა ისიც, რაც სურთ, ხოლო სურთ ის, რაც არასოდეს არაა ბოროტება, ან ისეთი ბოროტებაა, რომელიც სიკეთეზე მცირეა. ასეთია მცირე ან უცნობი სასჯელი. სიკეთედ მიგვაჩნია ჩვენი საკუთარი თვისებები, რაც სხვას არ ახასიათებს, აგრეთვე უპირატესობანი, რადგან ეს უფრო მეტად პატივსაცემად მიგვაჩნია, აგრეთვე ის, რაც ჩვენ შეგვფერის, ან ჩვენს გვარსა და უნარს, და რაოდენ უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ის, მაინც ვისწრაფვით მისი მოპოვებისაკენ, თუ გვგონია, რომ ის გვაკლია. აგრეთვე, რაც შეიძლება ადვილად გაკეთდეს, რადგან ის, როგორც ადვილი, შესაძლებელიცაა. ადვილად შესასრულებელია ის, რასაც ყველამ მიაღწია, ან უმრავლესობამ, ან ჩვენმა მსგავსმა ადამიანებმა, ან უმცირესობამ; ის, რაც მეგობრებს ახარებს, მტრებს კი აღიზიანებს; რასაც არჩევენ ისინი, ვისაც პატივსა ვცემთ; რის უნარიც გვაქვს და გამოვცადეთ, გვგონია მას წარმატებით განვახორციელებთ. ყველაზე უფრო საქებია ის, რაც ცუდ ადამიანებს არასოდეს არ მოსწონთ; რაც გვსურს, რომ მოხდეს, რადგან ის არა მხოლოდ სასიამოვნოდ გვეჩვენება, არამედ საუკეთესოდაც. თითოეული დიდ სიკეთედ
1363b თვლის იმას, რაც სურს. მაგალითად, გამარჯვების მოყვარენი მტრებთან გამარჯვებას, პატივმოყვარენი სახელს, სიმდიდრის მოყვარენი სიმდიდრეს და ასე ყველა სხვა შემთხვევაში.

აი, აქედან უნდა ავიღოთ საბუთები სიკეთისა და სასარგებლოს შესახებ.

7

ხშირად, როცა ერთი აზრისა არიან იმის შესახებ, რომ ორივე მოვლენა სასარგებლოა, დაობენ იმაზე, თუ რომელია უფრო მეტად ასეთი, შემდეგ კი იმაზე, თუ რომელს უწოდონ მეტი სიკეთე და რომელს მეტად სასარგებლო. მეტია ის, რაც ინდივიდუალურია, რაც მეორე საგანი, რომელსაც ვადარებთ და კიდევ მეტი. უმცირესი შეიძლება მოთავსდეს იმაში, რაც მასზე

დიდია. საერთოდ, დიდსა და ბევრს ვადარებთ მცირესა და პატარას, ბევრსა და ცოტას — მრავალ სხვა სიდიდეს. რაც ჭარბობს, დიდია, რაც ნაკლებია, პატარაა. იგივე უნდა ითქვას ბევრისა და მცირედის შესახებ.

სიკეთეს ვუწოდებთ იმას, რასაც ვირჩევთ თვით მისივე გულისთვის და არა სხვა რაიმე მიზნით, რაც სურს ყველას ან რასაც მოინდომებდა ყველა ის, ვისაც აქვს ან ექნებოდა გონება და აზროვნება. სიკეთეა ისიც, რაც ქმნის და იცავს სიკეთეს ან რაც იწვევს მას.

მიზანია ის, რისთვისაც ხდება სხვა რამ, ე. ი. მიზანი არის ის, რისთვისაც არსებობს სხვა დანარჩენი. ხოლო თითოეულისათვის სიკეთეა ის, რაც მასთან მიმართებაში ავლენს ამ თვისებას. მაგალითად, აუცილებლად ასეთი უნდა იყოს სიმრავლე ერთთან ან უფრო მცირესთან შედარებით, რადგან იგი შეიცავს როგორც ერთს, ისე უმცირეს სიდიდეს. ასევე უფრო დიდი სიკეთეა ის, რაც ჭარბობს უფრო მცირეს. მაშასადამე, ის ჭარბობს იმასაც, რაც მასშია მოცემული. როდესაც ერთი სახე ჭარბობს მეორეს, მაშინ ერთი სახის დიდი მოვლენა ჭარბობს მეორე სახის დიდ მოვლენას და პირიქით. თუ მაღალი კაცი უფრო მაღალია, ვიდრე მაღალი ქალი, მაშ, საერთოდ, კაცები ქალებზე მაღლები ყოფილან. და თუ საერთოდ, კაცები ქალებზე მაღლები არიან, მაშინ მაღალი კაციც უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მაღალი ქალი, რადგან უპირატესობის მიხედვით გვარებს შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც მათში შემავალ ცალკეულ საგნებს შორის. როდესაც პირველს მეორე მოსდევს, მაშინ პირველი მეორეს მომდევნო აღარ იქნება. ერთი მეორეს შეიძლება სამნაირად მოსდევდეს: ან თანადროული იყოს, ან მომდევნო, ან შესაძლებლობით, რადგან მომდევნოს აუცილებლობის მიზეზი პირველშია. მაგალითად, ჯანმრთელობა სიცოცხლის თანადროულია, მაგრამ ჯანმრთელობა არაა სიცოცხლის შედეგი.

სწავლას კი ცოდნა მოსდევს შედეგად. შესაძლებლობის მიხედვით: ტაძრების გაქურდვა ნიშნავს საერთოდ ქურდობას, რადგან ვინც ტაძრებს ქურდავს, ის სხვა რამესაც მოიპარავს. რაც თავის თავში უფრო დიდ საგანს შეიცავს, ის თვითონაც უფრო დიდია, რადგან ჭარბობს იმას, რასაც შეიცავს. რაც უფრო დიდ სიკეთეს წარმოშობს, თვითონაც უფრო დიდია, რად-

გან სწორედ ამას ნიშნავს უფრო დიდი სიკეთის შემოქმედება. ასევე ისიც, რაც უფრო დიდმა შემოქმედმა წარმოშვა, უფრო დიდიცაა. ვინც ჯანმრთელობას აძლევს უპირატესობას სიამოვნებასთან შედარებით, ის უფრო დიდ სიკეთეს არჩევს, რადგან ჯანმრთელობა სიამოვნებაზე მაღლა დგას. რაც თავისთავად სასურველია[1], სჯობს იმას, რაც თავისთავად სასურველი არაა. მაგალითად, ძალა სჯობს ჯანმრთელობას, რადგან პირველი სა-
1364a სურველია თავისთავად, მეორე კი არა. ამიტომ ის სიკეთეცაა. პირველი მიზანია, მეორე კი არა, რადგან ეს უკანასკნელი სხვისთვის არსებობს, პირველი კი თავისთავადია, როგორც მაგალითად, ფიზიკური ვარჯიში არსებობს ჯანმრთელობისთვის. სიკეთეა ისიც, რასაც სხვა ან სხვები ნაკლებ სჭირდება, ვიდრე დანარჩენ საგნებს, რადგან ის უფრო დამოუკიდებელია. „ნაკლებ სჭირდება“ ნიშნავს ან იმას, რომ მას სჭირდება მცირე ან ის, რაც ადვილად მოიპოვება. როდესაც ერთს მეორე გვარის გარეშე არ შეუძლია არსებობა, ან წარმოშობა, მეორეს კი შეუძლია. ის, რომელსაც მეორე არ სჭირდება, უფრო დამოუკიდებელია. ამიტომ ის უფრო დიდ სიკეთედაც გვეჩვენება.

თუ ერთი საწყისია, მეორე აღარ იქნება საწყისი. ასევე, თუ ერთი მიზეზია, მეორე სწორედ ამიტომ აღარ იქნება მიზეზი. მაგრამ საწყისისა და მიზეზის გარეშე წარმოშობა შეუძლებელია. ორ საწყისთა შორის უფრო დიდი საწყისიდან წარმოშობილი უფრო დიდი იქნება, ორი მიზეზიდან უფრო დიდიდან წარმოშობილი უფრო დიდია და პირიქით, ორი საწყისიდან ისაა დიდი, რომელიც უფრო დიდი მოვლენის საწყისია და ორი მიზეზიდან ისაა დიდი, რომელიც უფრო დიდის მიზეზია. ამრიგად, ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში რაღაც დიდი გვაქვს. რადგან თუ ერთი საწყისია, მეორე კი არა, საწყისი უფრო დიდიც იქნება. ანდა თუ პირველი არაა საწყისი, მეორე კი საწყისია, მაშინ მეორე, თუ ის მიზანია, უფრო დიდიც იქნება. ლეოდამანტე[2], როცა ბრალს სდებდა კალისტრატეს, ამბობდა, რომ ვინც ურჩევს, უფრო მეტად არის დამნაშავე, ვიდრე ის, ვინც მოქმედებს, რადგან ბოროტმოქმედება არ მოხდებოდა, რომ არ ერჩიათ. ხოლო როცა ქაბრიოსს სდებდა ბრალს, პირიქით, ამბობდა: მოქმედი უფრო დამნაშავეა, ვიდრე მრჩეველი, რადგან ბოროტმოქმედებას არ ექნე-

ბოდა ადგილი, შემსრულებელი რომ არ ყოფილიყო. ადამიანები გეგმებს იმიტომ აწყობენ, რომ განახორციელონო.

იშვიათი სჯობს მრავალს, როგორც ოქრო რკინას, თუმცა ის ნაკლებ გამოიყენება. ოქროს მეტი ღირებულებაც აქვს, რადგან მისი მოპოვება ძნელია. მაგრამ, მეორეს მხრივ, ხშირი იშვიათს სჯობს, რადგან მეტად გამოიყენება და რადგან „ხშირი“ სჯობს „იშვიათს“, ამიტომაა ნათქვამი, რომ: „წყალი უკეთესია“[3].

საერთოდ კი, ძნელი ადვილს სჯობს, რადგან უფრო იშვიათია. მეორეს მხრივ კი, ადვილი სჯობს ძნელს, რადგან მაშინკე მოვიპოვებთ, როგორც კი მოვინდომებთ. შემდეგ, უკეთესია ის, რისი საწინააღმდეგოც მნიშვნელოვანია და რისი დაკარგვაც სამძიმოა. სათნოება სჯობს არასათნოებას და ბოროტება არაბოროტებას. პირველნი საბოლოო მიზანნი არიან, მეორენი კი არა. დიდია ის. ვის მიერ ჩადენილი საქმე ბევრად მშვენიერია და ბევრად სამარცხვინო. იმათ კი, რომლებიც დიდ სიკეთესა და ბოროტებას სჩადიან, შედეგიც დიდი ექნებათ, რადგან როგორიცაა მიზეზები და საწყისები, ისეთივეა შედეგები და როგორიცაა შედეგები, ისეთივეა მიზეზები და საწყისები. კარგია ის, რისი ქონება დიდი რაოდენობით უფრო სასურველია და მშვენიერი. როგორც, მაგალითად, კარგი მხედველობა უფრო სასურველია, ვიდრე კარგი ყნოსვა, რადგან საერთოდ, 1364b
მხედველობა ყნოსვაზე უკეთესია. მეგობრების სიყვარული უფრო მშვენიერია, ვიდრე ქონებისა. ასე რომ, მეგობრობა სიმდიდრეზე მაღლა დგას. ასევე უკეთესი საგნების სიჭარბე უკეთესია და მშვენიერისა მშვენიერი. უკეთესია ის საგნები, რომელთა სურვილი უკეთესია ან სასახელო, რადგან ის, რაც ძალიან გვსურს, თვითონაც დიდია და მშვენიერი.

საგნები, რომელთა ცოდნა უფრო მშვენიერია და მნიშვნელოვანი, თვითონაც უფრო მშვენიერი და მნიშვნელოვანნი არიან. მაგალითად, ვისაც ცოდნა აქვს, ის ჭეშმარიტებასაც ფლობს, რადგან ერთი მეორეს იწვევს. იგივე ითქმის იმ მეცნიერებების შესახებ, რომელნიც უფრო მნიშვნელოვან და მშვენიერ საგნებს სწავლობენ. ის, რაც დაუდგინა ყველა გონიერმა ადამიანმა, ან უმრავლესობამ, ან უკეთესთ, ან უფრო ძლიერთ სიკეთისა და სიდიდის შესახებ, ის აუცილებლად ასეთია ან საერთოდ, ან გონების სამსჯავროს წინაშე დაყენებისას. ზემო-

თქმული ვრცელდება სხვა მოვლენებზეც, როგორიცაა არსება, რაოდენობა და თვისება. ისინი ისეთნი არიან, როგორც ცოდნამ ან გონებამ დაახასიათა.

სიკეთეზე უკვე გვქონდა ლაპარაკი. განვსაზღვრეთ კიდეც ის, როგორც ისეთი რამ, რომელსაც ირჩევს ყველა გონიერი არსება. აქედან ცხადია, რომ უფრო დიდი სიკეთეა ის, რაც, პირველ ყოვლისა, გონებას მიაჩნია ასეთად. სიკეთეა ისიც, რაც დამახასიათებელია უკეთესი ადამიანებისათვის ან ყოველთვის, ან მხოლოდ იმაში, რაშიც ისინი საუკეთესონი არიან. როგორც, მაგალითად, სიმამაცე სჯობს ღონეს. სიკეთეა ისიც, რასაც უპირატესობას აძლევენ ადამიანები საერთოდ, ან რაშიც ისინი საუკეთესონი არიან. მაგალითად, უსამართლობის ატანა სჯობს უსამართლო მოქმედებას, რადგან ამას უპირატესობა მისცა ყველაზე სამართლიანმა ადამიანმა. მეტად სასიამოვნო სჯობს ნაკლებად სასიამოვნოს, რადგან ყველა სიამოვნებისკენ ისწრაფვის. ამავე დროს მისკენ ისწრაფვიან თვით მისივე გულისთვის. მათთვის ის არის სიკეთეცა და საბოლოო მიზანიც. უფრო მეტად სასიამოვნოა ის, რაც ნაკლებ მტანჯველია და მეტად ხანგრძლივი. მეტად მშვენიერი ნაკლებ მშვენიერსა სჯობს. ხოლო მშვენიერია ან ის, რაც სასიამოვნოა, ანდა, რაც თავისთავად სასურველია[4]. რაც ადამიანს უფრო თავისთვის ან თავისი მეგობრისთვის სურს, დიდი სიკეთეა, ხოლო რაც არ სურს, ის ბოროტებაა. დღეგრძელი დღემოკლესა სჯობს და მყარი — არამყარს. პირველის უპირატესობა დროშია, მეორისა კი საკითხის გადაწყვეტაში, რადგან საკითხების გადაწყვეტისას უფრო მეტად მყარს ვიყენებთ.

თუ საწყისი ელემენტები და წანამძღვრები მსგავსია, ასეთივე იქნება მათგან მიღებული შედეგები. მაგალითად, თუ ჭამაცური მოქმედება უფრო ლამაზია და სასურველი, ვიდრე გაუბედავი, მაშინ სიმამაცე გაუბედავობაზე უფრო სასურველია
და მამაცი კი გაუბედავზე. უკეთესია ის, რაც ყველას სურს,
1365a ვიდრე ის, რაც ყველას არ სურს, რაც სურს მეტს, ვიდრე ნაკლებს. რადგან სიკეთეა ის, რისკენაც ყველა ისწრაფვის. ასევე უფრო მეტი სიკეთეა ის, რასაც უფრო მეტად ეტანებიან. აგრეთვე ის, რასაც ეტანებიან მოდავე მხარეები ან ჩვენი მტრები, ან მოსამართლენი, ან ისინი, ვისაც ისინი უპირატესობას აძლევენ. პირველ შემთხვევაში კარგი არის ყველასათვის კარ-

გი, მეორე შემთხვევაში კი ძლიერისათვის ან მცოდნისათვის კარგი. ზოგჯერ უკეთესია ის, რაც ყველას აქვს და რის არქონებაც სამარცხვინოა. ზოგჯერ კი უკეთესია ის, რაც არავის არა აქვს, ანდა აქვს უმცირესობას, რადგან ის იშვიათია. კარგია ის, რასაც აქებენ, რადგან მშვენიერია, აგრეთვე ის, რასაც მეტი პატივი ხვდა წილად, რადგან პატივიც რაღაც ღირებულებაა. მეტი ბოროტებაა ის, რაც მეტ სასჯელს იმსახურებს. მეტია ისიც, რაც იმაზე დიდია, რასაც ყველა დიდად თვლის ან დიდად ეჩვენება. დიდი კი ჰგონიათ ის, რაც იყოფა ნაწილებად, რადგან ის თავის ნაწილთა სიმრავლეზე უფრო დიდი მოჩანს. ამიტომაც აქვს ნათქვამი პოეტს, როცა მელეაგრეს მოუწოდებს აჯანყებისკენ:

„რამოდენა უბედურება მოუტანეს დაპყრობილ
ქალაქებში ადამიანებს,
მეომრებს ჟლეტენ, წვავენ ქალაქებს,
ბავშვებს სტაცებენ საკუთარ მშობლებს!“[5]

ასევე შეერთებული და აშენებულიც დიდი მოჩანს. როგორც ეპიქარმე ამბობს, დაყოფის გამო შეერთებული ყოველთვის უფრო დიდი ჩანს და ამიტომაც, საწყისი უფრო დიდი შოვლენების მიზეზი გვგონია. დიდი გვგონია აგრეთვე ძნელი და იშვიათი. უფრო დიდის შთაბეჭდილებას ტოვებს აგრეთვე მდგომარეობა, წლოვანება, ადგილი, დრო და უნარი იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ თავის უნართან, წლოვანებასთან და თანატოლებთან შედარებით როგორღაც სადმე და როდესმე რაღაც განსაკუთრებული ჩაიდინა. იგი ჩაითვლება დიდ, მშვენიერ, კეთილ და სამართლიან მოქმედებად და მის საწინააღმდეგოდაც. ამიტომაც ოლიმპიურ შეჯიბრებაში გამარჯვებულზე ეპიგრამა ამბობს:

„წინათ ორ მხარეზე უღელგადებულს
თევზი დამქონდა არგოსიდან ტეგეასაკენ“[6].

იფიკრატეც[7] ხომ ტრაბახით ამბობდა, თუ რა მდგომარეობიდან რას მიაღწია.

ბუნებრივი სჯობია შეძენილს, რადგან მისი მოპოვება ძნელია. ამის შესახებ პოეტიც ამბობს:

„მე თვითნასწავლი ვარ“[8].

რაიმე დიდი მოვლენის ნაწილი უფრო დიდია. როგორც
პერიკლემ თქვა დასაფლავებაზე: „ახალგაზრდობის დაღუპვა
იმასვე ნიშნავს, რასაც წლის დროთაგან გაზაფხულის გაქრო-
ბა"[9]. უკეთესია ის, რაც გამოსადეგია დიდ გაჭირვებაში, მაგა-
ლითად, მოხუცებულობისა და ავადმყოფობის დროს. მიზანთან
ახლო მყოფი სჯობს დაშორებულს და პიროვნებისთვის განკუთ-
ვნილი საზოგადოებრივს, შესაძლებელი შეუძლებელს, რადგან
პირველი ჩვენთვისაა სასარგებლო, მეორე კი არა. უკეთესია
ის, რაც ცხოვრების საბოლოო მიზანია, რაგან მიზანი უფრო სა-
სურველია, ვიდრე ის, რაც მის მოპოვებას ემსახურება, აგრეთ-
ვე, რაც ჭეშმარიტებისათვის კეთდება, ვიდრე ის, რაც კეთდება
1365b სახელისათვის. ხოლო სახელისათვის კეთდება ის, რასაც არავინ
არ აირჩევდა, სხვებს რომ არ გაეგოთ იმის შესახებ. ამიტომ
ქველმოქმედების მიღება უფრო სასურველად მოჩანს, ვიდრე
სხვისთვის ქველმოქმედების გაწევა; რადგან პირველს ფარულა-
დაც რომ ეწეოდნენ, მაინც სასურველი იქნებოდა; მაგრამ არა
მგონია, რომ ვინმეს ფარულად ქველმოქმედება სურდეს. უკე-
თესია ის, რაც გვსურს, რომ არსებობდეს ნამდვილად და არა
მოჩვენებით. რადგან პირველი უფრო მეტად ჭეშმარიტია. ამი-
ტომ ამბობენ, რომ სამართლიანობა უმნიშვნელოა ჯანმრთელო-
ბასთან შედარებით, რადგან მასში სინამდვილეს მოჩვენებითობა
ჭარბობს, ჯანმრთელობაში კი პირიქით. საუკეთესოა ის, რაც
ყველაზე მეტად გამოსადეგია, მაგალითად, სიცოცხლისათვის
ან კეთილდღეობისათვის, ან სიამოვნებისთვის, ან მშვენიერი
მოქმედებისთვის. ამიტომ სიმდიდრე და ჯანმრთელობა ყველა-
ზე დიდ სიკეთედ უნდა ჩავთვალოთ, რადგან ისინი ყველა ამ
სიკეთეს მოიცავენ. სიკეთეა აგრეთვე ტანჯვისაგან თავისუფალი
სიამოვნება. ის ერთზე მეტი სიკეთეა, რადგან სიკეთეა, როგორც
სიამოვნება, ისე ტანჯვის არარსებობა. რადგან თუ ერთსა და იმა-
ვე სიდიდეს დავუმატებთ ორ სხვადასხვა ნაწილს, მთელი მე-
ტი იქნება. უკეთესია ის, რაც თვალსაჩინოა, იმასთან შედარე-
ბით, რაც შეუმჩნეველია. რადგან პირველი ჭეშმარიტებასთან
უფრო ახლოა. აქედან გამომდინარეობს, რომ უფრო დიდი სი-
კეთეა იყო მდიდარი და პატივსაცემი, ვიდრე ჩანდე, უფრო
ძვირფასია ის, რაც ადამიანს აქვს ერთი, ვიდრე ბევრი. ამიტო-
მაც დანაკლისი ერთნაირი არ იქნება, თვალს ამოთხრი ცალ-
თვალას თუ ორი თვალის მქონეს, რადგან პირველ შემთხვევა-
ში კაცი კარგავს უაღრესად ძვირფას რამეს.

ამრიგად, დაახლოებით უკვე ყველაფერი ითქვა იმის შესახებ, თუ საიდან უნდა იქნეს აღებული საბუთები რჩევისა და აკრძალვის დროს.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ძირითადი იმისათვის, რომ შეძლო დარწმუნება და კარგი რჩევის მიცემა, არის შემდეგი: ყველა სახელმწიფოს წეს-წყობილების ცოდნა. თითოეული მათგანის თავისებურების, კანონებისა და მათთვის სასარგებლო მოვლენების გათვალისწინება. სარგებლიანობა კი ყველა ადამიანისთვის დამარწმუნებელია, მაგრამ სასარგებლო არის ის, რაც სახელმწიფოს იცავს. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მსჯელობა, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლებას ეხება. ძალაუფლება განსხვავებულია სახელმწიფოების მიხედვით. სახელმწიფო კი იმდენია, რამდენიც მმართველობის სახე. არსებობს სახელმწიფოს ოთხი ფორმა: დემოკრატია, ოლიგარქია, არისტოკრატია და მონარქია. ამათგან პოლიტიკური და იურიდიული დაწესებულებები აქვს ან ყველას ან ზოგიერთს. დემოკრატია მმართველობის ისეთი სახეა, სადაც თანამდებობანი კენჭისყრით ნაწილდება, ოლიგარქიაში ნაწილდება საკუთრების მიხედვით, არისტოკრატიაში განათლების მიხედვით. განათლებაში მე კანონით დადგენილ განათლებას ვგულისხმობ. ამიტომ არისტოკრატიულ სახელმწიფოს მართავენ ისინი, რომლებიც კანონიერებას იცავენ. ესენი კი კეთილშობილი ადამიანები უნდა იყვნენ, საიდანაც მიიღო სახელწოდება ამ სახელმწიფომ. მონარქია, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, მმარ- 1366a
თველობის ისეთი ფორმაა, სადაც ერთი ადამიანი არის ყველაზე ძლიერი[1]. თუ მმართველობის ეს ფორმა მოწესრიგებულია, გვექნება სამეფო, თუ მოუწესრიგებელი — ტირანია.

არ უნდა დაგვრჩეს გაურკვეველი თითოეული ამ სახელმწიფოებრივი სახის მიზანი, რადგან მათ მიზნის მიხედვით არჩევენ. დემოკრატიის მიზანი არის თავისუფლება, ოლიგარქიისა — სიმდიდრე, არისტოკრატიისა — განათლება და კანონები, ტირანიისა — სახელმწიფოს დაცვა. ცხადია, რომ თითოეული მათგანის წესები, კანონები და ინტერესები განსხვავებულია მათი მიზნის მიხედვით, ე. ი. მათ ასხვავებენ მათი მიზნის მიხედვით.

დარწმუნება წარმოებს არა მხოლოდ აპოდიქტიკური სიტყვით, არამედ ეთიკურითაც, რადგან ჩვენ ვუჯერებთ ორატორს იმისდა მიხედვით, თუ როგორი მოჩანს იგი. ორატორი კი შეიძლება მოჩანდეს კეთილად, გონიერად ან ორივენაირად. აქედან გამომდინარეობს, რომ საჭირო ვიცოდეთ ყოველი სახელმწიფოს თავისებურებანიც. ამ თავისებურებების ცოდნით სიტყვა უფრო დამაჯერებელი ხდება. სახელმწიფოს თავისებურების გაგება კი შეიძლება იმავე მეთოდით, ე. ი. იმის დადგენით, თუ რას აძლევს უპირატესობას ეს სახელმწიფო. ამას კი მიზნის გარკვევისაკენ მივყავართ.

რამდენადაც ახლა საჭირო იყო, ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რას უნდა მივმართოთ როგორც მომავალზე, ისე აწმყოზე რჩევის დროს, თუ საიდან უნდა ავიღოთ მის სარგებლობაში დასარწმუნებლად საჭირო საბუთები, საიდან და როგორ მივიღოთ ცნობები სახელმწიფოს თავისებურებათა და კანონების შესახებ. უფრო ზუსტად ამის შესახებ ლაპარაკია „სახელმწიფოში“[2].

9

ამის შემდეგ ვთქვათ სათნოებისა და ბოროტების, მშვენიერისა და სამარცხვინოს შესახებ, რადგან იმან, ვინც აქებს ან აძაგებს, ეს უნდა გაითვალისწინოს. ხოლო ამაზე მსჯელობისას ისიც ნათელი გახდება, თუ როგორ დავანახვოთ სხვებს ჩვენი ზნეობრივი სახე, რაც ნდობის მოპოვების მეორე საშუალებაა. ამით შეგვიძლია ნდობის მოპოვება როგორც ჩვენ, ისე სხვებს.

რადგან ხან სიდინჯით, ხან კი ქარაფშუტულად გვიხდება ხოლმე არა მხოლოდ ადამიანებისა და ღმერთის, არამედ უსულო საგნებისა და ცხოველების ქება. ამიტომ ამავე მეთოდით უნდა განვიხილოთ ამათი წანამძღვრებიც. ასე რომ, ამის შესახებაც ჩვენ თვალსაჩინოების მიზნით უნდა ვილაპარაკოთ.

მშვენიერია ის, რაც არის რა თავისთავად სასურველი, საქებიცაა. ანდა, არის რა კეთილი, სასიამოვნოცაა, რადგან კეთილია. თუ ეს მშვენიერებაა, აუცილებელია, რომ სათნოება მშვენიერება იყოს, რადგან ის არის რა სიკეთე, საქებიც არის. როგორც ჩანს, სათნოება არის სიკეთის მოპოვებისა და დაცვის

უნარი[3]; აგრეთვე ყველგან და ყველას მიმართ მრავალ და მნიშ-
ვნელოვან საქმეებში ქველმოქმედების გაწევის უნარი. სათნოე- 1366b
ბის ნაწილებია: სამართლიანობა, სიმამაცე, წინდახედულობა,
ხელგაშლილობა, დიდსულოვნება, უანგარობა, სიმშვიდე, გო-
ნიერება, სიბრძნე. თუ სათნოება ქველმოქმედების უნარია, მა-
შინ ყველაზე დიდი სათნოება იქნება ის, რაც ყველაზე უფრო
სასარგებლოა. ამიტომაა, რომ სამართლიან და მამაც ადამია-
ნებს ყველაზე მეტად სცემენ პატივს, რადგან მამაცნი სხვები-
სათვის არიან გამოსადეგნი ომში, ხოლო სამართლიანნი ომში-
ცა და მშვიდობის დროსაც. ამას მოსდევს ხელგაშლილობა,
რადგან ხელგაშლილნი ადვილად იმეტებენ ქონებას და არც
იბრძვიან მისი მოპოვებისათვის, რასაც სხვა ადამიანები ძა-
ლიან ეტანებიან. სამართლიანობა არის სათნოება, რომლი-
თაც თითოეულს მისთვის კუთვნილი ქონება აქვს, რაც კანო-
ნიერიცაა[4]. უსამართლობა კი უკანონოდ სხვისი ქონების მით-
ვისებაა. სიმამაცე მდგომარეობს საშიშროების დროს მშვენიე-
რი საქმეების ჩადენის უნარში, საითკენაც კანონიც მოგვიწო-
დებს და რაც კანონიერების დაცვას წარმოადგენს. სიმამაცეს
სილაჩრე უპირისპირდება. თავშეკავება ისეთი სათნოებაა, რომ-
ლითაც ადამიანი სხეულებრივ სიამოვნებას ისე წარმართავს,
როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული. თავაშვებუ-
ლობა კი ამის საწინააღმდეგოა[5]. სიუხვე ქონების კეთილად გა-
მოყენების უნარია, სიძუნწე კი მას უპირისპირდება. დიდსუ-
ლოვნება არის დიდი ქველმოქმედების უნარი, სიმდაბლე ამის
საწინააღმდეგოა. ხელგაშლილობა არის სათნოება, რომლითაც
ადამიანს დიდი ხარჯების გაღების უნარი აქვს. ამის საწინააღ-
მდეგო თვისებაა სიძუნწე და სულმდაბლობა. გონიერება აზ-
როვნებასთან დაკავშირებული სათნოებაა, რომლითაც კაცს
ბედნიერების მისაღწევად სიკეთისა და ბოროტების შესახებ
სწორი რჩევის მიცემის უნარი აქვს.

ამჟამად საკმარისია ის, რაც ითქვა ზოგადად სათნოების,
ბოროტებისა და მათი ნაწილების შესახებ. სხვა შემთხვევების
გარკვევა კი ძნელი არაა. ცხადია, რომ ის, რაც სათნოებას წარ-
მოქმნის, მშვენიერიც არის. ასევე სათნოებისგან წარმოქმნი-
ლი არის მისი ნიშანი და შედეგი. რადგან სიკეთის ნიშანი, გან-
ცდა და შედეგი მშვენიერია, ამიტომ სიმამაცის ნიშანი, მოქმე-
დება და შედეგი მშვენიერი იქნება. ასევეა სამართლიანობა

5. არისტოტელე

და სამართლიანი მოქმედება, ოღონდ ეს არ ეხება სამართლიანობის განცდას. სათნოებათაგან მხოლოდ სამართლიანობაა ასეთი, რომლის განცდა ყოველთვის მშვენიერი არაა. მაგალითად, უფრო სამარცხვინოა სამართლიანი, ვიდრე უსამართლო სასჯელის მოხდა. იგივე ითქმის სათნოებაზეც. იქ, სადაც შეჯიბრში გამარჯვება პატივსაცემად ითვლება, მშვენიერია. მშვენიერია ისიც, რასაც უფრო პატივისცემა მოსდევს შედეგად, ვიდრე ქონება. სასურველ საგანთაგან მშვენიერია ის, რასაც ადამიანი თავისთვის არ აკეთებს, მაგალითად, ის უანგარო სიკეთე, რასაც ადამიანი სჩადის სამშობლოსათვის პირადი სურვილების უარყოფის გზით. აგრეთვე ბუნებრივი სიკეთე, მაგრამ არა
1367a პირადი სიკეთე, რაც ცალკე ადამიანის მისწრაფებით არის გაპირობებული[6]. მშვენიერია საქმეები, რაც ადამიანს მიეწერება გარდაცვალების შემდეგ, რადგან ცოცხალი უფრო პირადი სურვილებით მოქმედებს. აგრეთვე ის მოქმედებანი, რაც უფრო სხვის კეთილდღეობას ემსახურება, ვიდრე პირადულს. აგრეთვე სხვებისათვის გაწეული ქველმოქმედება პირადი სარგებლობის გაუთვალისწინებლად. სამართლიანია ქველმოქმედება იმათ მიმართ, ვინაც კეთილნი იყვნენ ჩვენს მიმართ, აგრეთვე ყოველი ქველმოქმედება, რაც პირად სარგებლობას გამორიცხავს და იმის საწინააღმდეგო, რისაც ადამიანებს რცხვენიათ, რადგან ადამიანებს რცხვენიათ სიმახინჯისა, როგორც ლაპარაკში, ისე მოქმედებასა და განზრახვაში. ასე მოიქცა საფოც ალკეოსის ნათქვამზე:

„მინდა გითხრა რამ, მაგრამ სირცხვილი მზღუდავს“[7].

რაზედაც საფომ უპასუხა:

„განზრახვა შენი რომ ყოფილიყო კარგი, კეთილი
და გულით შენით არ განიზრახდე რაიმე ბოროტს,
მაშინ სირცხვილი არ დაბინდავდა შენ თვალთა მზერას
და ბაგით შენით წარმოთქვამდი ჭეშმარიტებას“[8].

მშვენიერია ისიც, რისთვისაც ადამიანები უშიშრად იბრძვიან. ასეთი განცდა ადამიანებს აქვთ იმ მოვლენების მიმართ, რასაც შედეგად დიდება მოსდევს. მშვენიერია უკეთესი ადამიანებისათვის დამახასიათებელი სათნოებანი და მოქმედებანი, მაგალითად, მამაკაცური თვისებები, ქალურთან შედარებით.

აგრეთვე ის, რაც სხვისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე შენთვის. ეს სამართლიანია, სამართლიანობა კი მშვენიერია. შურისძიება მტრებზე უფრო მშვენიერია, ვიდრე მორიგება მათთან, რადგან ვალის დაბრუნება სამართლიანია, სამართლიანობა კი მშვენიერია. მამაკაცს უკან დახევა არ შეშვენის. გამარჯვება და დიდებაც მშვენიერია, რადგან ის სასურველია თავისთავად და არა მისგან გამომდინარე სარგებლობის გამო. უპირატესობაც სათნოების გამოვლენას წარმოადგენს. მშვენიერია მოგონებაც და მით უფრო მშვენიერია ის, რაც უფრო მტკიცედ ჩაგვრჩა მეხსიერებაში. მშვენიერია ისიც, რაც ჩვენი გარდაცვალების შემდეგ დარჩება და რასაც თან ახლავს პატივისცემა. მშვენიერია უპირატესობა და ის, რაც ერთადერთია, რადგან სიამოვნებით გვაგონდება, მშვენიერია ქონება, რომელსაც მოგება არ მოაქვს[9]. ასეთი ქონება თავისუფალ ადამიანებს აქვთ. მშვენიერია ის თავისებურებანი, რომელიც რომელიმე ერში საქებრად ითვლება. მაგალითად, ლაკედემონში საქებად ითვლება თმების ტარება[10], როგორც ნიშანი თავისუფლებისა. რადგან გრძელი თმით ძნელია იმ სამუშაოს შესრულება, რაც მონებს ევალებათ. თავისუფალი ადამიანი არასოდეს არ მისდევს მდაბალ ხელობას, რადგან ის სხვებისგან დამოკიდებული არ არის[11].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ის შემთხვევები, რომლებიც ზემოდასახელებულ მოვლენებთან ახლო დგანან, მათთან იგივეობრივი არიან როგორც ქების, ისე ძაგების დროს. მაგალითად, ფრთხილი ადამიანი უნდა ჩავთვალოთ ცივად და ვერაგად, გულუბრყვილო — კეთილად, უგრძნობი — მშვიდად, ასევე სხვა ადამიანებიც. დადებითად უნდა შეეფასოთ თვით გადაჭარბებულად მოცემული თვისებებიც კი. მაგალითად, ბრაზიანი და მანიაკი უნდა ჩავთვალოთ გულღიად, ამაყი—ღირსეულად 1367b
და დიდებულად, წრესგადასული — სათნოდ, თავხედი — მამაცად, მფლანგველი — ხელგაშლილად, რადგან უმრავლესობას ეს ასე ჰგონია. ამ პარალოგიზმს[12] თავისი მიზეზი აქვს. მაგალითად, თუ კაცი თავს საფრთხეში იგდებს, სადაც ეს აუცილებელი არაა, საფიქრებელია, რომ მით უმეტეს გასწირავს თავს იქ, სადაც ამას მშვენივრად ჩათვლიან. თუ კაცი ხელგაშლილია პირველსავე შემთხვევაში, ასეთივე იქნება მეგობრისთვისაც, რადგან სათნოების უმაღლესი სახეა ყველასათვის სი-

კეთის გაწევა[13]. მოფიქრებას მოითხოვს ისიც, თუ სად უნდა ითქვას სახოტბო სიტყვა. მაგალითად, სოკრატე ამბობდა, რომ ათენელების ქება ათენელებში ძნელი არაა[14]. ყველგან ის უნდა აქო, სადაც რა ითვლება საპატიოდ, იქნება ეს სკვითებში, ლაკონელებსა თუ ფილოსოფოსებში. საერთოდ, პატივსაცემი მოვლენები მშვენივრად უნდა ჩავთვალოთ, რადგან, როგორც ჩანს, ისინი ერთმანეთთან ახლო დგანან. ასეთია მიზანშეწონილი მოქმედება, რომელიც წინაპრებისა და მათი საქმეების შესატყვისია, რადგან ბედნიერება, მშვენიერების გარდა, პატივისცემასაც გულისხმობს. პატივსაცემია ის, ვინც მოულოდნელად თავს გამოიჩენს, როგორც უკეთესი და მშვენიერი; მაგალითად, ვინც ბედნიერების დროს თავშეკავებული იქნება, უბედურებაში — დიდსულოვანი, ხოლო აღზევებული — კეთილი და თავმდაბალი. ამას შეჰფერის იფიკრატეს სიტყვები: „რა ვიყავ წინათ და რა ვარ მე ახლა!“[15] აგრეთვე ოლიმპიურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სიტყვები:

„წინათ ორ მხარზე უღელგადებულს“...[16]

და სიმონიდეს სიტყვები:

„შენი მამა, ქმარიცა და ძმებიც ტირანები იყვნენ“[17].

რადგან ადამიანებს აქებენ მათი საქმეების მიხედვით, ხოლო სერიოზული ადამიანები წინასწარი განზრახვით მოქმედებენ, ამიტომ ორატორი უნდა ცდილობდეს დაამტკიცოს, რომ ვისაც აქებს, წინასწარგანზრახვით მოქმედებდა. კარგი იქნება, თუ საქმეს ისე წარმოაჩენს, რომ ქების ობიექტი თითქოს ხშირად ასე მოქმედებდა. მოულოდნელი და შემთხვევითი მოქმედებანიც ისე უნდა განიხილოს როგორც წინასწარგანზრახული. თუ მსგავსი შემთხვევები ბევრია, ისიც სათნოების ნიშნად და წინასწარგანზრახულ მოქმედებად უნდა წარმოადგინოს.

საქები სიტყვა ავლენს რომელიმე ადამიანის დიდ სათნოებას, ამიტომ ორატორმა მისი საქმიანობა ამის დასამტკიცებლად უნდა გამოიყენოს. საქები სიტყვა საქმეებს ეხება, გარეგან მხარეებს კი, როგორიცაა კეთილშობილი წარმოშობა, კარგი აღზრდა, ის მხოლოდ დასარწმუნებლად იყენებს, რადგან იგულისხმება, რომ კარგი წარმოშობისა კარგი იქნება და როგორი აღზრდაც აქვს კაცს, ისეთივე იქნება ის. მაშასადამე, ადამიანებს საქმეების მიხედვით ვაქებთ, საქმე კი ადამიანის

თვისებების გამოვლენაა. მაგრამ ზოგჯერ კაცს მაშინაც ვაქებთ, თუ მას არაფერი არ გაუკეთებია, თუ დარწმუნებულნი ვართ, რომ მას ამის უნარი აქვს. ზოგჯერ ქება და ბედნიერება ერთი და იგივეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბედნიერება, საერთოდ, იგივეა, რაც ხოტბა, რადგან როგორც ბედნიერება მოიცავს სათნოებას, ისე ბედნიერი ქებულს.

ქებასა და რჩევას ერთი სახე აქვს, ამიტომ, როდესაც ვინმეს რაიმეს ვურჩევთ, სიტყვების გადაადგილებით ქებას მივიღებთ (ენკომია). როდესაც ვიცით, თუ რა უნდა გააკეთოს კაცმა, ან როგორი უნდა იყოს ის, მაშინ, თუ ვინმეს სურს, 1368a
რომ ეს რჩევის სახით გამოთქვას, სიტყვები უნდა გადააადგილოს და ფრაზა შეაბრუნოს. მაგალითად, „უნდა ვამაყობდეთ არა შემთხვევით, არამედ საკუთარი უნარით მოპოვებული წარმატებით“. ამ ფორმით ეს ფრაზა არის რჩევა, მაგრამ ქებაა ასე გამოთქმული: „ის ამაყობდა არა შემთხვევით, არამედ საკუთარი უნარით მოპოვებული წარმატებით“[18]. ასე რომ, როცა ქება გვსურს, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რა ვურჩიოთ, და როცა ვურჩევთ, რა შევუქოთ. მსჯელობა კი აუცილებლად დაპირისპირებული იქნება, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გადააადგილებ: აკრძალვას, თუ რჩევას.

პათოსის გასაძლიერებლად მრავალი საშუალება გამოდგება. მაგალითად, ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ მხოლოდ ამ კაცმა ან პირველმა, ან უმცირესობასთან ერთად, ან სხვებზე უკეთ გააკეთა, რადგან ყოველივე ეს მშვენიერია. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დრო და პირობები, თუ ის ხელსაყრელი არ იყო. საქებია ისიც, თუ კაცმა ერთი და იგივე საქმე რამდენიმეჯერ წარმატებით დაასრულა. მნიშვნელოვანია არა შემთხვევითი, არამედ თვით პიროვნების მიერ მიღწეული წარმატება. საქებია ის ადამიანიც, რომლისათვისაც იქნა გამოგონილი და შექმნილი საქები და პატივსაცემი საშუალებები. საქებია ისიც, ვისაც პირველად მიეძღვნა ხოტბა; მაგალითად ჰიპოლოქე, ჰარმოდიონი და არისტოგიტონი[19], რომელთა ქანდაკებებიც აგორაზე დგას. იგივე ითქმის ამის საწინააღმდეგო მოვლენაზე, როგორიცაა ძაგება. თუ ვინმეს ქება ადვილი არაა, მაშინ მას სხვას ვადარებთ, როგორც იქცევა ისოკრატე[20], რომელიც მიუჩვეველი იყო სასამართლოში სიტყვის წარმოთქმას. შედარებისთვის ცნობილი პიროვნებები უნ-

და გამოვიყენოთ. შთაბეჭდილებას აძლიერებს და მშვენიერიცაა, თუ ის იმათზე უკეთესია, ვისაც ვადარებთ. სახოტბო სიტყვაში მიზანშეწონილია გაზვიადებაც, რაც ადამიანის უპირატესობას ადასტურებს. უპირატესობა კი მშვენიერებაა. თუ შედარებას ვაწარმოებთ არა სახელოვან ადამიანებთან, არამედ სხვებთან, ეს შესაქები ადამიანის უპირატესობას გამოავლენს, რაც სიკეთეა. საერთოდ, თუ ორატორულ სიტყვებს თვალს გადავავლებთ, ცხადი გახდება, რომ გაზვიადება ყველაზე მეტად ეპიდიქტიკურ სიტყვებშია საჭირო, რადგან ორატორს, იყენებს რა ცნობილ საქმეთ, ისღა რჩება, რომ გააზვიადოს ისინი და შეალამაზოს სიტყვა. სათათბირო სიტყვებში უფრო მაგალითებია საჭირო, რადგან ადრე მომხდარი საქმეებით ვწინასწარმეტყველებთ მომავალს. ენთიმემები კი სამოსამართლო სიტყვებშია საჭირო. მიზეზებისა და მტკიცების გამოყენება ყველაზე მეტად საჭიროა წარსულის მიმართ, მისი ბუნდოვანების გამო.

აი, დაახლოებით, ყველაფერი იმის შესახებ, თუ რისგან ადგენენ სახოტბო და გასაკიცხ სიტყვას, რა უნდა გექონდეს ნიმუშად ქებისა და ძაგების დროს და როგორ შევადგინოთ ხოტბა და ძაგება. ვიცით რა ეს, ამის საწინააღმდეგოც ნათელია, რადგან ძაგება საწინააღმდეგო საგნებიდან წარმოიშვება.

10

1368b ახლა ვთქვათ იმის შესახებ, თუ რამდენი და როგორი წანამძღვრებიდან უნდა შევადგინოთ სილოგიზმი საბრალმდებო და დაცვით სიტყვებში. აქ გასარკვევია სამი რამ: პირველი, როგორია და რამდენი მიზეზი იმისა, რის გამოც ჩადენილ იქნა დანაშაული. მეორე, რა მდგომარეობაში ჩაიდინეს დანაშაული და მესამე, ხასიათი და მდგომარეობა იმ ადამიანისა, ვის მიმართაც იქნა ჩადენილი დანაშაული. ჯერ განვსაზღვროთ უსამართლობა და შემდეგ თანმიმდევრულად ვილაპარაკოთ ამ საკითხებზე.

დავუშვათ, რომ უსამართლობა არის თვითნებური, კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. კანონები კი ზოგი კერძოობითი ხასიათისაა, ზოგი კი ზოგადისა. კერძოობითს მე ვუწოდებ დაწერილ კანონს, რომლითაც სახელმწიფოს მართავენ. ზოგადია

დაუწერელი კანონი, რომელსაც ყველა აღიარებს. ადამიანები ნებაყოფლობითა და ძალდაუტანებლად ასრულებენ იმას, რაც იციან. მაგრამ ყველა, ვინც თავისი ნებით მოქმედებს, ყოველივეს წინასწარი განზრახვით არ სჩადის. ხოლო ვინც წინასწარი განზრახვით მოქმედებს, მან ყოველივე იცის, რადგან არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც წინასწარი განზრახვით უცოდინრად იმოქმედებდა. ამიტომ ისინი, რომლებიც წინასწარი განზრახვით კანონის საწინააღმდეგო მავნე და ცუდ საქმეებს სჩადიან, არიან ბოროტნი და თავაშვებულნი. როდესაც ადამიანს ერთი ან რამდენიმე ცუდი თვისება აქვს, ის ამ სახის უზნეობასა და უსამართლობას სჩადის. მაგალითად, ხარბი თავშეუკავებელია ქონების მიმართ, უზნეო — სხეულებრივი სიამოვნების მიმართ, განებივრებული — უსაქმურობის მიმართ (შიშის გამო ის მახლობლებს საფრთხეში მიატოვებს), ბრაზიანი თავშეუკავებელია სიბრაზეში, პატივმოყვარე — დიდებაში, შეუბრალებელი — შურისძიებაში, გამარჯვების მოყვარე — გამარჯვებაში. უგუნური სამართლიანობისა და უსამართლობის არცოდნის გამოა ასეთი, ხოლო ურცხვი — სხვათა შეხედულებებისადმი გულგრილობის გამო. ასეთივე არიან ადამიანები ყველა დანარჩენი მიდრეკილებების გამო.

ყოველივე ეს ნაწილობრივ ცნობილია იქიდან, რაც სათნოების შესახებ ვთქვი[1], ნაწილობრივ ცხადი გახდება იქიდან, რასაც ვიტყვი გრძნობების შესახებ[2]. განსახილველი დაგვრჩა ის, თუ რატომ, რა პირობებში და ვის წინააღმდეგ სჩადის ადამიანი უსამართლობას. თავდაპირველად განვიხილოთ ის, თუ რისკენ ისწრაფვიან ან რას გაურბიან ისინი, რომლებიც უსამართლობას სჩადიან. ცხადია, რომ ბრალმდებელმა უნდა გაარკვიოს, თუ რომელი ამათგანი და რა ზომით ახასიათებს მოწინააღმდეგეს, დამცველმა კი — თუ რომელი ამ თვისებათაგანი და რა ზომით არ ახასიათებს მას.

ყველა ყველაფერს აკეთებს ან თავისი ნებით, ან არა. მოქმედებათაგან, რომელთაც თავისი ნებით არ სჩადიან, ზოგი შემთხვევითია, ზოგიც აუცილებელი. აუცილებელთაგან ზოგს იძულებით სჩადიან, ზოგს ბუნებრივად. ამრიგად, იმ მოქმედებათაგან, რაც ნებასურვილით არ ხდება, ნაწილი შემთხვევითია, ნაწილი ბუნებრივი, ნაწილი იძულებითი. ხოლო იმ მოქმედებათაგან, რაც ნებით ხდება და რომლის მიზეზი თვით ადამიანე- 1369a

ბი არიან, ნაწილი ხდება ჩვეულებით, ნაწილი მისწრაფებით, ნაწილი გონივრულად, ნაწილიც უგუნურად.

სურვილი სიკეთისაკენ სწრაფვას ნიშნავს, რადგან არავინ არ მოისურვებდა იმას, რაშიც არ იქნებოდა დარწმუნებული, რომ ის სიკეთეა. უგუნური მისწრაფებანია რისხვა და ვნება. ასე რომ, ყველა, ვინც მოქმედებს, აუცილებლად მოქმედებს შვიდი მიზეზით: ან შემთხვევით, ან ბუნებრივად, ან იძულებით, ან ჩვეულებით, ან გონივრულად, ან რისხვით, ან ვნებით. ზედმეტია მოქმედებათა განსხვავება წლოვანების, ქონებისა[3] და სხვა თვისებების მიხედვით. რადგან, თუ ახალგაზრდები ბრაზიანნი არიან, ასეთნი არიან არა ახალგაზრდობის, არამედ სიფიცხისა და ვნებიანობის გამო. ადამიანები არ მოქმედებენ არც სიღარიბისა და სიმდიდრის გამო, არამედ ღარიბები იმის გამო, რომ სურთ ის, რაც აკლიათ, ხოლო მდიდრები იმის გამო, რომ მიისწრაფვიან არააუცილებელი სიამოვნებებისაკენ. ამრიგად, არც ერთი არ მოქმედებს სიმდიდრის ან სიღარიბის გამო, არამედ ვნებებით. ასევე სამართლიანნი და უსამართლონი და ყველა ისინი, რომლებიც საკუთარი თვისებების კარნახით მოქმედებენ, სინამდვილეში მოქმედებენ გონებისა და ვნებების კარნახით. ოღონდ ზოგი დადებითი თვისებებისა და ვნებების კარნახით მოქმედებს, ზოგი კი პირიქით. ოღონდ ამ თვისებებს ერთ შემთხვევაში ერთი შედეგი მოსდევს, მეორე შემთხვევაში — მეორე. მაგალითად, ადამიანს თავშეკავებულობის გამო აქვს სწორი შეხედულებები და მიდრეკილებები ვნებებში, თავშეუკავებელს კი საწინააღმდეგო თვისებები აქვს.

მაგრამ ეს დანაწევრება გადავდოთ გვერდზე და განვიხილოთ, თუ რომელ თვისებას როგორი შედეგი უნდა მოსდევდეს. ადამიანების თეთრი ან შავი ფერი, დიდი ან პატარა ტანი არავითარ შედეგებს არ იწვევს, მაგრამ ახალგაზრდობასა და მოხუცებულობას, სამართლიანსა და უსამართლოს შორის კი დიდია სხვაობა[4]. საერთოდ, ადამიანთა მოქმედებები უნდა განვიხილოთ, როგორც მათი თვისებების შედეგი, მაგალითად, იმისდა მიხედვით, ადამიანი თავის თავს მდიდრად თვლის თუ ღარიბად, ბედნიერად თუ უბედურად. ამას შემდეგ განვიხილავთ[5], ახლა კი ვილაპარაკოთ დანარჩენი მოვლენების შესახებ.

შემთხვევით მოხდა ის, რასაც განუსაზღვრელი მიზეზი აქვს, რაც არ ხდება არც რაიმე მიზნით, არც მუდმივად, არც

უმეტეს შემთხვევაში, არც გარკვეული წესით. ეს ნათელია შემთხვევითის განსაზღვრებიდანაც. ბუნებრივია ის მოვლენები, რომელთაც მიზეზი თავის თავში აქვთ, რაც გარკვეულ წესს 1369b
ექვემდებარება, ან რაც მუდმივად, ან უმეტეს შემთხვევაში ასე ხდება. ხოლო იმას, რაც ბუნების საწინააღმდეგოდ ხდება, აქვს მას ბუნებრივი თუ სხვა რამ მიზეზი, ამას დაწვრილებით კვლევა არ სჭირდება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი მოვლენების მიზეზიც შემთხვევაა. იძულებითია ის მოქმედებანი, რომელსაც კაცი თვითონ სჩადის თავის სურვილისა და თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ.

ჩვეულებრივია ის, რასაც ადამიანები სჩადიან იმიტომ, რომ ხშირად სჩადიოდნენ მას. გონივრულია ის, რაც დაიყვანება ზემოდასახელებულ სათნოებებზე ან როგორც მიზანი ან როგორც ამ მიზნის მისაღწევი საშუალება, იმ შემთხვევაში თუ ჩვენს მოქმედებას სარგებლობა მოსდევს შედეგად. რადგან ზოგჯერ თავშეუკავებელი ადამიანებიც აკეთებენ სასარგებლო საქმეებს, მაგრამ არა სარგებლობის, არამედ სიამოვნების გამო. ადამიანები შურისმაძიებელნი არიან ვნებიანობისა და სიბრაზის გამო. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ შურისძიება და დასჯა. დასჯა ხდება დაზარალებულისათვის, შურისძიება კი — შურისმაძიებლის ვნებათა დაკმაყოფილებისათვის. თუ რაა სიბრაზე, ცხადი გახდება მაშინ, როცა განცდების შესახებ გვექნება მსჯელობა[6]. ვნებების კარნახით სჩადიან იმას, რაც სასიამოვნო ჰგონიათ. სიამოვნებაშიც არის ისეთი რამ, რაც ჩვეულებრივია, ე. ი. რასაც მივეჩვიეთ. მრავალი ბუნებრივი მოვლენა უსიამოვნოა, მაგრამ ადამიანები სიამოვნებით აკეთებენ მას, თუ მიეჩვივნენ.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, მივიღებთ, რომ, რასაც ადამიანები თავისი ნებით აკეთებენ, არის ან ნამდვილი ან მოჩვენებითი სიკეთე, ნამდვილად ან მოჩვენებით სასიამოვნო. ამრიგად, რასაც ადამიანები თავისთავად აკეთებენ, აკეთებენ თავისი სურვილით. ხოლო რასაც თავისი ნებით არ აკეთებენ, იმას სჩადიან არა თავისთავად. ამრიგად, ყოველივე ის, რასაც ადამიანები თავისი სურვილებით აკეთებენ, არის ან კეთილი ან მოჩვენებით კეთილი, სასიამოვნო ან მოჩვენებით სასიამოვნო. მე სიკეთედ ვთვლი აგრეთვე ნამდვილი ან მოჩვენებითი ბოროტე-

ბისაგან განთავისუფლებას და დიდი ბოროტების მცირე ბოროტებით შეცვლას. რადგან ესეც როგორღაც სასურველია. სიკეთედ ვთვლი აგრეთვე ნამდვილი ან მოჩვენებითი ტანჯვისაგან განთავისუფლებას, ანდა დიდი ტანჯვის შეცვლას მცირით. იგივე უნდა ითქვას სიამოვნების შესახებ. დაგვრჩა გასარკვევი, თუ რა სახის და რამდენი სასარგებლო მოვლენა არსებობს. ადრე, როცა სათათბირო სიტყვებს შევეხეთ, გვქონდა მსჯელობა სასარგებლო მოვლენების შესახებ[7], ხოლო სიამოვნების შესახებ ახლა ვილაპარაკებთ. დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს ის განსაზღვრება, რომელშიაც არაფერია ბუნდოვანი ან ძალიან წვრილმანი.

11

ჩვენ განვსაზღვრავთ სიამოვნებას, როგორც სულის ერთგვარ მოძრაობას და ადამიანის ბუნების შესატყვისი ძდგომარეობის სწრაფ და მნიშვნელოვან აღდგენას. ტანჯვა კი ამას უპირისპირდება. თუ სიამოვნება ესაა, ცხადია, რომ სასიამოვ-
1370a ნოა ის, რაც ზემოხსენებულ მდგომარეობას იწვევს. ხოლო ის, რაც ამ მდგომარეობას არღვევს, ან საწინააღმდეგო მდგომარეობას იწვევს, არის ტანჯვა. აუცილებელია, რომ მეტწილად სასიამოვნო იყოს ის, რაც ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენაა[1]; უფრო მეტად კი ის, რაც უბრუნდება საკუთარი ბუნებისათვის შესაბამის მდგომარეობას და ჩვეულებას, რადგან ჩვეულებრივიც ისეთია, როგორც ბუნებრივი. ჩვეულებრივი ბუნებრივსა ჰგავს. „ხშირი“ უახლოვდება „მუდმივს“. ბუნებრივი მუდმივია, ჩვეულებრივი კი ხშირი და არა იძულებითი, რადგან იძულებითი ბუნებას ეწინააღმდეგება. ამიტომაც აუცილებელი მტანჯველია და სწორადაა ნათქვამი:

„ყოველივე აუცილებელი უსიამოვნოა“[2].

მტანჯველია ზრუნვა, შრომა, დაძაბულობა; რადგან აუცილებლობა და იძულება, თუ ჩვეულებად არ ქცეულა, ერთი და იგივეა. ამრიგად, მათ ჩვეულება აქცევს სიამოვნებად. მათი საპირისპირო მოვლენები სასიამოვნოა. მაშასადამე, სასიამოვნო იქნება გართობა, უდარდელობა, უზრუნველობა, თამაში, დასვენება, ძილი, რადგან არც ერთ მათგანს არა აქვს კავში-

რი იძულებასთან და ყველგან, სადაც კი ვნებაა, სიამოვნებაცაა. ვნება ხომ სიამოვნებისკენ მისწრაფებაა.

ვნებათაგან ზოგი უაზროა, ზოგი კი გონივრული. უგუნურთ მე ისეთ ვნებებს ვუწოდებ, როდესაც ადამიანები ანგარიშმიუცემლად მიისწრაფვიან სიამოვნებისაკენ. ამათ განეკუთვნებიან ისეთი სურვილები, რომელთაც ბუნებრივს უწოდებენ. მაგალითად, სხეულთან დაკავშირებული ისეთი ვნებანი, როგორიცაა კვება, წყურვილი და შიმშილი. აგრეთვე გემოვნებასთან, სქესობრივ სიყვარულთან და საერთოდ, შეხებასთან დაკავშირებული სიამოვნებანი. აგრეთვე, ყნოსვა, სმენა და მხედველობა.

გონივრულია ის სურვილები, რომელიც უკავშირდება რწმენას. ჩვენ გვსურს ვიხილოთ და შევიძინოთ მრავალი საგანი, რომლის შესახებ გვსმენია და დარწმუნებული ვართ, რომ ის სასიამოვნოა. ვნებათა განცდაშიც არის ერთგვარი სიამოვნება. წარმოდგენა კი როგორღაც უფრო სუსტი შეგრძნებაა. მოგონებას და იმედს თან სდევს ერთგვარი წარმოდგენა იმისა, რასაც იხსენებენ და რაზეც იმედს ამყარებენ. თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ სიამოვნებას შეიცავს როგორც მოგონება, ისე იმედი, რადგან სიამოვნებაც შეგრძნებაა. ამგვარად, აუცილებელია, რომ ყოველი სიამოვნება არსებობდეს ან აწმყოს შეგრძნებებში, ან წარსულის მოგონებებში, ან მომავლის იმედებში, რადგან შეიგრძნობენ აწმყოს, იგონებენ წარსულსა და 1370b
იმედს ამყარებენ მომავალზე. სასიამოვნოა არა მხოლოდ მოგონება წარსულისა, რომელიც აწმყოში არსებობისას სასიამოვნო იყო, არამედ ზოგიერთი უსიამოვნო მოვლენაც, თუ მას მშვენიერება და სიკეთე მოსდევს შედეგად. ამის შესახებ არის ნათქვამი:

„რარიგ ტკბილია, როს გადარჩენილს ახსენდება
განვლილი ტანჯვა“[3].

ასევე:

„ტანჯვათა შემდეგ ტკბილად იგონებს წარსულს ვაჟკაცი,
ვინაც მრავალი განიცადა, ბევრი იღვაწა“[4].

ამის მიზეზია ის, რომ სასიამოვნოა ბოროტების არარსებობა. იმედებიდან კი ისინია სასიამოვნო, რომელთა განხორციელება მოგვიტანს დიდ სიხარულს, ან სარგებლობას, ან სარგებლობას ტანჯვის გარეშე. ერთი სიტყვით, ისიც, რაც დღეს გვანიჭებს სიამოვნებას, უმეტეს შემთხვევაში, სასიამოვნოა როგორც იმედი და მოგონება. მაშასადამე, სასიამოვნოა რისხვაც, ანუ როგორც ჰომეროსი ამბობს ვნებების შესახებ:

„ის ბევრად ჭარბობს სიტკბოს თაფლისას“[5].

არვინ არ ბრაზობს იმაზე, რაც შურისძიებისათვის მიუწვდომელი მოჩანს. ასევე სრულიად არ ვბრაზობთ, ან უმნიშვნელოდ ვბრაზობთ იმათზე, ვისაც ჩვენზე გაცილებით მეტი უნარი აქვთ.

სურვილების უმრავლესობას თან სდევს რაღაც სიამოვნება, რადგან სიამოვნებას გვანიჭებს როგორც მომხდარის გახსენება, ისე მომავალში მოსახდენის წარმოდგენა. მაგალითად, ცეკვა-ცხელებით შეპყრობილს სწყურია და სიამოვნებს როგორც იმის მოგონება, რომ წინათ სვამდა, ისე იმის იმედი, რომ მომავალში დალევს. შეყვარებულებს ახარებთ საუბარი, მიმოწერა ან რაიმე მოქმედება, დაკავშირებული საყვარელ არსებასთან. რადგან მოგონების საშუალებით თითქოს უშუალოდ განიცდიან საყვარელ არსებას. ყველა ვნებას კი ერთი საწყისი აქვს: გვახარებს საყვარელი ადამიანის როგორც ჩვენთან ყოფნა, ისე მოგონება მისი არყოფნის დროს. სწუხან საყვარელი არსების არყოფნის გამო; მაგრამ ტანჯვასა და გლოვაშიც არის რაღაც სიამოვნება. გვტანჯავს საყვარელი ადამიანის არყოფნა, მაგრამ გვსიამოვნებს მოგონება და წარმოდგენა იმისა, თუ როგორი იყო ის და რას აკეთებდა. სწორედ ამის შესახებაა ნათქვამი:

„ის ისე ლაპარაკობდა, რომ ყველას ტირილის სურვილი
აღეძრა“[6].

სასიამოვნოა შურისძიებაც, ხოლო მტანჯველია მისი დაუკმაყოფილებლობა. დაკმაყოფილება კი უაღრესად სასიამოვნოა. ბრაზიანი ადამიანები უაღრესად იტანჯებიან იმის გამო, რომ შური ვერ იძიეს, მაგრამ ახარებთ შურისძიების იმედი. სასიამოვნოა გამარჯვებაც არა მხოლოდ გამარჯვების მოყვა-

რულთათვის, არამედ ყველასათვის, რადგან ამ დროს ადამიანს
უჩნდება წარმოდგენა საკუთარ უპირატესობაზე, რისი სურ-
ვილიც მეტ-ნაკლებად ყველას აქვს. სასიამოვნოა გამარჯვება.
ამიტომ აუცილებელია, რომ თამაშით ბრძოლა და კამათიც სა-
სიამოვნო იყოს, რადგან ამ დროს ხშირად იმარჯვებენ ხოლმე. 1371a
ასეა როგორც კოჭაობისას, ისე ბურთაობისას, კამათელისა
და შაშის თამაშის დროს. ასეა სერიოზულ თამაშობებშიც. სი-
ამოვნებას იღებენ როგორც მიჩვეულნი, ისე შემთხვევით მო-
თამაშენი. მაგალითად, ნადირობის დროს და ყოველგვარ ვარ-
ჯიშში, რომელიც მიმდინარეობს სუფთა ჰაერზე. რადგან, სა-
დაც შეჯიბრია, იქ გამარჯვებაც არის. მაშასადამე, სამოსამართ-
ლო და საჯარო გამოსვლები სასიამოვნოა იმათთვის, რომლე-
ბიც მიეჩვიენ მას და სათანადო უნარიც აქვთ.

უაღრესად სასიამოვნოა პატივისცემა და კარგი სახელი,
რადგან ამ შემთხვევაში წარმოდგენა იქმნება დარბაისელ ადა-
მიანებზე, მით უმეტეს, თუ ეს წარმოდგენა შეექმნებათ იმ ადა-
მიანებს, რომელნიც ცნობილნი არიან როგორც სამართ-
ლიანნი. ასევე, უფრო სასიამოვნოა ახლოს მყოფნი, ვიდრე
შორს მყოფნი, ჩვენი თანამოქალაქენი და ნაცნობნი, ვიდრე
უცნობნი, თანამედროვენი მეტად, ვიდრე შთამომავალნი, გო-
ნიერნი მეტად, ვიდრე უგუნურნი, უმრავლესობა მეტად, ვიდრე
უმცირესობა, რადგან პირველნი უფრო გაბედულად ამბობენ
სიმართლეს, ვიდრე მეორენი. ადამიანებს პატივისცემისა და სა-
ხელის მოპოვება არ აინტერესებთ იმათ შორის, ვისაც არ უწე-
ვენ ანგარიშს, მაგალითად, ბავშვებში, ან ცხოველებში და თუ
აინტერესებთ, არა სახელისათვის, არამედ რაღაც სხვა მოსაზ-
რებით.

მეგობარიც სასიამოვნოა, რადგან სასიამოვნოა სიყვარუ-
ლი. მაგალითად, ღვინო არავის არ ეყვარებოდა, ის რომ სა-
სიამოვნო არ ყოფილიყო. სასიამოვნოა, როდესაც ვუყვარვართ,
რადგან ეს წარმოქმნის შთაბეჭდილებას, რომ ისეთ სიკეთესა
ვფლობთ, რისკენაც ისწრაფვის ყველა, ვისაც კი შეგრძნების
უნარი აქვს. სხვებს უყვარდე იმას ნიშნავს, რომ პატივს გცე-
მდნენ თვითონ შენ. სასიამოვნოა ისიც, როცა შენი უკვირთ,
რადგან ეს პატივისცემას უკავშირდება. სასიამოვნოა მლიქ-
ვნელობაცა და მლიქვნელიც, რადგან მლიქვნელი მოჩვენებით
თაყვანისმცემელია და მოჩვენებითი მეგობარიც. სასიამოვნოა

ერთი და იგივეს ხშირად კეთება, რადგან სასიამოვნოა ჩვეულ-ება. სასიამოვნოა ცვალებადობაც, რადგან ცვალებადობა ბუ-ნებრივია, უმოძრაობას კი მივყავართ თვისებების უკიდურეს სიმყარემდე. ამიტომაცაა ნათქვამი:

„ყველაზე ტკბილია ცვალებადობა“[7].

ამიტომაც სასიამოვნოა ისიც, რასაც ხანგამოშვებით ვხვდე-ბით, იქნება ეს ადამიანები, თუ საგნები, რადგან ცვალებადობა ეხება როგორც არსებულს, ისე იმას, რაც იშვიათია. მეტწი-ლად სასიამოვნოა აგრეთვე სწავლა და აღტაცება, რადგან აღ-ტაცება სწავლის შეძენის სურვილს წარმოადგენს. ასე რომ, აღტაცების საგანი სასურველიც არის. ხოლო შემეცნებისაკენ სწრაფვა ნიშნავს ბუნებრივი მდგომარეობისაკენ დაბრუნებას. სასიამოვნოა როგორც ქველმოქმედება, ისე ქველმოქმედების მიღება, რადგან ქველმოქმედების მიღება ნიშნავს იმის მიღე-
1371b ბას, რაც კაცს სჭირდება. ქველმოქმედება კი შესაძლებელია მა-შინ, როდესაც არა მხოლოდ გვაქვს, არამედ მეტიც გვაქვს, რაც სასურველია. რადგან ქველმოქმედება სასიამოვნოა, ამიტომ კაცს სიამოვნებს მახლობლისთვის ხელის გამართვა და ნაკ-ლის გამოსწორება. რადგან სასიამოვნოა შემეცნება და აღტა-ცება, ამიტომ აუცილებლად სასიამოვნო იქნება ყოველივე სხვა ამდაგვარიც, მაგალითად, მიბაძვა: ფერწერა, სკულპტურა, პოე-ზია და ყოველივე სხვა, რაც კარგ მიბაძვას წარმოადგენს. რო-დესაც ობიექტი მიბაძვისა არაა სასიამოვნო, მაშინ გვახარებს არა თვით ობიექტი, არამედ დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს ისაა. ასე რომ, მიბაძვის შედეგი შემეცნებაა[8]. სასიამოვნოა აგ-რეთვე პერიპეტიები და საფრთხისაგან გაჭირვებით თავის დაღ-წევა, რადგან ყოველივე ეს გაკვირვებას იწვევს.

სასიამოვნოა ყოველივე ბუნებრივი, ხოლო ნათესაური და-მოკიდებულება ბუნებრივი დამოკიდებულებაა, ამიტომ ყო-ველი მონათესავე და მსგავსი, უმეტეს შემთხვევაში სასიამოვ-ნოა. მაგალითად, ადამიანის ნათესაობა ადამიანთან, ცხენისა ცხენთან, ახალგაზრდისა ახალგაზრდასთან, რაზედაც ანდაზაში ნათქვამია: „ტოლს ტოლი უყვარს, მსგავსი მსგავსს ეძებს“[9], „მგელი მგლის ტყავს არ დახევს“, „ყვავს თავისი ბახალა ურ-ჩევნია“ და სხვა ამდაგვარი[10]

რადგან მსგავსი და მონათესავე სასიამოვნოა ერთიმეორი-

სათვის და თითოეული ადამიანი ამას უფრო მეტად თავის თავზე გრძნობს, ამიტომ აუცილებელია, რომ ყველა მეტ-ნაკლებად თავმოყვარე იყოს[11]. ეს თვისება ხომ ყველაზე მეტად თავის თავთან მიმართებაში ვლინდება. რადგან ყველანი თავმოყვარენი არიან, ამიტომ აუცილებელია ყველასათვის სასიამოვნო იყოს ის, რაც მას ეკუთვნის, მაგალითად, სიტყვა და საქმე. ამიტომ მლიქვნელთა მოყვარენი ადვილად ემორჩილებიან სიყვარულის გრძნობას, არიან პატივმოყვარენი და შვილების მოყვარენი, რადგან შვილებიც მათი საქმეებია. დაუმთავრებელი საქმეების დამთავრებაც სასიამოვნოა, რადგან ამ შემთხვევაში ეს საქმე დამამთავრებელს მიეკუთვნება. ხელმძღვანელობაც სასიამოვნოა. ამიტომ სასიამოვნო უნდა იყოს ბრძენის სახელის მოხვეჭა, რადგან ყოველივეს აზროვნება წარმართავს: სიბრძნე ხომ მრავალი საკვირველი მოვლენის ცოდნას ნიშნავს. გარდა ამისა, რადგან უმრავლესობა პატივმოყვარეა, ამიტომ მათთვის სასიამოვნოა მახლობელთა გაკიცხვაც. ადამიანებისათვის სასიამოვნოა დროის ხარჯვა იმაზე, რაშიც იგი თავის უპირატესობას გრძნობს, ან როგორც ევრიპიდე ამბობს:

„ადამიანი მისდევს იმას და დიდ დროს უთმობს,
რაშიც ის თავს თვლის სხვებზე ძლიერად“[12].

ასევე, რადგან სასიამოვნოა თამაში, ყოველგვარი დასვენება და სიცილი, აუცილებელია ადამიანთა სასაცილო სიტყვა 1372a
და საქმეც სასიამოვნო იყოს. სასაცილოს განსაზღვრება ცალკე გვქონდა მოცემული „პოეტიკაში“[13].

აი, ყველაფერი ის, რაც გვინდოდა გვეთქვა სიამოვნების შესახებ. ტანჯვა კი ნათელი გახდება ამის საწინააღმდეგო მოვლენებიდან.

12

აი ის, რის გამოც სჩადიან ადამიანები უსამართლობას. ახლა ვთქვათ იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში და ვის წინააღმდეგ სჩადიან დანაშაულს.

ადამიანები უსამართლობას სჩადიან მაშინ, როცა ჰგონიათ, რომ უსამართლობის ჩადენა შესაძლებელია და თვითონაც აქვთ ამის უნარი. აგრეთვე მაშინ, როცა ფიქრობენ, რომ დანა-

შაულს ფარულად ჩაიდენენ და თუ ვერ დამალავენ, სასჯელს მაინც გაექცევიან. ანდა თუ ვერ გაექცნენ, სასჯელი ნაკლები იქნება იმ მოგებაზე, რომელსაც მიიღებენ დამნაშავენი ან ისინი, ვისთვისაც ისინი ზრუნავენ. ქვემოთ! გვექნება ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორაა შესაძლებელი ან შეუძლებელი იგი, რადგან ეს შემთხვევა საერთოა რიტორიკის ყველა საკითხისათვის. როგორც ჩანს, ყველაზე მეტად იმათ ჰგონიათ, რომ დაუსჯელად ბოროტების ჩადენა შეუძლიათ, რომლებმაც იციან კარგი ლაპარაკი და მოქმედება, აქვთ მრავალი ბრძოლის გამოცდილება, ჰყავთ მრავალი მეგობარი და აქვთ სიმდიდრე. ამრიგად, საფიქრებელია, რომ უსამართლობის ჩადენა ყველაზე მეტად ამათ შეუძლიათ. ხოლო იმათ, რომელთაც საამისო უნარი არა აქვთ, ან მეგობრები ჰყავთ, ან დამხმარენი, ან თანამოაზრენი, ამიტომ ამათაც შეუძლიათ დანაშაულის ჩადენაც, მისი დამალვაც და სასჯელის თავიდან აცილებაც. ეს იმ შემთხვევაში, თუ იმათი მეგობრები არიან, ვინც უსამართლობა განიცადა, ანდა მოსამართლეებისა, რადგან მეგობრები უსამართლობისაგან თავს არ იცავენ და სასამართლოში ჩივილს მორიგება ურჩევნიათ. ხოლო მოსამართლეები ეხმარებიან თავის მეგობრებს და მათ ან მთლიანად ათავისუფლებენ, ან მცირედ სჯიან.

ადვილად იმალებიან ისინი, რომელთა ბუნება არ შეესაბამება მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებას. კერძოდ, სუსტი ადამიანები მალავენ დანაშაულს ძალადობის თაობაზე, ღარიბნი და შეურაცხყოფილნი — უზნეობაზე. მალავენ აგრეთვე იმას, რაც უაღრესად ნათელია და თვალსაჩინო, რადგან ამაზე ეჭვი არავის მიაქვს და მას არავინ უფრთხის. მალავენ აგრეთვე იმ დანაშაულთ, რომელთა ჩადენა შეუძლებელი ჰგონიათ. ასეთი დანაშაულისაგანაც არავინ იცავს თავს; რადგან ყველა თავს იცავს ჩვეულებრივი ავადმყოფობისა და დანაშაულისაგან. იმ ავადმყოფობისაგან კი, რაც არავის არ ჰქონია, არავინ არ იცავს თავს. ადვილად იმალებიან ისინიც, რომლებსაც სრულიად არ ჰყავთ მტრები, ან ბევრი ჰყავთ; რადგან დამნაშავე ფიქრობს, რომ პირველთაგან დამალული დარჩება, რადგან ისინი თავს არ იცავენ, მეორე შემთხვევაში კი დამნაშავე დამალული დარჩება იმის გამო, რომ ის, ვინც თავს იცავს, თავდასხმას არ

მოელის. დამნაშავე კი თავს იცავს იმით, რომ მას დანაშაული არასოდეს არ ჩაუდენია.

იმალებიან ამის უნარის ან საშუალების, ადგილის ან მდგომარეობის მქონენი. უსამართლობას სჩადიან ისინიც, რომლებიც თუ ვერ დაიმალნენ, იმედოვნებენ თავი აარიდონ სასამართლოს, ან საქმის გარჩევა გაახანგრძლივონ, ანდა მოსამართლე მოისყიდონ. ისინიც, რომლებსაც, სასჯელი დაადეს, შეუძლიათ გაექცნენ მას, ან გააჭიანურონ.

დანაშაულს სჩადიან ისინიც, რომლებსაც სიღატაკის გამო არაფერი აქვთ დასაკარგი. აგრეთვე ისინი, ვისთვისაც ნათელია, რომ მოგება დიდია ან ახლოსაა, ხოლო სასჯელი მცირეა 1372b
ან გაურკვეველი, ან შორეული. დანაშაულს სჩადიან ისინიც, რომლებიც ვარაუდობენ, რომ სასჯელი მოგების ტოლი არ იქნება, როგორც, მაგალითად, ტირანიაში, სადაც უსამართლობას სარგებლობა მოაქვს და სასჯელს — მხოლოდ სირცხვილი და პირიქით, ვისთვისაც უსამართლობას შედეგად ერთგვარი ქება მოსდევს; მაგალითად, ძენონის მიერ ერთდროულად დედისა და მამისათვის შურისძიება[2]. სასჯელი კი გამოიხატება ჯარიმაში ან გაძევებაში, ან სხვა რაიმე ამდაგვარში. არა ერთნაირი, არამედ ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის ადამიანები ამ ორ შემთხვევაში და ამ ორი მიზეზით სჩადიან უსამართლობას. დანაშაულს სჩადიან ისინიც, რომლებიც ხშირად დამალულან ან არ დასჯილან და ხშირად არ ჰქონიათ წარმატება; მათ შორის ისინიც, რომლებიც როგორც ზოგი მეომარი, ხელმეორედ იწყებენ ბრძოლას; აგრეთვე ისინი, რომლებისათვის სიამოვნება ახლოა, ტანჯვა კი შორს, მოგება ახლოა, სასჯელი კი შორს. ასე იქცევიან თავშეუკავებელი ადამიანები. ადამიანები კი თავშეუკავებელი არიან იმაში, რაც ძალიან სურთ. დანაშაულს სჩადიან საწინააღმდეგო შემთხვევაშიც, კერძოდ, მაშინ, როცა ტანჯვა და სასჯელი ახლოა, სიამოვნება და სარგებლობა კი შორს. სამაგიეროდ ის ხანგრძლივი იქნება. თავშეკავებული და გონიერი ადამიანები უფრო ამგვარ საქციელს ამჯობინებენ. აგრეთვე ისინი, რომლებსაც შეუძლიათ თავისი მოქმედება ახსნან ან შემთხვევით, ან აუცილებლობით, ან ბუნებრივი მიდრეკილებით, ან ჩვეულებით, ან საერთოდ, შეცდომით, მაგრამ არა უსამართლობით, აგრეთვე სასჯელის შემსუბუქების იმედის მქონენი და გაჭირვებულნი. გაჭირვება

კი ორგვარია: ადამიანებს ან აუცილებელი არა აქვთ, როგორც ღარიბებს, ან არა აქვთ ზედმეტი, როგორც მდიდრებს. დანაშაულს ბედავენ ადამიანები, რომლებსაც ან ძალიან კარგი სახელი აქვთ, ან ძალიან ცუდი, რადგან პირველნი ფიქრობენ, რომ მათზე ეჭვს არ მიიტანენ, მეორენი კი ვარაუდობენ, რომ მათ სახელს არაფერი არ დააკლდება.

აი, ასეთ შემთხვევებში ბედავენ ადამიანები უსამართლობის ჩადენას. ხოლო უსამართლობას სჩადიან შემდეგი ადამიანების მიმართ: იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც აქვთ ის, რაც არა აქვთ დამნაშავეთ ან როგორც აუცილებელი, ან როგორც უპირატესობა სხვებთან შედარებით, ან როგორც სიამოვნების საგანი, იქნებიან ეს ადამიანები დამნაშავეთათვის შორეულნი, თუ მახლობელნი. ერთ შემთხვევაში მიზანი ახლოა, მეორე შემთხვევაში სასჯელი მოსალოდნელია გვიან, როგორც, მაგალითად, კართაგენელთა გამძარცველთათვის[3]. დანაშაულს სჩადიან იმათ მიმართ, რომლებიც არ ფრთხილობენ და არც თავს იცავენ, არამედ ყველას ენდობიან. ამიტომ მათ მიმართ ჩადენილი ყოველგვარი დანაშაულის დამალვა ადვილია; აგრეთვე უზრუნველი ადამიანების მიმართ, რადგან ახლოდ წინდახედული ადამიანები მისდევენ ხოლმე ბოლომდე სასამართლო განჩინებას; თავაზიანი ადამიანების მიმართ, რადგან ისინი მოგებისაკენ არ იხედავენ. აგრეთვე იმათ მიმართ, რომლებსაც ბევრჯერ განუცდიათ უსამართლობა და არასოდეს არ დაუცავთ თავი და როგორც ანდაზა ამბობს: „ისინი მსხვერპლნი არიან როგორც მიდიელნი“[4]. აგრეთვე იმათ მიმართ, რომლებსაც ან არასოდეს, ან ხშირად განუცდიათ უსამართლობა. არც ერთი ამათგანი არ იცავს თავს. პირველნი იმიტომ, რომ მათ არასოდეს არ დასხმიან თავს, მეორენი კი ალარ მოელიან მას. დანაშაულის ჩადენა ადვილია იმათ მიმართაც, რომელთაც ცილი დასწამეს, ან რომელთათვის ცილის დაწამება ადვილია, რადგან ასეთ ადამიანებს, ეშინიათ რა მოსარჩლეებისა, არასოდეს არ მიმართავენ სასამართლოს და არ [illegible] არავის დარწმუნება არ შეუძლიათ, როგორც სიძულვილისა და შურის საგანთ. ადვილია დანაშაულის ჩადენა იმათ მიმართაც, რომელთა წინააღმდეგ, ან რომელთა მეგობრების ან წინაპრების წინააღმდეგ რაიმე ცუდი განწყობა გვაქვს, რადგან მათ ან
1373a
უკვე ჩაიდინეს, ან აპირებენ დანაშაულის ჩადენას ჩვენს წინა-

ალმდეგ, ან ჩვენი წინაპრებისა და მეგობრების წინააღმდეგ. როგორც ანდაზაშიცაა ნათქვამი: „ბოროტებას მხოლოდ საბაბი სჭირდება“.

დანაშაულს სჩადიან როგორც მტრების, ისე მეგობრების მიმართ, რადგან მეგობრების მიმართ ეს ადვილია. მტრების მიმართ კი—სასიამოვნო; იმათ მიმართაც, რომლებსაც მეგობრები არ ჰყავთ, არა აქვთ კარგი მეტყველების ან მოქმედების უნარი, რადგან ისინი ან არ იწყებენ სასამართლო დავას, ან ადვილად რიგდებიან და არასოდეს არ ამთავრებენ საქმეს. უსამართლობას განიცდიან ისინიც, რომლებიც ან სასამართლო დაკიდან ან ჯარიმის გადახდიდან სარგებლობას მოელიან, როგორც მაგალითად, უცხოელნი და მიწათმოქმედნი. ესენიც ადვილად წყვეტენ სასამართლო დავას და ადვილად რიგდებიან. აგრეთვე იმათ მიმართ, რომლებსაც მრავალი დანაშაული ჩაუდენიათ, ანდა განუცდიათ, ამიტომ ასეთი მოქმედება თითქმის სამართლიანი ჰგონიათ იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე ისეთ უსამართლობას განიცდის, რომლის ჩადენას თვითონ მიეჩვია სხვების მიმართ, მაგალითად, შეურაცხყოფას. უსამართლობის ჩადენა ადვილია იმათ მიმართაც, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს ბოროტება ან აპირებენ მის ჩადენას, ან აპირებენ და ჩაიდენენ კიდეც. ასეთ დანაშაულს თან სიამოვნება სდევს და თითქმის სამართლიანობად გვეჩვენება. დანაშაულს სჩადიან იმათ მიმართ, ვის მიმართ დანაშაულის ჩადენა გაახარებდა მეგობრებს ან იმათ, რომლებითაც ჩვენ აღტაცებულნი ვართ, ან გვიყვარს, ან ძლიერნი არიან, რომელთაგან ჩვენ დამოკიდებულნი ვართ, ან გვსურს მათთან მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ. დანაშაულის ჩადენა შეიძლება იმათ მიმართაც, რომლებიც ბრალდებულნი არიან და ისე დავშორდით, როგორც კალიპოსი დიონს[6]. ასეთი მოქმედებანიც სამართლიანობასთან ახლო მდგომად მოჩანან. დანაშაულის ჩადენა შეიძლება იმათ მიმართაც, რომლებსაც ჩვენ თუ არა, სხვები მაინც დაჩაგრავდნენ. ასე რომ, აქ ბევრი ფიქრი არ შეიძლება. როგორც გადმოგვცემენ, ენესიდემემ გელონს რომელმაც ქალაქი დაიპყრო, საჩუქრად კოტაბიონი გაუგზავნა[7], რადგან გელონმა დაასწრო იმაში, რასაც თვითონ აპირებდა. დანაშაულს სჩადიან იქაც, სადაც შემდეგ მრავალი სამართლიანი მოქმედების ჩადენის საშუალება იქნება, რადგან ამ დროს ადვილია შეცდომის გამოს-

წორება და, როგორც თესალიელი იაზონი ამბობდა[8], ზოგჯერ საჭიროა უსამართლობის ჩადენა, რათა შემდეგ მრავალი სამართლიანი მოქმედების ჩადენა შევძლოთ.

ადამიანები სჩადიან იმ დანაშაულს, რომელსაც სჩადის ან უმრავლესობა, ან ყველა, რადგან იმედი აქვთ იმისა, რომ პატიების მიღწევა ადვილია. აგრეთვე მაშინ, როცა ადვილია ნაპარავის დამალვა; მაგალითად იმის დამალვა, რაც სწრაფად მოსახმარია, როგორიცაა საჭმელი. აგრეთვე ისეთი საგნების, რომლებიც ან სახეს, ან ფერს, ან შემადგენლობას ადვილად იცვლიან და რომელთა დამალვა ბევრგან შეიძლება. აგრეთვე მაშინ, როცა ადვილია მოპარული საგნების გადატანა და პატარა ადგილას დამალვა, აგრეთვე მსგავსი და ძნელად განსასხვავებელი საგნებისა, რაც ადრეც ბევრი ჰქონდათ ბოროტმოქმედთ. აგრეთვე მაშინ, როცა იმას, ვინც უსამართლობა განიცადა, რცხვენია უსამართლობის გამჟღავნებისა, მაგალითად, ჩვენი ცოლების, ჩვენი ვაჟების, ან ჩვენს მიმართ ჩადენილი დანაშაულისა. აგრეთვე ისეთი დანაშაულის ჩადენა, რაც დაზარალებულისაგან გასაჩივრების შემთხვევაში, მას სასამართლოში სირბილის სიყვარულად შეიძლება ჩაეთვალოს. ასეთია პატარა და ადვილად საპატიებელი დანაშაული.

აი, დაახლოებით ყველაფერი ის, რაც გვინდოდა გვეთქვა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში სჩადიან დანაშაულს, დანაშაულის ბუნებისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული დანაშაული.

13

1373b ახლა განვიხილოთ ყოველგვარი სამართლიანობა და უსამართლობა. დავიწყოთ იმით, რომ განვსაზღვროთ სამართლიანობისა და უსამართლობის ორი სახე: კანონმდებლობისა და ადამიანების თვალსაზრისით. მე ვგულისხმობ კერძო და ზოგად კანონს. კერძოა ის კანონი, რომელსაც ყოველი ერი ცალ-ცალკე ადგენს თავისთვის. მათ შორის შეიძლება იყოს როგორც დაწერილი, ისე დაუწერელი კანონი. ხოლო ბუნებრივი კანონი ზოგადია. რადგან ყველა ხვდება იმას, რომ ბუნებრივი სამართლიანობა და უსამართლობა საერთოა იმათთვისაც კი, რო-

მელთაც ურთიერთშორის არა აქვთ არაფერი საერთო და არც რაიმე ხელშეკრულება აქვთ დადებული. როგორც ჩანს, სოფოკლეს ანტიგონეც ამასვე ამბობს, რომ სამართლიანია პოლინიკეს დაკრძალვა, მიუხედავად აკრძალვისა, რადგან ეს ბუნებრივად არის სამართლიანი:

„ეს კანონი არ შექმნილა არც დღეს, არც გუშინ,
ის იყო მუდამ და არვინ იცის, საიდან გაჩნდა“[1].

ან როგორც ემპედოკლეც ამბობს: არ შეიძლება ცოცხალი არსების მოკვლა; ეს კანონი არაა ვინმესთვის სამართლიანი და ვინმესთვის უსამართლო:

„ეს კანონია საყოველთაო, ვრცელდება იგი
ფართო ეთერსა და უსაზღვრო დედამიწაზე“[2].

ანდა როგორც ალკიდამანტი ამბობს თავის სიტყვაში „მესენელების მიმართ“[3]: მოქმედება, რომელიც ჩადენილ უნდა იქნეს, ან არა, ორგვარია — ეხება ან მთელ საზოგადოებას, ან მის რომელიმე წევრს.

სამართლიანობა და უსამართლობაც ასევე ორგვარია: ის მიმართულია ან ერთი განსაზღვრული პირისადმი, ან მთელი საზოგადოებისადმი. ასევე ის, ვინც გარყვნილებას სჩადის ან სცემს ვინმეს, უსამართლობას სჩადის რომელიმე განსაზღვრული პირის მიმართ, ხოლო ვინც ბრძოლის ველიდან გარბის, დანაშაულს სჩადის მთელი საზოგადოების მიმართ[4]. განვსაზღვრეთ რა უსამართლობის ყველა სახე, მიმართული როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების წინააღმდეგ, ახლა გავიხსენოთ უსამართლობის განცდის განსაზღვრება და ვთქვათ დანარჩენზე. უსამართლობის განცდა ნიშნავს წინასწარი განზრახვით ჩადენილი უსამართლობის განცდას[5]. რადგან უსამართლობა ჩვენ ზემოთ განვსაზღვრეთ[6], როგორც თავისუფალი ნების გამოვლენა, ამიტომ აუცილებელია, რომ უსამართლობის განმცდელი განიცდიდეს ზიანს იმის მხრივ, ვინც თავისი ნებით მოქმედებს, ხოლო თვით განმცდელი განიცდიდეს აუცილებლად თავისი ნების წინააღმდეგ. თუ რაში მდგომარეობს უსამართლობა, ნათელია ზემოთქმულიდან[7]. ზემოთ განვსაზღვრეთ, თუ რას ნიშნავს სიკეთე და ბოროტება თავისთავად. თავისუფალი მოქმედება განვსაზღვრეთ, როგორც შეგნებული მოქმედება[8].

ვთქვით, რომ ყოველი დანაშაული მიმართულია ან საზოგადოების, ან ცალკე პირის წინააღმდეგ; რომ დანაშაული ჩადენილია ან უცოდინარობით და საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ, ან შეგნებულად და ნებაყოფლობით. ამათგან ზოგი წინასწარ განზრახულია, ზოგიც გამოწვეულია გრძნობებით.

მრისხანების შესახებ ჩვენ ვიმსჯელეთ იქ, სადაც ვილაპარაკეთ ვნებების შესახებ[9], ხოლო თუ როგორ და რა მდგომარეობაში ახასიათებს ის ადამიანებს, ამაზე ადრე გვქონდა მსჯელობა[10].

დამნაშავენი ხშირად აღიარებენ ხოლმე დანაშაულს, მაგ-
1374a რამ არ ეთანხმებიან მის დახასიათებას, ანდა იმას, რასაც ეს დახასიათება ეხება. მაგალითად, დამნაშავე ამტკიცებს, რომ მან „აიღო“ და არ „მოიპარა“, რომ მან პირველმა დაარტყა, მაგრამ შეურაცხყოფა არ მიუყენებია, რომ იყო ქალთან კავშირში, მაგრამ უზნეობა არ ჩაუდენია; მოიპარა, მაგრამ ტაძრები არ გაუძარცვავს, რადგან, რაც მოიპარა, ღმერთებს არ ეკუთვნოდა; მართალია, საზღვარი დაარღვია, მაგრამ სახალხო მიწა არ დაუმუშავებია; მტრებთან ჰქონდა მოლაპარაკება, მაგრამ არ უღალატნია. ამიტომ საჭიროა განისაზღვროს, თუ რაა ყოველივე ეს: ქურდობა, შეურაცხყოფა, უზნეობა, რათა დავამტკიცოთ, აქვს მას ადგილი, თუ არა და ამით გამოვავლინოთ სიმართლე.

ყველა ამ შემთხვევაში საკამათოა, არის თუ არა ეს უსამართლობა და ბოროტმოქმედება. როგორც უსამართლობა, ისე უზნეობა წინასწარი განზრახვით ხდება და ისეთი ცნებები, როგორიცაა „შეურაცხყოფა“ და „ქურდობა“ წინასწარგანზრახულობას გულისხმობს. ამიტომ ყოველი დარტყმა კი არაა შეურაცხყოფა, არამედ წინასწარგანზრახული, ე. ი. როცა ადამიანს სურს სხვა შეურაცხყოს, თვით კი ისიამოვნოს. ყოველთვის ქურდობად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, თუ ვინმემ რაღაც ჩუმად აიღო, არამედ მხოლოდ ისეთი შემთხვევა, თუ ის სხვისთვის ზიანის მიყენებისა და მითვისების მიზნით არის ჩადენილი. სხვა შემთხვევებზე ისევე უნდა ვიმსჯელოთ, როგორც ამაზე.

არსებობს უსამართლობისა და სამართლიანობის ორი სახე: დაწერილი და დაუწერელი[11]. თუ რა შინაარსი აქვს დაწერილ კანონს, ამის შესახებ უკვე ვთქვი[12]. დაუწერელი კანონი

კი ორგვარია: პირველი ეხება სათნოებისა და ბოროტების სიჭარბეს, რასაც შედეგად მოსდევს ძაგება და ქება, აგრეთვე უპატივცემულობა და პატივისცემა, ჩუქება, მადლობა კეთილისმყოფელთა მიმართ, დახმარების გაწევა მეგობრებისათვის და სხვ., რაც კერძოობითსა და დაწერილ კანონში არ არის გათვალისწინებული. როგორც ჩანს, სამართლიანობა მიზანშეწონილი მოქმედება უნდა იყოს. მაგრამ იგი მიზანშეწონილად ითვლება განსხვავებით დაწერილი კანონისაგან. ეს შედეგი კი კანონმდებელთა ნებისმიერი ან უნებური მოქმედების შედეგია. უნებური მაშინ იქნება, თუ ისინი ამას ვერ ამჩნევენ, ნებისმიერი მაშინ, თუ მოქმედების განსაზღვრება არ შეუძლიათ. ამ შემთხვევაში იძულებული არიან ფაქტი ზოგადად გამოაცხადონ. მაგრამ ეს ფაქტი ზოგადი კი არაა, არამედ მეტწილად არსებული. ხოლო ის, რის დადგენაც ძნელია მისი განუსაზღვრელობის გამო, მაგალითად, იმის დადგენა, თუ რა სახის რა სიდიდის რკინა იქნა გამოყენებული ჭრილობის მიყენებისას, ამას დასჭირდება განუწყვეტელი გამოთვლა.

ამგვარად, თუ შემთხვევა განუსაზღვრელია, მაგრამ კანონით მას განსაზღვრა სჭირდება, აუცილებელია ზოგადი მსჯელობა. ასევე, თუ ვინმეს თითზე ბეჭედი უკეთია და ვინმეს ხელს შეუბრუნებს, ან ნამდვილად დაარტყამს, იგი ბოროტმოქმედია და დამნაშავე დაწერილი კანონების მიხედვით, სინამდვილეში კი — არა. პირიქით, ეს მოქმედება მიზანშეწონილიც კი არის.

თუ ყველა ზემომოტანილი შემთხვევა მიზანშეწონილია, 1374b
მაშინ ნათელია, თუ რა არის და რა არა მიზანშეწონილება და როგორი არიან მიზანშეწონილად მოქმედი ადამიანები. მოქმედება, რომელიც შესაწყნარებელია, მიზანშეწონილიცაა, მაგრამ შეცდომები, უსამართლობანი და წარუმატებლობანი ერთნაირად არ უნდა შეფასდეს, რადგან წარუმატებლობა მოულოდნელობაა და არა უზნეობა. არც ეს შეცდომებია უზნეობის შედეგი, რომელიც მოულოდნელად ხდება. მაგრამ ის უსამართლობა, რომელიც წინდაუხედაობით არ არის გამოწვეული, უზნეობის შედეგია[13]. რადგან ის დანაშაული, რაც ვნებების შედეგად ხდება, უზნეობას წარმოადგენს. მიზანშეწონილია იმის ცოდნაც, თუ რა უნდა ეპატიოს ადამიანებს, მაგრამ არა კანონების, არამედ კანონმდებლის თვალსაზრისის

მიხედვით, არა კანონის მუხლებით, არამედ მისი მოსაზრების მიხედვით, არა დამნაშავის მოქმედების, არამედ მისი მიზანდასახულების მიხედვით. ყურადღება უნდა მიექცეს არა ნაწილს, არამედ მთელს, არა იმას, თუ როგორია ვინმე ახლა, არამედ იმას, თუ როგორია იგი ყოველთვის, ანდა უმეტეს შემთხვევაში. უფრო მეტად უნდა გვახსოვდეს ის შემთხვევები, როცა ქველმოქმედება გაგვიწიეს, ვიდრე ბოროტება; აგრეთვე უფრო სხვებისაგან, ვიდრე ჩვენ მიერ გაწეული ქველმოქმედება. უნდა შეგვეძლოს უსამართლობის ატანა და დამნაშავის დასჯა უფრო სიტყვით, ვიდრე ფიზიკურად. უფრო მეტად უნდა მივმართოთ მომრიგებელ მოსამართლეებს, ვიდრე სასამართლოს, რადგან მომრიგებელი მოსამართლენი ითვალისწინებენ მიზანშეწონილებას, მოსამართლენი კი — კანონებს. მომრიგებელ მოსამართლეს სწორედ იმიტომ ნიშნავენ, რომ სიმართლემ გაიმარჯვოს.

სამართლიანობის ასეთი განსაზღვრება საკმარისად მივიჩნიოთ.

14

უსამართლო მოქმედება მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია მისი გამომწვევი მიზეზები. ამიტომ პატარა უსამართლობაც კი შეიძლება დიდი გამოჩნდეს. მაგალითად, კალისტრატე მელანოპეს[1] ბრალს სდებდა იმაში, რომ მან სამი წმინდა ნახევარობოლით მოატყუა ტაძრის მშენებლები. ეს მოქმედება სამართლიანობას ეწინააღმდეგება. ეს გამომდინარეობს დამნაშავის შესაძლებლობიდან, ვისაც სამი ნახევარი ობოლის�[2] მოპარვა შეუძლია, ის ნებისმიერ უსამართლობასაც ჩაიდენს. ზოგჯერ დანაშაულის სიდიდე ასე განისაზღვრება, ზოგჯერ კი — მიყენებული ზარალით.

იქ, სადაც არ არსებობს დანაშაულის შესატყვისი სასჯელის სახე, ყოველგვარი სასჯელი მცირეა, დანაშაულთან შედარებით, რადგან დანაშაული იმდენად დიდია, რომ ზარალის ანაზღაურება შეუძლებელია და არც ხდება. დიდია ის დანაშაულიც, როდესაც დაზარალებულს არ შეუძლია დაკმაყოფილებას მიაღწიოს, რადგან მისთვის მიყენებული ზიანი გამოუსწორებელია. სამართალი და სასჯელი კი მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ემსახურება.

თუ დაზარალებული თავის თავს დიდად დასჯის, მაშინ დამ-
ნაშავის უფრო მეტად დასჯა მართებული იქნება. მაგალითად, 1375a
სოფოკლე[3], ევკტემონეს შესახებ ჰყვება, რომ მან თავი მოიკ-
ლა, როგორც შეურაცხყოფილმა, რადგან სასჯელი იმაზე ნაკ-
ლებად ჩათვალა, ვიდრე მან, როგორც დაზარალებულმა, თა-
ვის თავს გამოუტანა.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, დანაშაული ერთმა
ჩაიდინა, პირველმა ჩაიდინა, თუ სხვებსაც ჩაუდენიათ ეს,
მაგრამ იშვიათად. დანაშაულს ამძიმებს მისი განმეორება. აგ-
რეთვე ის, თუ პირველად ამ დამნაშავისათვის ეძებენ და პოუ-
ლობენ აკრძალვისა და სასჯელის ხერხებს. როგორც, მაგალი-
თად, არგოსში სჯიან იმასაც, ვისთვისაც იქნა შემოღებული
სასჯელი, იმასაც, ვის გამოც შემოიღეს კანონი და ვის გამოც
აშენდა ციხე. დანაშაული მით უფრო მძიმეა, რაც უფრო მხე-
ცურია ის. მით უმეტეს, თუ ის წინასწარგანზრახულია და თუ
მსმენელებში უფრო საშინელების განცდას იწვევს, ვიდრე სიბ-
რალულისას.

ორატორის საქმეა აგრეთვე იმის განსჯა, დამნაშავემ ბევრ-
ჯერ დაარღვია თუ არა ან არ დაიცვა კანონი. მაგალითად, არ
შეასრულა ფიცი, ხელშეკრულება, თავდებობა და ოჯახური
ურთიერთობანი, რადგან ასეთ შემთხვევაში მრავალი უსამარ-
თლობა ხდება.

დანაშაული მძიმდება იმითაც, თუ იგი ჩადენილია იქ, სა-
დაც დამნაშავეებს სჯიან. ასე იქცევიან ხოლმე ცრუმოწმენი.
სად შეიკავებენ ისინი თავს უსამართლობისაგან, თუ სასამართ-
ლოშიც სჩადიან მას? აგრეთვე ის დანაშაულია განსაკუთრებით
მძიმე, რომელიც ძალზე სამარცხვინოა. მით უმეტეს, თუ ის
ჩადენილია ქველმოქმედის წინააღმდეგ.

დანაშაულს ამძიმებს ის გარემოება, რომ დამნაშავე სჩა-
დის ბოროტებას და არა სიკეთეს, რომ დანაშაული მიმართუ-
ლია დაუწერელი კანონის წინააღმდეგ, რადგან უკეთესია სა-
მართლიანი იყო ნებაყოფლობით. დაწერილ კანონებს ასრუ-
ლებენ იძულებით, დაუწერელს არა. მეორეს მხრივ, დანაშა-
ული იზრდება იმით, რომ ადამიანი დაწერილ კანონებს არღ-
ვევს, რადგან ვინც საშინელი დანაშაული ჩაიდინა, რასაც შე-

დეგად სასჯელი მოსდევს, ის იმ უსამართლობასაც ჩაიდენს, რომელსაც არ მოსდევს სასჯელი.

ამრიგად, უკვე ვილაპარაკეთ დიდ და მცირე დანაშაულებათა შესახებ.

15

იმათგან, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, უნდა შევჩერდეთ სამოსამართლო მეცნიერებაში გამოსადეგ ბუნებრივ საბუთებზე[1]. მათი რიცხვი ხუთია: კანონები, მოწმეები, ხელშეკრულებები, წამების დროს მიცემული ჩვენებები და ფიცი.

პირველ ყოვლისა, შევეხოთ კანონებს, თუ როგორ გამოვიყენოთ ისინი აკრძალვისა და წაქეზების, ბრალდებისა და დაცვის დროს. ცხადია, რომ თუ დაწერილი კანონი ჩვენ საქმეს ეწინააღმდეგება, უნდა ვისარგებლოთ ზოგადი კანონით და მიზანშეწონილების მოსაზრებით, რომელიც მეტ სამართლიანობას შეიცავს. ამრიგად, უფრო გონივრული იქნება, თუ დაწერილ კანონს ზუსტად არ დავიცავთ, რადგან მიზანშეწონილება მუდმივია და არასოდეს არ იცვლება. ასევე ზოგადი კანონიც, რადგან ის ბუნებას შეესაბამება. დაწერილი კანონი კი ხშირად იცვლება.

სოფოკლეს „ანტიგონეში“ ანტიგონე თავს იმით იმართლებს, რომ მან დამარხა ძმა არა დაუწერელი კანონის, არამედ
1375b კრეონტის კანონის წინააღმდეგ: „დაუწერელი კანონი მხოლოდ გუშინ და დღეს კი არ არსებობს, არამედ მუდამ, მას ვერ დაარღვევ ვერვის ბრძანებით“...[2]

სამართლიანობა არის ის, რაც ჭეშმარიტია და სასარგებლო, მაგრამ ის ასეთია არამოჩვენებით. ამრიგად, დაწერილი კანონი ასეთი ვერ იქნება, რადგან იგი კანონის დანიშნულებას ვერ ასრულებს. მოსამართლე კი ვერცხლის მსინჯავს ჰგავს. რომელმაც უნდა გაარჩიოს ყალბი და ჭეშმარიტი სამართალი. კარგ ადამიანებს შეშვენით სარგებლობდნენ უფრო დაუწერელი, ვიდრე დაწერილი კანონით.

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, დაწერილი კანონი ხომ არ ეწინააღმდეგება ყველასგან მიღებულ კანონს, ან თავის თავს. მაგალითად, ზოგიერთი კანონის მიხედვით, კარგია ხელ-

შეკრულების დაცვა, ზოგი კანონი კი კრძალავს ისეთი ხელშეკრულების დადებას, რაც კანონს ეწინააღმდეგება. მაგრამ თუ კანონი სადავოა, საჭიროა შევატრიალოთ ის და დავაკვირდეთ, თუ როგორ წარმართოთ, რათა ან სამართლიანობას შეესაბამებოდეს, ან სარგებლობას. თუ ის პირობები, რომლის გამო შემოღებული იქნა კანონი, აღარ არსებობს, კანონი კი არსებობას განაგრძობს, უნდა შევეცადოთ გავარკვიოთ მდგომარეობა და იგი კანონის წინააღმდეგ გამოვიყენოთ. როდესაც დაწერილი კანონი საქმის ვითარებას არ ეწინააღმდეგება, მაშინ გამოთქმა — „ვხელმძღვანელობ საღი მოსაზრებით" — ნიშნავს არა კანონის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანას, არამედ იმას, რომ თუ მოსამართლემ კანონის შინაარსი არ იცის, ფიცი არ გატეხოს.

არავინ ირჩევს აბსოლუტურ სიკეთეს, არამედ იმ სიკეთეს, რომელიც მისთვისაა სიკეთე. არავითარი განსხვავება არაა კანონების არქონებასა და მათ გამოუყენებლობას შორის. სხვა ხელოვნებაში არავითარი სარგებლობა არ მოაქვს იმას, თუ ვინმე ექიმებზე ჭკვიანი გამოჩნდება, რადგან ექიმების შეცდომას ისეთი დიდი ზიანი არ მოაქვს, რამდენიც ხელმძღვანელობისადმი დაუმორჩილებლობას. ამიტომ კანონებზე უფრო ბრძნად გამოჩენის ცდა აკრძალულია აღიარებული კანონებით.

აი, ის განსაზღვრებები, რაც გვინდოდა მოგვეცა კანონების შესახებ.

რაც შეეხება მოწმეებს, ისინი ორგვარია: ძველი და ახალი[3]. ამ უკანასკნელთაგან ზოგს მოელის საფრთხე, ზოგს არა. ძველებში მე ვგულისხმობ პოეტებსა და სხვა ცნობილ პირებს, რომელთა შეხედულებები საყოველთაოდ ცნობილია. მაგალითად, ათენელები სალამინზე დავის დროს[4] იყენებდნენ ჰომეროსს. ტენედოსელებმა კი სიგეიონელთა წინააღმდეგ ახლახანს პერიანდრე კორინთელი გამოიყენეს[5]. ასევე კლეოფონტი კრიტიას[7] წინააღმდეგ იყენებდა სოლონის ელეგიებს იმის დასამტკიცებლად, რომ მისი სახელი თავიდანვე ცნობილი იყო უზნეობით, წინააღმდეგ შემთხვევაში სოლონი არ იტყოდა:

„უთხარით ჩემს წითელთმიან კრიტიასს, დაუჯეროს მამას".

ასეთია ცნობები გარდასულ დროთა შესახებ. რაც შეეხება მომავალს, ამ შემთხვევაში შეიძლება წინასწარმეტყველთა 1376a

გამოყენება. მაგალითად, თემისტოკლე ამბობს: ხის გამაგრებული კედელი ზღვაზე ბრძოლას ნიშნავსო[8]. გარდა ამისა, როგორც ითქვა, ანდაზაც საბუთს წარმოადგენს. მაგალითად, თუ ვინმე რჩევას იძლევა იმის თაობაზე, რომ მოხუცს არ დაუმეგობრდნენ, ამას შემდეგი ანდაზით ასაბუთებს: „მოხუცს არასოდეს გაუწიო სიკეთე". ხოლო ვინც ურჩევს იმას, ვინც მამები მოსპო, შვილებიც მოსპოს, იყენებს ანდაზას:

„უგნურია ის, ვინც მამები მოსპო, შვილები კი დატოვა"[9].

ახალი საბუთებია ცნობილი ადამიანების გამონათქვამები, რაც გამოადგებათ იმათ, რომლებიც ამავე საკითხებზე დაობენ. მაგალითად, ევბულემ სასამართლოში ქარეტის წინააღმდეგ გამოიყენა პლატონის სიტყვები, თქმული არქიბიონის წინააღმდეგ[10]: „მისი საქციელით ქალაქში უზნეობა გაძლიერდა". ახალი მოწმენი არიან ისინიც, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ყალბ ჩვენებაში, რის გამოც მათ საფრთხე მოელით. მათ შეუძლიათ მხოლოდ იმის დადასტურება, იყო თუ არა ქმედობა, მაგრამ არა იმისა, თუ როგორია ის, სამართლიანი თუ უსამართლო, სასარგებლო თუ უსარგებლო. ამაზე ისინი არაფერს ამბობენ. ამ საკითხებში სანდონი არიან ისინი, რომელნიც შორს დგანან ამ საქმეთაგან. სანდონი არიან ძველი მოწმენი, რადგან მოუსყიდველნი არიან.

როდესაც არა გვაქვს საბუთები მოწმეთა ჩვენებების მართებულობის შესახებ, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს ვარაუდით, რასაც „საღი აზრი" ეწოდება. იგი არ შეიძლება ქრთამით მოსყიდულ იქნეს, ან ცრუ მოწმეებით დასაბუთებული. საბუთების მქონეს საბუთების არმქონემ უნდა უთხრას, რომ ვარაუდის გამოთქმა დანაშაული არაა და თუ მსჯელობითაც შეიძლება დასაბუთება, მაშინ მოწმეები აღარაა საჭირო.

საბუთები კი შეიძლება იყოს როგორც ორატორის, ისე მოწინააღმდეგის სასარგებლო, შეიძლება ეხებოდეს ან საქმეს, ან ორატორის თვისებებს. ასე რომ, ცხადია, გამოსადეგი საბუთების ნაკლებობა არ გვექნება. თუ საბუთები არ ეხება საქმეს ან თვით ორატორს, ან მოწინააღმდეგის მსჯელობის დარღვევას, ისინი მოქმედების მიზანშეწონილების, ხოლო მოწინა-

აღმდეგის უვარგისობის დასახასიათებლად მაინც გამოდგება.

სხვა მოსაზრებებზე მოწმის შესახებ, რომელიც მეგობრულად, ან მიუკერძოებლადაა განწყობილი და კარგ ან ცუდ, ანდა მიუმხრობელის სახელს იმსახურებს, ასევე სხვა ამდაგვარ სხვაობათა შესახებ მსჯელობაში იმ ტოპებს დავეყრდნობით, საიდანაც ეთიმემებს ვიღებთ[11].

რაც შეეხება ხელშეკრულებებს, იქ ასეთივე მსჯელობა გამოდგება იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იქნება რაიმეს მნიშვნელობის გადიდება ან უარყოფა, რაიმეში დარწმუნება ან გადარწმუნება. თუ ეს ჩვენთვის გამოსადეგია, სარწმუნოდ და კანონიერად უნდა წარმოვადგინოთ, მაგრამ თუ მოწინააღმდეგისათვის არის სასარგებლო, მაშინ პირიქით უნდა მოვიქცეთ. 1376b

ხელშეკრულების სარწმუნოების ან არასარწმუნოების შესახებ მსჯელობა არაფრით განსხვავდება მოწმეების შესახებ მსჯელობისაგან. რამდენადაც სანდოა ის, ვინც ხელს აწერს ან იცავს ხელშეკრულებას, ასეთივე იქნება ხელშეკრულებაც. თუ ხელშეკრულება უკვე ძალაშია და ჩვენი სასარგებლოა, ორატორმა მისი მნიშვნელობა უნდა გაზარდოს იმის მტკიცებით, რომ ხელშეკრულება არის თავისებური კანონი, ან ნაწილობრივი კანონი. ხელშეკრულებები არ ამტკიცებენ კანონს, კანონები კი ამტკიცებენ ხელშეკრულებებს, რომლებიც კანონებს შეესაბამებიან. ზოგადად რომ ვთქვათ, კანონიც თავისებური ხელშეკრულებაა. ასე რომ, ვისაც ხელშეკრულებისა არ სწამს, ან არღვევს მას, ის კანონებს უარყოფს. გარდა ამისა, ურთიერთობათა და ნებაყოფლობით მოქმედებათა მეტი წილი ემყარება ხელშეკრულებას. ასე რომ, როდესაც ისინი ძალას კარგავენ, მაშინ ადამიანთა შორის ურთიერთობაც ირღვევა.

ყოველივე სხვაც, რაც ამ საკითხებს ეხება, შეიძლება ადვილად გავარკვიოთ. მაგრამ თუ კანონი ჩვენი საწინააღმდეგოა, მაგრამ მოწინააღმდეგისათვის სასარგებლო, მაშინ, პირველ ყოვლისა, უნდა გამოვიყენოთ ის საბუთები, რაც მას უარყოფს. მაგალითად, უაზრობა იქნებოდა შეგვესრულებინა კანონები, რომელიც არასწორად არის შედგენილი, მათი შემდგენლების შეცდომის გამო. ხელშეკრულებები კი აუცილებ-

ლად უნდა დავიცვათ. გარდა ამისა, რადგან სიმართლეს მოსამართლე ადგენს, ამიტომ იგი უნდა იცავდეს არა კანონს, არამედ სიმართლეს. სიმართლეს კი ვერ შეატრიალებ ვერც სიცრუით და ვერც იძულებით, რადგან ის ბუნებრივია, კანონით კი შეიძლება ადამიანის მოტყუებაცა და იძულებაც.

გარდა ამისა, ორატორმა უნდა დაადგინოს ისიც, ეწინააღმდეგება თუ არა ხელშეკრულება რომელიმე დაწერილ ან ზოგად კანონს, ადგილობრივს ან უცხოს, ან სხვა ხელშეკრულებას, ადრინდელს ან მოგვიანოს. მოგვიანო კანონები უფრო ძლიერნი არიან, ადრეულნი — სუსტნი, ადრეულნი უფრო მეტად სწორნი არიან, მოგვიანონი ნაკლებ. ამათგან ორატორმა უნდა გამოიყენოს ის, რაც მისთვის უფრო ხელსაყრელია. შემდეგ, ორატორმა ყურადღება უნდა მიაქციოს სარგებლობას, რომელიც მოაქვს ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ეწინააღმდეგება მოსამართლის ინტერესებს და სხვა ამდაგვარს. ყოველივე დანარჩენზე ადვილია მსგავსი მსჯელობა.

წამებით მიღებული ჩვენებებიც ერთგვარი საბუთია. მასაც ენდობიან, რადგან ისიც რაღაც აუცილებელს შეიცავს. ამის შესახებ შესაბამისი მსჯელობის წარმოება ძნელი არ არის. თუ ის ჩვენთვის სასარგებლო საბუთებს შეიცავს, ის უნდა გააზვიადოს ორატორმა და თქვას, რომ საბუთებიდან ყველაზე მეტად ჭეშმარიტი ეს არის. მაგრამ თუ წამებით მიღებული მოწმობა ჩვენ გვეწინააღმდეგება, ჩვენს მოწინააღმდეგეს კი
1377a ეხმარება, უნდა უარვყოთ მისი ჭეშმარიტება და ვილაპარაკოთ საერთოდ, წამებით მიღებული ჩვენებების ღირებულებაზე. წამების დროს ერთნაირად ამბობენ როგორც ჭეშმარიტებას, ისე სიცრუეს: ვინც ტანჯვას უძლებს, სიმართლეს მალავს, ზოგი კი წამების შესაჩერებლად ადვილად ცრუობს. საჭიროა ორატორმა გამოიყენოს ისეთი ფაქტები, რაც მოსამართლეებისათვისაც ცნობილია. საჭიროა იმის მტკიცება, რომ წამებით სიმართლეს არ ამბობენ, რადგან მრავალ გონებაჩლუნგს, მაგრამ სქელკანიანსა და ძლიერი ნებისყოფის მქონეს შეუძლია ღირსეულად გაუძლოს იძულებას, ხოლო მხდალნი და ფრთხილნი, სანამ წამებას დაიწყებდნენ, მანამდე უკვე გაუჯბიან მას. ასე რომ, წამებით მიღებულ ჩვენებებში არაფერია სარწმუნო.

უნდა განვასხვავოთ ფიცის ოთხი სახე: 1. ერთი მხარე იცავს და მეორე მხარისაგანაც მოითხოვს ამას, 2. არ იცავს ფიცს არც ერთი მხარე, 3. ერთი მხარე იცავს, მეორე არა, 4. სხვისგან მოითხოვს დაცვას, თვითონ კი არ იცავს, ანდა პირიქით. ამას გარდა, არსებობს ფიცის სხვა სახეებიც. მაგალითად, ფიცი შეიძლება ადრე იყოს დადებული ან ერთი, ან მეორე მხარისაგან. ხშირად ფიცს არ სდებენ იმ საბაბით, რომ ადვილია ცრუ ფიცი. ამიტომ ერთნი ფიცს დებენ, მაგრამ სხვისგან არ მოითხოვენ. მეორენი არ დებენ ფიცს იმ იმედით. რომ შედეგს სასამართლოს საშუალებით მიაღწევენ. ამიტომ დიდია საშიშროება სასამართლოში, სადაც ერთ მხარეს ენდობიან, მეორეს კი არა.

შეიძლება ფიცი არ დადო, როცა ფიცის დადებას ქონების მიღება მოსდევს. ამ შემთხვევაში ფიცს დებს ცუდი ადამიანი, რადგან მისთვის უკეთესია ცუდი იყოს რაიმე მიზნით, ვიდრე უმიზნოდ. თუ დაიფიცებს, რაღაც ერგება, არ დაიფიცებს და არაფერს არ მიიღებს. ამ შემთხვევაში ფიცზე უარის თქმა არის მორალური მოქმედება და არა ფიცის გატეხვის შიში. როგორც ქსენოფანე აღნიშნავს[12], სწორი არაა, როცა ულმერთოს მორწმუნე იწვევს ფიცის დასადებად ისევე, როგორც ძლიერი სუსტს იწვევს ჩხუბში. თუ ფიცის პირობებს იღებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას თავისი თავის იმედი აქვს, მოწინააღმდეგისა კი არა. თუ ქსენოფანეს ნათქვამს შევატრიალებთ, მივიღებთ, რომ ურწმუნო იწვევს, მორწმუნე კი ფიცავს. ცუდი იქნებოდა, თუ ის ფიცის დადებას არ მოინდომებდა, რადგან ფიცის დადებას მოსამართლეებსაც კი ვთხოვთ. თუ სხვისგან ფიცის დადებას მოვითხოვთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს წმინდა საქმეა, რადგან ღმერთებს შივანდობთ მას. სხვა მოსამართლეები კი აღარ არის საჭირო, რადგან ფიცის დამდებს მივანდეთ საქმის გადაწყვეტა, ამიტომ შეუსაბამო იქნებოდა, რომ მას არ სურდეს ფიცის დადება, რასაც ყველასგან მოვითხოვთ.

რადგან ცხადია, თუ როგორ უნდა ვილაპარაკოთ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, აქედან ცხადი გახდება ისიც, თუ როგორ უნდა ვილაპარაკოთ შემთხვევათა დაწყვილებისას: მაგალითად, 1. ვინმეს სურს, რომ მეორე მხარემ ფიცი დადოს, თვითონ კი არ ჰფიცავს, 2. თვითონ დებს ფიცს, სხვისგან კი არ მოითხოვს. 3. თვითაც სურს ფიცის დადება და სხვისგანაც

მოითხოვს, 4. არც ერთი არ სურს. ეს დასკვნები ზემოთქმული-
1377b დან გამომდინარეობს. ასე რომ, კანონიც ზემოთქმულის მი-
ხედვით უნდა დავადგინოთ.

თუ კაცმა ახალი ფიცი დადო, ადრე დადებულის საწინააღმდეგო, ორატორმა უნდა თქვას, რომ ეს ფიცის გატეხვა არაა, რადგან უსამართლობაა წინასწარგანზრახული მოქმედება. ფიცის გატეხვაც უსამართლობაა, მაგრამ იძულებით და ცთუნებით მოქმედება უნებური მოქმედებაა. აქედან გამომდინარეობს, რომ ფიცის გატეხვა არის წინასწარგანზრახული მოქმედება და არა სიტყვიერი ფიცის გატეხვა. თუ მოწინააღმდეგემ გატეხა ფიცი, უნდა ვთქვათ, რომ ის სპობს ყველაფერს, იმასაც კი, რაზეც დაიფიცა. ამიტომაც მოსამართლენი მხოლოდ ფიცის დადების შემდეგ იყენებენ ხოლმე კანონს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიტყვით: „ისინი მოითხოვენ თქვენგან, რომ სამართალს ქმნიდეთ ფიცის დადების შემდეგ. თვითონ კი არ ასრულებენ ფიცს“. ასევე უნდა გამოვიყენოთ სიტყვის გაზვიადების სხვა ხერხებიც.

აი, ყველაფერი ის, რაც გვინდოდა გვეთქვა ბუნებრივი საბუთების შესახებ.

წიგნი მეორე

1

აი, მასალები, რითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ რჩევისა და აკრძალვის, ქებისა და ძაგების, ბრალდებისა და დაცვის დროს და ის მოსაზრებები და წანამძღვრები, რაც ამის დასასაბუთებლად გამოდგება. ამის შესახებ და ამათგანვე მიიღება ენთიმემები, რაც სიტყვის ყოველ ცალკეულ გვარში თავისებურად გამოითქმის. რადგან რიტორიკის მიზანია რაღაც გადაწყვეტილების მიღება (სათათბირო სიტყვასაც რაღაც გადაწყვეტილება მოსდევს შედეგად და სამართალიც რაღაც გადაწყვეტილებაა), ამიტომ აუცილებლად ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სიტყვა დასაბუთებული და დამაჯერებელი იყოს და იმასაც, თუ როგორია ორატორი და როგორ გავლენას ახდენს ის მოსამართლეზე. იმისათვის, რომ სათათბირო და აგრეთვე სამოსამართლო სიტყვა დამაჯერებელი იყოს, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს ორატორი მსმენელებზე. მსმენელნი ამ შთაბეჭდილების მიხედვით განეწყობიან მის მიმართ. შთაბეჭდილებას, რომელსაც ორატორი ახდენს, დიდი მნიშვნელობა აქვს სათათბირო სიტყვებში, ხოლო მსმენელთა განწყობას — სამოსამართლო სიტყვებში. როგორც ჩანს, გაბრაზებულსა და დამშვიდებულ კაცს უყვარს 1378a
და სძულს არა ერთი და იგივე, არამედ სრულიად განსხვავებული, ან დიდად განსხვავებული საგნები. ვინც უყვართ, ჰგონიათ, რომ ის სრულიად უდანაშაულოა, ან მცირედ დამნაშავეა, ხოლო საძულველ კაცზე პირიქით ფიქრობენ. ადამიანს, რომელიც რაიმესკენ მიისწრაფვის და მისი მიღწევის იმედიც აქვს, ჰგონია, რომ თუ მას მიაღწევს, ის სასიამოვნოც იქნება და სასარგებლოც. ხოლო ვინც გულგრილია და არც მიღწევის იმედი აქვს, პირიქით ფიქრობს.

მიზეზი იმისა, რის გამოც ვენდობით ორატორს, სამია. ეს ის მოვლენებია, როცა გვჯერა ორატორისა დასაბუთების გარეშე: გონიერება, სათნოება და კეთილგანწყობილება. ორატორები ცდებიან ყველა ამ მიზეზის, ან რომელიმე ამათგანის გამო. მსჯელობის ან რჩევის საგანზე ადამიანებს სწორი თვალსაზრისი არა აქვთ ან უგუნურების გამო, ანდა, მართალია, სწორი თვალსაზრისი აქვთ, მაგრამ უზნეობის გამო არ ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ. ანდა გონიერნიც არიან და ზნეობრივნიც, იციან ავიც და კარგიც, მაგრამ არ არიან რა კეთილგანწყობილნი, კარგს მაინც არ ურჩევენ. ამათ გარდა სხვა შემთხვევა არ არსებობს. აი ყველაფერი ის, რაც ჩვენი აზრით, სიტყვას მსმენელისათვის დამაჯერებელსა ხდის. ხოლო იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ორატორი გონიერი და დარბაისელი ჩანდეს, ამოვიკითხავთ იქ, სადაც ლაპარაკია სათნოების შესახებ; იქ შეიძლება გავიგოთ, თუ როგორ შევამზადოთ როგორც სხვა, ისე ჩვენი თავი ამისათვის. ხოლო კეთილგანწყობილებასა და მეგობრობას ვეხებით იქ, სადაც ვმსჯელობთ ვნებების თაობაზე.

ვნება არის ის, რის ცვალებადობის შედეგად ადამიანის გადწყვეტილებებიც იცვლება და რასაც თან სდევს ან ტანჯვა ან სიამოვნება, როგორიცაა. რისხვა, სიბრალული, შიში და სხვა ამდაგვარი და მათი საწინააღმდეგო მოვლენები. ყოველ მათგანში უნდა გავარჩიოთ სამი მხარე. კერძოდ, რისხვაში უნდა გავარკვიოთ: 1. როგორ მდგომარეობაში ბრაზობს ადამიანი, 2. ვისზე ბრაზობს და 3. რა მიზეზით, თუ ამათგან ადგილი აქვს ან ერთ ან ორ მხარეს და არა ყველა ზემოჩამოთვლილს, რისხვა არ წარმოიქმნება. ასევეა სხვა ვნებებში. როგორც ზემომოტანილ შემთხვევებს დავუძებნეთ წანამძღვრები[2], ასევე მოვიქცეთ აქაც და ესენიც ზემომოტანილი ხერხით განვიხილოთ.

2

განვსაზღვროთ რისხვა, როგორც ვნება, რომელსაც თან სდევს მოჩვენებითი ტანჯვა შურისძიების სურვილის გამო, რაც გამოწვეულია იმ უგულებელყოფით, რასაც არ ვიმსახურებთ არც ჩვენ და არც ჩვენი მახლობლები. თუ სიბრაზის

განსაზღვრება ესაა, აუცილებელია, რომ გაბრაზებული ბრაზობდეს არა ზოგად ადამიანებზე, არამედ რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაზე. მაგალითად, კლეონზე[1], რომელმაც ან მას, ან მის შანლობლებს რაიმე დაუშავა, ან აპირებდა დაეშავებინა. ყოველგვარ ბრაზს თან ახლავს რაიმე სიამოვნება, გამოწვეული შურისძიების იმედით, რადგან სასიამოვნოა წარმოდგენა, რომ მიაღწევ იმას, რისკენაც მიისწრაფვი. არავინ არ მიისწრაფვის იმისკენ, რაც მიუღწეველი ჰგონია. განრისხებულიც იმისკენ მიისწრაფვის, რისკენ მიღწევაც შესაძლებელია. ამიტომ მშვენივრად არის ნათქვამი სიბრაზის თაობაზე:

„ის ბევრად უფრო ტკბილია, ვიდრე თაფლი,
ის სწრაფად იზრდება ადამიანთა გულებში“[2].

სიბრაზე იწვევს ერთგვარ სიამოვნებას, როგორც ამიტომ, ისე იმიტომ, რომ ადამიანები შურისძიების იმედით ცოცხლობენ. ამ დროს წარმოქმნილი წარმოდგენა ისეთსავე სიამოვნებას იწვევს, როგორც სიზმრის ხილვა.

სიძულვილი არის ჩვენი წარმოდგენის ძალა, მიმართული იმის წინააღმდეგ, ვისაც სავსებით უღირსად ვთვლით, რადგან ყურადღების ღირსად მიგვაჩნია ბოროტება და სიკეთე და ის, ვინც მათკენ მიისწრაფვის. ამიტომ მას, რაც უმნიშვნელოა, ან მცირე, არავითარ ღირებულებას არ ვაძლევთ. სიძულვილის სამი სახე არსებობს: ზიზღი, მუქარა და შეურაცხყოფა. ვისაც ეზიზღება, მას სძულს კიდეც, რადგან, ვინც სრულიად უღირსად მიაჩნიათ, ის ეზიზღებათ კიდეც. მუქარა ხელს უშლის არა საკუთარი, არამედ სხვისი მიზნების განხორციელებას, ე. ი. ადამიანი მიზნად არ ისახავს რაიმე სარგებლობას, როდესაც მოწინააღმდეგე სძულს. ცხადია, მისი წარმოდგენით, მოწინააღმდეგეს მისთვის ზიანის მიყენება არ შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ექნებოდა მოწინააღმდეგის მიმართ შიშის და არა სიძულვილის გრძნობა. იგი მოწინააღმდეგისაგან არ მოელის არც რაიმე სარგებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეეცდებოდა მასთან დამეგობრებას.

სძულს იმასაც, ვინც შეურაცხყოფს, რადგან შეურაცხყოფა ნიშნავს მოწინააღმდეგისათვის როგორც ზიანის მიყენებას, ისე შეწუხებას, რის გამოც მოწინააღმდეგე სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამას სჩადის ის არა რაიმე მოგების

მიზნით, არამედ მხოლოდ სიამოვნებისათვის. ხოლო ის, ვინც შურს იძიებს, კი არ შეურაცხყოფს მოწინააღმდეგეს, არამედ სჯის მას. სხვისი შეურაცხყოფით სიამოვნებას იწვევს იმის წარმოდგენა, რომ მოწინააღმდეგის დამცირებით თითქოს მასზე მაღლა დგებიან. ამიტომ შეურაცხყოფენ სხვას როგორც ახალგაზრდები, ისე მდიდარი მოქალაქენი, რადგან ფიქრობენ, რომ ამით შეურაცხყოფილზე მაღლდებიან.

შეურაცხყოფა ნიშნავს უპატივცემულობას. ხოლო ვისაც პატივს არ სცემენ, ის სძულთ კიდეც. ხოლო ვისაც არავითარი ღირსება არა აქვს, ის არც პატივისცემის ღირსია, ამიტომ ამბობს გაბრაზებული აქილევსი:

„მან შეურაცხმყო, ჯილდო კი თან წაიღო, ვითარც ნადავლი!"[3]

ანდა

„შეურაცხმყო, ვით ვინმე უღირსი მაწანწალა"[4].

ესაა მისი რისხვის მიზეზი. ადამიანები ფიქრობენ, რომ ან
1379a წარმოშობით, ან უნარით, ან სათნოებით, ან საერთოდ, რაიმეთი დაბლა მდგომთ ჰმართებთ მათზე მაღლა მდგომთა პატივისცემა. მაგალითად, ქონების საკითხში ღარიბნი პატივს უნდა სცემდნენ მდიდრებს, მეტყველების საკითხში, არამჭევრმეტყველნი მჭევრმეტყველთ, ქვეშევრდომნი მმართველს და ქვეშევრდომობის ღირსნი იმათ, ვინც მმართველობის ღირსი ჰგონიათ. ამიტომაა ნათქვამი:

„დიდია ზევსის ნაშიერ მეფეთა რისხვა"[5]

და ქვემოთ:

„ის შემდეგშიაც ატარებდა გულში ბრაზს"[6].

ადამიანები ბრაზობენ საკუთარი უპირატესობის შეგრძნების გამო. მრისხანენენ ისინიც, რომლებიც ვარაუდობენ, რომ სიკეთე უნდა მიუზღონ იმათ, ვისაც თვით გაუწიეს სიკეთე, ანდა ახლაც უწევენ, ან სურდათ სიკეთის გაწევა ან თვითონ მისთვის, ან მისი მეშვეობით რომელიმე მახლობელისთვის.

აქედან უკვე ცხადია, თუ რა მდგომარეობაში, ვისზე და რატომ ბრაზობენ ადამიანები. ადამიანები ბრაზობენ მაშინ, როდესაც იტანჯებიან და ამიტომ რაიმესკენ ისწრაფვიან,

მაგრამ მათ მისწრაფებას რაიმე აბრკოლებს. მაგალითად, თუ მწყურვალს წყურვილის მოსაკლავად უშუალოდ ან არაუშუალოდ უშლის რაიმე ხელს, ეს ერთნაირ დაბრკოლებად მიაჩნია. კაცი ბრაზობს ყველაზე, ვინც მას ხელს უშლის, არ ეხმარება, ან სხვაგვარად აწუხებს. მაშასადამე, ავადმყოფნი, ღარიბნი, შეყვარებულნი, მწყურვალნი და საერთოდ, შეპყრობილნი რაიმე სურვილით, რომელსაც ვერ იკმაყოფილებენ, გაღიზიანებადნი და სწრაფად აღგზნებადნი არიან იმ მდგომარეობის გამო, რომელიც მათ აწუხებთ: ავადმყოფნი ავადმყოფობის გამო, მეომარნი ომის გამო, შეყვარებულები სიყვარულის გამო, ასევე სხვა შემთხვევებშიც. თითოეულ მათგანში გზას იკაფავს სიბრაზის ის სახე, რომლისათვისაც ნიადაგი შეამზადა მათში არსებულმა ვნებამ. ადამიანებში ბრაზს იწვევს ისიც, თუ მოსალოდნელის საწინააღმდეგო რამ შეემთხვევათ და მით უფრო მეტად იტანჯებიან, რაც უფრო მეტად ეწინააღმდეგება იგი მათ წარმოდგენას. ისევე, როგორც ახარებთ მოლოდინის საწინააღმდეგო იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ის, რაც მათ სურდათ. აქედან ცხადია დრო, ადგილი, მდგომარეობა და ასაკი, როცა ადამიანები ადვილად ბრაზობენ. აგრეთვე ისიც, თუ სად, როდის და რატომ ბრაზობენ უფრო მეტად, ხოლო ბრაზობენ იმათზე, რომლებიც ხუმრობენ, დასცინიან და ამასხარავებენ მათ, რადგან ეს შეურაცხყოფაა. ბრაზობენ იმათზეც, რომლებიც ისეთ ზიანს აყენებენ, რაც შეურაცხყოფად ითვლება. ასეთივეა აგრეთვე ის მოქმედება, რაც არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული და არც რაიმე სარგებლობა მოაქვს. საეარაუდოა, რომ ესეც სიძულვილის გამოვლენაა. განსაკუთრებით ბრაზობენ იმაზე, ვინც ცუდს ამბობს, ანდა არაფრად აგდებს იმ საქმიანობას, რაშიც განსაკუთრებული გულმოდგინებით მოღვაწეობენ ადამიანები. მაგალითად, ფილოსოფიაში მომუშავისათვის შეურაცხყოფაა ფილოსოფიის უგულებელყოფა, ანდა იდეებზე მომუშავისათვის იდეების უარყოფა[7]. ასევე სხვა შემთხვევებშიც. განსაკუთრებით კი მაშინ ბრაზობენ, როდესაც ეჭვობენ, რომ მათ სრულიად არ ახასიათებთ ის, რასაც მათ მიაწერენ ან ახასიათებთ უმნიშვნელოდ, ანდა ჰგონიათ, რომ მათ ეს თვისება არ აქვთ. მაგრამ როდესაც სავსებით დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი 1379b
ამ საქმიანობას ეწევიან, სრულიად არავითარ მნიშვნელობას არ

აძლევენ მას. მეგობრებზე უფრო მეტად ბრაზობენ. ვიდრე უცხოებზე, რადგან ფიქრობენ, რომ მეგობრებისაგან უფრო სიკეთეს უნდა მოელოდნენ, ვიდრე ბოროტებას. ბრაზობენ იმათზეც, რომლებისაგანაც ჩვეულნი არიან პატივისცემას ან ზრუნვას, თუ ეს უკანასკნელნი ისე აღარ იქცევიან, როგორც უწინ. ამიტომ ფიქრობენ, რომ ამათაც შეიძულეს ისინი, თორემ ძველებურად მოიქცეოდნენ. ვბრაზობთ იმაზეც, ვინც სიკეთეს სიკეთით არ გვიხდის და ისე არ გვექცევა, როგორც ჩვენ ვექცევით. ვბრაზობთ იმათზეც, რომლებიც გვეწინააღმდეგებიან, თუმცა ჩვენზე დაბლა დგანან. ყველა ამათ ჩვენ ვძულვართ, რადგან მათზე დაბლა მდგომნი ვგონივართ და ფიქრობენ, რომ ჩვენგან, ე. ი. მათზე დაბლა მდგომთაგან, იღებენ ქველმოქმედებას. უფრო მეტად მაშინ ვბრაზობთ, როცა ანგარიშს არ გვიწევენ და თვითონ კი ჩვენზე დაბლა დგანან. ჩვენზე დაბლა მდგომთ კი არ შეშვენით ჩვენი აბუჩად აგდება. უფრო მეტად ვბრაზობთ იმათზე, რომლებიც არც უგულებელგვყოფენ ჩვენ. და არც ჩვენ სასარგებლოდ მოქმედებენ. უფრო მეტად კი იმაზე ვბრაზობთ, ვინც დაუმსახურებლად შეურაცხგვყოფს. დაბლა მდგომთ კი არ შეჰფერით მაღლა მდგომთა შეურაცხყოფა. ვბრაზობთ მეგობრებზე, როცა არც სიკეთეს გვიწევენ და არც კარგს ამბობენ ჩვენზე. უფრო მეტად ვბრაზობთ მაშინ, როცა გვეწინააღმდეგებიან და არა გრძნობენ, თუ რა გვჭირდება. აი, როგორც ანტიფონტის პლექსიპე ბრაზობს მელეაგრეზე[8]. ვინც სხვას უგულებელყოფს, ვერ ამჩნევს იმას, ვისაც უგულებელყოფს, რადგან, ვისზეც ვზრუნავთ, არასოდეს არ გვავიწყდება. ვბრაზობთ იმათზეც, რომლებსაც ახარებთ ჩვენი უბედურება და რომლებიც კარგად გრძნობენ თავს ჩვენი უბედურების ჟამს. ეს კი ნიშნავს ან ჩვენდამი მტრობას, ან სიძულვილს. ვბრაზობთ იმაზე, ვინც სრულებით არ ფიქრობს, რომ გვტანჯავს. ვბრაზობთ იმათზეც, ვისაც ჩვენთან ავი ამბები მოაქვთ, იმათზეც, რომლებიც ჩვენს შესახებ ცუდს ისმენენ, ანდა ჩვენი აუგის მოწმენი არიან, რადგან ისინი ჰგვანან ჩვენს მტრებს, ანდა იმათ, ვისაც ვძულვართ. მეგობრები კი თანაგვიგრძნობენ და იტანჯებიან, როცა ჩვენს ცუდს ხედავენ. ვბრაზობთ იმათზე, რომლებიც პატივს არ გვცემენ ხუთი გვარის პირებთან მიმართებაში: 1. ვისთანაც ემეტოქეობთ, 2. რომლებითაც აღტაცებულნი ვართ, 3. ვინც გვსურს ჩვენით ბუ-

ვნენ აღტაცებულნი, 4. ვისიც გვრცხვენია, 5. რომლებსაც ჩვენი რცხვენიათ. უფრო მეტად ვბრაზობთ მაშინ, თუ პატივს არ გვცემენ ამ ადამიანების თანდასწრებით. ვბრაზობთ იმათზეც, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ იმ ადამიანებს, რომელთათვის დახმარების არგაწევა სამარცხვინოა, როგორიც არიან: მშობლები, შვილები, ჩვენდამი დაქვემდებარებული პირნი. ვბრაზობთ უმადურებზე, რადგან ეს უგულებელყოფა მიზანშეწონილი არაა. ვბრაზობთ იმათზე, რომლებიც დასცინიან ჩვენს საქმიანობას, რადგან ირონია უგულებელყოფას ნიშნავს; იმათზეც, ვინც სხვების მიმართ კეთილნი არიან, ჩვენს მიმართ კი არა, რადგან აბუჩად აგდებაა, როცა ვინმეს ისე არ სცემ პატივს, როგორც სხვას. სიბრაზეს იწვევს დავიწყება, მაგალითად, სახელის დავიწყება, თუმცა ეს უმნიშვნელო რამაა. მაგრამ, როგორც ჩანს, დავიწყება უგულებელყოფას ნიშნავს. დავიწყება ხომ ადამიანის არაფრად ჩაგდებას მოსდევს შედეგად. ხოლო არაფრად ჩაგდება უპატივცემულობას ნიშნავს.

ამრიგად, ახლახანს ვილაპარაკეთ იმაზე, თუ ვისზე ბრაზობენ, რა მდგომარეობაში და რა მიზეზით. აქედან ცხადი გახდა, 1380a
რომ ორატორმა ისეთი სიტყვა უნდა წარმოთქვას, რომ ლაშქრებში რისხვა გამოიწვიოს და დაანახოს მათ, რომ ამაში მოწინააღმდეგენი არიან დამნაშავენი, რადგან ისინი ისეთნი არიან, რომ არ შეიძლება მათზე არ გაბრაზდე.

3

რადგან „გაბრაზება“ „დამშვიდებას“ უპირისპირდება და „რისხვა“ „სიმშვიდეს“, ამიტომ უნდა დავადგინოთ, თუ ადამიანები რა მდგომარეობაში, ვის მიმართ და რატომ არიან მშვიდად. შევთანხმდეთ, რომ დამშვიდება ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენა და სიბრაზის არარსებობაა. ადამიანები თუ ბრაზობენ იმაზე, ვინც უპატივცემულოდ ექცევა მათ, ხოლო უპატივცემლობა წინასწარგანზრახული მოქმედებაა, მაშინ ცხადი იქნება, რომ მშვიდნი არიან იმათ მიმართ, რომლებიც ასე არ იქცევიან, ანდა მოქმედებენ წინასწარი განზრახვის გარეშე, ანდა მხოლოდ მოსჩანან ასეთად. მშვიდნი არიან იმის მიმართ, ვისაც სურვილი აქვს იმოქმედოს იმის საწინააღმდეგოდ, ვიდრე აქამდე მოქმედებდა. მშვიდნი არიან იმათ მი-

მართ, რომლებსაც ჩვენთვის იგივე უნდათ, რაც თავისთვის. რადგან დაუჯერებელია, რომ ვინმეს თავისი თავი სძულდეს. მშვიდად ვართ იმათ მიმართ, რომლებმაც აღიარეს და მოინანიეს დანაშაული. რადგან სამართლიანობა მოითხოვს თავი შევიკავოთ რისხვისაგან იმათ მიმართ, ვინც ნანობს ჩადენილ დანაშაულს. ამის მაგალითს ვხედავთ შინამოსამსახურეების დასჯისას. უფრო მეტად ვსჯით იმათ, რომლებიც გვეწინააღმდეგებიან და უარყოფენ დანაშაულს. ხოლო ვინც სასჯელს მართებულად სცნობს, იმათ მიმართ თავს ვიკავებთ რისხვისგან. ამის მიზეზი ისაა, რომ აშკარა მოქმედების უარყოფა არის ურცხვობა. ხოლო ურცხვობა უპატივცემულობას და სიძულვილს ნიშნავს, რადგან ვინც ძალიან გვძულს, იმისი არცა გვრცხვენია. კეთილგანწყობილნი ვართ იმათ მიმართ, რომლებიც თავმდაბალნი არიან და არ გვეწინააღმდეგებიან, რადგან ამით ისინი თავის სისუსტეს აღიარებენ; სუსტებს ეშინიათ, ხოლო მშიშარას არავინ არ სძულს. სიბრაზე გვიქრება იმათ მიმართ, ვინც თავს იმცირებს. ეს ცხადია ძაღლების მაგალითიდანაც, რომლებიც მსხდომარე ადამიანებს არ კბენენ. გულისხმიერნი ვართ იმათ მიმართ, ვინც ჩვენს მიმართ არიან გულისხმიერნი, რადგან ასეთნი ზრუნვას იმსახურებენ და არა სიძულვილს. აგრეთვე იმათ მიმართ, — რომლებმაც დიდად გვცეს პატივი, ან გაჭირვებულნი არიან და რაღაცას გვთხოვენ, ამათ მიმართაც თავს ვიკავებთ მრისხანებისაგან. აგრეთვე იმათ მიმართ, რომლებიც არ არიან თავხედნი, დამცინავნი, ან მოძულენი ვინმეს მიმართ. პირიქით, კეთილნი არიან ან საერთოდ ადამიანების მიმართ, ან ისეთი ადამიანების მიმართ, როგორიც ჩვენ ვართ. საერთოდ, სიმშვიდე უნდა ვიკვლიოთ მისი საპირისპირო მოვლენებიდან. ჩვენ მშვიდად ვართ იმათ მიმართ, ვისიც ან გვრცხვენია, ან გვეშინია და სანამ ამ მდგომარეობაში ვიმყოფებით, არ ვბრაზობთ, რადგან შეუძლებელია ერთდროულად გეშინოდეს და ბრაზობდე კიდეც[1]. სრულიად არ ვბრაზობთ ან მცირედ ვბრაზობთ იმათზე, რომლებიც მოქმედებდნენ სიბრაზის გაელენით და სიძულვილი არ ამოძრავებდათ. არც ერთი გაბრაზებული სიძულვილს არ გრძნობს. რადგან სიძულვილი თავისუფალია ტანჯვისაგან, სიბრაზე კი ტანჯვასთან არის დაკავშირებული. კეთილგანწყობილნი ვართ აგრეთვე იმათ მი-
1380b მართ, ვისაც ჩვენი რცხვენიათ.

ცხადია, მშვიდნი არიან ისინი, რომლებიც სიბრაზის საწინააღმდეგო მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგალითად, გართობის, სიცილის, დღესასწაულის დროს, ბედნიერ დღეს, საქმის წარმატებით დამთავრებისას და დასვენების დროს, აუმღვრეველი სიამოვნებისა და საიმედო ვითარების ჟამს. კეთილგანწყობილნი ვართ აგრეთვე მაშინ, როცა სიბრაზე გახანგრძლივდა და ახალი არაა, რადგან დრო სიბრაზეს სპობს. აგრეთვე სასჯელი ადრე რომ დასდეს ვინმეს, სპობს რისხვას სხვა ადამიანის წინააღმდეგ. ამიტომ სწორად უპასუხა ფილოკრატემ[2] გაბრაზებული ხალხიდან ვიღაცას შეკითხვაზე: „რატომ არ იცავ თავს?“ — „ჯერ დრო არაა“. — „მაშ, როდისღა იქნება დრო?“ — „მაშინ, როცა ვნახავ, რომ ვიღაცას კიდეე დასწამეს ცილი!“ ადამიანები მშვიდდებიან მაშინ, როცა სხვებზე იყრიან ჯავრს, როგორც ეს მოუხდა ერგოფილეს[3]. მასზე უფრო გაბრაზებულებმა იგი გაათავისუფლეს, რადგან წინა დღით კალისთენე[4] დასაჯეს სიკვდილით. კეთილგანწყობილნი ვართ იმის მიმართ, ვინც გვეცოდება, ანდა მაშინ, როცა მოწინააღმდეგე იმაზე მეტ ზარალს განიცდის, ვიდრე მასზე გაბრაზებულებს შეიძლება მიეყენებინათ მისთვის, რადგან ფიქრობენ, რომ მან სასჯელი უკვე მოიხადა. აგრეთვე მაშინ, როცა თავი დამნაშავედ და სამართლიანად დასჯილად მიგვაჩნია, რადგან დამსახურებული სასჯელი არ იწვევს სიბრაზეს. სიბრაზეს იწვევს დაუმსახურებელი სასჯელი და სიბრაზე სწორედ ამაში მდგომარეობს. საჭიროა, რომ დამნაშავე ჯერ სიტყვით დავსაჯოთ, რადგან ამას ნაკლებ განიცდიან დასჯილი მონებიც კი. კეთილგანწყობილნი ვართ მაშინაც, როცა გვგონია, რომ დასჯილნი ვერ გრძნობენ, რომ ისინი ჩვენ დავსაჯეთ, და არც იმას, თუ რატომ დავსაჯეთ. ბრაზი მიმართულია რომელიმე კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ, რაც ცხადია სიბრაზის განსაზღვრებიდან. ამიტომ პოეტი სწორად ამბობს:

„ეს იყო ოდისევსი, ქალაქების დამანგრეველი“[5]. შურისძიების გრძნობა არ იქნებოდა დაკმაყოფილებული. თუ დასჯილი ვერ იგრძნობდა, ვინ და რატომ დასაჯა იგი. ამრიგად, არ ბრაზობენ იმათზე, ვისაც გრძნობა არა აქვს, არც მიცვალებულებზე, რომლებმაც უკიღურესად დიდი ტანჯვა გადაიტანეს და არც ტკივილის განცდა ძალუძთ და არც იმისა, რაც გაბრაზებულებს სურთ. ამიტომ სწორად ამბობს ჰექტორის

შესახებ პოეტი, რომელსაც სურდა დაეცხრო აქილევსის რისხვა მიცვალებულის მიმართ:

„უგრძნობ მიწას შეურაცხყოფს განრისხებული“[6].

ცხადია, რომ ვისაც მსმენელთა რისხვის დაცხრომა სურს, ეს ტოპები უნდა გამოიყენოს, რათა დამნაშავენი წარმოადგინოს ან დამნაშავედ, ან განრისხებულად, ან შერცხვენის ღირსად, ან ქველმოქმედად, ან უნებურ დამნაშავედ, ანდა ისეთად, რომელიც დიდად იტანჯება ჩადენილი დანაშაულის გამო.

4

როდესაც განვსაზღვრავთ მეგობრობასა და სიყვარულს, ვიტყვით იმის შესახებ თუ ვინ უყვართ და სძულთ და რატომ. დავუშვათ, რომ სიყვარული ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ვინც უყვარს, მისთვის და არა თავისთვის უნდა ის, რაც სიკეთე ჰგონია[1] და შეძლებისდაგვარად ახორციელებს კიდეც ამას საქ-
1381a მით. მეგობარია ის, ვისაც უყვარს და რომელსაც სიყვარულითვე უპასუხებენ. ვფიქრობ, მეგობრები ისინი არიან, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ერთმანეთთან ასეთი დამოკიდებულება აქვთ. ამ დაშვებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს დასკვნა, რომ მეგობარია ის, ვისაც მეგობართან ერთად უხარია მეგობრის სიკეთე და მასთან ერთად წუხს მისი უბედურების გამო არა რაიმე სხვა მიზნით, არამედ მეგობრისავე საკეთილდღეოდ. ყველას ახარებს იმის განხორციელება, რაც სურდა, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი სწუხს. ასე რომ, ჩვენი სურვილის ნიშანია ტანჯვა ან სიამოვნება. მეგობრები არიან აგრეთვე ერთნაირი შეხედულებების მქონენი სიკეთესა და ბოროტებაზე. ერთი და იგივე ადამიანის მეგობრები დამტრები ღა აუცილებლად ერთი და იგივე სურვილების მქონენი. ასე რომ, კაცი, რომელსაც მეორისთვის იგივე სურს, რაც თავისთვის, მისი მეგობარი უნდა იყოს.

გვიყვარს ისინიც, რომლებმაც ან ჩვენ, ან ჩვენ მეგობრებს სიკეთე გაუწიეს, მით უმეტეს, თუ ეს დიდი სიკეთე იყო, ან თუ სიკეთის გაწევა სურდათ, ან თუ სიკეთე გაგვიწიეს გადამწყვეტი ვითარების ჟამს. გვიყვარს ისინი, ვისაც გვგონია, რომ ჩვენთვის სიკეთის გაწევა უნდათ, აგრეთვე ჩვენი მეგობ-

რის მეგობრები, ისინი, ვისაც უყვარს ჩვენთვის საყვარელი ადამიანები და ვინც ჩვენ საყვარელ ადამიანებს უყვართ.

გვიყვარს ისინი, რომელთა მტრები ჩვენი მტრები არიან და ვისაც სძულთ ისინი, ვინც ჩვენ გვძულს, გვიყვარს ისინიც, რომლებსაც სძულთ ისინი, ვისაც ჩვენ ვძულვართ. ყველა ესენი სიკეთედ იმასვე თვლიან, რასაც ჩვენ. მათ ჩვენთვის სიკეთე სურთ, რაც მეგობრობას ნიშნავს. გვიყვარს ისინი. რომლებსაც სურთ დაგვეხმარონ ან ქონებით, ანდა ძალ-ღონით. პატივს კი თავისუფალ. მამაც და სამართლიან ადამიანებს სცემენ, ცხოვრებაში დამოუკიდებელთ და საკუთარი შრომით მცხოვრებ სხვა ადამიანებს[2]. გვიყვარს გონიერი ადამიანები, რადგან ისინი უსამართლონი არ არიან. ამავე მიზეზით გვიყვარს მშვიდ ადამიანებიც. გვიყვარს ისინიც, რომლებიც გვინდა. რომ ჩვენი მეგობრები იყენენ, აგრეთვე კარგი სახელის მქონენი ყველგან. ან საუკეთესო ადამიანთა შორის, ან იმათ შორის, რომლებიც ჩვენ გვცემენ პატივს, ან რომლებსაც ჩვენ ვცემთ პატივს. გვიყვარს ისინიც, რომლებთანაც სასიამოვნოა ცხოვრება და დროსტარება. ასეთნი კი არიან თავშეკავებული ადამიანები, რომელნიც არ კიცხავენ სხვებს შეცდომების გამო. არ უყვართ კინკლაობა და ჩხუბი. მოჩხუბარნი ხომ მებრძოლი ბუნებისა და ყოველთვის წინააღმდეგობის გაწევის მოყვარენი არიან.

გვიყვარს მარჯვე ხუმრობის მცოდნენი და ხუმრობის ადვილად ამტანნი. რადგან ორივე სასიამოვნოა მახლობელთათვის. გვიყვარს დაცინვის ამტანნი და სხვების მოხერხებულად დამცინავნი. გვიყვარს ჩვენი დადებითი თვისებების მაქებარნი. განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც სწუხან მაშინ, თუ ჩვენ ეს დადებითი თვისებები არ გვაქვს. გვიყვარს ან შესახედავად. ან ტანისამოსით, ან მთელი თავისი ცხოვრებით 1381b
სუფთა ადამიანები, რომლებსაც არ უყვართ სხვების გაკიცხვა შეცდომების ან ქველმოქმედების გამო. გვიყვარს არაგულბოროტნი. რომლებიც არ იმახსოვრებენ მათ მიმართ ჩადენილ ბოროტებას და ადვილად ურიგდებიან მტრებს, რადგან ვვარაუდობთ, რომ ისინი, როგორიც არიან სხვებთან, ასეთივე იქნებიან ჩვენს მიმართ. გვიყვარს არაბოროტი ენის მქონე ადამიანები. ჩვენ და ჩვენ მახლობელთა დადებით თვისებებს რომ ამჩნევენ და არა უარყოფითს. საერთოდ, ასეთნი არიან კეთილი

ადამიანები. გვიყვარს ისინიც, რომლებიც არ გვეწინააღმდეგებიან მაშინ, როცა ვბრაზობთ ან ვსაქმიანობთ: ასეთ შემთხვევაში კაცნი მოჩხუბარი ბუნებისანი არიან. გვიყვარს როგორღაც ჩვენდამი კეთილგანწყობილნი, ჩვენი პატივისმცემელნი, საქმიან ადამიანებად რომ გვთვლიან ჩვენ. ჩვენი წარმატებები რომ ახარებთ და განსაკუთრებით იმაზე ზრუნავენ, რაც ჩვენ გულით გვსურს, ოღონდ თუ მათი მისწრაფებები არ ეწინააღმდეგება ჩვენსას და თუ იმავე ხერხით არ შოულობენ საარსებო საშუალებებს, როგორც ჩვენ. სწორედ ამაზეა ნათქვამი:

„მექოთნეს მექოთნისა შურს“[3].

გვიყვარს ისინიც, რომლებსაც იგივე სურთ, რაც ჩვენ და შესაძლებელია, რომ ორივემ მოვიპოვოთ ეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთივე მდგომარეობა გვექნება, როგორც ზემოთა ვთქვით. გვიყვარს ისინიც, რომლებთანაც ისეთი ურთიერთობა არა გვაქვს, რაც საზოგადოებრივი აზრის მიხედვით სამარცხვინოდ ჩაითვლებოდა და სიძულვილს აღძრავდა, ვისიც ნამდვილად გვერიდება. გვინდა ვიყოთ მეგობრები ჩვენი მეტოქეებისა, რომლებთანაც შეჯიბრი გვსურს, მაგრამ რომლებისაც არაფერი არ გვშურს. გვიყვარს ისინიც. ვისაც დიდ სიკეთეს ვუწევთ, თუ ეს ჩვენთვის დიდად საზიანო არაა; მოყვარულნი როგორც აქ მყოფთა, ისე წასულთა; ისინიც, ასეთ გრძნობებს რომ ავლენენ მიცვალებულთა მიმართ.

საერთოდ, გვიყვარს მეგობრების მოყვარულნი და მუდამ მათი ერთგულნი, რადგან კარგ ადამიანებს უყვართ კარგი მეგობრები, არა თვალთმაქცნი, საამკარაოზე რომ გამოაქვთ მათი ნაკლი. ნათქვამია, რომ მეგობარს მეგობართან ურთიერთობაში არ უნდა ეშინოდეს საზოგადოებრივი აზრისა. რადგან ვისაც რცხვენია, იმას არ უყვარს. როგორც ჩანს, უყვარს იმას, ვისაც არა რცხვენია, გვიყვარს არა საშიში და სანდო ადამიანები, რადგან არაფის არ უყვარს ის, ვისიც ეშინია. მეგობრობის სახეებია: ამხანაგობა, ნათესაობა და სხვა ამდაგვარი. სიყვარულს იწვევს ნებაყოფლობით და არა იძულებით გაწეული სიკეთე. თუ ქველმოქმედს საამკარაოზე არ გამოაქვს თავისი სიკეთე. როგორც ჩანს, ამას სჩადიან მეგობრობის გულისათვის და არა სხვა რაიმე მიზნით.

ცხადია, რომ მტრობა და სიძულვილი საწინააღმდეგო მიზეზებით უნდა აიხსნას. მტრობას იწვევს ბრაზი, შეურაცხყოფა, ბრალდება. ბრაზს იწვევს ჩვენს წინააღმდეგ მიმართული მოვლენები. მტრობისათვის კი ეს არაა საჭირო. რადგან როდესაც გავიგებთ, რომ ადამიანი ასეთია, ჩვენ მას შევიძულებთ. სიბრაზის საგანი ყოველთვის კონკრეტული პიროვნებაა, მაგალითად, კალიასი ან სოკრატე. სიძულვილი კი მთელი გვარის წინააღმდეგაც შეიძლება იყოს მიმართული. მაგალითად, ყველას სძულს როგორც ქურდი, ისე ცილისმწამებელი. ბრაზს დრო კურნავს, სიძულვილი კი განუკურნებელია. პირველი მწუხარებას იწვევს, მეორე — ბოროტებას. ვინც ბრაზობს, ცდილობს, რომ ეს საგრძნობი გახადოს, ხოლო ვისაც სძულს, იმისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. ტანჯვა შეგრძნებადია, მაგრამ ნაკლებ შეგრძნებადია ისეთი დიდი ბოროტებაც კი, როგორიცაა უსამართლობა და უგუნურება. დიდი ბოროტების არსებობა სრულებით არ გვაწუხებს, რადგან ბრაზს თან სდევს ტანჯვა, სიძულვილს კი არა. ვინც ბრაზობს, იტანჯება, ვისაც სძულს, არა. გაბრაზებულთ შეუძლიათ შებრალებაც, თუ მოწინააღმდეგემ ბევრი გადაიტანა, მოძულეთ კი არასოდეს. ვინც ბრაზობს, მას სურს, რომ მისი სიბრაზის საგანი სიბრაზითვე უპასუხებდეს, ხოლო ვისაც სძულს, მას სურს, რომ მოწინააღმდეგე დაიღუპოს.

აქედან ცხადია, თუ როგორ უნდა გავარკვიოთ, მტრები არიან ადამიანები, თუ მეგობრები. თუ ისინი ასეთნი არიან, უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს ასეა, თუ არა და დავარღვიოთ მათი მოჩვენებითი მეგობრობა-მტრობა. დავა მტრობის ან სიბრაზის შესახებ წარვმართოთ სათანადო მიმართულებით. ხოლო თუ რას ნიშნავს შიში, ან ვინ და რა პირობებში არის მშიშარა, ეს ახლა გახდება ნათელი.

5

შიში უნდა იყოს ერთგვარი ტანჯვა და მღელვარება, გამოწვეული მოსალოდნელი ბოროტების ან უბედურების წარმოდგენით. მაგრამ ადამიანებს არ ეშინიათ ყოველგვარი ბოროტების, მაგალითად, უსამართლობისა, რომელიც შორსაა, არამედ ეშინიათ იმ ბოროტებისა, რომელიც დიდ ტანჯვასა და განად-

გურებას იწვევს. ისიც მაშინ, თუ შორს არაა, არამედ სულ
ჩქარაა მოსალოდნელი, რადგან ადამიანებს არ აშინებთ ის,
რაც ძალიან შორს იმყოფება. მაგალითად, ყველამ იცის, რომ
1382a უნდა მოკვდეს, მაგრამ რადგან სიკვდილი შორსაა, ამიტომ ისი-
ნი გულგრილნი არიან მის მიმართ.

თუ შიში ესაა, მაშინ საშიში აუცილებლად იქნება ის, რაც
ღიდი განადგურებისა და ზიანის მიყენების უნარის მქონედ მიგ-
ვაჩნია და რასაც შედეგად დიდი მწუხარება მოაქვს. ცხადია,
რომ მისი ნიშნებიც საშიში იქნება. როდესაც საშიშროება ახ-
ლოს გვეჩვენება, ის ხიფათია. ხიფათის გამოწვევა შეუძლია
მტრობასა და სიბრაზეს. ცხადია, როდესაც ადამიანს ბოროტე-
ბის ჩადენა სურს, იგი ახლოა მოქმედებასთან. უსამართლობაც
რაღაც უნარია, რადგან უსამართლო ადამიანი უსამართლო
მოქმედებას ირჩევს. შეურაცხყოფილ სათნოებასაც გარკვე-
1382b ული უნარი გააჩნია. ნათელია, რომ როდესაც სათნო ადამიანს
შეურაცხყოფენ, გადაწყვეტილებას იღებს და მაშინ მას მოქმე-
დების უნარიც აქვს. შიშიც რაიმე მოქმედების უნარია. შეშინე-
ბულნი მზადყოფნის მდგომარეობაში არიან, რადგან მრავალი
ადამიანი ავლენს სისუსტეს და სიმხდალეს ანგარების გამო და
საფრთხის მოლოდინში. მაგრამ ყველაზე მეტად საშიშია
სხვისგან დამოკიდებულებაში ყოფნა. ამიტომ საშიშნი არიან
ისინი, ჩვენ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ რომ იციან,
რადგან მათ შეუძლიათ დასმენა ან საშიშროებაში მიტოვება.
დანაშაულის ჩადენის უნარის მქონე საშიშია იმისათვის, ვის
მიმართაც შეუძლია უსამართლობის ჩადენა. რადგან ადამიანე-
ბი, უმეტეს შემთხვევაში, უსამართლობას სჩადიან მაშინ, რო-
დესაც შეუძლიათ. საშიშნი არიან ისინიც, რომლებმაც უსამარ-
თლობა განიცადეს ან ასეთად მიაჩნიათ თავი, რადგან ისინი
ყოველთვის მოხერხებულ შემთხვევას უცდიან სამაგიეროს გა-
დასახდელად. საშიშნი არიან უსამართლობის ჩამდენნიც და
ამის უნარის მქონენიც, რადგან ეშინიათ სამაგიეროს გადახ-
დისა. ესეც ხომ შიშის საფუძველია. საშიშნი არიან მოქიშპე-
ნიც, რადგან ის, რაც მათ სურთ, ორივე მხარეს არ ერგება.
ამიტომ ისინი განუწყვეტლივ ექიშპებიან ერთმანეთს. საშიშ-
ნი არიან ჩვენზე უფრო ძლიერი ადამიანებისათვის საშიშნი,
რადგან თუ ისინი ზიანს აყენებენ ჩვენზე უფრო ძლიერთ, მით
უმეტეს შეუძლიათ ზიანის მოყენება ჩვენთვის. ამავე მიზეზით

საშიშნი არიან ჩვენზე უფრო ძლიერი ადამიანებისათვის საშიშნი, საშიშნი ამჟამად, რომელნიც მომავალში უფრო მეტად საშიშნი შეიძლება იყვნენ. საშიშნი არიან ისინი, რომლებმაც უკვე განიცადეს უსამართლობა, მტრობა და ქიშპი.

უნდა გვეშინოდეს არა ბრაზიანი და გულღია, არამედ მშვიდი, გაიძვერა და ვერაგი ადამიანებისა, ახლო მყოფნი რომ შეუმჩნეველნი არიან, ხოლო შორს კიდევ უფრო შეუმჩნეველნი ხდებიან.

ყოველი საშიშროება უფრო საშიში ხდება ისეთი შეცდომის დაშვებისას, რომლის გასწორება შეუძლებელია ან საერთოდ, ანდა შესაძლებელია არა ჩვენთვის, არამედ ჩვენი მოწინააღმდეგეებისათვის. საშიშნი არიან ისინი, რომელთათვის დახმარების გაწევა ან შეუძლებელია, ან ადვილი არაა. მარტივად რომ ვთქვათ, საშიშია ის, რაც სხვების მიმართ ჩადენილ იქნა, ან მოსალოდნელია, რომ ჩადენილი იქნება და რაც ჩვენს სინანულს იწვევს.

ამრიგად, დაახლოებით, უკვე ყველაფერი მნიშვნელოვანი ითქვა იმის შესახებ, თუ რაა საშიში და რისი ეშინიათ.

ახლა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში ეშინიათ ადამიანებს.

თუ შიში არის რაიმე გამანადგურებელი ტანჯვის წინასწარი წარმოდგენით გამოწვეული განცდა, ცხადია, რომ შიშის გრძნობა არ ექნებათ იმათ, ვისაც არასოდეს არ გადაუტანიათ რაიმე ტანჯვა, არც იმათ, მომავალში რომ არ მოელიან რაიმე ტანჯვას, არ ეშინიათ იმ ადამიანებისა, რომლებისაგანაც არ მოელიან რაიმე ვნებას. მაგრამ აუცილებლად ეშინიათ იმათ, რაიმე საფრთხეს რომ მოელიან, ეშინიათ იმათი, ვისგანაც მოელიან საფრთხეს გარკვეულ დროსა და გარკვეულ ადგილას. არ მოელიან რაიმე ვნებას ნამდვილ ან წარმოდგენილ ბედნიერებაში მყოფნი. ასეთნი კი კაცთმოძულენი, მოძალადენი და თავ- 1383a
ხედნი არიან, რაც გამოწვეულია სიმდიდრით, ძალით, მეგობრების სიმრავლითა და ძალაუფლებით. არ ეშინიათ იმათ, რომლებმაც უკვე გადაიტანეს ყოველივე, რაც კი საშიშია და ამიტომ უგრძნობნი გახდნენ მომავალი საშიშროების მიმართ, როგორც სიკვდილის პირას მისულნი ცემის მიმართ.

ეშინიათ ხსნის რაიმე იმედის მქონეთ იმ საქმეში, რისთვისაც იბრძვიან. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ადამიანები შიშის

გავლენით იწყებენ ბჭობას, რადგან არასოდეს არ ბჭობენ იმაზე, რაც უიმედოა. ამიტომ ხელსაყრელ დროს უნდა შევაშინოთ ადამიანები მოსალოდნელი უბედურებით და სხვებსაც ვუთხრათ, რომ ეს ის ადამიანებია, რომლებმაც გადაიტანეს ისეთი ტანჯვა, რაც უკვე განიცადეს მათზე ძლიერთ. ამისათვის მოვიტანოთ იმათი მაგალითი, ვინც განიცადა და განიცდის იმათგან, ვისგანაც არ მოელოდა იქ და მაშინ, სადაც არ მოელოდა.

ახლა, როდესაც ნათელია, თუ რა არის საშიში, რა არის შიში და რა მდგომარეობაში განიცდიან ადამიანები შიშს, ცხადი გახდება ისიც, თუ რა არის სიმამაცე, რის მიმართ არიან მამაცნი და როგორი განწყობილების დროს. რადგან სიმამაცე სილაჩრეს უპირისპირდება, ხოლო მამაცი ლაჩარს, ამიტომ სიმამაცე უნდა იყოს შედეგი წარმოდგენილი იმედისა იმაზე, რომ ხსნა ახლოა. ხოლო საშიშროება ან საერთოდ არ არსებობს, ან შორსაა. სიმამაცეს ადგილი აქვს მაშინ, როცა საშიში მოვლენა შორსაა, ხოლო საიმედო ახლოს. სიმამაცეს იწვევს ისიც, თუ დახმარების საშუალებანი ბევრია, ან დიდია, ან ორივეა ერთად; აგრეთვე ის, თუ უსამართლობა არ განგვიცდია და არც ჩვენ თვითონ ჩაგვიდენია, ანდა თუ მოწინააღმდეგენი ან სრულიად არ გვყავს, ან სუსტნი არიან, ხოლო ძლიერნი არიან ჩვენი მეგობრები, რომლებმაც ჩვენ გაგვიწიეს სიკეთე, ან რომლებსაც ჩვენ გავუწიეთ სიკეთე. ადამიანები გაბედულნი არიან მაშინ, თუ ბევრი ჰყავთ მათთან საერთო მისწრაფებების მქონენი, ანდა თუ ისინი სხვებზე ძლიერნი არიან, ან ადგილი აქვს ერთსაც და მეორესაც. მამაცნი არიან ისინი, რომლებსაც წარმოუდგენიათ, რომ ბევრჯერ მიუღწევიათ გამარჯვებისთვის ისე, რომ არავითარი ზიანი არ მიუღიათ, ანდა ბევრჯერ ჩავარდნილან განსაცდელში, მაგრამ თავი დაუღწევიათ. ადამიანები აპათიურნი არიან ორ შემთხვევაში: ან გამოუცდელობის გამო ან იმიტომ, რომ თავის შველა შეუძლიათ. მაგალითად, ზღვაში საშიშროების წარმოშობისას გამოუცდელებს არ ეშინიათ მოსალოდნელი უამინდობის, არ აშინებთ არც იმათ, რომლებმაც თავის გადარჩენის საშუალებანი იციან. გაბედულნი ვართ მაშინ, როდესაც არ ეშინიათ ჩვენ მსგავს ადამიანებს ან ჩვენზე სუსტებს, რომლებზე უფრო ძლიერი გვგონია თავი; აგრეთვე მაშინ, თუ ვაჯობეთ სხვებს ან

მათზე ძლიერთ, ანდა მათდაგვართ, აგრეთვე მაშინ, როცა ჩვენ
უფრო ბევრი და უფრო ძლიერი თვისებები გვაქვს, რაც საში-
შია სხვებისთვის. ეს თვისებებია: სიმდიდრე, ფიზიკური ძალა, 1383b
გავლენიანი მეგობრები, მიწის სამფლობელოების სიმრავლე,
ბრძოლაში გამოსადეგი ყველა ან ძირითადი სახის აღჭურვილო-
ბის ფლობა. გაბედულნი ვართ მაშინ, თუ არავის მიმართ არ
ჩაგვიდენია არავითარი დანაშაული, ან არ ჩაგვიდენია უმრავ-
ლესობის მიმართ, ან იმათ მიმართ, ვისიც გვეშინია; თამამნი
ვართ მაშინ, ზოგადად რომ ვთქვათ, როცა ღმერთები გვწყა-
ლობენ ყოველგვარი საშუალებებით, მინიშნებითა და სიტყვე-
ბითაც კი. ადამიანს ამამაცებს სიბრაზე. ღმერთისათვის კი
დამახასიათებელია დაეხმაროს იმათ, რომლებიც უსამართლო-
ბას განიცდიან. მამაცნი ვართ მაშინ, თუ რაიმე წამოწყებისას
იმედი გვაქვს, რომ არც ახლა და არც მომავალში არავითარ
შემთხვევაში არ გვექნება რაიმე წარუმატებლობა.

ამრიგად, უკვე ითქვა იმის შესახებ, თუ რაა შიში და სი-
მამაცე.

6

რისა გვრცხვენია და რის არა, ვის მიმართ და რა მდგო-
მარეობაში, ცხადი გახდება შემდეგი მსჯელობიდან: სირცხვი-
ლი უნდა იყოს რაღაც ტანჯვა, გამოწვეული აწმყო, წარსული
ან მოსალოდნელი ბოროტებით, რასაც ჩვენი სახელის შებ-
ღალვა შეუძლია გამოიწვიოს. ხოლო ურცხვობა არის ერთგვა-
რი სიძულვილი და აპათია ასეთივე მოვლენების მიმართ. თუ
სირცხვილის განსაზღვრება ესაა, აუცილებელია კაცს რცხვე-
ნოდეს ყველა იმ ბოროტებისა, რაც მას შეურაცხმყოფლად
მიაჩნია ან თავისთვის, ან იმისთვის, ვისზეც ის ზრუნავს. ასე-
თია ის მოვლენები, რაც ბოროტმოქმედებას მოსდევს შედე-
გად. მაგალითად, ფარის გადაგდება და ბრძოლის ველიდან
გაქცევა სიმხდალით არის გამოწვეული. უსამართლობაა მიბა-
რებულის მითვისება, დაახლოება ისეთ ადამიანებთან, რომ-
ლებთანაც არაა მიზანშეწონილი დაახლოება იქ და მაშინ, რო-
ცა ეს არაა მიზანშეწონილი. ეს თავაშვებულობის შედეგია. ან-
და მოგების მიღება უმნიშვნელო ნაგნებიდან, ან მიღება სამარ-
ცხვინო გზით, ან იმ გზით, რომლითაც დაუშვებელია, მაგა-

ლითად, გაჭირვებულებისა და მიცვალებულებისაგან. აქედან წარმოდგა ანდაზა: „გვამს გამოგლიჯა“. ეს ხომ გამდიდრებისა და მოხვეჭის სამარცხვინო გზაა. სამარცხვინოა დახმარების გაუწევლობა ფულით ან ნაკლებ დახმარება, ვიდრე ამის შესაძლებლობა გვაქვს, დახმარების მიღება ნაკლებ შეძლებულთაგან, ფულის სესხება იმისგან, ვინაც თვითონ უნდა ისესხოს ფული, ან ფულის სესხება მაშინ, როცა გამსესხებელს სურს, სესხი დაუბრუნონ და სესხის მოთხოვნა მაშინ, როცა კაცს კვლავ უნდა სესხის მიღება, ქება მაშინ, როცა გინდა ისესხო და მიუხედავად უარისა, ამ მოქმედების განგრძობა. ასეთია სიძუნწის ნიშნები. მლიქვნელობაა კაცის პირში ქება, კარგის ზედმეტად ქება და ცუდის მიჩქმალვა, ტანჯვაში მყოფის ზედმეტად თანაგრძნობა და ყოველივე სხვა ამდაგვარი არის მლიქვნელობის ნიშნები.

სამარცხვინოა აგრეთვე, რომ ვერ გაუძლო იმას, რასაც უძლებენ უფრო ხნიერნი ან ფუფუნებაში მყოფნი, ან, საერ-
1384a თოდ, სუსტნი. ყოველივე ეს ჩვენი სისუსტის ნიშანია. სამარ-
ცხვინოა სხვებისგან ქველმოქმედების მიღება და ისიც ხშირად, აგრეთვე სხვისთვის გაწეული სიკეთის დაყვედრება, რადგან ყოველივე ეს სულმოკლეობისა და სიმდაბლის ნიშანია. სამარცხვინოა საკუთარ თავზე ლაპარაკი, აგრეთვე თავის ქება, და სხვისი დამსახურების მითვისება. ყოველივე ეს ტრაბახის ნიშნებია. ასევე სხვა ცუდი ზნეობრივი თვისებებიდან გამომდინარე მოქმედებანი, ნიშნები და ყოველივე სხვა ამდაგვარი არის სიმახინჯე და ურცხვობა.

სამარცხვინოა აგრეთვე ის, რომ არ გვქონდეს მშვენიერი თვისებები, რაც აქვს ყველა ადამიანს ან რაც აქვთ ჩვენს მსგავსთ, ან უმრავლესობას. „მსგავსს“ მე ვუწოდებ ჩვენი მოდგმის ადამიანებს, ჩვენს ნათესავებს და საერთოდ, ყველას, ვინც ჩვენი თანასწორია. სამარცხვინოა, რომ არ გვქონდეს იმავე დონის აღზრდა-განათლება, რაც სხვებს აქვთ. უფრო მეტად სამარცხვინოა, რომ ჩვენი უზნეობის შედეგად ვიყოთ მიზეზი წარსული, აწმყო ან მომავალი ბოროტებისა.

ადამიანებს რცხვენიათ იმისა, რაც განიცადეს, განიცდიან ან შეიძლება განიცადონ და რასაც შედეგად მოსდევს მათი შეურაცხყოფა და დამცირება. ასეთი შედეგი კი მოსდევს გარყვნილებასა და სამარცხვინო საქმიანობას, როგორიცაა, მაგა-

ლითად, ზედმეტი ვნება. ნაწილი ამ მოქმედებათა შედეგია თავაშვებულობისა, იქნება ეს ნებისმიერი, თუ უნებური მოქმედება. უნებურია იძულებითი მოქმედება. სილაჩრეს კი შედეგად მოსდევს სიძაბუნე, მოთმენა და არა ბრძოლისუნარიანობა.

ის, რისაც ადამიანებს რცხვენიათ, არის ეს და ამდაგვარი მოვლენები. რადგან სამარცხვინო სახელი ყოფილა წარმოდგენა ადამიანის უზნეობის შესახებ, ამიტომ ის სამარცხვინოა თავისთავად და არა მისგან გამომდინარე შედეგების გამო. ამიტომაც არავინ არ ზრუნავს ჭეშმარიტ სახელზე, არამედ იმაზე, თუ სხვები რას ფიქრობენ მასზე. ამიტომაც აუცილებელია, რომ რცხვენოდეთ იმათი, ვისაც პატივს სცემენ. ხოლო პატივს სცემენ იმათ, ვინაც ჩვენით არიან აღტაცებულნი ან რომლებითაც ჩვენ ვართ აღტაცებულნი, ან რომლებსაც სურთ, რომ ჩვენით იყვნენ აღტაცებული, რომლებსაც ვეჯიბრებით და რომელთა აზრს ანგარიშს ვუწევთ. ადამიანებს სურთ, რომ მათი უკვირდეთ და თვითონაც უკვირდეთ იმათი, რომლებსაც აქვთ ის დადებითი თვისება, რაც პატივისცემას იწვევს, ან რომლებიც ისეთ რამეს ფლობენ, რაც მათ ძალიან სჭირდებათ, მაგალითად, შეყვარებულნი. ადამიანები მეტოქეობენ ხოლმე მსგავსებთან, ხოლო ანგარიშს უწევენ ჭკვიან ადამიანებს, ჭეშმარიტებას რომ ამბობენ. ასეთნი კი არიან ხნიერნი და განათლებულნი. რცხვენიათ უფრო მეტად იმისა, რაც ყველას თვალწინ და დღის სინათლეზე ხდება. სწორედ ამაზეა ნათქვამი, რომ „სირცხვილი თვალებშიაო". ამიტომ გვრცხვენია
იმათი, ჩვენთან რომ არიან ყოველთვის და ყურადღებას გვაქ- 1384b
ცევენ, რადგან ყოველი ჩვენი მოქმედება მათ თვალწინ ხდება.

გვრცხვენია ჩვენ მიერ ჩადენილ საქმეში უდანაშაულოთა, რადგან, ცხადია, რომ მათ ჩვენი საწინააღმდეგო შეხედულება ექნებათ. აგრეთვე იმათი, აშკარა შეცდომებს რომ არ გვაპატიებენ. ცხადია, რომ რასაც ადამიანი თვითონ აშავებს, იმაში მახლობელს ვერ გაკიცხავს. კაცს კიცხავენ იმის გამო, რასაც თვითონ გამკიცხველნი არ სჩადიან. გვრცხვენია იმათიც, რომლებიც ნახულს ყოველთვის სხვას ატყობინებენ, რადგან შეუმჩნევლად ყოფნასა და ყბადაუღებლობას შორის სხვაობა არ არსებობს. ხმების გამავრცელებელნი არიან ნაწყენი ადამიანები და ავი ენის მქონენი, თვალს რომ არ აშორებენ როგორც უდანაშაულოთ, ისე შემცდართ. გვრცხვენია იმათიც, ვინც მახლო-

ბელთა შეცდომებით ერთობა: კომედიოგრაფებისა და დამცინავი ადამიანებისა. მათ ავი ენა აქვთ და მოლაყბენიც არიან. გვრცხვენია იმათიც, რომლებსაც არასოდეს არ მოვუტყუებივართ. ესენი კი არიან ჩვენი პატივისმცემელი ადამიანები, აგრეთვე ისინი, ვინაც პირველად მოგვმართეს თხოვნით, რადგან მათი წარმოდგენით, ჩვენ არაფერი დამამცირებელი არ ჩაგვიდენია. ეს ის ადამიანებია, ახლახანს რომ მოინდომეს ჩვენთან დამეგობრება. ისინი ჩვენში კარგ თვისებებს ხედავენ, ამიტომ მართებულია ევრიპიდეს[1] პასუხი სირაკუზელებისადმი. მათ შორის არიან ჩვენი ძველი ნაცნობნი, ჩვენ შესახებ ცუდი რომ არა იციან რა.

გვრცხვენია არა მხოლოდ ზემოდასახელებული სამარცხვინო მოქმედებებისა, არამედ მათი ნიშნებისაც კი. მაგალითად, არა მხოლოდ გარყვნილებისა, არამედ მისი ნიშნებისაც კი. გვრცხვენია არა მხოლოდ სამარცხვინო საქმეებისა, არამედ სამარცხვინო ლაპარაკისაც. გვრცხვენია არა მხოლოდ ზემოდასახელებული ადამიანებისა, არამედ იმათიც, ვისაც შეუძლია აცნობოს სხვებს ჩვენი შეცდომების შესახებ, მაგალითად, მოსამსახურეებისა და მეგობრებისა. საერთოდ, არა გვრცხვენია იმათი, რომლებსაც ჭეშმარიტებისა ბევრი არა გაეგებათ რა, მაგალითად, არავის არ რცხვენია ბავშვებისა და მხეცების. ერთნაირად არ გვრცხვენია ნაცნობთა და უცნობთა. ნაცნობებთან გვრცხვენია იმისა, რაც ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება, ხოლო უცნობთა წინაშე იმისა, რაც კანონიერებას ეწინააღმდეგება.

საერთოდ, ადამიანებს რცხვენიათ შემდეგ ვითარებათა გამო: რცხვენიათ იმათი, ვისთანაც ისეთ დამოკიდებულებაში არიან, რომ მათი რიდი აქვთ. ამ უკანასკნელთ კი ან ჩვენ ვცემთ პატივს, ან ისინი გვცემენ პატივს, ან გვსურს, რომ პატივს გვცემდნენ. გვრცხვენია იმათი, ვისაც რაიმე აუცილებელს ვთხოვთ, ოღონდ ისე, რომ სახელი არ გაგვიტყდეს, ან თუ ისინი ხედავენ მომხდარს (როგორც კიდიასი ეუბნებოდა საჯაროდ ათენელებს სამოსის მიწების განაწილების დროს: წარმოიდგინეთ, თითქოს თქვენს გარშემო ელინები დგანან, რომლებიც არა მხოლოდ ისმენენ, არამედ ხედავენ კიდეც, თუ რას
1385a დაადგენთ)[2], ან ახლოს დგანან და სურთ, რომ ყველაფერი გაიგონ. ამიტომ მარცხის დროს ან გვინდა იმათ თვალწინ ვი-

ყოთ, ვისაც ვეჯიბრებით, რადგან მეტოქეები ჩვენ პატივს გვცემენ. გვრცხვენია მაშინაც, როცა ჩვენ თვითონ ან ჩვენ წინაპრებს, ან რომელიმე ჩვენ მახლობელს აქვს ისეთი საგანი ან საქმე ჩადენილი, რაც სამარცხვინოა. საერთოდ, გვრცხვენია შემდეგი ადამიანებისა: ესენი არიან როგორც ზემოდასახელებულნი, ისე ისინი, ვისთანაც ჩვენ რაიმე დამოკიდებულება გვაქვს, მაგალითად, ჩვენი ყოფილი მასწავლებლების, ჩვენი მრჩევლების ან ჩვენი მეგობრების მაგვართა. სირცხვილის გამო ამ ადამიანების წინაშე ბევრ რამეს სჩადიან, მაგრამ ბევრ რამეს კი არა. უფრო მეტად გვრცხვენია იმათი, რომლებსაც სურთ დაინახონ ან სააშკარაოზე გამოიტანონ ჩვენი მოქმედება. ამიტომაც დიონისიოსისგან სიკვდილმისჯილმა პოეტმა ანტიფონტმა[3] ასევე სიკვდილმისჯილთ, კარში რომ გადიოდნენ და სახეს იფარავდნენ, ჰკითხა: „რატომ იფარავთ სახეს? იმიტომ ხომ არა, რომ ვინმე ამათგანმა ხვალ არ დაგინახოთ?“

აი, ყველაფერი ის, რაც გვინდოდა გვეთქვა სირცხვილის გრძნობის შესახებ. ურცხვობის გრძნობა კი საწინააღმდეგო მსჯელობით ადვილად გახდება ნათელი.

7

ვის მიმართ, რატომ და რა პირობებში არიან ადამიანები განწყობილნი მადლიერების გრძნობით, ცხადი გახდება სიკეთის განსაზღვრების შემდეგ. სიკეთე არის მოქმედება, რომელზეც ამბობენ, რომ ადამიანი ეხმარება გაჭირვებაში მყოფს არა რაიმე სხვა მიზნით, არა სარგებლობის მიზნით, არამედ იმის კეთილდღეობისათვის, ვისაც ეხმარება. ქველმოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, ვინც ძალიან გაჭირვებულია, აგრეთვე დროულად გაწეულ დახმარებას, თუ მას მხოლოდ ეს კაცი სჩადის, სჩადის პირველად, ანდა უმეტეს შემთხვევაში. გაჭირვება არის სწრაფვა იმისკენ, რის არქონებაც ტანჯვას იწვევს. ასევეა ენების დროს. მაშასადამე, ისწრაფვის ის, ვინც იტანჯება, ან საფრთხეში იმყოფება, ან ღატაკია და სამშობლოდან გაძევებული. დიდი მნიშვნელობა აქვს დროულად გაწეულ მცირედ დახმარებას იმათთვის, ვინც დიდად გაჭირვებულია, როგორც, მაგალითად, ლიკეიონში ჭილობის ნაჭრის მიწოდება[4]. მაშასადამე, სწორედ ასეთ საქმეებში ან ამათ მსგავს, ან უფრო მნიშვნელოვან საქმეებშია საჭირო დახმარება.

როდესაც ნათელი გახდება, თუ ვინ სჩადის სიკეთეს, ვის მიმართ და რა პირობებში, მაშინ ნათელი გახდება, თუ ვინ იმყოფება ან იმყოფებოდა გაჭირვებაში ან ტანჯვაში და ვინ ეხმარება ან ეხმარებოდა მას. ცხადია ისიც, თუ როგორ შეიძლება ქველმოქმედების უარყოფა ან მადლობის გადახდის აუცი-
1385b ლებლობისათვის თავის დაღწევა. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ ქველმოქმედებას უწევენ ან საკუთარი სარგებლობისათვის (ეს ქველმოქმედება აღარაა), ან შემთხვევის, ან იძულების გამო. ასეთ ვითარებაში ქველმოქმედებას უბრალოდ კი არ უწევენ, არამედ უწევენ შემთხვევით და იციან, თუ არ იციან ეს, სულ ერთია, ეს ქველმოქმედება აღარ იქნება.

ქველმოქმედება უნდა განხილულ იქნეს ყველა კატეგორიების მიხედვით, რადგან ქველმოქმედება არის რაღაც მოქმედება, რომელსაც აქვს გარკვეული სიდიდე, ხდება სადმე და ოდესმე, რაც მტკიცდება იმით, რომ ქველმოქმედებად არ ჩაითვლება არც მცირე დახმარება, არც მტრებისათვის გაწეული იმავე სიდიდის ან უფრო მეტი დახმარება. ცხადია, რომ ქველმოქმედებას არ უწევენ ქველმოქმედის სასარგებლოდ, არ უწევენ დახმარებას უვარგისი საგნებით, რასაც ისიც ხვდება, ვისაც დაეხმარნენ, რადგან არავინ არ იტყვის, რომ მას უვარგისი საგნები ესაჭიროება.

8

უკვე ითქვა ქველმოქმედებისა და არაქველმოქმედების შესახებ. ახლა კი ვთქვათ იმის შესახებ, თუ რა არის თანაგრძნობა, ვის თანაუგრძნობენ და რა პირობებში. თანაგრძნობა უნდა იყოს წუხილი, გამოწვეული დამღუპველი ან საშიში ბოროტებით, დაუმსახურებლად რომ მოგველის ან ჩვენ ან ჩვენს მეგობარს, ან იმას, ვისაც ჩვენს მახლობლად ვთვლით. ცხადია, რომ აუცილებლად თანაუგრძნობთ იმათ, რომლებსაც ან რომელთა მახლობლებს ვვარაუდობთ, რომ მოელით ან ისეთივე, ან მისდაგვარი, ან დაახლოებით მისდაგვარი ბოროტება, რაც ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ. იგულისხმება, რომ არ შეუძლიათ თანაგრძნობა საკუთარი დაღუპულთ (მათ ყოველგვარი უბედურება გადაიტანეს, ამიტომ არ მოელიან რაიმე უბედურებას), არც იმათ, თავს უაღრესად ბედნიერად რომ

გრძნობენ და გათავხედებულნი არიან იმიტომ, რომ ფიქრობენ, ყოველგვარი სიკეთე აქვთ და ამიტომ აღარ მოელით აღარავითარი ბოროტება. ესეც ხომ სიკეთეა. არიან ადამიანები, რომლებიც კვლავ მოელიან რაიმე ვნებას, მათ შორის ისეთნიც, რომელთაც ბევრი რამ განიცადეს და მრავალ განსაცდელს თავი დააღწიეს; აგრეთვე პატივსაცემი ადამიანები, როგორც აზროვნებით, ისე გამოცდილებით, აგრეთვე ფიზიკურად სუსტნი, უფრო მეტად მხდალნი და დიდად განათლებულნი, რომელნიც სწორად აზროვნებენ; ისინიც, რომლებსაც ჰყავთ ან მშობლები ან შვილები, ან ცოლები და ფიქრობენ, რომ მათ შეიძლება რაიმე ზემოდასახელებული ბოროტი შეემთხვათ. არ თანაუგრძნობენ არც ისინი, რომელთაც არასოდეს არა აქვთ სიმამაცის განცდა, როგორიცაა სიბრაზე ან გაბედულება (რადგან მომავალზე არ ფიქრობენ), არც ისინი, რომელნიც თვითკმაყოფილნი არიან (რადგან არც ესენი ფიქრობენ, რომ შეიძლება რაიმე ბოროტება შეემთხვეთ), არ თანაუგრძნობენ არც ძალიან შეშინებულნი, რადგან ესენი ძლიერი ვნებით შეპყრობილნი, საკუთარ განცდებში არიან ჩაძირულნი. თანაუგრძნობენ მხოლოდ ისინი, რომლებიც მათ შორის დგანან თავისი ხასიათით. თანაუგრძნობს ისიც, ვინც ფიქრობს, რომ ზოგიერთი ადამიანი კეთილია. ხოლო ვინც არავის არ თვლის ასეთად, ყველა მიაჩნია ბოროტების ღირსად. საერთოდ, თანავუგრძნობთ მაშინ, როდესაც გვაგონდება ის, რაც ჩვენ, ან ვინმე ჩვენიანს შეემთხვა. ან მოველით, რომ შეიძლება შეგვემთხვას ჩვენ, ან ვინმე ჩვენიანს. 1386a

იმის შესახებ, თუ რა პირობებში თანაუგრძნობენ, უკვე ვთქვით, ხოლო თუ რას თანაუგრძნობენ, ცხადი გახდება განსაზღვრებიდან: ესენია მტანჯველი და მტკივნეული მოვლენები, რასაც შედეგად განადგურება მოსდევს. თანაგრძნობას იწვევს ის მოვლენებიც, რომლებიც სიკვდილის მიზეზნი არიან. აგრეთვე შემთხვევითი მიზეზები, დიდ ბოროტებას რომ იწვევენ, მტკივნეული და გამანადგურებელი მოვლენები, რომელნიც სასიკვდილონი არიან, ფიზიკური ტკივილები და სისუსტე, ტანჯვა, მოხუცებულობა, ავადმყოფობა, საკვების ნაკლებობა. შემთხვევით გამოწვეული ბოროტებანია: მეგობრების არყოლა ან ცოტა მეგობრის ყოლა (მაშასადამე, თანაგრძნობას უნდა იწვევდეს აგრეთვე განშორება მეგობრებისგან ან მახ-

ლობლებისაგან), სიმახინჯე, სისუსტე, ხეიბრობა და საერთოდ ის, საიდანაც წინათ ხშირად სიკეთეს ვიღებდით, ამჟამად კი ვიღებთ ბოროტებას და ამის ხშირი განმეორება, ან სიკეთის მიღწევა მაშინ, როცა ადამიანმა უკვე გადაიტანა დიდი უბედურება. მაგალითად, დიოპითეს სპარსთა მეფემ[5] საჩუქარი სიკვდილის შემდეგ გამოუგზავნა. თანაგრძნობას იწვევს ისიც, ვისაც სიკეთე არასოდეს არ ხვდომია წილად, ან ხვდომია, მაგრამ ვერ უსარგებლია.

თანაგრძნობას იმსახურებენ ეს და ამდაგვარი მოვლენები. თანავუგრძნობთ ჩვენთან ძალიან ახლოს მყოფ ნაცნობებს, როცა მოველით, რომ მათ შეიძლება იგივე გადახდეთ, რაც ჩვენ გადაგვხდა. ამბობენ, რომ ამასისი[6], რომლის ვაჟი მოსაკლავად მიჰყავდათ, ტიროდა არა თავის ვაჟიშვილს, არამედ მათხოვარ მეგობარს, რადგან, მისი აზრით, მეგობარი სიბრალულს იმსახურებს, მისი ვაჟიშვილი კი იწვევს საშინელების გრძნობას. საშინელება აძევებს სიბრალულის გრძნობას, ხშირად კი საწინააღმდეგო გრძნობას ბადებს. სიბრალულის გრძნობა იპყრობს კაცს მაშინ, როცა რაიმე საშინელება უახლოვდება. ასევე სიბრალულს გრძნობენ წლოვანებით, მდგომარეობით, ქონებით, შეხედულებებითა და წარმოშობით მსგავსი ადამიანების მიმართ, რადგან მაშინ უკეთ ჩანს, ის, რაც შეიძლება კაცს შეემთხვას. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თანაუგრძნობენ იმათ, რომლებზეც ვარაუდობენ, რომ შეიძლება შეემთხვათ ის, რისაც ეშინიათ თანამგრძნობთ. რადგან სიბრალულს იწვევს ახლოს მყოფი ვნება, ამიტომ ვნება, ადგილი რომ ჰქონდა ათი ათასი წლის წინათ, ან შეიძლება ათი ათასი წლის შემდეგ მოხდეს, არ იწვევს არც იმედს, არც მოგონებას, არც საერთოდ სიბრალულის გრძნობას, არც სხვა რაიმე მისდაგვარს. აქედან გამომდინარეობს, რომ ის ადამიანები, რომლებიც რაიმეს ბაძავენ ან გარეგნობით, ან ხმით, ან ტანისამოსით და საერთოდ, მსახიობური თამაშით, უაღრესად დიდ თანაგრძნობას იწვევენ, რადგან თვალწინ წარმოგვიდგენენ წარსულში მომხდარ უბედურებას. იმავე მიზეზით დიდ სიბრალულს იწვევს როგორც ახლახანს მომხდარი, ისე მომავალში მოსალოდნელი ბოროტება.

1386b უაღრესად დიდ სიბრალულს იწვევს აგრეთვე იმათი ნიშნები, საქმეები, ტანისამოსი, სიტყვები და სხვა ამდაგვარი, რომლებმაც დიდი უბედურება გადაიტანეს, ანდა მძიმე მდგომარეობაში

არიან, მაგალითად, სიკვდილის პირს მისულნი. უფრო მეტად სიბრალულის ღირსნი არიან კარგი ადამიანები ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში. სიბრალულს იწვევს აგრეთვე ის ტანჯვა, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება.

9

. სიბრალულს, ძირითადად, უპირისპირდება ის, რასაც აღშფოთებას ვუწოდებთ. ტანჯვას, გამოწვეულს იმ გაჭირვებით, რომელშიც ადამიანი დაუმსახურებლად იმყოფება, როგორღაც უპირისპირდება დაუმსახურებელი კეთილდღეობით გამოწვეული იმავე ხასიათის ტანჯვა და ორივე ეს გრძნობა დამახასიათებელია პატიოსანი ადამიანისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ ბოროტმოქმედება იმათ მიმართ, ვისაც ეს არ დაუმსახურებია, თანაგრძნობას და სიბრალულს იწვევს, დაუმსახურებელი კეთილდღეობა კი — აღშფოთებას. უსამართლობაა ბოროტება, ჩადენილი ღირსეული ადამიანების მიმართ. ამიტომ აღშფოთების გრძნობას ღმერთებსაც კი მივაწერთ. უნდა ვივარაუდოთ, რომ შური იმავე გზით უპირისპირდება თანაგრძნობას, რომლითაც უახლოვდება აღშფოთების გრძნობას, მაგრამ ამავე დროს მისგან განსხვავებულია. ტანჯვასა და ღელვას იწვევს აგრეთვე შური იმ კეთილდღეობის გამო, რომელსაც მიაღწია ჩვენმა ტოლმა და მსგავსმა და არა უღირსმა, არა იმიტომ, რომ ჩვენ შეიძლება რაიმე ცუდი შეგვემთხვას, არამედ იმიტომ, რომ შეიძლება შეემთხვას მახლობელს. ასევე სხვა შემთხვევებშიც. მაგრამ ისე კი არა, რომ ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს აღშფოთებას, მეორე შემთხვევაში შურს, არამედ ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს შიშს იმ ტანჯვისა და ღელვის გამო, რომ ვიღაცის წარმატების შედეგად ჩვენ რაღაც ცუდი გველის.

ცხადია, რომ ამათ საწინააღმდეგო ვნებებიც მოყვება შედეგად. ის, ვინც იტანჯება, განიცდის იმის გამო, რომ ვიღაც დაუმსახურებლად ცუდ მდგომარეობაშია, სიამოვნებს ან არ განიცდის ტანჯვას ბოროტმოქმედის მიმართ. მაგალითად, კარგ ადამიანში მამის მკვლელის ან საერთოდ მკვლელის დასჯა არ იწვევს ტანჯვას. ასევე, ამის საწინააღმდეგო შემთხვევა — იმათი კეთილდღეობა, ვინც ის დაიმსახურა. ორივე შემთხვევა პატიოსანი და სამართლიანი კაცის სიხარულს იწვევს. რადგან

ადამიანს უჩნდება იმის იმედი, რომ მასაც იგივე შეიძლება ხვდეს წილად, რაც მის მსგავსს. ეს თვისებები საერთოა ერთი და იმავე ხასიათის ადამიანებისათვის. საწინააღმდეგო თვისებები კი საწინააღმდეგო ხასიათის ადამიანებისათვის არის საერთო, რადგან ბოროტი და შურიანი ერთი და იგივეა. მას, ვინც წუხს რაიმეს არსებობის ან წარმოშობის გამო, აუცილებელია ახარებდეს ამისივე არარსებობა და მოსპობა. მაშასადამე, ის, რაც თანაგრძნობას აკავებს, ეს გრძნობებია. ხოლო მათ შორის არსებული განსხვავების შესახებ ზემოთ ითქვა. ამგვარად, იმისათვის, რომ თანაგრძნობა არ წარმოიშვას, გამოდგება ყველა ეს მიზეზი.

1387a

ახლა, პირველ ყოვლისა, ვილაპარაკოთ აღშფოთების გრძნობის შესახებ, თუ ვინ არის აღშფოთებული, ვის მიმართ, რა პირობებში და ამის შემდეგ გადავიდეთ დანარჩენ საკითხებზე. ზემონათქვამიდან ცხადია, რომ თუ აღშფოთება არის წუხილი აშკარად დაუმსახურებელი კეთილდღეობის გამო, აქედან, პირველ ყოვლისა, ცხადი ხდება, რომ აღშფოთებას არ უნდა იწვევდეს ყოველგვარი კეთილდღეობა. მაგალითად, თუ კეთილდღეობაში იმყოფება მამაცი, სამართლიანი და სათნო ადამიანი, ეს არ იწვევს აღშფოთებას (სიბრალულს არც საწინააღმდეგო ხასიათის ადამიანები იწვევენ). არ იწვევს აღშფოთებას არც სიმდიდრე, არც გავლენა და ყოველივე სხვა ამდაგვარი უპირატესობანი, რასაც, მარტივად რომ ვთქვათ, კეთილი ადამიანები, კეთილშობილნი და მშვენიერნი იმსახურებენ. წარმოშობით ძველი ბუნებრივს უახლოვდება, ამიტომ ასეთი ადამიანები კეთილნი უნდა იყვნენ. მაგრამ თუ სიკეთის თვისება ადამიანმა ახლახანს მოიპოვა და ამიტომ კეთილდღეობაშია, ეს უფრო მეტ აღშფოთებას იწვევს. უფრო მეტ აღშფოთებას იწვევენ ახლახანს გამდიდრებულნი, ვიდრე ძველთაგანვე და მემკვიდრეობით მდიდარნი. იგივე შეიძლება ითქვას სათავეში მყოფ გავლენიან, მრავალი მეგობრის, კარგი შვილებისა და სხვა უპირატესობათა მქონე ადამიანებზე. იგივე უნდა ითქვას იმ შემთხვევაშიც, თუ მათ ამ სიკეთის საფუძველზე სხვა უპირატესობანი მიიღეს. ამიტომ უფრო მეტ უსიამოვნო გრძნობას იწვევენ ის ადამიანები, რომლებიც ახლახანს გამდიდრდნენ და სიმდიდრის გამო ძალაუფლება მოიპოვეს, ვიდრე მემკვიდრეობით მდიდრები. ასევე სხვა შემთხვევებშიც. მიზეზი ამისა ისაა,

რომ პირველთ თითქოს მოჩვენებითი უპირატესობა აქვთ, ამ უკანასკნელთ კი — ნამდვილი. როდესაც გვეჩვენება, რომ ვინმე მუდმივად ფლობს ქონებას, ჭეშმარიტ მფლობელად მოჩანს, პირველნი კი ასეთად არ მიგვაჩნია. ყველა ადამიანი არაა სიკეთის ღირსი, არამედ არსებობს რაღაც ანალოგია და შესატყვისობა. მაგალითად, მშვენიერი იარაღი შეშვენის არა სამართლიანს, არამედ მამაცს. გამორჩეული მეუღლე ეკუთვნის არა ახლახანს გამდიდრებულს, არამედ კეთილშობილს. ასევე დასანანია, თუ კეთილ ადამიანს არ შეხვდა მისთვის შესაფერი რამ. დასანანია ისიც, როცა სუსტი უფრო ძლიერს ებრძვის. მით უმეტეს, თუ ისინი ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან, ამიტომ კარგად არის ნათქვამი:

„ის გაურბოდა აიანტთან, ტელამონის ძესთან შებრძოლებას“.
„ზევსი აღშფოთდებოდა, უკეთესთან რომ შეხვედროდა მას
შებრძოლება“[1].

თუ ადამიანები თანაბარ მდგომარეობაში არ არიან, მაშინ უმართებულობაა, რაიმეში სუსტი ეტოლებოდეს უფრო ძლიერს, მაგალითად, მუსიკოსი სამართლიანს, რადგან სამართლიანობა მუსიკაზე უკეთესია. აქედან ცხადია, თუ ვისზე არიან აღშფოთებულნი და რატომ: ესენია ზემოჩამოთვლილი შემთხვევები და მათდაგვარნი. უწინარეს ყოვლისა, ადამიანები არ აღშფოთდებიან იმ შემთხვევაში, როცა ღირსეულთ შეხვდებათ დიდი სიკეთე და იყენებენ კიდევაც მას. მაგრამ როდესაც იგივე წილად ხვდება უღირსს, ეს კი აღარაა სამართლიანი. მაშინ კეთილ და სამართლიან ადამიანებს სწორი გადაწყვეტილება გამოაქვთ და სძულთ უსამართლობა. მაგრამ თუ ადამიანი პატივმოყვარეა და მიისწრაფვის რაღაც მიზნისკენ, განსაკუთრებით იმ მიზნისკენ, რასაც სხვებმა დაუმსახურებლად მიაღწიეს და საერთოდ, ისინი, რომლებიც თავის თავს თვლიან იმის ღირსად, რის ღირსადაც სხვები არ თვლიან, ასეთ შემთხვევაში ღირსეულნი აღშფოთდებიან უღირსებზე. ამიტომაც მონური ბუნების მქონე, ცუდ და არაპატივმოყვარე ადამიანებს აღშფოთებაც არ შეუძლიათ, რადგან არაფერია ისეთი, რის ღირსადაც ისინი თავის თავს ჩათვლიდნენ.

აქედან ცხადია, თუ რომელი ადამიანების უბედურება, წარუმატებლობა და მარცხი უნდა გვახარებდეს და არ გვაწუ-

ხებდეს. ზემოთქმულიდან ცხადია საწინააღმდეგოც. თუ მოსამართლეებს ისე განაწყობთ სიტყვით, რომ დაუმტკიცებთ, ვინაც შებრალებას ითხოვს და რის გამოც ითხოვს, არ იმსახურებს ამას, პირიქით, იმსახურებს უარს, მაშინ მისი შებრალება შეუძლებელი იქნება.

10

ცხადია, თუ რატომ, ვისი და რა მდგომარეობაში შური, თუ შური ყოფილა წუხილი იმის გამო, რომ მსგავსი ადამიანები, ფლობენ რა ზემოჩამოთვლილ სიკეთეს, კეთილდღეობაში იმყოფებიან. მაგრამ მოშურნეს შურს არა იმის გამო, რომ სურს ეს სიკეთე მას ჰქონდეს, არამედ იმის გამო, რომ ეს სიკეთე სხვას აქვს. შურთ თავისი მსგავსი ადამიანებისა ან იმათი, რომელთაც თავის მსგავსად თვლიან. მსგავსთ მე ვუწოდებ წარმოშობით, ნათესაობით, წლოვანებით, თვისებებით, სახელითა და ქონებით მსგავსთ. მსგავსნი არიან ისინი, რომლებსაც საერთო აქვთ, თუ ყველა ეს თვისება არა, ზოგიერთი მათგანი მაინც. ისინი, რომლებიც კეთილდღეობაში იმყოფებიან და ძალაუფლებაც აქვთ, შურიანნი არიან, რადგან ჰგონიათ, რომ ყველა იმას ცდილობს, რომ მათ ეს უპირატესობანი წაართვას. შურიანნი არიან პატივსაცემი ადამიანებიც, რომლებიც რაიმეთი, განსაკუთრებით კი სიბრძნითა და ბედნიერებით არიან გამორჩეულნი. პატივმოყვარენი უფრო მეტად შურიანნი არიან, ვიდრე არაპატივმოყვარენი. შურიანნი არიან მოჩვენებით ბრძენნი, რადგან მათი პატივმოყვარეობა სიბრძნისაკენ არის მიმართული. საერთოდ, დიდებისმოყვარენი შურიანნი არიან დიდების მიმართ, შურიანნი არიან სულმდაბალნიც, რადგან მათ ყოველივე დიდად ეჩვენებათ. უკვე საკმარისად ვილაპარაკეთ იმ უპირატესობათა შესახებ, რისაც შურთ, რის გა-
1388a მოც არიან ადამიანები სახელისა და პატივის მოყვარენი, იქნება ეს საქმე, თუ ქონება, სახელი თუ ბედნიერება. დაახლოებით, ყოველივე ეს არის შურის საგანი. განსაკუთრებით კი შურის საგანი არის ის, რისკენაც მიისწრაფვიან, ან ჰგონიათ, რომ ის მათ უნდა ეკუთვნოდეთ, ანდა ის, რაც სხვებზე მეტი ან ნაკლები აქვთ.

ცხადია ისიც, თუ ვისი შურთ. ამის შესახებაც ახლახან ითქვა. შურთ იმათი, რომლებიც მათთან ახლო არიან დროით, ადგილით, წლოვანებით ან სახელით. ამის შესახებაა ნათქვამი:

„მახლობლებს შურიც შეუძლიათ“[2].

შურთ იმათი, ვისაც ექიშპებიან, ხოლო ექიშპებიან იმათ, რომლებიც ზემოთ დავასახელეთ. ხოლო იმათ მიმართ, ვინც ათი ათასი წლის წინათ ცხოვრობდა ან მომავალში იცხოვრებს, ან მიცვალებულთა მიმართ არავის არა აქვს შური. არ შურთ არც ჰერაკლეს სვეტებთან ახლოს მცხოვრებთა[3]. არ გვშურს იმათი, ვინც ან ჩვენზე, ან სხვებზე ბევრად დაბლა, ან მაღლა მდგომი გვგონია. გვშურს იმათი, ვინც იმავე საქმიანობას ეწევა, რასაც ჩვენ. უფრო მეტად გვშურს ბრძოლასა და შრომაში მოექიშპეთა. ერთი სიტყვით, გვშურს იმათი, რომლებიც იმისკენ მიისწრაფვიან, რისკენაც ჩვენ. აუცილებელია ყველაზე მეტად ამათი შურდეთ, რაზედაც ნათქვამია:

„მექოთნეს მექოთნისა შურს“[4].

გვშურს იმათიც, ვინც სწრაფად მიიღო ის, რაც ჩვენ დაბრკოლებებით მივიღეთ, ან საერთოდ, ვერ მივიღეთ. გვშურს სხვისი შენაძენი და წარმატება, რადგან წარმატებულნი ჩვენი მახლობელნი და ჩვენი მსგავსნი არიან, ცხადია, იმის გამო, რომ ჩვენ არა გვაქვს ის სიკეთე, რაც მათ აქვთ. სწორედ ესაა შურისა და ტანჯვის მიზეზი. შურს იწვევს ისიც, როცა სხვები ფლობენ ან შეიძინეს ის, რაც ჩვენ შეგვფერის ახლა ან რაც ოდესღაც გვქონდა. ამიტომ მოხუცებს შურთ ახალგაზრდებისა, ხოლო ვინც ბევრი დახარჯა — იმისი, ვინც დახარჯა ცოტა იმავე საგნის შესაძენად. ნათელია, თუ ვისი წარმატება უხარიათ ასეთ ადამიანებს, რა მდგომარეობაში და როდის: აი, ასეთ მდგომარეობაში განიცდიან ადამიანები ტანჯვას, საწინააღმდეგო მდგომარეობაში კი ხარობენ. ამრიგად, თუ მოსამართლე ასე განვაწყვეთ, მაშინ ცხადია, თუ მას ასეთმა ადამიანებმა, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ, შებრალება ან რაიმე სხვა სთხოვეს, თანაგრძნობას ვერ ეღირსებიან.

თუ რა მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ეჯიბრებიან ვის და რაში, ცხადი გახდება მომდევნო მსჯელობიდან. თუ შეჯიბრი არის წუხილი იმ საპატიო სიკეთის გამო, რომელიც აქვს ჩვენსავე მსგავს ადამიანს, მაგრამ რომელიც ჩვენ შეგვფერის, წუხილი არა იმის გამო, რომ მას აღარ ჰქონდეს ეს უპირატესობა, არამედ რომ ჩვენც გვქონდეს იგი, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ შეჯიბრი არის მიზანშეწონილი თვისება, დამახასიათებელი კეთილშობილი ადამიანებისათვის. შური კი დასაგმობია და დამახასიათებელია უღირსი ადამიანებისათვის. შეჯიბრი განაწყობს ადამიანს უპირატესობის მოპოვებისათვის, ხოლო შური იმისათვის, რომ მახლობელს არ ჰქონდეს უპირატესობა. აუცილებელია, რომ შეჯიბრებაში მყოფნი თა-
1388b ვის თავს თვლიდნენ იმ სიკეთეთა ღირსად, რომელიც მათ არა აქვთ, რადგან არავინ არ მიისწრაფვის იმისკენ, რაც შეუძლებლად მიაჩნია. მაშასადამე, ასეთნი არიან ახალგაზრდა და დიდსულოვანი ადამიანები. ხოლო ის უპირატესობანი, რასაც აფასებენ პატივცემული ადამიანები, შემდეგია: სიმდიდრე, მეგობრების სიმრავლე, ძალაუფლება და სხვა ამდაგვარი. ვისაც ეს აქვს, ამის მფლობელი კარგი ადამიანი უნდა იყოს, რადგან ყოველივე ამის ქონება შეჰფერის კარგ ადამიანს. ეს სათნოებანი იწვევენ შეჯიბრების სურვილს, აგრეთვე ის სათნოებანი, რასაც სხვები აფასებენ. შეჯიბრების სურვილს აღძრავენ ისინიც, რომელთა ან წინაპრები, ან ნათესავები, ან ამხანაგები, ან ერი, ან ქალაქი პატივსაცემია. სწორედ ამის გამო ხდება ის შეჯიბრების საგანი, რადგან სხვები ფიქრობენ, რომ ყოველივე ეს მათთვის მახლობელია და რომ თვითონაც არიან ამის ღირსნი. თუ შეჯიბრის საგანი ისეთი სიკეთეა, რომელიც საპატიოა, აუცილებელია, რომ ის ისეთი სათნოება იყოს, რომელიც სხვებისათვისაც სასარგებლოა და სასიკეთო, რადგან პატივს სცემენ ქველმოქმედ და კარგ ადამიანებს. შეჯიბრის საგანია აგრეთვე ის უპირატესობანი, რომელიც სასარგებლოა ჩვენი მახლობლებისათვისაც, მაგალითად, სიმდიდრე და მშვენიერება უფრო მეტად, ვიდრე ჯანმრთელობა.

აქედან ცხადია, თუ რომელი ადამიანები იწვევენ შეჯიბრის სურვილს, აი, ასეთი და ასეთ სათნოებათა მფლობელნი. ესენია

ზემოჩამოთვლილი სათნოებანი: სიმამაცე, სიბრძნე, ძალაუფლება, რადგან სარდლებს, ორატორებს, მეთაურებს და ყველას, ვისაც კი ამის უნარი აქვს, მრავალი ადამიანისათვის შეუძლიათ სიკეთის მოტანა. ასეთია ის ადამიანები, რომელთა მსგავსი, ნაცნობი ან მეგობარი ბევრს უნდა იყოს, რომლებითაც ბევრნი და ჩვენ ვართ აღტაცებულნი, რომელთაც აქებენ და ხოტბას ასხამენ პოეტები და ლოგოგრაფოსები.

სიძულვილს იწვევენ საწინააღმდეგო თვისებების მქონე ადამიანები, რადგან შეჯიბრს სიძულვილი უპირისპირდება. აუცილებელია, რომ შეჯიბრის სურვილს იწვევდნენ ასეთი თვისებების მქონე ადამიანები. ხოლო საძულველნი ამათი მოწინააღმდეგენი არიან. ამიტომაც ხშირად სძულთ ისეთი ადამიანები, რომლებმაც ბედნიერება შემთხვევით მოიპოვეს, მოიპოვეს იმ სათნოებათა გარეშე, რაც პატივისცემას იმსახურებს.

ამრიგად, უკვე ვთქვით იმის შესახებ, თუ რისგან წარმოიშობა და ისპობა ვნება და რა გზით უნდა იქნეს მოპოვებული მის არსებობაში დასარწმუნებელი საშუალებები.

12

ამის შემდეგ უნდა /განვიხილოთ, თუ რა თვისებები ახასიათებს ადამიანს განცდების, ჩვეულებების, წლოვანებისა და ბედის შესაბამისად./ განცდას მე ვუწოდებ სიბრაზეს, სურვილს და სხვა ამდაგვარს, რაზედაც ადრე უკვე ვილაპარაკეთ. ზემოთ უკვე ვთქვით სათნო და ბოროტი თვისებების შესახებ და აგრეთვე იმის თაობაზე, თუ რომელს აძლევს უპირატესობას თვით ადამიანი და როგორ ახორციელებს მას. \ასაკებია: ახალგაზრდობა, მოწიფულობა, ხანდაზმულობა.\ ბედს მე ვუწოდებ 1389a
კეთილშობილებას, სიმდიდრეს, ძალაუფლებას და ამის საწინააღმდეგოს; \ ბედია, საერთოდ, ბედნიერება და უბედურება. /

\ახალგაზრდები თავისი ხასიათით ვნებიანნი არიან და აკეთებენ იმას, რაც სურთ. სხეულებრივ სიამოვნებათაგან განსაკუთრებით ეტანებიან სასიყვარულო ვნებებს. ვნებებში ისინი ცვალებადნი და თავშეუკავებელნი არიან და ის, რაც ძალიან სურდათ, ჩქარაც ბეზრდებათ/ მათი სურვილები მწვავეა, მაგრამ არა ძლიერი, როგორც ავადმყოფისათვის შიმშილი და წყურვილი. ისინი სწრაფად აღგზნებადნი, ბრაზიანნი და ვნე-

ბების ამყოლნი არიან. ახალგაზრდები თავის ვნებებთან შედა-
რებით სუსტნი არიან. [პატივმოყვარეობის გამო სიძულვილს
ვერ იკავებენ და მაშინვე აღშფოთდებიან ხოლმე, როგორც კი
უსამართლობას შენიშნავენ. [უყვართ პატივი და უფრო მეტად
გამარჯვება, რადგან ახალგაზრდობას სურს უპირატესობა, ხო-
ლო გამარჯვება უპირატესობაა. ისინი ორივე ამ თვისებას უპი-
რატესობას აძლევენ სიმდიდრის წინაშე. ისინი სრულებით არ
არიან სიმდიდრის მოყვარენი, რადგან გაჭირვება არ განუცდი-
ათ და როგორც პიტაკე[5] ეუბნება ამფიარაოსს, ისინი არ არი-
ან არც გაქნილნი, რადგან არ უნახავთ არავითარი უზნეობა.
არიან ადვილად დამჯერებელნი, რადგან ხშირად არ ყოფილან
მოტყუებულნი. ისინი იმედიანნი არიან და როგორც მთვრალთ,
ადვილად აღგზნებადი ბუნება აქვთ. ამავე დროს იმიტომ, რომ
ხშირად არ დამარცხებულან, უპირატესად, დიდი იმედებით
ცხოვრობენ. რადგან იმედი მომავალს ეხება, მოგონება — წარ-
სულს. [ახალგაზრდებს მომავალი ხანგრძლივი აქვთ, წარსუ-
ლი — ხანმოკლე] ახალგაზრდობის დღეებში გასახსენებელი
ცოტაა, იმედი კი ყველაფრისა შეიძლება ჰქონდეთ. ზემოთქმუ-
ლის მიხედვით, მათი მოტყუება ადვილია. მათ ადვილად სჯე-
რათ, უაღრესად მამაცნი არიან, რადგან აღგზნებადნი და იმე-
დიანნი არიან. ამათგან პირველი თვისება მათში უშიშროების
გრძნობას წარმოშობს, მეორე კი — გაბედულებას. ის, ვინც
ბრაზობს, არაფრის არ ეშინია, ხოლო ვისაც რაიმე სიკეთის
იმედი აქვს, გაბედულია. ახალგაზრდები მორცხვნი არიან და
არ ეძებენ სხვა რომელიმე მშვენიერებას, კანონით ნებადარ-
თულის გარდა. არიან დიდსულოვანნი, რადგან ისინი ცხოვრე-
ბას არ დაუმცირებია, არც გაჭირვება უნახავთ, სთვლიან რა
თავს დიდ სიკეთეთა ღირსად, დიდსულოვანნიც არიან, რაც
მათ იმედებით ავსებს.

ისინი მშვენიერებას სარგებლობაზე მაღლა აყენებენ. რად-
გან უფრო მეტად ზნეობით ცხოვრობენ, ვიდრე ანგარიშით. ან-
1389a გარიში სარგებლობას ანიჭებს უპირატესობას, სათნოება —
მშვენიერებას. ისინი სხვა ასაკის ადამიანებთან შედარებით უფ-
რო მეტად არიან მეგობრებისა და ამხანაგების მოყვარენი,
რადგან ახარებთ საზოგადოებაში ცხოვრება და არც თვითონ
მოქმედებენ სარგებლობისათვის და არც მეგობრებს აფასებენ
ამით. ასე რომ, ისინი ყოველივეში გადაჭარბებისა და უკიდუ-

რესობის გამო სცდებიან. წინააღმდეგ ქილონისᵉ მოსაზრებისა, ისინი ყოველივეს გადაჭარბებულად სჩადიან: უყვართ ზედმეტად, სძულთ ზედმეტად და ასევე ყოველივე სხვა. ფიქრობენ, რომ ყველაფერი იციან და ცდილობენ კიდეც ამის დამტკიცებას. ესაა სწორედ მიზეზი იმისა, რომ ყოველივეში აჭარბებენ. დანაშაულს სჩადიან განაწყენებულნი და არა სიბოროტის გამო. ისინი შემბრალებელნი არიან, რადგან ყველა კარგი და კეთილი ჰგონიათ. საკუთარი უბოროტობით ზომავენ მახლობლებს და ჰგონიათ, რომ ისინი დაუმსახურებლად იტანჯებიან. უყვართ მხიარულება და ამიტომ დამცინავნი არიან, ხოლო დაცინვა არის ზრდილობიანი ქედმაღლობა. ასეთია ახალგაზრდების თვისებები.

13

ხანდაზმულთა და მოხუცთა ჩვევების უმრავლესობა, დაახლოებით, ახალგაზრდების თვისებების საწინააღმდეგოა, რადგან მათ მრავალი წელი უცხოვრიათ, ბევრჯერ მოტყუებულან და ბევრი შეცდომა დაუშვიათ და რადგან ადამიანთა საქმეების უმრავლესობა ამაოდ მიუჩნევიათ, ამიტომ აღარც არაფერს ამტკიცებენ და იმაზე ნაკლებს აკეთებენ, ვიდრე საჭიროა. მხოლოდ ვარაუდობენ და არასოდეს არ იციან. კამათის დროს ყოველთვის ხმარობენ გამოთქმას „შესაძლებელია“, „იქნება“ და ყოველთვის ასე ლაპარაკობენ, გადაჭრით კი არასოდეს. მათ ცუდი ხასიათი აქვთ იმიტომ, რომ ყოველივე ცუდი ჰგონიათ. ისინი ეჭვიანნი არიან უნდობლობის გამო. უნდონი კი არიან გამოცდილებით, ამიტომ არც ძალიან უყვართ და არც ძალიან სძულთ, არამედ როგორც ბიანტე ამბობს[1], უყვართ ისე, თითქოს შეძულებას აპირებდნენ და სძულთ ისე, თითქოს სურდეთ შეყვარება. ისინი სულმდაბალნი არიან, რადგან ცხოვრებამ დაამდაბლა. მათ არ სურთ რაიმე დიდი და გადაჭარბებული, არამედ ცხოვრებისათვის საჭირო. არ არიან ხელგაშლილნი, რადგან ქონება ერთ-ერთი აუცილებელი რამაა. ამავე დროს გამოცდილებით იციან, რომ ქონების შეძენა ძნელია, გაფლანგვა კი ადვილი. ისინი მხდალნი არიან და ყოველივესი წინასწარ ეშინიათ, რადგან მათ ახალგაზრდების საწინააღმდეგო თვისება აქვთ. ახალგაზრდები ფიცხნი არიან, მოხუცები —

გულგრილნი. ასე რომ, მოხუცებულობა გზას კაფავს სიმხდალისაკენ, რადგან შიში რაღაც გაცივებაა. მათ უყვართ სიცოცხლე, განსაკუთრებით ცხოვრების ბოლოს, რადგან აღამიანებს ის უნდათ, რაც არა აქვთ და ყველაზე მეტად კი სურთ, რაც აკლიათ. მოხუცებს თავი უფრო მეტად უყვართ, ვიდრე ეს საჭიროა. ესეც სულმოკლეობაა. ისინი ცხოვრობენ სარგებლობისათვის უფრო მეტად, ვიდრე ეს საჭიროა და არა მშვენიერებისათვის. ეს კი მათი ეგოიზმით არის გამოწვეული. სარგებლობა პიროვნებისათვის არის სიკეთე, მშვენიერება კი აბსოლუტური სიკეთეა[2].

1390a მოხუცები უფრო ურცხვნი არიან, ვიდრე მორცხვნი, რადგან ერთნაირად არ ზრუნავენ მშვენიერებასა და სარგებლობაზე. ისინი არაფრად არ აგდებენ სახელს. უიმედონი არიან გამოცდილების გამო, რადგან არსებული მოვლენების უმრავლესობა ცუდია ან უმეტესად ცუდად მთავრდება. ისინი ასეთნი არიან აგრეთვე სიმხდალის გამო. ისინი უფრო მეტად მოგონებებით ცხოვრობენ, ვიდრე იმედით. რადგან მათთვის დარჩენილი სიცოცხლე ხანმოკლეა, განვლილი — ხანგრძლივი. იმედი კი მომავალს ეხება, მოგონება — წარსულს. ესაა მათი ყბედობის მიზეზიც. ისინი დროს წარსულ ცხოვრებაზე ლაპარაკში ატარებენ, რადგან მოგონება სიამოვნებას ანიჭებს. მათ ძლიერი სურვილები აქვთ, მაგრამ თვითონ სუსტნი არიან. ვნებებიდან კი ზოგი გაქრა, ზოგი შესუსტდა, ამიტომ სურთ და მოქმედებენ არა ვნებების, არამედ სარგებლიანობის თვალსაზრისით. ამ ასაკის ადამიანები ზომიერნი არიან. მათი სურვილები წინასწარ გამოზომილია და ანგარიშიანობისადმი დაქვემდებარებული. ისინი უმთავრესად გონებით ცხოვრობენ, ვიდრე მიდრეკილებებით, რადგან გონება მიზნად ისახავს სარგებლობას, მიდრეკილება კი სიკეთეს. ისინი უსამართლობას სჩადიან არა სიბრაზით, არამედ ბოროტებით. შემბრალებელნი მოხუცებიც არიან, მაგრამ არა იმავე მიზეზებით, რის გამოც ახალგაზრდები. ახალგაზრდები შემბრალებელნი არიან კეთილმოყვარეობით, მოხუცნი კი სისუსტით. მათ ეჩვენებათ, რომ მათთან ახლოა ყოველგვარი უბედურება და სწორედ ამიტომ არიან შემბრალებელნი. ამიტომ მუდამ უკმაყოფილონი არიან, მაგრამ არ არიან არც მახვილგონიერნი, არც მხიარულნი. წუწუნი მხიარულებას უპირისპირდება.

ასეთია ახალგაზრდებისა და მოხუცების თვისებები. ასე რომ, თუ ვინმეს დასჭირდება მასალები ამდაგვარი და მათი მსგავსი ხასიათების შესახებ და ამავე დროს მიზანშეწონილად, არ იქნება ძნელი იმის გაგებაც, თუ როგორ შეადგინოს სიტყვა, რათა ნათელყოს ეს თვისებები და თავისი სიტყვაც.

14

(ცხადია, რომ მოწიფული ადამიანის ხასიათი ამ ორ უკიდურესობას შორის იმყოფება/ უარყოფს ორივე ამ მხარეთა უკიდურესობას.)მიტომ ამ ასაკის ადამიანები არც ძალიან გაბედულნი არიან (ეს ხომ თავხედობაა), არც ძალიან მშიშარანი,· არამედ თითოეული ეს თვისება ჩინებულად აქვთ შეხამებული.) ისინი არც ყველას მიმნდობნი არიან და არც მთლად უნდონი. 1390b
არამედ ყოველივეს ჭეშმარიტების მიხედვით განსჯიან. ისინი
არ ცხოვრობენ მხოლოდ მშვენიერების ან მხოლოდ სარგებლობის მიზნით, არამედ ორივეს მიღწევას ცდილობენ. არ ცხოვრობენ არც ხელგაშლილად, არც ძუნწად, არამედ მიზანშეწონილად. ასეთივე არიან ვნებებსა და სურვილებში. მათი გონიერება უკავშირდება სიმამაცეს, სიმამაცე კი გონიერებას. ახალგაზრდებსა და მოხუცებს ეს თვისება ასხვავებთ: (ახალგაზრდები მამაცნი და თავშეუკავებელნი არიან, მოხუცნი მშიშარანი და თავშეკავებულნი.)ზოგადად რომ ვთქვათ, მათ აქვთ ის დადებითი თვისებები, რაც ახასიათებს როგორც მოხუცებს. ისე ახალგაზრდებს ცალ-ცალკე, ოღონდ ერთ მხარეს ჭარბად. მეორეს — ნაკლებად, ამათ კი ზომიერად და ჰარმონიულად.(სხეული მოწიფულობას აღწევს 30—35 წლამდე, სული — 49 წლამდე[3].(

აი, რა შეიძლება თქმულიყო ახალგაზრდობის, მოხუცებულობისა და მოწიფულობის ასაკის შესახებ, აგრეთვე თითოეული ამ ასაკისათვის დამახასიათებელი თვისებების შესახებ.

15

(ახლა ვთქვათ შემთხვევით სიკეთეთა შესახებ, რა მიზეზები წარმოშობენ მათ და რა თვისებები უვითარდებათ მათგან ადამიანებს. კეთილშობილება წარმოშობს პატივმოყვარეობის თვისებას.) საერთოდ, ყველა ადამიანი იმ თვისების გაძლიერებას ცდილობს, რაც აქვს.

(კეთილშობილება ნიშნავს მრავალი პატივსაცემი წინაპრის ყოლას. პატივმოყვარეთ სძულთ ისინი, რომლებიც მათ წინაპრებს ჰგვანან. რადგან მათი საქმენი, რაც უფრო მოშორებულთაა, მით უფრო პატივსაცემი და საქები ჩანს. კეთილშობილება არის სათნოება წარმოშობის მიხედვით. მაგრამ წარმოშობით კეთილშობილება იგივე არაა, რაც ბუნებრივი კეთილშობილება. რადგან ბუნებრივი კეთილშობილება უმეტეს შემთხვევაში არ ემთხვევა წარმოშობით კეთილშობილებას. პირიქით, წარმოშობით კეთილშობილნი უმეტესად მდაბალი ადამიანები არიან.) ადამიანთა დაბადება კი მოსავლის აღებასა ჰგავს. ზოგჯერ თუ გვარი კარგია, გარკვეული პერიოდის შემდეგ კარგი ადამიანები იბადებიან. შემდეგ ხდება დაცემა. ზოგჯერ კეთილშობილ გვარშიც იბადებიან გადარეული ადამიანები. მაგალითად, პირველი დიონისიოსისა და ალკიბიადეს[4] შთამომავალნი. ხოლო მშვიდი ხასიათის ადამიანებს ჰყავთ გონებაჩლუნგი და ზარმაცი შთამომავლობა, როგორც კიმონს[5], პერიკლესა[6] და სოკრატეს[7].

16

(ის თვისება, რაც სიმდიდრეს მოსდევს, ყველასათვის საკმაოდ ნათელია. მდიდარი ადამიანები თავხედნი და ამაყნი არიან. ეს თვისება მათ აქვთ სიმდიდრის შედეგად. მათ ისეთი
1391a წარმოდგენა აქვთ, თითქოს ყოველგვარ სიკეთეს ფლობენ. სიმდიდრე მათთვის ყოველივეს ღირებულების ერთადერთი საზომია) ამიტომ ჰგონიათ, რომ მისი საშუალებით ყველაფრის ყიდვა შეიძლება. ისინი განებივრებულნი არიან ფუფუნებისა და კეთილდღეობის გამო, ტრაბახა და უხეშნი არიან იმიტომ, რომ ჰგონიათ, ყველას სიამოვნებს იმის მოსმენა და იმით აღტაცება, რაც მათ უყვართ და პატივს სცემენ, რომ სხვებსაც იგივე სურთ, რაც მათ.(მათი განცდა საფუძველს მოკლებული არაა, რადგან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელთაც მდიდრები სჭირდებათ. ამიტომაც ამბობს სიმონიდე[1] მდიდართა და ბრძენთა შესახებ: „ცოლმა ჰკითხა ჰიერონს — რა გირჩევნია, იყო მდიდარი, თუ ბრძენი? — მდიდარი, — უპასუხა ჰიერონმა, — რადგან ვხედავ ბრძენნი როგორ დგანან ხოლმე მდიდრების კარზე“) მდიდრები თავს თვლიან იმის ღირსად, რომ გამგებ-

ლობდნენ, რადგან ფიქრობენ, რომ გააჩნიათ ის, რის გამოც ღირსნი არიან, გამგებელნი იყვნენ. (მოკლედ რომ ვთქვათ, უგუნურთ ბედნიერებას სიმდიდრე ანიჭებს.) ახლახან გამდიდრებულის ჩვევები იმით განსხვავდება ადრე გამდიდრებულისაგან, რომ ახლად გამდიდრებულს ყოველი ცუდი თვისება უფრო მეტად და უფრო უარესად ახასიათებს, რადგან იგი არაა ისე აღზრდილი, რომ სიმდიდრის გამოყენება იცოდეს. უსამართლობა, რომელსაც იგი სჩადის, გამოწვეულია არა ბოროტებით, არამედ ნაწილობრივ თავშეუკავებლობით, ნაწილობრივ თავხედობით, რაც მრისხანებასა და გარყვნილებაში ვლინდება.

17

ასევე, დაახლოებით, ნათელია ძალაუფლების მქონეთა თვისებების მეტი წილი, რადგან ეს მათ საერთოდ აქვთ მდიდრებთან, ნაწილი კი უკეთესი აქვთ. ძალაუფლების მქონენი უფრო პატივმოყვარენი და მამაცნი არიან, ვიდრე მდიდრები, რადგან ისეთ საქმეებს ეტანებიან, რომელთა შესრულება ძალაუფლებით შეიძლება. ისინი საქმიანობაში უფრო ენერგიულნი არიან, რადგან იძულებულნი არიან განუწყვეტლივ ფხიზლობდნენ ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით. ისინი მედიდურნი და დარბაისელნი არიან, რასაც მათი თანამდებობა მოითხოვს. ამიტომ ისინი თავშეკავებულნი არიან. მათი მედიდურობა დაკავშირებულია ფუფუნებასთან, სიდინჯე — მოჩვენებით სიდარბაისლესთან. თუ ისინი უსამართლობას ჩაიდენენ, ეს პატარა უსამართლობა კი არ იქნება, არამედ დიდი.

შემთხვევითი ბედნიერება ნაწილობრივ იგივეა, რაც ზემოჩამოთვლილი, რადგან ამაზე დაიყვანება თვისებები იმ შემთხვევითი ბედნიერებისა, რომელიც ყველაზე დიდი ჩანს. შემ- 1391b
თხვევით ბედნიერებას აძლიერებს მრავალშვილიანობა და სხეულებრივი უპირატესობანი. შემთხვევით ბედნიერნი ქედმაღალნი და უგუნურნი არიან, რასაც საბედნიეროდ თან სდევს ისეთი შესანიშნავი თვისება, როგორიცაა ღვთისმოსაობა და ღმერთის სიყვარული. მათ სწამთ, რომ მთელი სიკეთე, რომელიც მათ აქვთ, აქვთ ბედისგან.

ამრიგად, უკვე ვთქვით[2] ასაკისა და შემთხვევითი თვისებების შესახებ. ამის საპირისპირო, როგორიცაა სიღარიბე, უბედობა, სისუსტე, ნათელი გახდება საწინააღმდეგო მსჯელობიდან.

18

სასამართლო განაჩენის გამოტანისას საჭიროა დამარწმუნებელი სიტყვის წარმოთქმა (რადგან ის, რაც ცნობილია და გადაწყვეტილი, არ საჭიროებს რაიმე დასაბუთებას). ასეთი სიტყვა მიმართულია რომელიმე ერთი პირის წინააღმდეგ, როგორც წაქეზებისას, ისე აკრძალვისას, როგორც იქცევიან დამრიგებელნი და წამქეზებელნი. მოკლედ რომ ვთქვათ, მოსამართლე ერთ-ერთი ასეთი ადამიანია, რომელსაც დარწმუნება ჭირდება. ასეთია სწორედ მოსამართლე. მნიშვნელობა არა აქვს იმას. სიტყვა მიმართული იქნება მოწინააღმდეგისაკენ, თუ წარმოთქმული იქნება რაიმე დებულებებისათვის. ორატორმა სიტყვა აუცილებლად უნდა გამოიყენოს საწინააღმდეგო მტკიცებათა დასარღვევად, რისთვისაც ქმნის ამ სიტყვას. ასეთივე მდგომარეობაა ეპიდიქტიკურ სიტყვებში, რომელიც მიმართულია მოსამართლისადმი, თითქოს ის მსმენელი იყოს. საერთოდ, პოლიტიკურ ბრძოლებში სიტყვა ერთადერთი მოსამართლეა, რომელმაც სადავო საკითხი უნდა გადაჭრას. ხოლო დავობენ ან თათბირობენ იმ საკითხზე, რომელიც გადასაწყვეტია. სახელმწიფოს თვისებების შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ადრე. როცა სათათბირო სიტყვებს ვიხილავდით[3], ასევე გარკვეულია ისიც, თუ როგორ და რა მიზნით წარმოთქვამენ ეთიკური ხასიათის სიტყვებს.

რადგან ყოველი სახის სიტყვას, როგორც ზემოთაც ვთქვი, განსხვავებული მიზანი აქვს[4], ამიტომ თვითეული მათგანის შესახებ არსებობს გარკვეული თვალსაზრისები და წანამძღვრები, საიდანაც იღებენ საბუთებს ორატორები, როგორც სათათბირო, ისე ეპიდიქტიკურ და სამოსამართლო სიტყვებში[5]. როგორ იქმნება ეთიკური სიტყვები, ეს უკვე განვსაზღვრეთ[6]. განსასაზღვრავი დაგვრჩა ზოგადი ხასიათის საბუთები. ყველა ორატორისათვის აუცილებელია შესაძლებელისა და შეუძლებელის შესახებ ტოპების გამოყენება. რადგან ზოგან უნდა სცადონ

იმის მტკიცება, რომ მოვლენების ნაწილი მოსალოდნელია, ზოგან კი იმისა, რომ ისინი უკვე არსებობდნენ. მსჯელობის საგნის გაზვიადება საერთოა ყველა სიტყვისათვის. დამცირებისა და გაზვიადების მეთოდს იყენებენ როგორც მრჩეველნი, ისე ისინი, რომლებიც აქებენ ან აძაგებენ, ბრალს სდებენ ან იცავენ. ამის განსაზღვრის შემდეგ უნდა ვცადოთ ზოგადი მსჯე- 1392a
ლობა ენთიმემების შესახებ, თუ ისინი გვაქვს და მაგალითების შესახებ, რასაც დავუმატებთ ზემოთქმულს და გადავწყვეტთ ამოცანას, რომელიც თავშივე დავაყენეთ. როგორც ვთქვით, გაზვიადების მეთოდი უფრო ეპიდიქტიკურ სიტყვებს შეეფერება, უკვე მომხდარი საქმეების გამოყენება — სამრსამართლო სიტყვებს (რადგან განაჩენი ამას ემყარება), შესაძლებელისა და მოსალოდნელის გამოყენება — სათათბირო სიტყვებს.

19

პირველ ყოვლისა, ვთქვათ შესაძლებელსა და შეუძლებელზე. თუ წინააღმდეგობის ერთ-ერთი მხარე შესაძლებელია ან უკვე არსებობს, ანდა შეიძლება იარსებოს მომავალში, უნდა ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელი იქნება მეორე მხარეც. მაგალითად, თუ ადამიანის გამოჯანმრთელება შესაძლებელია, შესაძლებელი უნდა იყოს მისი დაავადებაც, რადგან წინააღმდეგობის ორივე მხარე ერთსა და იმავე საგანთან არის დაკავშირებული. თუ ორი მსგავსი საგნიდან ერთ-ერთი არსებობს, იარსებებს მეორეც. თუ შესაძლებელია ძნელი, ადვილიც შესაძლებელი იქნება. თუ შესაძლებელია მშვენიერისა და კარგის წარმოშობა, შესაძლებელი იქნება წარმოშობა საერთოდ, რადგან უფრო ძნელია მშვენიერი სახლის აშენება, ვიდრე სახლისა საერთოდ. თუ დასაწყისი შესაძლებელია, დასასრულიც შესაძლებელი უნდა იყოს, რადგან შეუძლებელი არც წარმოიშობა და არც იწყებს წარმოშობას. მაგალითად, სწორკუთხედის დიამეტრის თანაფარდობა არც წარმოშობილია და არც წარმოიშობა. სადაც დასასრული შესაძლებელია, იქ დასაწყისიც შესაძლებელია, რადგან ყველაფერი დასაწყისიდან წარმოიშობა. თუ მომდევნოს არსებობა შესაძლებელია ან არსის, ან წარმოშობის თვალსაზრისით, მაშინ შესაძლებელი იქნება წინამორბედიც. მაგალითად, თუ შესაძლებელია მამაკაცის წარმო-

შობა, შესაძლებელი უნდა იყოს ბავშვის წარმოშობაც. რადგან მამაკაცი უსწრებს ბავშვს. და თუ ბავშვია შესაძლებელი, შესაძლებელი უნდა იყოს მამაკაციც. ის ხომ დასაწყისშია. შესაძლებელია ისიც, რომლის არსს სიყვარული ან ვნება შეადგენს, რადგან უმეტეს შემთხვევაში არავის არ უყვარს და არც სძულს შეუძლებელი. აგრეთვე ის, რის შესახებ არსებობს ცოდნა ან ხელოვნება, მისი არსებობაცა და წარმოშობაც შესაძლებელია. შესაძლებელია აგრეთვე ის, რის წარმოშობის საწყისი იმათ ხელშია, ვინაც ჩვენ შეიძლება ვაიძულოთ ან დავარწმუნოთ. ასეთები კი ის ადამიანები არიან, რომლებიც ან ჩვენი მეგობრები არიან, ან რომლებზე ძლიერნიც ჩვენ ვართ, ანდა რომლებიც ჩვენ გვექვემდებარებიან, რომლის ნაწილი შესაძლებელია, მთელიც შესაძლებელი იქნება. რაც არსებობს როგორც მთელი, მისი ნაწილიც შესაძლებელი იქნება. ზოგადად რომ ვთქვათ, თუ შესაძლებელია ფეხსაცმლის, კეპის და წამოსასხამის ნაჭერთა დამზადება, შესაძლებელი უნდა იყოს მთელი ფეხსაცმლის დამზადებაც. და თუ მთელი ფეხსაცმლის დამზადება შესაძლებელია, მაშინ შესაძლებელია ფეხსაცმლის, კეპისა და წამოსასხამის ნაწილთა დამზადებაც. თუ მთელი გვა-
1392b რია შესაძლებელი, შესაძლებელი უნდა იყოს სახეც და თუ სახეა შესაძლებელი, მაშინ გვარიც შესაძლებელი ყოფილა. მაგალითად, თუ გემის დამზადება შესაძლებელია, მაშინ შესაძლებელი იქნება ტრიერის[1] დამზადებაც და თუ ტრიერი შესაძლებელია, გემიც შესაძლებელი უნდა იყოს. თუ ერთმანეთისადმი დაპირისპირებული წყვილის ერთი მხარის არსებობა შეიძლება, უნდა შეიძლებოდეს მეორე მხარის წარმოშობაც. მაგალითად, თუ ორმაგი არსებობს, ნახევარიც იარსებებს და თუ ნახევარია, ორმაგიც იქნება. თუ შესაძლებელია წარმოშობა ხელოვნებისა და შრომის გარეშე, მით უმეტეს შესაძლებელი იქნება წარმოშობა ხელოვნებითა და ზრუნვით. ამის შესახებ ამბობს აგათონი:

„ზოგი ხელოვნებამ უნდა წარმოქმნას,
ზოგს იძულება და შემთხვევა გვაწვდის“[2].

ის, რაც შესაძლებელია უფრო ცუდი, სუსტი და უგუნური ადამიანებისათვის, მით უმეტეს შესაძლებელი იქნება საწინააღმდეგო თვისებების მქონეთათვის და როგორც ისოკრატეც

ამბობს: „საკვირველი იქნებოდა, მას რომ არ შესძლებოდა იმის მიგნება, რაც ევთინემ შეისწავლა“.

ამრიგად, ცხადია, რომ შეუძლებელის შესახებ ამის საწინააღმდეგო მსჯელობა უნდა ვაწარმოოთ. იმავე მსჯელობიდან ნათელი გახდება ისიც, რაც მომავალში უნდა მოხდეს. მოხდება ის, რაც ჩვენი უნარისა და სურვილისაგან არის დამოკიდებული, აგრეთვე ჩვენი მისწრაფების, ვნებისა და გონებისაგან, თუ ამის შესაძლებლობაც გვაქვს. ამიტომ ჩვენი მისწრაფებისა და ზრუნვის საგანი განხორციელდება კიდეც მომავალში, რადგან უმეტეს შემთხვევაში ხდება ის, რაზეც ჩვენ ვზრუნავთ, ვიდრე ის, რაზეც არ ვზრუნავთ. მაშინ თუ უკვე წარმოიშვა ის, რაც თავისი ბუნებით ადრე უნდა წარმოშობილიყო, მაგალითად, თუ მოიღრუბლა, წვიმაც წამოვა, და თუ ერთი მოხდა მეორისათვის, მეორეც მოხდება. მაგალითად, თუ საძირკველი ამოყვანილია, სახლიც აშენდება. 1393ბ

საგნების სიდიდე, სიმცირე, მეტი და ნაკლები და საერთოდ, დიდი და პატარა მოვლენები ჩვენთვის ნათელია ზემოთქმულიდან, რადგან როცა ვმსჯელობდით სათანბირო სიტყვებზე, იქ ვთქვით სიკეთის სიდიდესა და საერთოდ, მეტისა და ნაკლების შესახებ. ასე რომ, თითოეული სიტყვის საბოლოო მიზანია წინასწარ განზრახული სიკეთე, როგორიცაა სარგებლობა, მშვენიერება და სამართლიანობა. ცხადია, რომ ყოველი სახის სიტყვაში მასალები გაზვიადების შესახებ აქედან უნდა ავიღოთ. ამის გარეშე, საერთოდ, სიდიდისა და უპირატესობის შესახებ მსჯელობა აბდაუბდა იქნება. პრაქტიკული თვალსაზრისით საგნების ზოგად მხარეებზე უფრო მეტად საჭიროა მათი ცალკე მხარეების კვლევა.

აი, ყველაფერი ის, რაც უნდა გვეთქვა იმის შესახებ, თუ რა არის შესაძლებელი ან შეუძლებელი, რაც მოხდა ან არ მოხდა, მოხდება ან არ მოხდება, აგრეთვე საგნის სიდიდისა და სიმცირის შესახებ.

20

დაგვრჩა სათქმელი დარწმუნების ზოგადი ხერხების შესახებ რიტორიკული სიტყვის ყველა სახეობაში, რადგან უკვე ვთქვით მათი ცალკე სახეების თაობაზე. არსებობს დარწმუნე-

ბის ორი ზოგადი სახე: მაგალითი და ენთიმემა, ხოლო გნომი ენთიმემის ნაწილია. პირველ ყოვლისა, ვილაპარაკოთ მაგალითის შესახებ. მაგალითი ინდუქციას ჰგავს, ხოლო ინდუქცია არის დასაწყისი.

არსებობს მაგალითების ორი სახე: პირველი სახეა იმ საქმეთა ჩამოთვლა, რომლებიც ადრე არსებობდნენ. მეორე სახის მაგალითებს კი ჩვენ თვითონ ვქმნით. ამ უკანასკნელის სახეებია შედარებები და არაკები. მაგალითად, ეზოპესა და ლიბიური არაკები[1]. ისტორიულ ამბავთა გამოყენების შემდეგი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ: თუ ვინმეს უნდა თქვას, რომ საჭიროა ვემზადოთ სპარსთა მეფის წინააღმდეგ[2] და არ
1393b მივცეთ ეგვიპტის დაპყრობის საშუალება, ის ამბობს, რომ ადრე დარიოსიც ისე არ შემოვიდა საბერძნეთში, სანამ ეგვიპტე არ დაიპყრო, ხოლო როდესაც დაიპყრო, მაშინ გადმოლახა საზღვარი. ასევე ქსერქსემაც მანამ ვერ გაბედა საბერძნეთის დაპყრობა, სანამ ეგვიპტე არ აიღო. აიღო რა ეგვიპტე, მერე გადმოლახა საბერძნეთის საზღვარი. ასევე ხსენებული მეფეც, როცა ეგვიპტეს აიღებს, გადმოლახავს საზღვარს. მაშასადამე, მას ამის ნება არ უნდა მივცეთ. შედარების სოკრატისეული მაგალითია: თუ ვინმე ამბობს, რომ მმართველი კენჭის ყრით არ უნდა იქნეს არჩეული, ის ამტკიცებს, რომ საწინააღმდეგო შემთხვევა იმას დაემსგავსებოდა, ათლეტს ირჩევდნენ არა იმის მიხედვით, შეუძლია თუ არა მას ბრძოლა, არამედ კენჭის ყრით, ანდა მესაჭეს რომ კენჭის ყრით ირჩევდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩეული სურთ და არა მცოდნე!

არაკის მაგალითია სტესიქორეს მოთხრობა ფალარისის შესახებ და ეზოპეს მოთხრობა დემაგოგის თაობაზე. როდესაც ჰიმერილებმა[3] სრულუფლებიან სტრატეგად ფალარისი აირჩიეს და უნდოდათ მისთვის პირადი დაცვის დანიშვნა, სტესიქორემ ასეთი არაკი დაიმოწმა სხვა საბუთებთან ერთად: ცხენი ფლობდა საძოვარს, მოვიდა ირემი და საძოვარი გააფუჭა. ცხენმა მისი დასჯა მოინდომა და ჰკითხა ვიღაც კაცს, ხომ არ დაეხმარებოდა ირმის დასჯაში. კაცმა უპასუხა, რომ დახმარებას მაშინ შესძლებდა, თუ აღვირის ამოდებისა და შუბით შეიარაღებულს მასზე შეჯდომის ნებას მისცემდა. ცხენი დათანხმდა. ადამიანი შეჯდა, მაგრამ ირმის დასჯის მაგიერ, ცხენი თვითონ იქცა ადამიანის მონად. ასევე გაფრთხილდით

თქვენც, — თქვა მან, — მტრების დასჯის მსურველთ იგივე არ დაგემართოთ, რაც ცხენს. როდესაც სრულუფლებიანი სტრატეგი აირჩიეთ, აღვირი უკვე ამოგდეს და თუ პირად დაცვასაც და თქვენზე შეჯდომის ნებასაც მისცემთ, ფალარისის მონებად იქცევით. ეზოპე[4] სამოსში გამოვიდა სიტყვით დემაგოგის დასაცავად, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი და თქვა: მელა გადადიოდა მდინარეზე. ჩავარდა ხევში და ამოსვლა ვეღარ შეძლო. დიდხანს ეწვალა და ძაღლის ტკიპებითაც აივსო. როდესაც ის მოხეტიალე ზღარბმა დაინახა, შეეცოდა და ჰკითხა: — ხომ არ ამოგაცალო? მელამ უარი უთხრა. ზღარბმა ჰკითხა: — რატომაო? — იმიტომ, რომ ესენი უკვე გაივსნენ ჩემი სისხლით და ცოტასღა წოვენ. ამათ თუ ამომაცალი, სხვები მოვლენ, მშივრები და დარჩენილ სისხლს მალად ამომწოვენო. ასე დაგემართებათ თქვენც, სამოსილო ვაჟკაცნო! ამ კაცს
თქვენთვის მეტი ზიანის მოყენება არ შეუძლია, რადგან მდი- 1394a
დარია, მაგრამ თუ მოკლავთ, მოვლენ სხვები, ღარიბები, რომლებიც თქვენს საზოგადო ქონებას ქურდობით გაანიავებენ. საჯარო სიტყვებში არაკებს ის დადებითი მხარე აქვს, რომ თუ წარსულში ანალოგიურ საქმეთა დაძებნა ძნელია, არაკის მოგონება ადვილია. არაკები ისე უნდა გამოვიგონოთ, როგორც შედარებები, თუ ვინმეს შეუძლია მსგავსების შემჩნევა, რაც ადვილია ფილოსოფიის მეშვეობით. არაკებით აზრის გადაცემა ადვილია, მაგრამ საქმეებით რჩევა უფრო სასარგებლოა, რადგან მომავალი მეტწილად წარსულსა ჰგავს.

მაგალითებს მაშინ უნდა გამოყენება, როცა ენთიმემები არა გვაქვს, როგორც საბუთი, რადგან მაგალითებით დარწმუნება შეიძლება. მაგრამ როცა ენთიმემები გვაქვს, მათ ისე ვიყენებთ, როგორც მოწმეთა ჩვენებებს, ხოლო ენთიმემებს ვიყენებთ ეპილოგად. თუ ენთიმემებს წინ გადავიტანთ, ის ინდუქციას ემსგავსება. მაგრამ ორატორული სიტყვისათვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ინდუქცია არ არის დამახასიათებელი. თუ მას ბოლოში დავუმატებთ, ჰგავს მოწმის ჩვენებას, რაც ყოველთვის სანდოა. ამიტომ შესავალში საჭიროა ბევრი მაგალითის მოტანა, დასკვნაში კი ერთიც კმარა. მოწმის ჩვენება დამაჯერებელია და ის მაშინაც გამოდგება, როცა ერთია.

ამრიგად, ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ მაგალითების რამდენი სახე არსებობს და როდის და როგორ უნდა გამოვიყენოთ ის.

21

რაც შეეხება ნაკვესს, უნდა ითქვას, თუ რას წარმოადგენს ის. ეს უფრო ცხადი გახდება მას შემდეგ, როცა განვსაზღვრავთ, თუ ვის მიმართ, როდის და ვის შეჰფერის სიტყვაში მისი გამოყენება. გნომი[1] არის გამონათქვამი, რომელიც ეხება არა კონკრეტულ ადამიანს, მაგალითად, იმას, თუ როგორია იფიკრატე, არამედ ზოგად ადამიანს. გარდა ამისა, ის ყველგან არ გამოდგება, მაგალითად, იმაში, რომ სწორი უპირისპირდება მრუდს, არამედ იმაში, რაც მოქმედებისათვის არის საჭრო, ე. ი. იმაში, თუ რა ვურჩიოთ და რა არა მოქმედების დროს. ასე რომ, თუ ენთიმემა ამ შემთხვევაში უახლოვდება სილოგიზმს[2], მაშინ გნომი არის ან ენთიმემების დასკვნები ანდა წანამძღვრები, რომელთაც სილოგიზმის სახე აქვთ. მაგალითად:

გონიერმა კაცმა შვილები არ უნდა აღზარდოს ისე, რომ ისინი უაღრესად ბრძენნი იყვნენ.

ეს გნომია, მაგრამ ამას თუ დავუმატებთ მიზეზისა და მიზნის ახსნას, მაშინ მთლიან ენთიმემას მივიღებთ. მაგალითად,

„გარდა იმისა, რომ უქმად არიან,
მოქალაქეთა შურსაც იწვევენ“[3].

ანდა:

1394b „არ არსებობს ყოველმხრივ ბედნიერი ადამიანი“[4].

ასევე:

„არ არსებობს თავისუფალი ადამიანი“.

ეს არის გნომი, მაგრამ იქცევა ენთიმემად, თუ დაეუმატებთ:

„რადგან იგი მონაა ან სიმდიდრისა ანდა ბედისა“[5].

თუ ზემოთ მოტანილი მაგალითები გნომია, მაშინ აუცილებლად უნდა არსებობდეს ოთხი სახის გნომი, რადგან ზოგი გნომი გვხვდება ეპილოგთან ერთად, ზოგიც უეპილოგოდ. მტკიცება იმ გნომებს სჭირდება, რომელშიც გამოთქმულია

პარადოქსული ან სადავო აზრი. იმათ, რომლებიც პარადოქსებს არ შეიცავენ, ეპილოგი სრულიად არ სჭირდებათ, რადგან წინასწარ ცნობილნი არიან. მაგალითად, ამას:

„როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ადამიანისათვის ყველაზე მეტად საჭიროა ჯანმრთელობა“[6]. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ უმრავლესობა ამ აზრისაა. ნაწილი გნომებისა კი, როგორც კი წარმოთქვამ, მაშინვე ნათელი გახდება. მაგალითად,

„არ უყვარს იმას, ვისაც არ უყვარს მუდამ“[7].

გნომები, რომლებსაც ეპილოგი აქვთ, ზოგი ენთიმემის ნაწილია, მაგალითად,

„საჭიროა, რომ საღად მოაზროვნე ადამიანმა არასოდეს...“[8]

გნომების ნაწილი ენთიმემების სახეს ატარებს, მაგრამ ენთიმემის ნაწილი არაა. ყველაზე მეტად ეს გნომებია დამაჯერებელი. ასეთია ის გნომები, რომელშიც საუბრის საგნის მიზეზი ნათელია. მაგალითად, ასეთი გნომი:

„მოკვდავს არ ძალუძს განიცადოს უკვდავის რისხვა...“[9]

გამოთქმა „არ ძალუძს განიცადოს“ არის გნომი, „მოკვდავი“ კი არის დანართი, რომელიც მიზეზსა ხსნის. ასეთია გნომი:

„მოკვდავი მოკვდავზე უნდა ფიქრობდეს და არა უკვდავზე“[10].

ზემოთქმულიდან ცხადია, თუ გნომების რამდენი სახე არსებობს და სადაა თითოეული მათგანის გამოყენება მიზანშეწონილი. სადავო საკითხებისა და პარადოქსების შემცველი გნომები არ არსებობს ეპილოგის გარეშე. ამ გნომებს ვუმატებთ რა ეპილოგს, ვიყენებთ როგორც დასკვნას. მაგალითად, როცა ვინმე ამბობს: „თუ მე არც შურის საგანი უნდა ვიყო და არც უქმად უნდა გავატარო დრო, მაშინ აღზრდა აღარ იქნება საჭირო“. აქ, რაც ბოლოშია ნათქვამი, უნდა თავში გადავიტანოთ და პირიქით. ხოლო არაპარადოქსალურ, მაგრამ ბუნდოვან გნომებს უნდა დავუმატოთ მიზეზების ძალიან მოკლე ახსნა. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია ლაკონიური და გამოცანის მაგვარი აპოფთეგმების[11] გამოყენება. მაგალითად, თუ ვინმე ამ- 1395a
ბობს იმას, რაც სცესიქორემ უთხრა ლოკრელებს: „ქედმაღალნი არ უნდა იყოთ, რათა ჭრიჭინებმა მიწიდან არ გიმღე-

რონ"[12]. გნომების ხმარება შეჰფერის მოხუცს იმ საგნების შესახებ, რომელიც კარგად იცის. ხოლო ვინც ამ ასაკს არ მიღწეულა, მას არ შეჰფერის არც გნომებისა და არც მითების ხმარება იმ საგნების შესახებ, რაშიც ის გამოუცდელია. ამ შემთხვევაში ის ავლენს სიბრიყვეს და გაუნათლებლობას. ამის კარგი მაგალითია ის, რომ გლეხებს უფრო მეტად აქვთ გნომების შედგენის უნარი და ადვილადაც იყენებენ მათ.

ზოგადი აზრის გამოთქმა იმის შესახებ, რაც ზოგადი არ არის, უფრო მეტად შესაფერია საჩივრებში და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. აქაც ის ან თავში უნდა ვიხმაროთ, ან დასაბუთების შემდეგ. ჩვეულებრივი და ყველასათვის ცნობილი გნომები უნდა გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, თუ მათ სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. იმის გამო, რომ გნომი ზოგადია და ყველასათვის მისაღები, ჭეშმარიტის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად, მოწოდება, მიმართული ჯარისკაცებისადმი, რათა თავი გასწირონ მსხვერპლშეწირვის გარეშე, ასე უნდა გამოითქვას:

„ბრძოლა სამშობლოს დასაცავად საუკეთესო წინასწარმეტყველებაა"[13].

ხოლო მაშინ, როცა რიცხვით ნაკლები არიან, ამბობენ:

„არეოსი ყველასათვის საერთოა"[14].

როდესაც მტრის უდანაშაულო ბავშვებს ხოცავენ:

„უგუნურია ის, ვინც მამას კლავს, მის შვილებს კი ტოვებს"[15].

ზოგი ანდაზა ამავე დროს გნომია:

„ატიკელი მეზობელი"[16].

გნომების გამოყენება საჭიროა აგრეთვე ძალიან გავრცელებული გამოთქმების წინააღმდეგ. მე ვგულისხმობ ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა „შეიცან შენი თავი!" და „არაფერი უზომოდ!" ეს იმ შემთხვევაში, თუ გნომი ეთიკური თვალსაზრისით უკეთესი გამოჩნდება, ანდა როდესაც აზრი პათოსითაა გამოთქმული. პათოსითაა ნათქვამი, როდესაც ვინმე ამ ფრაზას გაბრაზებული ამბობს: „სიცრუეა, რომ თითქოს საჭიროა თავის შეცნობა, რადგან მას რომ თავი შეეცნო, არ ჩათვლიდა

თავს მხედართმთავრობის ღირსად!"[17] ეთიკური თვალსაზრისით უკეთესია ასეთი გამოთქმა: „არაა სწორი, როცა ამბობენ, რომ არ უნდა გიყვარდეს იმიტომ, რომ შეიძულო, არამედ უნდა გძულდეს იმ მიზნით, რომ შეიყვარო". სიტყვა ისე უნდა თქვა, რომ მიზანი ნათელი გახადო, ანდა მიზნის შესახებ ბოლოში ახსნა-განმარტება დაურთო. მაგალითად, ასეთი გამოთქმა: „უნდა გიყვარდეს არა ისე, როგორც ამბობენ, არამედ ისე, რომ თითქოს მუდმივად აპირებდე სიყვარულს". არ მომწონს არც ასეთი გამოთქმა: „არაფერი ზომაზე მეტად". რადგან ბოროტი ადამიანები ზომაზე მეტად უნდა გძულდეს.

1395ბ. გნომებით ლაპარაკს დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველ ყოვლისა, მსმენელთა ამპარტავნობის გამო. მსმენელებს ახარებთ, როცა ზოგადად მოლაპარაკე ისეთ დებულებებს ეხება, რომელთაც ნაწილობრივ თვითონაც იზიარებენ. რასაც ვამბობ და აგრეთვე ისიც, თუ როგორ მივაღწიოთ ამას, ნათელი გახდება ქვემოთ. როგორც უკვე ვთქვით, გნომი არის ზოგადი ხასიათის გამონათქვამი. ხოლო ზოგადად მოლაპარაკე მსმენელებს იმიტომ უყვართ, რომ მის ნალაპარაკევში ხედებიან ისეთ აზრებს, რაც მათ წინასწარ გაიზიარეს. მაგალითად, როდესაც ვინმეს ცუდი მეზობელი ან ბავშვები ჰყავს, იგი დაეთანხმება ორატორის შემდეგ სიტყვებს: „მეზობლობაზე ძნელი არაფერია", ან — „ბავშვების ყოლაზე დიდი სისულელე არ არსებობს".

ამგვარად, ორატორი უნდა ცდილობდეს განსაზღვროს, თუ როგორ მიიღებს მის აზრებს მსმენელი და შემდეგ ზოგადი სახით გამოთქვას. ასეთია პირველი სარგებლობა, რომელიც გნომების გამოყენებას მოაქვს. მეორე სარგებლობა უფრო მნიშვნელოვანია. იგი სიტყვას აძლევს ეთიკურ იერს, საიდანაც ორატორის განზრახვა ცხადი ხდება. ყოველი გნომის ძალაც იმაშია, რომ ორატორი თავის განზრახვას ზოგადად ნათელყოფს. ამრიგად, თუ გნომი ვარგა, მაშინ ორატორი, რომელიც მას იყენებს, ზნეობრივ პიროვნებად მოჩანს.

აი, ყველაფერი ის, რაც გვინდოდა გვეთქვა გნომის, მისი არსის, სახეების, გამოყენების ხერხებისა და იმ სარგებლობის შესახებ, რაც მას მოაქვს.

ჯერ ზოგადად ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ როგორ შივაგნოთ ენთიმემებს და შემდეგ გადავალთ ტოპებზე, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ სახეს წარმოადგენს. ჩვენ უკვე ვთქვით[1], რომ ენთიმემა არის თავისებური სილოგიზმი, აგრეთვე ის, თუ როგორი სილოგიზმია და რით განსხვავდება დიალექტიკური სილოგიზმისაგან. ენთიმემაში არ უნდა მოვიტანოთ ძალიან შორეული წანამძღვრები და არც ყველაფერი შევკრიბოთ, რადგან პირველ შემთხვევაში სიგრძის გამო ბუნდოვანი იქნება, მეორე შემთხვევაში ცნობილი ამბების გადმოცემის გამო ლაყბობა იქნება. ესაა მიზეზი იმისა, რომ გაუნათლებელი ხალხი ბრბოსათვის უფრო დამაჯერებლად ლაპარაკობს, ვიდრე განათლებული და როგორც პოეტებიც ამბობენ, ბრბოს წინაშე გაუნათლებელნი უფრო ოსტატურად ლაპარაკობენ[2], რადგან განათლებულნი ლაპარაკობენ საერთოსა და ზოგადზე, გაუნათლებელნი კი იმაზე, რაც ყველამ იცის და რაც ყველასათვის მახლობელია. ამრიგად, საჭიროა, რომ ორატორმა ილაპარაკოს არა ყველაფერზე, რასაც ფიქრობს, არამედ გარკვეულ საგნებზე. კერძოდ, იმაზე, რაც მისაღებია
1396a მოსამართლეებისათვის, ან მსმენელთათვის და რადგან სიტყვა ასეთი მოჩანს, ამიტომ ის ან ყველასათვის, ან უმრავლესობისათვის ნათელი იქნება. ენთიმემა უნდა შევადგინოთ არა მხოლოდ აუცილებელი წანამძღვრებიდან, არამედ ისეთიდანაც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ხდება.

პირველ ყოვლისა, შევთანხმდეთ, თუ რის შესახებ ვიმსჯელოთ და როგორ შევადგინოთ სილოგიზმი, იქნება ეს პოლიტიკური, თუ სხვა რომელიმე სახის სიტყვა. აუცილებელია ხელთ გვქნოდეს გარკვეული მონაცემები, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც. მაგრამ თუ არაფერი არ გაგვაჩნია, ვერც დასკვნას გამოვიტანთ. მე ვგულისხმობ შემდეგს: როგორ შეიძლება ვურჩიოთ ათენელებს იბრძოლონ ან არ იბრძოლონ, თუ არ გვეცოდინება მათი ძალები, თუ არ გვეცოდინება: საზღვაო ჯარები ჰყავთ, თუ სახმელეთო და რამდენი, მათი შემოსავალი, მეგობრები და მტრები, რა ბრძოლები გადაუხდიათ, როგორ და სხვა ამდაგვარი. ანდა როგორ შევაქებთ მათ, თუ არაფერი ვიცით სალამინის საზღვაო შეტაკების ან მარათონის ბრძოლის შესახებ,

იმის შესახებ, რაც მათ ჩაიდინეს ჰერაკლიდებისათვის[3] და სხვა ამდაგვარი. რადგან ყველას ვაქებთ ან არსებული მშვენიერი საქმეების გამო, ანდა იმ საქმეების გამო, რომელიც მშვენიერი გვგონია. ასევე აძაგებენ საწინააღმდეგო მოქმედების გამო, იკვლევენ რა, თუ რომელი მოქმედებაა გასაკიცხი, ან რომელი მოჩანს ასეთად. მაგალითად, ათენელების მიერ ელინების დამონება, დამონება ეგინელებისა და პოტიდელებისა[4], რომლებიც ბარბაროსების წინააღმდეგ ომში მათი თანამებრძოლნი იყვნენ და ამ მხრივ თავიც გამოიჩინეს; გამოსაკვლევია ათენელთა მიერ ჩადენილი სხვა ამდაგვარი დანაშაულიც. როგორც ასეთ შემთხვევაში, ისე ბრალდებისა და დაცვის დროს აძაგებენ და აქებენ არსებულ საქმეთა გამოკვლევის საფუძველზე. არავითარი სხვაობა არაა, ეს მოქმედება ჩადენილია ლაკედემონელების თუ ათენელების, ადამიანისა თუ ღმერთის მიერ. ასევე აქილევსს უნდა ვურჩიოთ, ვაქოთ ან ვაძაგოთ, ბრალი დავდოთ ან დავიცვათ მისი მოქმედების საფუძველზე, ან იმის საფუძველზე, რაც მისგან ჩადენილი გვგონია. რადგან იმისდა მიხედვით, არიან ეს საქმენი მშვენიერნი, თუ მახინჯნი, უნდა ვიმსჯელოთ აქილევსის ქებისა და ძაგების დროს. იმისდა მიხედვით, არის მოქმედება სამართლიანი თუ უსამართლო, შეიძლება ბრალი დავდოთ ან დავიცვათ. ხოლო რჩევის დროს ხელთ უნდა გვქონდეს საბუთები მოქმედების სასარგებლო ან მავნე შედეგების შესახებ. ასევე ნებისმიერ საგანზე მსჯელობისას. მაგალითად, სამართლიანობის შესახებ მსჯელობისას უნდა გაირკვეს, მოქმედება კეთილგანზრახულია თუ არა. ასევე არსებული საბუთების მიხედვით უნდა მივაკუთვნოთ მოქმედება სამართლიანობის ან სიკეთის ცნებას.

როგორც ჩანს, ყველა ასე ამტკიცებს, სულ ერთია, მსჯელობს მეტად თუ ნაკლებად ზუსტად. საბუთებს ყველგან კი არ 1396b
აგროვებენ, არამედ იქ, სადაც ამ კონკრეტული საგნის შესახებ არსებობს მასალა და რადგან ცხადია, რომ სხვაგვარად მტკიცება შეუძლებელია, აქედან ცხადია ისიც, რაც „ტოპიკებში“ ვთქვით[5], რომ თითოეულ საგანზე საბუთები, შესაძლებელ და ყველაზე მეტად შესაფერისი მასალებიდან უნდა შევკრიბოთ. შემთხვევით საგნებზეც ამავე მეთოდით უნდა ვაწარმოოთ კვლევა, ე. ი. უნდა მივაქციოთ ყურადღება არა განუ-

საზღვრელ მოვლენებს, არამედ იმ მასალებს, რასაც ჩვენი მსჯელობის საგანი ეხება. უნდა აღვწეროთ ის მოვლენები, რაც ყველაზე ახლოა ჩვენი მსჯელობის საგანთან, რადგან იმის მტკიცება უფრო ადვილია, სადაც მეტი საბუთი გვაქვს. ხოლო რაც უფრო მეტად ახლოა ეს საბუთები საგანთან, მსჯელობა მით უფრო მეტად იქნება დამახასიათებელი მისთვის და მით უფრო ნაკლებ ზოგადი იქნება ის. ზოგადში მე ვგულისხმობ აქილევსის ისეთ ქებას, რომ იგი ადამიანია და ნახევრად ღმერთი, რომ მან გაილაშქრა ტროას წინააღმდეგ. რადგან ასეთი და ამდაგვარი თვისებები ახასიათებს ბევრ სხვა ადამიანსაც და ამნაირად აქილევსზე არანაკლებ შეიძლება ვაქოთ დიომედეც. ის ამბები კი, რაც მხოლოდ აქილევსს გადახდა და სხვას არავის, შემდეგია: მან მოკლა საუკეთესო ტროელი, ჰექტორი, მოკლა კიკნოსიც[6], ვინაც ყველას უშლიდა ხელს გემიდან გადმოჯდომაში და თვით კი უვნებლად რჩებოდა. იგი იყო ყველაზე ახალგაზრდა, ფიცდაუდებლად იბრძოდა და სხვა ამდაგვარი.

ეს შერჩევის პირველი ტოპიკური სახეა. ენთიმემების შემადგენელ ელემენტებზე ახლა ვილაპარაკებ. ენთიმემების ნაწილს მე ენთიმემის ტოპს ვუწოდებ. ახლა ვილაპარაკოთ იმაზე, რაზეც აუცილებელია თავდაპირველად ლაპარაკი. არსებობს ენთიმემების ორი სახე. პირველი მათგანი მტკიცებითია და ეხება იმას, რომ არსებობს რაიმე თუ არა. მეორე კი უარყოფითია. მათ შორის ისეთივე სხვაობა არსებობს, როგორც მტკიცებასა და სილოგიზმს შორის დიალექტიკაში. მტკიცებითი ენთიმემა შედგება ისეთი წანამძღვრებიდან, რასაც ყველა ეთანხმება. ხოლო უარყოფითია ის, რასაც ყველა არ ეთანხმება. სასარგებლოსა და აუცილებელის თითქმის ყველა სახის შესახებ არსებობს ტოპი, რადგან წანამძღვრები ყველა მსჯელობას აქვს. ასე რომ, კეთილისა და ბოროტის, მშვენიერისა და მახინჯის, სამართლიანისა და უსამართლოს, ზნეობის, ვნებებისა თუ თვისებების შესახებ ენთიმემების შესადგენად რამდენი ტოპიც
1397a იქნება საჭირო, იმდენი უნდა გვქონდეს წინასწარ მოცემული. გარდა ამისა, ჩვენ ვიმსჯელებთ ზოგადად, ასევე მინიშნებით, როგორც მტკიცებითი, ისე უარყოფითი და მოჩვენებითი ენთიმემების შესახებ, რომლებიც სინამდვილეში ენთიმემები არ არიან, რადგან სილოგიზმს არ წარმოადგენენ. განვიხილეთ რა

ეს, ახლა განვსაზღვრავთ იმას, თუ საიდან უნდა ავიღოთ მასალა მოწინააღმდეგის შეხედულებების დასარღვევად და უარყოფითი ენთიმემების შესადგენად.

23

ერთ-ერთი ტოპი ესაა მტკიცება წინააღმდეგობის დაშვებით. გასარკვევია საკითხი იმის შესახებ, რომ არის თუ არა წინააღმდეგობა ნამდვილად დამახასიათებელი მეორე მხარისათვის, კერძოდ, მისი არარსებობისას კეთდება თუ არა უარყოფითი ხასიათის დასკვნა. მაგალითად, თავშეკავებულობა არის სიკეთე, რადგან თავაშვებულობა არის ბოროტება. ანდა, როგორც ეს ნათქვამია სიტყვაში „მესენელების მიმართ"[1]: „თუ ომი არის არსებულ ბოროტებათა მიზეზი, მაშინ ეს დაზავების შემდეგ უნდა გამოსწორდეს".

„თუ სამართლიანი არაა ვბრაზობდეთ იმაზე, ვინც უნებური ბოროტება ჩაიდინა, მაშინ არც იმათ უნდა ვუმადლოდეთ, ვინც იძულებით გაგვიწია ქველმოქმედება"[2].

„თუ მოკვდავთ სიცრუე სარწმუნოდ მიაჩნიათ, მაშინ საწინააღმდეგოც უნდა ამტკიცო, რომ ხშირად ჭეშმარიტია ის, რაც მათ სიცრუე ჰგონიათ"[3]. ამავე ტოპის მეორე სახე ანალოგიური სიტყვაბრუნვიდან წარმოდგება, რადგან არა აქვს მნიშვნელობა იმას, არსებობს თუ არა მეორე მხარე. მაგალითად, „ყოველივე, რაც სამართლიანია, არაა აუცილებელი, რომ კეთილი იყოს. მაგალითად, სიკვდილი თუნდაც რომ სამართლიანი იყოს, სასურველი მაინც ვერ გახდება".

ტოპის მესამე სახე ურთიერთმიმართებიდან წარმოდგება, რადგან თუ ერთი მხარისათვის სამართლიანია ან მშვენიერი მოქმედება, მეორე მხარისათვის სამართლიანი იქნება მისი განცდა. თუ ერთ მხარეზე გვაქვს მოწოდება, მეორეზე შესრულება გვექნება. როგორც, მაგალითად, მოიჯარადრე დიომედონტი ამბობდა იჯარის შესახებ, რომ „თუ თქვენთვის არაა სამარცხვინო იჯარით გაყიდვა, არც ჩვენთვისაა სამარცხვინო იჯარით შესყიდვა". თუ სამართლიანია და მშვენიერი განცდა, ასეთივე იქნება მოქმედება და პირიქით. თუ სამართლიანია მოქმედება, ასეთივე იქნება განცდა. სწორედ ამაში მდგომარეობს პარალოგიზმი. რადგან თუ ვინმემ რამე სამართლიანად განი-

ცადა, ეს სამართლიანია, მაგრამ ეს არ ამართლებს შენს მოქმე-
დებას. ამიტომ საჭიროა ცალკე ვიკვლიოთ საკითხი იმის შესა-
ხებ, მართებულია თუ არა განმცდელის განცდა და მოქმედის
1397b მოქმედება. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიყენოთ ის მხარე, რო-
მელიც უფრო მიზანშეწონილი იქნება. მაგრამ ზოგჯერ შესაძ-
ლებელია ადგილი ჰქონდეს სხვა მდგომარეობას და წინააღმდე-
გობასაც, როგორც თეოდექტეს „ალკმეონში"[1]:

„განა იყო ისეთი მოკვდავი, რომელსაც არ სძულდა დედა-
შენი?"

ამაზე ალკმეონმა უპასუხა:

„აქ განსხვავებული მიდგომაა საჭირო".

ხოლო ალფესიბოეს შეკითხვაზე: „როგორ?" უპასუხა:

„მას სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ ის მე არ უნდა მომეკ-
ლა".

იგივე უნდა ითქვას დემოსთენეს გასამართლებასა და ნი-
კანორის[5] მკვლელების საქმის გარჩევაზე. თუ სწორი იყო გა-
ნაჩენი მისი სიკვდილით დასჯის შესახებ, მაშინ მისი მოკვლაც
სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ. თებეში მოკლულის შესახებ
კითხულობენ: იყო თუ არა სამართლიანი მისი მოკვლა? — უსა-
მართლობა არაა იმის მოკვლა, ვისი სიკვდილით დასჯაც სამარ-
თლიანად ითვლება[6].

მეტისა და ნაკლების შესახებ არსებობს ასეთი ტოპი. მა-
გალითად, „თუ ღმერთებმა არ იციან ყველაფერი, მით უფრო
ნაკლებ ეცოდინებათ ადამიანებს". ეს იმას ნიშნავს, რომ თუ
რაიმე არა აქვს იმას, ვისაც მეტი უნდა ჰქონდეს, ცხადია, არ
ექნება არც იმას, ვისაც ნაკლები აქვს. „ვინც მამას სცემს, ის
სცემს თავის მახლობელსაც". ეს ტოპი გამომდინარეობს შემ-
დეგი მსჯელობიდან, რომ თუ რაიმე აქვს იმას, ვისაც ნაკლებად
აქვს, ექნება იმასაც, ვისაც მეტი აქვს. აქედან შეიძლება შემდე-
გი მსჯელობის წარმოება, რომ თუ აქვს იმას, ვისაც იშვიათად
აქვს, ექნება იმასაც, ვისაც მეტად ახასიათებს ის. ამ ტოპით
შეიძლება როგორც იმის დამტკიცება, რომ რაიმე თვისება
ახასიათებს ან არ ახასიათებს საგანს, ასევე იმისა, რომ ის არ
ახასიათებს საგანს არც მეტად და არც ნაკლებად. ამიტომაც
არის ნათქვამი:

„თუ საბრალოა მამაშენი, შვილების დამკარგავი, განა საბრალო
არ იქნება ენევსიც, დამკარგავი ცნობილი მემკვიდრისა?“[7]

ასევე „თუ თესევსს[8] არ ჩაუდენია უსამართლობა, მაშ, არ ჩაუდენია არც ალექსანდრეს. თუ დანაშაული არ ჩაუდენიათ ტინდარიდებს, მაშ არც ალექსანდრეს ჩაუდენია“[9]. ასევე, თუ ჰექტორს არ მიუძღვის დანაშაული პატროკლეს მიმართ, არც ალექსანდრეს აქილევსის მიმართ. თუ სხვა ხელობის ხალხი არაა უვარგისი, არც ფილოსოფოსები იქნებიან ასეთნი და თუ სტრატეგები არ არიან უვარგისნი იმის გამო, რომ ხშირად მარცხდებიან, არც სოფისტები იქნებიან ასეთნი. „თუ ცალკე პირი უნდა ზრუნავდეს თქვენს სახელზე, მაშინ თქვენც გმართებთ ზრუნვა ელინთა სახელზე“.

მეხუთე ტოპი წარმოდგება დროის განსაზღვრებიდან. მაგალითად, იფიკრატე[10] მიმართავს ჰარმოდიონს: „საქმის დამთავრებამდე რომ მომეთხოვა ქანდაკება, თქვენ მას მომცემდით. ახლა, როცა საქმე დავასრულე, ნუთუ აღარ მომცემთ? არ უნდა დაპირდეთ რამეს, როცა რაიმეს მიღწევა გსურთ და უარი
არ უნდა უთხრათ მაშინ, როცა საწადელს მიაღწიეთ“. იგივე 1398a
შეიძლება ეთქვა თებელებისათვის ფილიპეს[11], რომელსაც ატიკაში მისასვლელად მათ ტერიტორიაზე უნდა გაეარა: „სანამ ის მათ ფოკელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა, დაჰპირდნენ გაშვებას. ახლა კი უაზრობაა, არ გაუშვან მას შემდეგ, რაც იგი მათ ენდო და მოხერხებული შემთხვევა არ გამოიყენა“.

მეექვსე ტოპი წარმოდგება მაშინ, თუ ჩვენს წინააღმდეგ ნათქვამს მთქმელის წინააღმდეგ წარვმართავთ. აქ განსხვავებული ხერხები გამოიყენება. მაგალითად, ეს ტოპი „ტეკროსში“[12] იფიკრატემ არისტოფონტის წინააღმდეგ გამოიყენა, როდესაც არისტოფონტს ჰკითხა: გასცემდა თუ არა ის ფლოტს ფულის გულისთვის? არისტოფონტმა უარყოფითად უპასუხა. მაშინ იფიკრატემ განაგრძო: „შენ, არისტოფონტ, არ გასცემდი და მე იფიკრატემ რატომ უნდა ჩავიდინო ეს?“ ამ შემთხვევაში სავარაუდო დანაშაული უფრო მოპირდაპირე მხარეს მიეწერება. წინააღმდეგ შემთხვევაში ნათქვამი სასაცილო იქნებოდა. მაგალითად, ვინმეს ეს რომ ეთქვა ბრალმდებლად გამოსული არისტიდეს თაობაზე. რომლის სახელიც ვითარცა ბრალმდებ-

ლისა შებღალული იყო. საერთოდ კი, ამ ტოპში ბრალმდებელს სურს, რომ ბრალდებულზე უკეთესი იყოს. ამიტომ საჭიროა ამ განზრახვის გამოვლენა. საერთოდ კი, უაზრობაა, რომ სხვას კიცხავდე იმის გამო, რასაც შენ თვითონ სჩადიხარ ან მომავალში ჩაიდენ. ანდა სხვებს აქეზებდე იმაზე, რასაც შენ თვითონ არ სჩადიხარ და არც მომავალში ჩაიდენ.

მეშვიდე ტოპი წარმოდგება ცნების განსაზღვრებიდან. მაგალითად, რომ დემონი სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთი, ან ღმერთის შემოქმედება. ვინც ფიქრობს, რომ დემონი არის ღმერთის შემოქმედება, აუცილებლად გულისხმობს, რომ ღმერთები არსებობენ[13]. ან როგორც იფიკრატე ამტკიცებდა, ყველაზე კარგი ადამიანი ყველაზე კეთილშობილურ საქმეს აკეთებს, რადგან ჰარმოდიონსა და არისტოგიტონს არაფერი კეთილშობილური არ ახასიათებდათ, სანამ კეთილშობილურ მოქმედებას ჩაიდენდნენ[14]. ის ამბობს: „მე უფრო ვგავარ მათ, რადგან ჩემი საქმენი უფრო ახლოა ჰარმოდიოსისა და არისტოგიტონის მოქმედებასთან, ვიდრე შენი". და როგორც „ალექსანდრეშია" ნათქვამი[15]: „ყველანი ერთი აზრისა არიან იმის შესახებ, რომ თავშეუკავებელ ადამიანებს არ შეუძლიათ ერთი ქალის სიყვარულით დაკმაყოფილება". ხოლო მიზეზი იმისა, რის გამოც სოკრატე არქელაოსთან არ მივიდა[16], ასეა ახსნილი: „ცუდია არ შეგეძლოს სამაგიეროს გადახდა, როგორც ქველმოქმედებისათვის, ისე ბოროტმოქმედებისათვის". ყველა ამ სიტყვაში განსაზღვრულია მსჯელობის საგანი, გარკვეულია მისი არსი და სილოგიზმიც ამის შესახებ იწარმოება.

მერვე ტოპი წარმოდგება სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობიდან, როგორც „ტოპიკებში"[17] გვქონდა მსჯელობა სიტყვა „სწორია"-ს შესახებ.

მეცხრე ტოპი წარმოიშვება დაყოფით: მაგალითად, თუ ყველა რაიმე მიზეზით იქცევა უსამართლოდ, ან პირველი, ან მეორე, ან მესამე მიზეზით და ამავე დროს პირველი ორის მიხედვით მოქმედება შეუძლებელია, მესამეზე თვით ბრალმდებელნი არაფერს ამბობენ.

1398b მეათე ტოპი მიიღება ინდუქციით. მაგალითად, პეპარეთულ[18] სიტყვაში ის, რომ ბავშვების შთამომავლობის შესახებ ჭეშმარიტების დადგენა ქალებს შეუძლიათ, ასე მტკიცდება: როდესაც ათენელი ორატორი მანტია ედავებოდა თავის შვილს,

მაშინ დავა დედამ გადაწყვიტა. ასევე, როდესაც თებეში ისმენია და სტილბონი დავობდნენ, დოდონისმა დაამტკიცა, რომ ვაჟი ისმენიას ეკუთვნოდა. მაშინ თეტალისკეს ისმენიას ვაჟი შეარქვეს. იგივეა ნათქვამი თეოდექტეს კანონშიც[19]: „ვინც ცუდად უვლიდა სხვის ცხენებს, მას ვერ მივანდობთ ჩვენსას. ვერც იმას მივანდობთ ჩვენს გემებს, ვინც სხვისი გემები დაღუპა. ასევე ყველა სხვა შემთხვევაში: ვინც ცუდად იცავდა სხვას, ვერ გამოდგება ჩვენს დამცველად". ალკიდამანტე[20] ამბობს: „იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა პატივს სცემს ბრძენ ადამიანს, გამოდგებიან: პაროსელები, რომლებიც პატივს სცემდნენ არქილოქეს, თუმცა მას მწარე ენა ჰქონდა; ქიოსელები, რომლებიც პატივს სცემდნენ ჰომეროსს, თუმცა ის ქიოსელი მოქალაქე არ იყო; მიტილენელები პატივს სცემდნენ საფოს, თუმცა ის ქალი იყო; ლაკედემონელები — ქილონს, რომელიც მეთაურადაც კი აირჩიეს, თუმცა თვითონ ნაკლებ სცემდნენ პატივს მეცნიერებას; იტალიელები — პითაგორას; ლამპსაკოსელები — ანაქსაგორას, რომელიც დაკრძალეს და ახლაც პატივს სცემენ, თუმცა ის უცხოელი იყო. ათენელები, რომლებიც სოლონის კანონებით სარგებლობდნენ, გაბედნიერდნენ, ხოლო ლაკედემონელები აღზევდნენ ლიკურგეს კანონებით. თებეში, როგორც კი სათავეში ფილოსოფოსები მოექცნენ, სახელმწიფოც აყვავდა".

მეთერთმეტე ტოპი მიიღება ერთსა და იმავეს შესახებ მსგავსი და საწინააღმდეგო აზრის დადგენით. პირველ ყოვლისა, უნდა გაირკვეს, გადაწყვეტილებას იწონებს ყველა და ყოველთვის, თუ უმრავლესობა; იწონებს ყველა ფილოსოფოსი, თუ მათი უმრავლესობა, თუ კეთილი ადამიანები, ან მოსამართლენი, თუ ისინი, რომლებსაც მოსამართლენი უწევენ ანგარიშს, თუ ისინი, რომელთა აზრს ვერ გაუწევენ წინააღმდეგობას, მაგალითად, დიდი თანამდებობის პირთ, ან რომელთათვის წინააღმდეგობის გაწევა არაა საკადრისი, მაგალითად, ღმერთებისა და მასწავლებლებისათვის, ანდა, როგორც ავტოკლე[21] ამბობდა მიქსიდემიდეს წინააღმდეგ, რომ „თუ არეოპაგის სასამართლოში ევალებათ გამოცხადება ევმენიდებს, ნუთუ ეს მიქსიდემიდესთვის არ უნდა იყოს სავალდებულო?" ანდა როგორც საფო ამბობდა: „სიკვდილი ბოროტებაა. ღმერთებმა ასე გადაწყვიტეს, თორემ თვითონაც დაიხოცებოდნენ"[22], ან-

და როგორც არისტიპემ[23] უთხრა პლატონს, რომელმაც, როგორც ჩანს, მეტად კატეგორიულად განაცხადა: „ჩვენი მეგობარი ასე არ იტყოდა“. მას მხედველობაში ჰყავდა სოკრატე. ასევე ჰეგესიპემ[24] ჯერ ოლიმპიელ მისანს ჰკითხა, შემდეგ კი ღმერთს დელფოსში: „შენც იმავეს ფიქრობ, რასაც მამათქვენი იმის თაობაზე, რომ საწინააღმდეგოს თქმა სამარ-
1399a ცხვინოა?“ ანდა როგორც ისოკრატემ ელენეს შესახებ დაწერა[25], რომ იგი კეთილია, რადგან თესევსი ამტკიცებდა ამას. ალექსანდრეზე კი თქვა, რომ ის „ღმერთქალების რჩეული იყო, ევაგორა კი ქველი[26], რადგან როდესაც კონონი[27] გაჭირვებაში ჩავარდა, ყველა მიატოვა და ევაგორასთან მივიდა“.

მეთორმეტე ტოპი ნაწილების ჩამოთვლით მიიღება, როგორც ეს ნათქვამია „ტოპიკებში“. როგორ მოძრაობს სული? — ან ასე, ან ისე. მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ თეოდექტეს „სოკრატედან“[28]: „რომელი წმინდა ადგილი შეურაცხყო მან? რომელ ღმერთს, რომელსაც სახელმწიფო პატივს სცემს, არ სცა მან პატივი?“

მეცამეტე ტოპი: რადგან უმეტეს შემთხვევაში კარგიც და ავიც ერთსა და იმავეს მოჰყვება შედეგად, ამიტომ შედეგის მიხედვით შეიძლება წავაქეზოთ, ან ავუკრძალოთ, ბრალი დავდოთ ან დავიცვათ, ვაქოთ ან ვაძაგოთ. მაგალითად, განათლებას თან სდევს შური, რაც ბოროტებაა და სიბრძნე, რაც სიკეთეა. მაშასადამე, არ უნდა ვისწავლოთ, რათა არ ვიყოთ შურის საგანი. მაგრამ უნდა ვისწავლოთ, რათა ბრძენნი ვიყოთ. ეს იგივე ტოპია, რასაც კალიპოსი[29] იყენებდა თავის ორატორულ ხელოვნებაში. ამას უმატებდა ტოპს შესაძლებელის შესახებ და სხვა ტოპებს, რაც უკვე ჩამოვთვალეთ.

მეთოთხმეტე ტოპი ეხება ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ორ მხარეს, რომელთაც ან უნდა ვურჩიოთ ან უნდა ავუკრძალოთ რამე და რომელთა მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ ზემოდასახელებული ტოპები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თუ იმ ტოპებში ნებისმიერი მოვლენის უარყოფა ხდება, აქ მხოლოდ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულთა. მაგალითად, ერთი ქურუმი ქალი თავის ვაჟიშვილს ეუბნებოდა, საჯაროდ არ გამოსულიყო: „თუ შენ სიმართლეს იტყვი, ადამიანები შეგიძულებენ, თუ სიცრუეს — ღმერთები“. მეორე მხრივ კი, შეიძლება თქმულიყო: „საჭიროა საჯარო გამოსვლა — სიმართლის

თქმისას ღმერთები შეგიყვარებენ, სიცრუის თქმისას — ადამიანები". ეს იმასვე ნიშნავს, რასაც ანდაზა: „ვინც ჭაობს ყიდულობს, ის ყიდულობს მარილსაც". სწორედ ამას ეწოდება გამრუდება, როდესაც ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მოვლენიდან თითოეულს შედეგად მოსდევს როგორც ბოროტება, ისე სიკეთე, რომლებიც აგრეთვე ერთმანეთისადმი დაპირისპირებულნი არიან.

მეთხუთმეტე ტოპი მდგომარეობს იმაში, რომ ერთსა და იმავე მოვლენას ერთნაირად არ აქებენ საჯაროდ და ჩუმად: საჯაროდ უმეტესად აქებენ სამართლიანსა და მშვენიერს, ხოლო თავისთვის კი უპირატესობას აძლევენ სასარგებლოს. აქედან ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული დასკვნის გამოტანა შეიძლება. ამიტომ ეს ტოპი კარგია პარადოქსებში გამოსაყენებლად.

მეთექვსმეტე ტოპი ანალოგიიდან მიიღება. მაგალითად, იფიკრატემ, რომლის ასაკით პატარა ვაჟს აიძულებდნენ სახელმწიფო სამსახურს, რადგან დიდი ტანისა იყო, თქვა: „თუ დიდი ტანის ბავშვებს მამაკაცებს უწოდებენ, მაშინ პატარა ტანის მამაკაცებს ბავშვები უნდა უწოდონ". ასევე თეოდექტე „კანონებში" ამბობს: „თუ დამსახურების გამო დაქირავებულ ჯარისკაცებს მოქალაქეობას აძლევთ, მაგალითად სტრაბაქსსა და ქარიდემონს[30], მაშინ დაქირავებულ ჯარისკაცებს, რომლებიც უღირსად იქცევიან, რატომ არ აძლევებთ ქალაქიდან?" 1399b

მეჩვიდმეტე ტოპი მიიღება შედეგის იგივეობით, რაც მიზეზის იგივეობიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ქსენოფანე[31] ამბობდა, რომ ისინი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ღმერთები წარმოიშვნენ, ისევე სცოდავდნენ, როგორც ისინი, რომლებიც ამბობდნენ, რომ ღმერთები კვდებიან. რადგან ორივე დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ღმერთები ოდესღაც არ არსებობდნენ. საერთოდ, ერთნაირი შედეგი მიზეზის იგივეობას ნიშნავს. მაგალითად, „თქვენ უნდა იმსჯელოთ არა ისოკრატეზე, არამედ მის მოქმედებაზე, კერძოდ, იმაზე, საჭიროა თუ არა ფილოსოფოსობა". „წყლისა და მიწის მიცემა დამონებას ნიშნავს, ხოლო საერთო დაზავებაში მონაწილეობა — წესრიგის დაცვას", აქედან უნდა შევარჩიოთ, თუ რომელია უფრო სასარგებლო.

მეთვრამეტე ტოპი მიიღება იმის შედეგად, რომ ადამიანები ბოლოს იმასვე არ აძლევენ უპირატესობას, რასაც დასაწყისში, არამედ საწინააღმდეგოს. მაგალითად, შემდეგი ენთიმემა: „თუ გაძევებულნი ვიბრძოდით იმისათვის, რომ სამშობლოში დავბრუნებულიყავით, ნუთუ გავიქცევით სამშობლოდან იმიტომ, რომ არ ვიბრძოლოთ?“ მართლაც, ადამიანები ზოგჯერ ბრძოლის სანაცვლოდ სამშობლოში დარჩენას არჩევდნენ, ზოგჯერ კი გაქცევას, რათა არ ებრძოლათ.

მეცხრამეტე ტოპი ემყარება იმას, რომ არსებობს ან წარმოიშვება ის, რომლისთვის არსებობს ან წარმოიშვება სხვა რაიმე. მაგალითად, როდესაც ვინმე ვინმეს რაიმეს აძლევს იმ მიზნით, რომ წართმევით ტანჯვა მიაყენოს. ამაზეა ნათქვამი. „ღვთაება მრავალ ადამიანს არგუნებს ხოლმე დიდ სიკეთეთ, მაგრამ კეთილმოწყალეობით კი არა, არამედ იმიტომ, რომ უფრო აშკარა უბედურებანი დაატყდეთ თავს“. ხოლო ანტიფონტეს „მელეაგრეში“ ნათქვამია: „შეიკრიბნენ არა იმ მიზნით, რათა მხეცები დაეხოცათ, არამედ, რათა ელადის წინაშე მელეაგრეს დამსახურების მოწმენი გამხდარიყვნენ“. თეოდექტეს „აიანტედან“: „დიომედემ ოდისევსი პატივისცემის გამო კი არ აირჩია, არამედ იმიტომ, რომ თანამგზავრი მასზე დაბლა მდგომი ყოფილიყო. შესაძლებელია, რომ მან ეს სწორედ ამიტომ ჩაიდინა“[32].

მეოცე ტოპი, რომელიც საერთოა საკამათო და სათათბირო სიტყვებისათვის, მდგომარეობს იმის გარკვევაში, თუ რა ურჩიონ და რა არა, რა მიზნით იმოქმედონ, ან რა მიზნით აარიდონ თავი მოქმედებას. აზრი ამ ტოპისა ისაა, რომ თუ ეს მიზანი არსებობს, მოქმედება საჭიროა, მაგრამ თუ არ არსებობს. არც მოქმედებაა საჭირო. მაგალითად, ის, რაც შესაძლებელია ან ადვილია, ან სასარგებლოა კაცისთვის, ან მისი მეგობრებისათვის, მტრებისათვის კი საზიანოა, ხოლო სასჯელი, რომელიც მას მოსდევს, დანაშაულზე ნაკლებია, უნდა ვურჩიოთ, საწინააღმდეგო კი ავუკრძალოთ. აქედან გამომდინარე, ადამიანები
1400a ბრალს სდებენ და ამართლებენ. თავს იმართლებენ იმათგან. რომლებიც მოქმედებას უკრძალავენ, ხოლო ბრალს სდებენ იმათ, რომლებიც აქეზებენ. ეს ის ტოპია, რომელიც შეადგენდა პამფილესა და კალიპოსის მთელ ხელოვნებას[33].

ოცდამეერთე ტოპი წარმოდგება ისეთ მოვლენებზე მსჯე-

ლობით, რომლებიც გვგონია, რომ არსებობენ, მაგრამ ეს დამაჯერებელი არაა. მაგალითად, საგანზე არ გვექნებოდა წარმოდგენა, ის რომ არ არსებულიყო ან შესაძლებელი არ ყოფილიყო. უფრო მეტად კი ადამიანებს სჯერათ იმისა, რაც ან არსებულად, ან შესაძლებლად მიაჩნიათ. ისიც კი, რაც არაა სარწმუნო ან სარწმუნოსმაგვარი, შეიძლება ჭეშმარიტი იყოს, თუმცა იგი ჭეშმარიტია არა იმიტომ, რომ სარწმუნოდ ან სარწმუნოსმაგვარად მოჩანს. როდესაც პითეესელმა ანდროკლემ[34] კანონები დაგმო, მისი სიტყვების საპასუხოდ ხმამაღლა გაისმა: „კანონებს სჭირდებათ კანონი, რომელიც მათ გაასწორებს, თევზებს კი — მარილი. თუმცა არცაა დასაჯერებელი და არც შესაძლებელი, რომ ზღვის წყალში გაზრდილთ მარილი სჭირდებოდეთ, ხოლო ზეთისხილს სჭირდებოდეს ზეთი. რადგან დაუჯერებელია, რომ იმას, საიდანაც ზეთსა ხდიან, ზეთი სჭირდებოდეს“.

ოცდამეორე ტოპი უარყოფითი ტოპია, რომელიც მიიღება გამონათქვამებში წინააღმდეგობის აღმოჩენით, თუ მოწინააღმდეგე ყველაფერზე, როგორც დროზე, ისე მოქმედებაზე და სიტყვებზე ჩვენგან განსხვავებულ ჩვენებას იძლევა. მაგალითად, „ის ამბობს, რომ თქვენ უყვარხართ, მაგრამ მონაწილეობდა ოცდაათის შეთქმულებაში“. შემდეგ, „ის ჩემზე ამბობს, რომ სასამართლოს მოყვარე ვარ, მაგრამ არ დაუსახელებია არცერთი სასამართლო საქმე, რომელიც მე ვინმეს წინააღმდეგ წამოვიწყე“. შემდეგ, თავის თავისა და მოწინააღმდეგის შესახებ: „მას არასოდეს არავისათვის არაფერი არ უსესხებია, მე კი მრავალი თქვენგანი გამოვისყიდე“.

ოცდამესამე ტოპში, რომელიც ეხება იმ ადამიანებსა და მოვლენებს, რომლებსაც ცილი დასწამეს, ან გვგონია, რომ დასწამეს, საჭიროა ამ მცდარი შეხედულების დარღვევა, რადგან ყოველივეს, რაც ასეთი ჩანს, თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს, მაგალითად, ვიღაცამ ნახა, რომ ქალი თავის ვაჟიშვილს ეხვეოდა, ამიტომ გაიფიქრა, რომ ქალი ამ ახალგაზრდასთან კავშირში იყო. მაგრამ როგორც კი მიზეზი გაირკვა, ჭორიც მოისპო. ანდა როგორც თეოდექტეს „აიანტში“ ოდისევსი ეუბნება აიანტს, რომ ის თუმცა მასზე მამაცია, მაგრამ ასეთი არ ჩანს.

ოცდამეოთხე ტოპი მდგომარეობს მიზეზის გარკვევაში,

რადგან თუ მიზეზი არსებობს, არსებობს შედეგიც და თუ მიზეზი არ არსებობს, არც შედეგი არსებობს, რადგან მიზეზთან ერთად არსებობს ისიც, რის მიზეზიც ის არის და მიზეზის გარეშე არაფერი არ არსებობს. მაგალითად, ლეოდამანტე[35], რომელსაც თრაზიბულე ბრალს სდებდა იმაში, რომ მისი გვარი აკროპოლისთან სამარცხვინო ბოძზე იყო დაწერილი ოცდაათი ტირანის დროს და მან ამოშალა, თავს ასე იცავდა: „ეს შეუძლებელია, რადგან ოცდაათი ტირანი მას უფრო მეტად ენდობოდა, თუ ამოიკითხავდა ბოძზე მისი სიძულვილის შესახებ ხალხის მიმართ".

ოცდამეხუთე ტოპი იმის გარკვევაში მდგომარეობს, რომ იქნებ უკეთესი იყო, ან იქნებ უკეთესია ახლა სხვაგვარად მოქ-
1400b მედება, ვიდრე ისე, როგორც გვირჩევენ. ცხადია, ასე მოქმედება უკეთესი რომ არ ყოფილიყო, ადამიანი არც იმოქმედებდა, რადგან, ვინც იცის, რომ რაიმე ცუდია. მას არც ირჩევს თავისი ნებით, რადგან ასე მოქმედება შეცდომაა. ხშირად კი გვიან ხდება ხოლმე ცხადი, თუ როგორი მოქმედება იყო უკეთესი, რაც ადრე არ იყო ნათელი.

ოცდამეექვსე ტოპი მდგომარეობს იმის დადგენაში, შეიძლება თუ არა, რომ ვინმემ გააკეთოს იმის საწინააღმდეგო, რაც უკვე გაკეთებულა. მაგალითად, ქსენოფანემ ელეების შეკითხვაზე: შესწირონ თუ არა მსხვერპლი ლევკოთეას[36] და დაიტირონ თუ არა ის, ურჩია: „თუ ღმერთად ჩათვლით, არ დაიტიროთ, მაგრამ თუ ადამიანად — მსხვერპლი არ შესწიროთ".

შემდეგი ტოპი გულისხმობს დაშვებული შეცდომის გამოყენებას თავის დასაცავად ან ბრალის დასადებად. მაგალითად, კარკინეს „მედეაში"[37] მედეას ბრალად ედება შვილების მოკვლა, რადგან ისინი არ ჩანან. სინამდვილეში მედეამ შეცდომა დაუშვა, რომ ბავშვები სხვაგან გაგზავნა. ის კი თავს იმით იმართლებს, რომ ბავშვები კი არა, იაზონი უნდა მოეკლა და შეცდომას ჩაიდენდა, თუ ამას არ შეასრულებდა, თუნდაც ბავშვები უკვე მოკლული ჰყავდეს. ეს ტოპი მთლიანად ენთიმემაა, როგორსაც ადრე თეოდორე[38] იყენებდა ორატორულ ხელოვნებაში.

ოცდამერვე ტოპი სახელების მნიშვნელობიდან წარმოდგება. მაგალითად, როგორც სოფოკლე ამბობს: „ის ზუსტად ისე-

თია, როგორიც რკინა[39] და სახელიც ასეთივე აქვს"; ანდა როგორც ჩვეულებრივად ღმერთების სადიდებელ ჰიმნებშია ნათქვამი, ან როგორც კანონი უწოდებდა თრასიბულეს[40] სულით ძლიერს, ხოლო ჰეროდიკე[41] თრასიმაქეზე ამბობდა[42], „ომში მუდამ მამაციაო", პოლოსს ეუბნებოდა[43]: „შენ მუდამ კვიცი ხარ". კანონმდებელ დრაკონზე[44] კი ამბობდა: „ეს კანონები არის არა ადამიანებისა, არამედ დრაკონისა, რადგან უაღრესად ულმობელნი არიანო". ან როგორც ევრიპიდეს ჰეკაბე ამბობს აფროდიტეზე: „ღმერთქალის სახელი უგუნურებიდან წარმოდგა"[45], ანდა როგორც ქერემონი[46] პენთევსეს შესახებ[47] ამბობს: „მისი სახელი მოსალოდნელი უბედურებისაგან არის წარმომდგარიო".

მტკიცებით ენთიმემაზე უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს უარყოფითი ენთიმემა, რადგან უარყოფითში გადმოცემა მოკლეა და საწინააღმდეგო შეხედულებების ერთმანეთთან შეპირისპირებით ნათელი ხდება მსმენელთათვის. როგორც მხილებით, ისე მტკიცებით ენთიმემებში ყველაზე მეტად მოწონთ ის ენთიმემა, რომელსაც მსმენელი თავიდანვე ხვდება არა მისი ზედაპირულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მსმენელს სიამოვნებს ის სილოგიზმიც, რომელიც სიტყვის დასასრულსაა ნახმარი და წარმოთქმის უმალვე გასაგები ხდება.

24

რადგან აღმოჩნდა, რომ მსჯელობების ნაწილი შეიძლება სილოგიზმი იყოს, ნაწილი კი მხოლოდ მოჩანდეს სილოგიზმად, ამიტომ პირველი იქნება ენთიმემა, მეორე კი მოჩვენებითი ენთიმემა. მოჩვენებითი ენთიმემების ნაწილი დამოკიდებულია
სიტყვათ ხმარებაზე, ამათგან ნაწილი, როგორც დიალექტიკაში 1401a
არასილოგისტური დასკვნა, ბოლოში გამოითქმის. მაგალითად, მსჯელობა: „არც ის და არც ეს, არამედ აუცილებლად ისიც და ესეც". ასევე რიტორიკაშიც შეკუმშული და ერთმანეთისადმი დაპირისპირებული გამონათქვამები ენთიმემას ჰგავს. ასეთი გამონათქვამები ენთიმემის სფეროა, რადგან ის ენთიმემას ჰგავს გამოთქმის სახით. სილოგისტურ მსჯელობაში კარგ შედეგს იძლევა მსჯელობათა ძირითადი ნაწილის თავმოყრა. მაგალითად, ასეთ მსჯელობაში: „მან ერთნი გადაარჩინა, მეორენი დასაჯა, ხოლო ელინები გაათავისუფლა"[1]. აქ ყოველი ნაწილი მეორე-

თი მტკიცდება, ხოლო მათი ჯამი რაღაც ერთი მთელის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მოჩვენებითი ენთიმემების ნაწილი წარმოიშობა ომონიმური სიტყვათ ხმარებით. მაგალითად, გამონათქვამი: თაგვი შესანიშნავი ცხოველია, რადგან ყველაზე საპატიო რიტუალს — მისი სახელი ჰქვია, მისტერია ხომ ყველაზე პატივსაცემი რიტუალია[2]. ანდა თუ ვინმე ძაღლს აქებს, მას ადარებს ძაღლის თანავარსკვლავედს, ანდა პანს[3], რაზეც პინდარემ თქვა:

„ო, ნეტარო, შენ, რომელსაც ოლიმპიელი ღმერთები ყველაზე დიდი ღმერთის მრავალსახოვან ძაღლს გიწოდებენ"[4].

ანდა „სამარცხვინოა ძაღლის არყოლა". ანდა გამონათქვამი, რომ „ჰერმესი[5] ყველაზე დიდია ღმერთთა შორის, რადგან საყოველთაო მხოლოდ მას ეწოდება". ასევე „სიტყვა ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან კარგი ადამიანები იმსახურებენ არა ქონებას, არამედ კარგ სახელს". როგორც ჩანს, გამოთქმა „სიტყვის ღირსი" უბრალოდ არაა ნახმარი[6].

მოჩვენებითი ენთიმემების ნაწილში დაყოფილს ვაკავშირებთ და დაკავშირებულს ვაშორებთ, რადგან ერთი საგანი მეორესთან იგივეობრივად გვეჩვენება, რაც სინამდვილეში იგივეობრივი არ არის. აქედან იმას ვიყენებთ, რომელიც უფრო გამოსადეგია. ასეთია ევთიდემეს[7] ნათქვამი: „მან იცის, რომ ტრიერი პირეოსში დგას, რადგან მან ორივე იცის"[8] ანდა: „მან ასოები იცის, მაშასადამე, მან მთელი ეპოსიც იცის, რადგან ეპოსი და მისი ნაწილები ერთი და იგივეა". შემდეგ, თუ ორივე ერთნაირად მავნებელია, ერთი მათგანი არ შეიძლება სასარგებლო იყოს, რადგან უაზრობაა, რომ თუ ორივე კეთილია, ერთი ბოროტი იყოს. ეს მსჯელობა ხან უარყოფითი სახის მატარებელია, ხან კი დადებითისა. მაგალითად, ასეთი მსჯელობა: ერთი კეთილი იგივე არაა, რაც ორი ბოროტი. საერთოდ, ეს ტიპი პარალოგიზმის ხასიათს ატარებს. ანდა ის სიტყვები, რომლითაც პოლიკრატემ[9] თრასიბულეს მიმართა, როცა ოცდაათი ტირანი დაამხო. მან სიტყვაში სხვადასხვა ნაწილები შეაკავშირა. ანდა თეოდექტეს „ორესტეში" სიტყვა შემდგარია დანაწევრებით: „სამართლიანია, თუ რომელიმე ქალი მოკლავს ქმარს, თვითონაც მოკვდეს და სამართლიანია, თუ ვაჟიშვილი მამისათვის შურს იძიებს". განა არ მოხდა ეს? მაგრამ ამ მოქ-
1401b მედების შეკავშირება უსამართლობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ასეთი არასწორი დასკვნა შეიძლება მივიღოთ ნაწილების გამოტოვებითაც, მაგალითად, იმის გამოტოვებით, თუ ვინ უნდა მოკლას დედა.

მესამე ტოპი შიშის გაძლიერებით ან შემცირებით იწარმოება. ამ ტოპს მაშინ იყენებენ, როცა ორატორი საქმეს ისე აზვიადებს რომ არ დაუმტკიცებია, ბრალდებულმა ჩაიდინა თუ არა დანაშაული, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს დანაშაულს ადგილი არ ჰქონდეს, რახან ორატორს მიეცა გაზვიადების საბაბი. ანდა მსმენელი ფიქრობს, რომ დანაშაული მოხდა, რადგან ბრალდებული ბრაზობს. ეს ენთიმემა არაა, რადგან მსმენელს მცდარი დასკვნა გამოაქვს იმის შესახებ, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა ან არ ჩაიდინა დანაშაული, რაც დამტკიცებული არ ყოფილა.

მეოთხე ტოპი ემყარება ნიშანს, რადგან ესეც არასილოგისტური დასკვნაა. მაგალითად, ვინმემ რომ თქვას: „შეყვარებულებს ქალაქისათვის სარგებლობა მოაქვთ, რადგან ჰარმოდიონისა და არისტოგიტონის სიყვარულმა დაამხო ტირანი ჰიპარქე“. ანდა ვინმე რომ ამტკიცებდეს: „დიონისიოსი ქურდია, რადგან ცუდი კაცია“. არც ესაა სილოგისტური დასკვნა, რადგან ყველა ცუდი კაცი ქურდი არაა, მაგრამ ყველა ქურდი კი ცუდი კაცია.

მეხუთე ტოპი წარმოდგება მოვლენათა შემთხვევითი თანხვდენიდან. მაგალითად, პოლიკრატე თაგვებზე ამბობს: „ისინი დაგვეხმარნენ, რადგან დაღრღნეს მტრების მშვილდთა ლარები“. ანდა ვინმემ რომ თქვას: „ყველაზე დიდი პატივისცემაა ნადიმზე დაპატიჟება, რადგან როცა აქილევსი ტენედოსელებმა ნადიმზე არ დაპატიჟეს, გაბრაზდა. მან ნადიმზე დაუპატიჟებლობა უპატივისცემულობად ჩათვალა“[10].

მეექვსე ტოპი შედეგიდან წარმოდგება. მაგალითად, „ალექსანდრეში“ ნათქვამია[11], რომ „იგი დიდსულოვანია, რადგან უარყო კავშირი ლაშქართან და მარტო ატარებდა დროს იდეზე. და რადგან დიდსულოვანნი ასეთნი არიან, მაშ ალექსანდრეც დიდსულოვანი ყოფილა“. ანდა „რადგან მას კოხტაობა და ღამე ხეტიალი უყვარს, უზნეოა, რადგან ასე უზნეონი იქცევიან“. ან კიდევ: „მათხოვრები ტაძრებში მღერიან და ცეკვავენ. ხოლო სამშობლოდან გაძევებულებს შეუძლიათ დასახლდნენ იქ, სადაც მოესურვებათ. ეს ახასიათებს ბედნიერ

ადამიანებს, ამიტომ სხვა ადამიანებიც, რომლებსაც ეს თვისებები აქვთ, ბედნიერი გვგონია". განსხვავებას ამ შემთხვევაში ქმნის პირობა „როგორ", რომლის გამოტოვება მსჯელობიდან იწვევს დამთხვევას.

მეშვიდე ტოპი მიიღება მიზეზად იმის ჩათვლით, რაც არ არის მიზეზი, მაგალითად, რაც მასთან ერთად, ან მის შემდეგ არსებობს, რადგან თუ რაიმეს რაღაც მოსდევს, პირველს მეორის მიზეზად თვლიან. ამას მეტწილად ადგილი აქვს პოლიტიკურ სიტყვებში. როგორც, მაგალითად დემადემ[12] დემოსთენეს მმართველობა ყოველგვარი ბოროტების მიზეზად ჩათვალა, რადგან მის შემდეგ ომი დაიწყო.

მერვე ტოპი მიღებულია დროისა და ადგილის გამოტოვებით. მაგალითად, მსჯელობა, რომ „სამართლიანია ალექსანდრეს (პარისის) მიერ ელენეს მოტაცება, რადგან მამამ მისცა ელენეს საქმროს არჩევის უფლება". მაგრამ ეს უფლება სამუდამოდ კი არ მისცა, არამედ პირველი საქმროს არჩევისას. მა-
1402a მის უფლება მხოლოდ აქამდე ვრცელდება. ანდა, ვინმე რომ ამბობდეს, რომ თავისუფალი ადამიანის ცემა დანაშაულია. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ვინმე უსამართლოდ აღმართავს ხელს.

მეცხრე ტოპში ისევე, როგორც სოფისტურ მსჯელობებში, მოვლენა თავდაპირველად ზოგადად ცხადდება, შემდეგ არა ზოგადად, არამედ ნაწილად. ამ გზით ვიღებთ მოჩვენებით სილოგიზმს. როგორც, მაგალითად, დიალექტიკაში ამტკიცებენ, რომ „არსებული არარსებულია", რადგან არარსებული არის ის, რაც არ არსებობს და რომ „შეუცნობელი შეცნობილია", რადგან შეუცნობელი იმით არის ცნობილი, რომ ის შეუცნობელია. ასევე რიტორიკაშიც არსებობს მოჩვენებითი ენთიმემები, რომელიც ემყარება არა აბსოლუტურ, არამედ ნაწილობრივ მსგავსებას. ასეთი მსჯელობები ატარებს არა საერთო, არამედ კერძოობით ხასიათს. როგორც აგათონიც ამბობს:

„ის უნდა ჩავთვალოთ მოსალოდნელად
რადგან მოკვდავთ ბევრჯერ მოულოდნელი გარდახდენიათ"[13].

რადგან მოულოდნელიც ხდება, მოსალოდნელი ამბავი ამავე დროს მოულოდნელიც არის. და თუ ეს ასეა, მაშინ მოულოდნელი მოსალოდნელი ყოფილა. მაგრამ არა ყოველთვის,

არამედ ისე, როგორც ამას ადგილი აქვს სოფისტურ სიტყვებში, სადაც მიმართების, პირობებისა და ადგილის გამოტოვებით ვიღებთ სიყალბეს, თუმცა არა საერთოს, არამედ მხოლოდ ნაწილობრივს.

მეათე ტოპს იყენებს კორაქსი[14] თავის ორატორულ ხელოვნებაში და საერთოდ, გამოსაყენებელია მაშინ, როცა დამნაშავე სწორად არ არის შერჩეული. მაგალითად, თუ სუსტ ადამიანს ბრალად ედება ვინმეს ცემა, ეს დამაჯერებელი არ არის და თუნდაც ბრალდებული ღონიერი იყოს, დამაჯერებელი მაინც არ იქნება, არამედ დამაჯერებელი იქნება მხოლოდ მოჩვენებით, რომელსაც აგრეთვე დასაბუთება სჭირდება. ასევეა სხვა შემთხვევებშიც, თუ დამნაშავე დადგენილი არაა. მაგრამ ორივე შემთხვევა დამაჯერებლად მოჩანს, ოღონდ პირველი საერთოდ, მეორე არა საერთოდ, არამედ ისე, როგორც უკვე ვთქვით. სწორედ ესაა, როგორც იტყვიან, სუსტი საბუთის ძლიერად გასაღება. ამიტომაც სწორედ იქცეოდა ხალხი, როდესაც არ მოსწონდა პროტაგორას ხელოვნება. მოჩვენებით მსგავსებაზე დამყარებული მსჯელობა მცდარია და არა ჭეშმარიტი და მას სხვაგან არსად არა აქვს ადგილი რიტორიკისა და სოფისტიკის გარდა.

ამგვარად, უკვე ვილაპარაკეთ ენთიმემებზე, როგორც ნამდვილზე, ისე მოჩვენებითზე.

25

იმის შემდეგ, რაც ითქვა, ვილაპარაკებთ ენთიმემების დარღვევაზე. დარღვევა ხდება ან საწინააღმდეგო სილოგიზმის შედგენით, ან უარყოფითი მსჯელობით. საწინააღმდეგო სილოგიზმი, ცხადია, იმავე ტოპებიდან მიიღება, რადგან სილოგიზმი ყვალასათვის ცნობილი წანამძღვრებიდან იქმნება, ხოლო მოჩვენებითი სილოგიზმების უმრავლესობა ერთმანეთს ეწინააღმდეგება. საწინააღმდეგო მსჯელობის უარყოფა, როგორც „ტოპიკებში“, აქაც ოთხგვარია: ან იმავე საგნიდან, ან მისი მსგავსიდან, ან მისი საწინააღმდეგოდან, ან ცნობილი მსჯელობიდან.

1. საგნის იგივეობიდან მიღებული ენთიმემა სიყვარულის შესახებ: „სიყვარული სიკეთეა“. იგი შეიძლება დაირღვეს ორ- 1402b
გვარად: ან ზოგადი მსჯელობით, რომ „ყოველგვარი ნაკლებობა

მტანჯველია"[1], ან კერძოობითი მსჯელობით, რომ კავნოსისებრ[2] სიყვარულზე არ ილაპარაკებდნენ, ცუდი სიყვარული რომ არ არსებობდეს.

2. დარღვევა საწინააღმდეგოს დაშვებიდან. მაგალითად, თუ გვაქვს ასეთი ენთიმემა: „კეთილი კაცი თავის მეგობრებისათვის ქველმოქმედებას ეწევა". ამის საწინააღმდეგოდ ითქმის: „არც ბოროტი კაცი სჩადის ბოროტს თავისი მეგობრებისათვის".

3. მსგავსებით მიღებული დარღვევა. მაგალითად, თუ გვაქვს ენთიმემა, რომ „იმათ, ვისაც ბოროტება ხვდათ წილად, სძულთ ყველა". ამის დასარღვევად ვიტყოდით: „არც იმათ უყვართ ყველა, ვისაც სიკეთე გაუწიეს".

4. დარღვევა ცნობილი ადამიანების გამონათქვამების მიხედვით. მაგალითად, როდესაც ვინმე ამბობს ენთიმემას, რომ „მთვრალებს უნდა ვაპატიოთ დანაშაული, რადგან ეს მათი უგუნურების შედეგია". ამის საწინააღმდეგო მსჯელობა იქნება შემდეგი: „მაშ, პიტაკე არაა ქების ღირსი, რადგან დიდი სასჯელი დააწესა იმათთვის, ვინც მთვრალ მდგომარეობაში სჩადის დანაშაულს"[3].

რადგან არსებობს ენთიმემების წარმოების ოთხი წყარო: მაგალითი, ნიშანი, ვარაუდი, საბუთი, ამიტომ ოთხია ენთიმემების დარღვევის მეთოდიც, უმეტეს შემთხვევაში მიღებული ნამდვილი ან მოჩვენებითი საფუძვლებიდან, ერთიდან ან ბევრიდან ინდუქციური წესით მსგავსების საფუძველზე, როდესაც იწყებენ ზოგადით და გადადიან კერძოობითზე კონკრეტული მაგალითების საშუალებით. პირველი ენთიმემა აუცილებელია, რადგან საბუთებს ემყარება. მეორე მიღებულია ზოგადი ან კერძოობითი ნიშნებიდან, რომელიც ახასიათებს ისეთ საგნებს, ხან რომ არსებობს და ხან კი არა. შემდეგი ენთიმემა, რომელიც მიღებულია ვარაუდით, ძალაშია არა ყოველთვის, არამედ უმეტეს შემთხვევაში. ცხადია, რომ ეს ენთიმემები ყოველთვის შეიძლება დაირღვეს უარყოფით, მაგრამ დარღვევაც ყოველთვის მოჩვენებითი იქნება და არა ჭეშმარიტი, რადგან ამ ენთიმემებს ვარღვევთ არა როგორც საეჭვოს, არამედ როგორც არაუცილებელს. ამ პარალოგიზმების მეტი წარმატებით გამოყენება შეუძლია დამცველს, ვიდრე ბრალმდებელს. რადგან ბრალმდებლები ბრალდებას ამტკიცებენ ვარაუდის საფუძველ-

ზე, მაგრამ ერთი და იგივე არაა, არღვევ რაიმეს როგორც სავარაუდოს, თუ როგორც არააუცილებელს. რადგან ყოველთვის უარყოფენ იმას, რაც უმეტესად არსებობს, სავარაუდო ხომ არც მუდმივია და არც აუცილებელი. თუ მოსამართლე ფიქრობს, რომ რადგან ბრალდებას ასე არღვევენ, მაშ იგი სწორი არ ყოფილა, ანდა თვითონ ვერ გამოიტანს განაჩენს, მაშინ იგი ცდება, როგორც უკვე ვთქვით. მოსამართლემ განაჩენი უნდა გამოიტანოს არა მხოლოდ აუცილებელი, არამედ სავარაუდო მსჯელობიდანაც. სწორედ ესაა „საქმის განხილვა საღი აზრით", რადგან არ კმარა დაარღვიო საბუთი როგორც არააუცილებელი, არამედ უნდა დაარღვიო ის როგორც სავარაუდოც. ეს კი შეიძლება, თუ უარყოფას მიმართავ
იმის წინააღმდეგ, რაც უმეტესად ხდება. ეს ხორციელდება 1403a
ორი გზით: ან დროში, ~~ან საქმეთა საშუალებით, უკეთესია~~, თუ ორივეთი, რადგან თუ რაიმე ასე ხდება ხშირად, მაშ, ის მით უმეტეს ყოფილა სავარაუდო.

როგორც ზემოთაც ვთქვით[4], ასე ირღვევა ნიშანიც და ნიშანზე დამყარებული ენთიმემაც. თუნდაც ნიშანი არსებულის ნიშანი იყოს. რომ ყველა ნიშანი არასილოგისტურია, ეს ჩვენთვის ცხადი გახდა „ანალიტიკებიდან"[5].

ასევე ირღვევა მაგალითებიდან ან სავარაუდო მაგალითებიდან წარმოებული ენთიმემები. თუ გვაქვს ერთი მაგალითი და ისიც არა ისეთი, როგორიც გვჭირდება, მაშინ ენთიმემა ირღვევა იმის მტკიცებით, რომ ის არაა აუცილებელი. მაგრამ თუ მაგალითები ბევრი გვაქვს და ბევრჯერ მომხდარი, მაშინ ის სხვაგვარად ირღვევა. ბევრი და ბევრჯერ განმეორებული სამხილი უნდა უარვყოთ იმის ჩვენებით, რომ ისინი მსგავსნი არ არიან, ან ერთნაირად არ მომხდარან, ანდა რომ მათ შორის რაღაც განსხვავება არსებობს.

მოწმობა და მისი მსგავსი ენთიმემები ვერ დაირღვევა მათი არასილოგისტურობით. ესეც ჩვენთვის ნათელია „ანალიტიკებიდან"[6]. ამის შემდეგ უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ ის, რასაც მოწინააღმდეგე ამტკიცებს, არ არსებობს. მაგრამ თუ ცხადი გახდა, რომ არსებობს და არსებობს მოწმის ჩვენების სახით, მაშინ იგი დაურღვეველი იქნება. რადგან ამ შემთხვევაში ყოველივე, რასაც მოწინააღმდეგე ამტკიცებს, დასაბუთებული გახდება.

მნიშვნელობის გაზრდა, ან დამცირება არ წარმოადგენს ენთიმემის ელემენტს, რადგან მე ელემენტსა და ტოპს იდენტურად მივიჩნევ. რადგან ტოპზე მრავალი ენთიმემა დაიყვანება. ნოლო მატება და შემცირება წარმოადგენს ენთიმემას იმის დასამტკიცებლად, რომ რაიმე საგანი დიდია ან პატარა, ისევე როგორც კეთილი ან ბოროტი, სამართლიანი ან უსამართლო და სხვა ნებისმიერი თვისების მქონე. ყოველივე ამის შესახებ იქმნება ენთიმემები და სილოგიზმები. ასე რომ, თუ არც ერთი ამათგანი არაა ენთიმემის ტოპი, არც მომატება და არც მოკლება იქნება ასეთი. ასევე არც დარღვევა წარმოადგენს ენთიმემის რომელიმე სახეს მისი შემადგენელი ელემენტებისათვის. ცხადია, რომ ის, ვინც ენთიმემას არღვევს, რაიმეს ამტკიცებს ან უარყოფს, რადგან ის ამტკიცებს მოწინააღმდეგის შეხედულებების საპირისპიროს. მაგალითად: თუ ერთი მხარე ამტკიცებს, რომ რაიმე მოხდა, მეორე ამტკიცებს, რომ არ მომხდარა, ანდა პირიქით, თუ ეს ამტკიცებს, რომ არ მოხდა, ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ მოხდა. ასე რომ, ამ მხრივ მათ შორის განსხვავებას ადგილი არა აქვს. რადგან ორივე მხარე ერთსა და იმავე მეთოდს იყენებს. ენთიმემას ადგენენ იმის შესახებ, რომ რაიმე არსებობს ან არ არსებობს. უარყოფა კი ენთიმემა არაა, არამედ როგორც „ტოპიკებში" იყო ნათქვამი, ის რაღაც შეხედულებას წარმოადგენს, საიდანაც ცხადი ხდება, რომ მოწინააღმდეგის სილოგიზმი ლოგიკური არაა, ანდა რომ მასში რაღაც შეცდომაა დაშვებული.

აი, ყოველივე ის, რაც უნდა განგვეხილა სიტყვის შესახებ, კერძოდ, საბუთებზე, გნომებზე, ენთიმემებზე და საერთოდ, განსჯის შესახებ. აი, ყველაფერი იმის თაობაზე, თუ რო-
1403b გორ შევადგინოთ ენთიმემები ან როგორ დავარღვიოთ ის. განსახილველი გვრჩება სტილი და სიტყვების განლაგების წესები.

წიგნი მესამე

1

მეტყველებაში გასარკვევია სამი რამ: პირველი, საიდან მიიღება დასაბუთების საშუალებები, მეორე — სიტყვის სტილი და მესამე — როგორი წესრიგით დავალაგოთ სიტყვის ნაწილები. დასაბუთების საშუალებების შესახებ უკვე ვილაპარაკეთ[1]. ვილაპარაკეთ აგრეთვე იმის შესახებ, თუ საიდან მივიღეთ ეს საშუალებები, სახელდობრ, სამი წყაროდან. ვთქვით იმის შესახებაც, თუ როგორი არიან ეს საშუალებები და რატომ არის ის მხოლოდ სამი[2]. მოსამართლენი მათი საშუალებით რაღაც განცდებს ექვემდებარებიან, ანდა ორატორის თვისებებზე ექმნებათ გარკვეული წარმოდგენა, ანდა მის ნათქვამს დასაბუთებულად მიიჩნევენ.

ვთქვით იმის შესახებაც, თუ როგორ შევადგინოთ ენთიმემები, კერძოდ, ტოპებიდან, რაც ენთიმემების სხვადასხვა სახეებსა ჰქმნის.

მეტყველების ხერხებზე კი ახლა ვიმსჯელებთ, რადგან არ კმარა იმის ცოდნა, თუ რა თქვა, არამედ აუცილებელია იმის ცოდნაც, თუ როგორ თქვა, რადგან იმაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, თუ რა შთაბეჭდილებას ტოვებს ორატორი მსმენელებზე. თავდაპირველად განვიხილოთ ის, რაც ბუნებრივად პირველია, თუ საიდან აქვს საქმეს დამაჯერებლობითი ძალა. მეორე — მივაქციოთ ყურადღება სიტყვების განლაგებას და მესამე — რასაც განსაკუთრებით დიდი ზემოქმედებითი უნარი აქვს, მაგრამ ჯერ არ განხილულა, ესაა საუბრის წარმოება გამომეტყველებით. იგი ტრაგედიასა და რაფსოდიაში გვიან შემოვიდა, რადგან წინათ პოეტები ტრაგედიებს თვითონ კითხულობდნენ. ცხადია, რომ რიტორიკაში მას იგივე მნიშვნელობა

აქვს, რაც პოეტიკაში. ამ საკითხებზე მუშაობდნენ როგორც სხვები, ისე გლავკონ ტეოსელი[3]. საკითხი ეხება იმას, თუ რა-გორ გამოვიყენოთ ხმა სხვადასხვა გრძნობების გადმოცემის დროს, სად ვიხმაროთ ძლიერი, სად სუსტი და საშუალო ხმა. ან როგორ გამოვიყენოთ მაღალი, დაბალი და საშუალო ტონი და თრთოლული მათგანის შესატყვისი რიტმი. შეჯიბრებებში, ჩვეულებრივ, ჯილდოს იღებენ ისინი, რომლებმაც ეს იციან. როგორც სცენაზე მსახიობები მეტ შთაბეჭდილებას ტოვებენ, ვიდრე პოეტები, ასევე ხდება პოლიტიკურ ბრძოლებშიც სახელმწიფოთა უვარგისობის გამო. ამის შესახებ ჯერ არ შექმნილა მოძღვრება, რადგან მეცნიერება მეტყველების ხერხების თაობაზე გვიან შემოვიდა. ვფიქრობთ, სწორი არიან ისინი, ვინც მას რაღაც დაუხვეწავ მოვლენად მიიჩნევენ.

1404a რიტორიკის მეცნიერების მთელი საზრუნავი არის არა ის, რომ სისწორე დაადგინოს, არამედ ის, რომ დაადგინოს რაიმე როგორც აუცილებელი. იგი იმდენად სიტყვის სიმართლეს არ იკვლევს, რამდენადაც იმას, რომ სიტყვა ვინმეს არ ახარებდეს ან არ აწუხებდეს, რადგან სამართლიანია ბრძოლა მხოლოდ საბუთებით ისე, რომ მტკიცების გარდა, სხვა ყოველი ხერხი ზედმეტი იყოს. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ვთქვით, სიტყვით ბევრი რამის მიღწევა შეიძლება მსმენელთა დაბალი დონის გამო. ყოველ მეცნიერებაში სტილს მცირე მნიშვნელობა ეძლევა, რადგან საკითხის ნათელსაყოფად განსხვავება მხოლოდ ისაა, თუ როგორ იხმარ სიტყვას. ამის მნიშვნელობა კი არც თუ ისე დიდია, რადგან მისი მიზანია წარმოდგენის შექმნა და მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენა. ამიტომაც ამ ხერხს არ იყენებენ გეომეტრიის სწავლების დროს. ამ ხერხის გამოყენება იქ იგივე იქნება, რაც მსახიობობა. ზოგმა სცადა კიდეც მის შესახებ ეთქვა რაიმე, როგორც თქვა, მაგალითად, თრასიმაქემ[4] ნაწარმოებში „სიბრალულის შესახებ". სინამდვილეში კი მსახიობობა ბუნებრივი ნიჭის შედეგია და არ შეისწავლება, სტილი კი ვარჯიშის შედეგია. ამიტომ, ვინც ის იცის, დიდი დაფასებაც აქვს, როგორც მსახიობის ხელოვნებაში გამომეტყველებით ლაპარაკის მცოდნეთ. ისინიც, რომლებიც სიტყვებს წერენ, უფრო ძლიერნი არიან სტილით, ვიდრე აზროვნებით.

სტილს თავდაპირველად პოეტებმა მიაქციეს ყურადღება, რაც საესებით ბუნებრივია, რადგან სიტყვა მიბაძვაა, ხოლო ადამიანის ნაწილებს შორის ყველაზე შეტად მიბაძვის თვისება ხმასა აქვს. აქედანვე წარმოდგება ხელოვნებაც, როგორც რაფსოდია, ისე მსახიობობა და ა. შ. რადგან პოეტები მარტივ აზრებს გამოთქვამენ, ამიტომ როგორც ჩანს, მათ გავლენა სტილით მოიპოვეს. ამიტომაც პირველად პოეტური სტილი შეიქმნა, მაგალითად, გორგიასი[5]. ახლაც ბევრ გაუნათლებელ ადამიანს ჰგონია, რომ პოეტები ლამაზად ლაპარაკობენ. სინამდვილეში კი ეს ასე არაა, რადგან სრულიად განსხვავებულია ჩვეულებრივი სალაპარაკო და პოეზიის სტილი. ეს ცხადია შემდეგიდან: ტრაგედიის მწერლები აღარ იყენებენ ამ სტილს. ისინი ტეტრამეტრებიდან იამბებზე გადავიდნენ, რაც სხვა მეტრებთან შედარებით უფრო მეტად გავს სალაპარაკო ენას[6]. ასევე უკუაგდეს ყველა გამონათქვამი, რაც არ იყო ახლო სალაპარაკო ენასთან. ამ გამონათქვამებით პირველად პოეტები ალამაზებენ თავის ნაწარმოებებს და ზოგი პოეტი, რომელიც ჰეგზამეტრებით წერს, ახლაც იყენებს ამას. ამიტომ სასაცილო იქნებოდა მიგვებაძა იმ ხერხებისათვის, რომელსაც პოეტებიც კი აღარ იყენებენ. ასე რომ, ცხადია, არაა საჭირო დაწვრილებით განვიხილოთ ყველაფერი ის, რაც სტილს ეხება. განვიხილავთ მხოლოდ იმას, რაც ჩვენი მსჯელობის საგანია. დანარჩენზე კი უკვე ნათქვამია „პოეტიკაში“[7].

2

განვიხილეთ რა ეს, შეიძლება დავადგინოთ, რომ სტილის
დადებითი მხარე სიცხადეში მდგომარეობს. ამას ამტკიცებს ის, 1404b
რომ თუ სტილი ნათელი არაა, ვერც მიზანს აღწევს, ე. ი. სტილი არ უნდა იყოს არც ამაღლებული, არც მდაბალი, არამედ მიზანშეწონილი, რადგან პოეტური სიტყვა მდაბალი არაა, მაგრამ შეუფერებელია ჩვეულებრივი მეტყველებისთვის. ფართოდ გავრცელდა ის სახელები და ზმნები, რომელიც ნათელია. ის სიტყვები, რომელთა შესახებ ჩვენ ვილაპარაკეთ „პოეტიკაში“[1], სიტყვას კი არ ამდაბლებს, არამედ ალამაზებს, რადგან ჩვეულებრივი სიტყვათხმარებიდან გადახრა ამაღ-

ლებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ადამიანები, რასაც განიცდიან თანამოქალაქეებისა და უცხოელების მიმართ, იმასვე განიცდიან სტილშიც, რადგან გაკვირვებას იწვევს უცხოური, ხოლო საკვირველი კი სასიამოვნოა. ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენი სტილი თავისთავადი იყოს. პოეზიაშიც ეს დიდ გავლენას ახდენს და მიზანშეწონილიცაა, რადგან ის შორს დგას სალაპარაკო ენიდან. სალაპარაკო ენაში კი ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან სასაუბრო საგანი გაცილებით დაბალია, ვიდრე პოეზიისა. ამიტომ მით უფრო შეუფერებელია, როცა ლამაზი სიტყვებით ლაპარაკობს მონა, ან ძალიან ახალგაზრდა კაცი უმნიშვნელო საგნებზე. მეტყველების სტილი აქაც შეიძლება იყოს მაღალი ან მდაბალი, ოღონდ მიზანშეწონილად, ისე რომ შეუმჩნეველი იყოს, რათა სიტყვა ბუნებრივი მოჩანდეს და არა ხელოვნური. პირველი დამაჯერებელია, მეორე კი არა. ამიტომ მსმენელს ეგონება, რომ ორატორს მისი მოტყუება სურს, როგორც მეღვინეს შერეული ღვინით. სიტყვა ისეთი უნდა იყოს, როგორიც თეოდორეს ხმა[2], სხვა მსახიობების ხმასთან შედარებით. თეოდორე ვისაც ჰბაძავდა, თითქოს ის ადამიანი ლაპარაკობდა. დანარჩენი მსახიობები კი სხვა ადამიანებად ჩანდნენ. სიტყვის ხელოვნურობის დამალვა ადვილია, თუ ორატორი სიტყვას შეადგენს სალაპარაკო ენის მიხედვით, როგორც მოიქცა ევრიპიდე, რომელმაც პირველმა გამოიყენა ეს მეთოდი.

სიტყვა შედგება სახელებისა და ზმნებისაგან. სახელების ფორმათა შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ „პოეტიკაში"[3]. ჩვეულებრივ პროზაულ მეტყველებაში ნაკლებად იხმარება რთული და ახლადწარმოებული სიტყვები. თუ სად იხმარება, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვით[4]. თუ რატომ, ამაზე უკვე ვთქვით, რადგან ძალიან შორდება მიზანშეწონილების ფარგლებს. ჩვეულებრივი და გავრცელებული გამოთქმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველდღიურ სალაპარაკო ენაშიც. ამას ადასტურებს ის, რომ ყველა მხოლოდ მათ იყენებს. ე. ი. ყველანი ლაპარაკობენ ჩვეულებრივი და გავრცელებული გამოთქმებითა და მეტაფორებით. ვინც მათ კარგად გამოიყენებს, ის ფარულსა და ფაქხ აზრს ნათელყოფს ორატორული სიტყვის დადებითი მხარეც სწორედ ამაში მდგომარეობს. სა-

ხელებიდან სოფისტები ომონიმებს იყენებენ ყალბ დასკვნებში, პოეტები კი — სინონიმებს. მე ვგულისხმობ ჩვეულებრივ 1405a
და გავრცელებულ სინონიმებს, როგორიცაა „გამგზავრება“ და „წასვლა“. ორივე ეს სიტყვა არის როგორც ჩვეულებრივი, ისე სინონიმური.

თუ რას წარმოადგენს თითოეული მათგანი, ან მეტაფორის რამდენი სახე არსებობს, რომელი მათგანი გამოიყენება პოეზიაში, ან პროზაში, ამაზე ლაპარაკია „პოეტიკაში“[5]. ის უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ პროზაში, რადგან აქ ნაკლებ არის დამხმარე საშუალებები, ვიდრე პოეტურ მეტყველებაში. სიცხადე, სიამოვნება და სიახლე მეტაფორაში ძლიერ არის მოცემული. სიტყვაში უნდა გამოყენებულ იქნეს მიზანშეწონილი ეპითეტები და მეტაფორები, რაც შეიძლება მივიღოთ შედარების გზით. თუ შედარება შეუსაბამობას გამოავლენს, მაშინ წინააღმდეგობა სიტყვასა და საგანს შორის კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება. საჭიროა იმის განხილვა, რომ თუ ალისფერი წამოსასხამი უხდება ახალგაზრდას, მაშინ რაღა შეჰფერის მოხუცს. მათ ხომ ერთნაირი ტანისამოსი არ უხდებათ. ამიტომ, როცა გინდა ვინმე შეამკო, უნდა შეადარო იმავე გვარში საუკეთესოს, მაგრამ როცა გინდა აძაგო, მაშინ უარესს უნდა შეადარო. მე ვგულისხმობ იმას, რომ წინააღმდეგობა არსებობს თითოეული გვარის შიგნით; მაგალითად, მათხოვარზე თქვა, რომ ის გვთხოვს, ხოლო ვინც გვთხოვს, იმაზე თქვა, რომ მათხოვრობს იმის გამო, რომ ორივე სიტყვა რაღაც თხოვნას გამოხატავს. ეს ზემოთქმულის თვალსაჩინოებისათვის ვთქვი. ასევე იფიკრატემ კალიასს მათხოვარი ქურუმი უწოდა და არა მეჩირაღდნე. კალიასმა კი მას წმინდა საქმეში წილმიუღებელი უწოდა, რადგან იფიკრატეს კალიასისათვის „მათხოვარი“ კი არ უნდა შეერქმია, არამედ „ჩირაღდნის მატარებელი“[6]. მართალია, ორივე ღმერთთან არის კავშირში, მაგრამ მეორე საპატიო თანამდებობაა, პირველი კი არა. ასევე დიონისიოსის მეხოტბეთ ზოგი მლიქვნელთ უწოდებს, თვითონ კი თავის თავს მსახიობებს[7] უწოდებენ. ორივე მეტაფორაა, ოღონდ პირველი შეურაცხმყოფელი, მეორე კი არა. ასევე ყაჩაღები თავის თავს ხარკის ამკრებლებს უწოდებენ. მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა დამნაშავეზე თქვა, რომ სცდება, ხოლო ვინც სცდება,

იმაზე, რომ ის დამნაშავეა. ქურდზე თქვა, რომ მან აიღო, ან გაძარცვა. ანდა როგორც ევრიპიდეს ტელეფე ამბობს:

„დაეუფლე ხოფს და მიდიაში ჩახვალ“[8].

აქ მეტაფორა შეუფერებელია, რადგან „დაეუფლე“ მეტისმეტად ამაღლებულია საგანთან შედარებით. გარდა ამისა, განზრახვაც არაა კარგად დამალული. შეცდომა შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე ბგერათხმარებაში, სადაც ბგერები სიამოვნების თვალსაზრისით სათანადოთ არ არის შერჩეული, მაგალითად, დიონისიოსი[9] მეტსახელად „სპილენძისა“, თავის ელეგიებში პოეზიას კალიოპეს ძახილს უწოდებდა იმის გამო, რომ ორივე ბგერასთან არის დაკავშირებული. ეს მეტაფორაც ცუდია, რადგან ბგერებია გაურკვეველი.

შემდეგ, უსახელო საგნები სახელთა შერქმევისას უნდა შევადაროთ არა დაშორებულ, არამედ მონათესავე და ამავე
1405b გვარის საგნებს, რომ ნათქვამში ცხადი იყოს მსგავსება, როგორც ამას ადგილი აქვს ცნობილ გამოცანაში:

„კაცი ვნახე მეორე კაცს ცეცხლით სპილენძს აწებებდა“. მართალია, აქ განცდას სახელი არა აქვს მიცემული, მაგრამ როგორც მოქმედება, ისე მეტაფორა რაღაცის დამატებას გამოხატავს. „მიწებებას“, ჩვეულებრივ, ხმარობენ ხოლმე სამკურნალო ქილების მოკიდების მნიშვნელობით. საერთოდ, კარგი გამოცანებიდან შეიძლება მიზანშეწონილი მეტაფორების მიღება, რადგან მეტაფორაც ერთგვარი გამოცანაა, ოღონდ კარგად შედარებული. კარგი მეტაფორების შედგენა შეიძლება მშვენიერი სიტყვებიდან. სიტყვა მშვენიერი შეიძლება იყოს, როგორც ეღერადობით, ისე მნიშვნელობით, რასაც ლიკიმნიოსიც ადასტურებს[10]. ასევე სიტყვა შეიძლება იყოს მახინჯიც. მესამე ხერხი, რომლითაც შეიძლება სოფისტური გამონათქვამების დარღვევა, ბრისონის აზრით[11], მდგომარეობს იმაში, რომ არაფერი არ დაშავდება, თუ ვინმე ერთი გამოთქმის მაგიერ მეორეს იხმარს, იმ შემთხვევაში, თუ მათ ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ეს შეცდომაა, რადგან ერთი გამოთქმა შეიძლება უფრო ძლიერ, ან უფრო მიმსგავსებულად, ან უფრო შესაფერისად წარმოგვიდგენდეს საგანს, ვიდრე მეორე. ამას გარდა, ყველა გამოთქმა ერთნაირად არ გამოხატავს საგანს,

არამედ ერთი უფრო მშვენივრად, მეორე უფრო მახინჯად. ორივე გამოთქმა მიგვანიშნებს ან მშვენიერზე, ან მახინჯზე, მაგრამ არა იმიტომ, რომ ერთი არაა მშვენიერი და მეორე მახინჯი, ანდა რომ ისინი იგივეობრივნი არიან, არამედ მიგვანიშნებს ამ თვისებათა მეტ-ნაკლებობაზე. მეტაფორები უნდა შევადგინოთ ისეთი სიტყვებიდან, რომლებიც მშვენიერნი არიან ან ჟღერადობით, ან მნიშვნელობით, ან თვალისათვის, ან სხვა რომელიმე გრძნობისათვის. მაგალითად, განსხვავებულია გამოთქმები: უკეთესია „ვარდისფერი განთიადი", ვიდრე „ალისფერი განთიადი", უარესია გამოთქმა: „წითელი განთიადი".

ეპითეტები შეიძლება შევადგინოთ მდაბალი ან მახინჯი გამოთქმებიდანაც. მაგალითად, ისეთი უხეირო და სამარცხვინო გამოთქმებიდან, როგორიცაა „დედის მკვლელი"[12]. ანდა ისეთი უფრო კარგი გამოთქმიდან, როგორიცაა „მამისათვის შურისმაძიებელი". სიმონიდემ, როდესაც ჯორცხენებზე გამარჯვებულმა[13] მას მცირე გასამრჯელო შეაძლია, არ მოინდომა ოდის შეთხზვა. მან თქვა, რომ მისთვის ძნელია ნახევარვირებზე ოდის შეთხზვა. მაგრამ როდესაც საკმარისი თანხა შესთავაზეს, დაწერა ლექსი:

„სალამი თქვენდა მარდფეხა რაშთა ქალიშვილებო!" თუმცა ცოტა ხნის წინ ისინი სახედართა შვილები იყვნენ. დამცირება კი შეიძლება როგორც კარგის, ისე ბოროტის. მაგალითად, არისტოფანე „ბაბილონელებში"[14] ხუმრობით ამბობდა ოქროს მაგიერ „პაწია ოქროს", წამოსასხამის მაგიერ „პაწია წამოსასხამს", ლანძღვის მაგიერ „პაწია ლანძღვას", ავადმყოფობის მაგიერ „პაწია ავადმყოფობას". ორივე შემთხვევაში საჭიროა სიფრთხილე და ზომიერების დაცვა.

3

სიტყვის სიცივე ოთხნაირად წარმოიშობა: შერწყმული სიტყვების ხმარებით. მაგალითად, როგორც ლიკოფრონი ამბობს[1]: „მაღალმთიანი დედამიწის მრავალსახოვანი ცა", „ვიწრობილიკიანი ნაპირი". გორგია მლიქვნელებს „დაოსტატებულ 1406a
მათხოვრებს" უწოდებდა, შეფიცულთ — „ცრუმაფიცართ",

ხოლო ალკიდამანტე ამბობდა[2]: „ბრაზით აღსავსე სული“, „ცეცხლისფერი თვალები“, ვნებებზე ამბობდა, რომ „ისინი დაიოკა“. სიტყვის დამაჯერებლობას უწოდებდა „დასრულების უნარს“, ზღვის ფსკერს „მუქლურჯს“. ყველა ეს გამოთქმა პოეტურია, რადგან დაწყვილებული სიტყვებისაგან შედგება.

სიტყვის სიცივის პირველი მიზეზი ესაა. მეორე მიზეზია უჩვეულო გამოთქმების გამოყენება. მაგალითად, ლიკოფრონი ქსერქსეს „ურჩხულს“ უწოდებდა, სკირონს[3] — „დამღუპველს“. ალკიდამანტე კი ასეთ გამოთქმას ხმარობს: „პოეტური სათამაშოები“, „ბუნებრივი თავხედობა“. ადამიანზე კი ამბობდა: „არის დაუძლეველი ლტოლვით აღგზნებული“.

მესამე მიზეზი მდგომარეობს დიდი, შეუსაბამო, ან ხშირი ეპითეტების ხმარებაში. პოეზიაში დასაშვებია გამოთქმა „თეთრი რძე“, პროზაში კი ეს დიდი შეუსაბამობაა. მაგრამ თუ მას ხშირად ვიხმართ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ეს არის პოეტური გამოთქმა და რომ ის ზომიერად უნდა გამოვიყენოთ, რადგან ეს ცვლის ჩვეულებრივ სიტყვათხმარებას და მას უცხოიერს აძლევს. ამ შემთხვევაში საჭიროა სიფრთხილე, რადგან ეპითეტების წინდაუხედავი ხმარება მეტ ზიანს მოგვიტანს. მათი ზედმეტად ხმარებისას სიტყვას აკლია სილამაზე, ხოლო მოუფიქრებელი ხმარებისას საზიანო ხდება. ამიტომაც ალკიდამანტის სიტყვა ცივი გვეჩვენება, რადგან იგი ეპითეტებს ხმარობს არა როგორც საქმლის საკმაზს, არამედ როგორც საქმელს. იმდენად ხშირად და თვალში საცემად ხმარობდა მათ, რომ, მაგალითად, იგი არ ამბობდა „ოფლი“, არამედ „სველი ოფლი“, ამბობდა არა „ისთმიური თამაშობები“, არამედ „სადღესასწაულო შეკრება ისთმიურ თამაშობებზე“. ამბობდა არა „კანონები“, არამედ „სახელმწიფოს მმართველთა კანონები“, არა „სირბილი“, არამედ „სულის ძლიერი მოძრაობა“, არა „მუზეუმი“, არამედ „ბუნებისაგან მიღებული მუზეუმი“, ამბობდა „სულის მძიმე აღშფოთება“, არა „ქველმოქმედი“, არამედ „საზოგადო ქველმოქმედი“, ანდა „მსმენელთა სიამოვნების ხელმძღვანელი“, არა „ტოტებით“, არამედ „ტყის ტოტებით დაფარვა“, არა „სხეულის დაფარვა“, არამედ „სხეულის სირცხვილის დაფარვა“. ვნებას უწოდებდა „სულის მეტოქეს“. ეს გამოთქმები ერთნაირად არის როგორც შედგენილი სიტყვა,

ისე ეპითეტი. ამრიგად, ეს პოეზიაა. ხმარობდა აგრეთვე ისეთ
უჩვეულო გამოთქმებს, როგორიცაა — „საზღვრის დამანგრე-
ველი ბოროტება". მაშასადამე, ვინც პოეზიაში შეუფერებელ
გამოთქმებს ხმარობს, იგი ქმნის სასაცილო და ცივ სტილს, ხო-
ლო მრავალსიტყვიანობის გამო აზრს გაუგებარსა ხდის. რად-
გან როდესაც ბევრ სიტყვას ხმარობენ იმაზე, რაც ცნობილია,
ამით ნათელ აზრს აბნელებენ. ხალხი შედგენილ სიტყვებს იყე-
ნებს ან მაშინ, როცა სიტყვების დაკავშირება ადვილია ან რო-
დესაც საგანს სახელი არა აქვს. მაგალითად, „დროსტარება". 1406b
მაგრამ თუ ასეთი სიტყვები ბევრი იხმარე, მაშინ სტილი მთლად
პოეტური გახდება. ამიტომაც ორმაგ სიტყვებს იყენებენ პოე-
ტები, უფრო მეტად დითირამბებში, რადგან მათ მეტი ჟღე-
რადობა აქვთ. ეპიკოსები იყენებენ იშვიათ გამოთქმებს, რად-
გან ეპოსი ამაღლებულია და დამაჯერებელი. როგორც უკვე
ვთქვით, მეტაფორებს იამბების მწერალნი ახლაც იყენებენ.

სიტყვის სიცივის მეოთხე მიზეზი დაკავშირებულია მეტა-
ფორების ხმარებასთან, თუ ისინი შეუფერებლად არიან ნახ-
მარი, ზოგჯერ იმიტომ, რომ ეს სასაცილოა (მეტაფორებს ხომ
კომედიოგრაფები იყენებენ), ზოგჯერ იმიტომ, რომ ძალზე
ამაღლებული და ტრაგიკული ხასიათი აქვს. ისინი გაუგებარნი
ხდებიან, თუ ძალიან დაშორებული არიან საგნიდან. მაგალი-
თად, გორგია ამბობდა, რომ „საქმეები უფერული და უსის-
ხლოა", „თქვენ სირცხვილი დათესეთ და უბედურება მოიმკეთ".
ასეთი გამოთქმები უაღრესად პოეტურია. ან როგორც ალკიდა-
მანტე უწოდებს ფილოსოფიას „კანონების დამცველს", ხოლო
„ოდისეას" — „ადამიანების ცხოვრების მშვენიერ სარკეს", ან-
და „მას არავითარი ასეთი თავშესაქცევი არ შემოაქვს პოეზია-
ში". ყველა ეს გამოთქმა დამაჯერებელი არაა ზემოთქმულის
გამო. ანდა გორგიას სიტყვები, რომლითაც ის მერცხალს მი-
მართავს, გადაფრენისას თავზე უსუფთაობა რომ ჩამოაყარა:
„შეგრცხვეს ფილომელა!"[4] ეს რომ ფრინველს ჩაედინა, არ იქ-
ნებოდა სამარცხვინო, მაგრამ ქალიშვილისათვის კი ამის ჩადე-
ნა სამარცხვინოა. ხუმრობა ეხება იმას, რასაც ფრინველი წინათ
წარმოადგენდა და არა იმას, რაც ის ახლა არის.

შედარებაც მეტაფორაა, რადგან მცირედ განსხვავდება მეტაფორისგან. როდესაც პოეტი ამბობს აქილევსზე, რომ „ის როგორც ლომი, ისე ეკვეთა“ — ეს შედარებაა, მაგრამ თუ ვიტყვით „ლომი ეკვეთა“ — ეს მეტაფორაა. რადგან ორივენი მამაცნი არიან, ამიტომ პოეტმა[1] აქილევსს გადატანითი მნიშვნელობით ლომი უწოდა. შედარება შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროზაშიც, მაგრამ იშვიათად, რადგან ეს პოეტური ხერხია. შედარებები ისევე უნდა შევადგინოთ, როგორც მეტაფორები, რადგან შედარება იგივე მეტაფორაა, ოღონდ მისგან ზემოთქმულით განსხვავდება. შედარებაა, მაგალითად, ანდროტიონის[2] ნათქვამი იდრიევსზე[3], რომ იგი ჯაჭვიდან აშვებულ ძაღლსა ჰგავს. როგორც ძაღლები თავს ესხმიან და კბენენ ადამიანს, ასევე საშიშია ბორკილებიდან განთავისუფლებული იდიევსი. ან როგორც თეოდამანტე[4] უწოდებდა არქიდამეს, როცა მას ადარებდა გეომეტრიის არმცოდნე ევქსენეს და პირიქით, ევქსენეს — გეომეტრიის მცოდნე არქიდამეს[5]. ასევე პლატონი „სახელმწიფოში“ მიცვალებულების მძარცველთ ადარებდა ძაღლებს, რომლებიც ქვას კბენენ, რადგან ქვის მსროლელს ვერა წვდებიან[6]. ხოლო ხალხს ადარებს გემის მფლობელს, რომელიც ძლიერია, მაგრამ ყრუ[7]. პოეტურ ნაწარმოებებზე კი ამბობდა, რომ ისინი ჰგვანან ულამაზო ახალგაზრდას[8]. რადგან ხანში შესულები არ ჰგვანან იმას, რაც ახალგაზრდო-
1407a ბაში იყვნენ, ასევე ზომადარღვეული ლექსები არ ჰგავს იმას, რასაც ისინი ადრე წარმოადგენდნენ. პერიკლე სამოსელებზე ამბობდა, რომ ისინი იმ ბავშვებს ჰგვანან, რომლებიც ლუკმას ყლაპავენ, მაგრამ მაინც ტირიან[9]. ხოლო ბეოტიელების შესახებ ამბობდა, რომ ისინი ჰგვანან იმ მუხებს, რომლებიც ერთმანეთს დაჯახებით ამტვრევენ. დემოსთენე ხალხზე ამბობდა, რომ ის ჰგავს ნავში მსხდომთ, რომლებიც ზღვის ავადმყოფობით არიან ავად[10]. ხოლო დემოკრატე[11] ორატორებს ძიძებს უწოდებდა, რომლებიც ლუკმას ყლაპავენ, ბავშვებს კი ნერწყვს უსვამენ ტუჩებზე. ანტისთენე[12] გამხდარ კეფისოდოტეს[13] ადარებდა საკმეველს, რომელიც სასიამოვნო სურნელებას აფრქვევს მაშინ, როცა იწვის. ყველა ასეთი გამოთქმა შეიძ-

ლება გამოყენებულ იქნეს, როგორც შედარება და როგორც მეტაფორა. ცხადია, რომ ისინი, რომლებიც დამაჯერებელნი არიან, შეიძლება მეტაფორად გამოვიყენოთ. ისინი ამავე დროს შედარებებიც იქნებიან, რადგან მეტაფორები შედარებებია. მეტაფორები ყოველთვის ორივე მხარის შედარების საფუძველზე უნდა შევადგინოთ და გამოვიყენოთ. თუ ეს მხარეები ერთგვაროვანნი არიან; მაგალითად, დიონისესათვის ფიალა ფარია, არეოსისათვის კი ფარი არის ფიალა.

5

სიტყვა შედგება ამ ნაწილებისაგან. ახლა გავარკვიოთ ბერძნული ენის სიწმიდის პირობები. ეს პირობები ხუთია: 1. კავშირები, რომლებიც ბუნებრივი თანმიმდევრობით უნდა განლაგდნენ. როგორც ზოგიერთი მოითხოვს, რომ μέν და ἐγὼ μέν-ს მოსდევს δέ და ὁ δέ. გარდა ამისა, კავშირები ისე უნდა განლაგდეს სიტყვაში, რომ მსმენელს ნათქვამი ისევ ახსოვდეს. არც ძალიან დააშორო ნაწილები ერთმანეთს და არც ზედიზედ იხმარო კავშირები ისე, რომ ერთი აუცილებლად მეორის გვერდით იყოს მოთავსებული. მაგალითად, „მე როგორც კი მითხრა მან (რადგან ჩემთან კლეონი მოვიდა, მთხოვდა და მეხვეწებოდა), მაშინვე გავემგზავრე და ისინიც თან გავიყოლე". ამ ფრაზაში ძირითადი კავშირის წინ მრავალი სხვა კავშირია ნახმარი. აგრეთვე სიტყვა „გავემგზავრე"-ს წინ მრავალი სიტყვაა ჩართული, ამიტომ იგი ბუნდოვანია. მაშასადამე, პირველი მოთხოვნა მდგომარეობს კავშირების სწორად ხმარებაში. მეორე პირობა მდგომარეობს იმაში, რომ საგანი გამოვხატოთ მისი საკუთარი სახელებით და არა განყენებულით. მესამე პირობა: არ ვიხმაროთ ორაზროვანი სიტყვები, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანებს სათქმელი არა აქვთ რა, მაგრამ თავი ისე უჭირავთ, თითქოს რამეს ამბობდნენ. ისინი ამ დროს პოეტური სახით გამოთქვამენ აზრს. როგორც, მაგალითად, ემპედოკლე. თუ ასეთი გამოთქმები ბევრია, ამას შეუძლია კაცი შეაცდინოს. მსმენელნი ამ დროს იმასვე განიცდიან, რასაც ხალხი წინასწარმეტყველის წინაშე, რომელიც,

მართალია, ორაზროვნად ლაპარაკობს, მაგრამ ხალხი მას მაინც თავს უქნევს. მაგალითად, როცა ის ამბობს:

„კრეზემ გადალახა მდინარე ჰალისი და ძლიერი სახელმწიფო დაამხო“[1].

1407b რადგან ზოგად მსჯელობებში ნაკლებია შეცდომის შესაძლებლობა, ამიტომ წინასწარმეტყველნი გვარეობითი ცნებებით ლაპარაკობენ. როგორც „ლუწისა“ და „კენტის“ თამაშის დროს უფრო მეტად ამბობენ „ლუწი“ ან „კენტი“, ვიდრე „რამდენი“. ასევე ამბობენ, რომ — რაღაც მოხდა, ოდესღაც მოხდა, მაგრამ არ ამბობენ, თუ როდის მოხდა. ამიტომ წინასწარმეტყველნიც დროს არ განსაზღვრავენ. ყველა შემთხვევა ერთმანეთს ჰგავს და თუ რაიმე გარკვეული მიზანი არ გვამოძრავებს, მათ ხმარებას თავი უნდა ავარიდოთ. მეოთხე მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ სახელები დავანაწილოთ გვარეობითი ცნებების მიხედვით, როგორც პროტაგორა ჰყოფდა სახელებს გვარებად: მდედრობითად, მამრობითად და საშუალოდ. მაგრამ საჭიროა მათი სწორი გამოყენება. როგორც, მაგალითად, გამოთქმაში: „იგი მოვიდა, ისაუბრა და წავიდა“.

მეხუთე პირობა: „მრავალის“, „მცირესა“ და „ერთის“ სწორი დასახელება. მაგალითად, გამოთქმაში: „ისინი მოვიდნენ და მცემეს“

საერთოდ, კარგი ნაწერი ადვილად გასაგები უნდა იყოს და ადვილად გამოსათქმელიც, რაც ერთი და იგივეა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ისეთ სიტყვებზე, სადაც კავშირები ბევრია და სასვენი ნიშნების დასმაც ადვილი არაა, როგორც ჰერაკლიტეს სიტყვაში[2]. ჰერაკლიტეს ნაწერებში ძნელია სასვენი ნიშნების დასმა, რადგან გაურკვეველია, სად დასვა ის, სიტყვის წინ, თუ მის შემდეგ. მაგალითად, ჰერაკლიტე თავისი შრომის დასაწყისში ამბობს: „ლოგოსი, არსებული მუდმივ, ადამიანებისათვის შეუცნობელია“. გაურკვეველია, თუ სად უნდა გამოიყოს მძიმით სიტყვა „მუდმივ“.

შეცდომას იწვევს ისიც, თუ ორი სიტყვის დამაკავშირებელი ცნება მონახული არ არის, მაგალითად, ფერისა და ბგერებისათვის. რადგან „ვხედავ“ საერთო არაა ორივესათვის, მაგრამ „ვგრძნობ“ კი საერთოა მათთვის. გამოთქმა ძნელია იმ შემთხვევაშიც, თუ დასაწყისში არ აღნიშნავ იმას, რის თქმა-

საც აპირებ და თუ შუაში ჩაურთავ მრავალ სიტყვას. მაგალითად, „მე მინდოდა მისთვის მეთქვა ეს და ეს და მერე წავსულიყავ“. მაგრამ არა ასე: „მინდოდა გავმგზავრებულიყავ“, მერე კი უმატებ: „მინდოდა მეთქვა მისთვის, რომ ესა და ეს ასე მოხდა“.

6

სიტყვის სიფართოვეს წარმოშობს შემდეგი მომენტები:

1. სახელის მაგიერ ცნების გამოყენება. მაგალითად, წრის ნაცვლად რომ თქვა სიბრტყე, რომლის კიდეები თანაბრად არის დაშორებული შუაგულიდან. სტილის სიმოკლეს იწვევს საწინააღმდეგო მოვლენა: ცნების მაგიერ სახელის ხმარება. ამ ხერხს მაშინ იყენებენ, როცა უნდათ გადმოსცენ სამარცხვინო და შეუსაბამო მოვლენები. თუ ზოგადი ცნება შეუსაბამოა, მაშინ ვხმარობთ სახელს, ხოლო თუ სახელია ასეთი, მაშინ მივმართავთ ცნებას. საქმის ნათელყოფა შეიძლება მეტაფორებითა და ეპითეტებითაც, ოღონდ თუ პოეტურობას თავიდან ავიცილებთ.

2. სტილის სიფართოვეს წარმოშობს ერთის მრავალ ქცევა, როგორც ამას პოეტები სჩადიან. მაგალითად, ნავსადგური ერთია, მაგრამ პოეტი მაინც ამბობს:

„აქეველთა ნავსადგომები“[3],

ანდა

„აგერ წერილის მრავალი კარი!“[4]

3. როდესაც სიტყვებს კი არ ვაკავშირებთ, არამედ ცალცალკე წარმოვთქვამთ. მაგალითად, „იმ ქალისა, რომელიც ჩემი ცოლია“. მაგრამ როცა მოკლედ სურთ თქმა, ამბობენ: „ჩემი ცოლისა“.

4. სიტყვებს დაშორება კავშირებით. თუ აზრის მოკლედ თქმა სურთ, მაშინ კავშირებს არ ხმარობენ. მაგალითად, კავშირია ნახმარი გამოთქმაში: „მიეედი და მოველაპარაკე“. უკავ- 1408a
შიროა ფრაზა: „მისვლისთანავე მოველაპარაკე“.

5. გამოსადეგია ანტიმაქეს ხერხიც[5], როდესაც ლაპარაკობს საგნის იმ თვისებებზე, რაც მას არა აქვს, როგორც, მაგალითად, იგი აღწერს ტეემესოს მთას[6]: „იქ მდებარეობს ბორცვი პატარა, სადაც უბერავს ქარი ძლიერი“.

ასე შეიძლება მასალა უსაზღვროდ გაეზარდოთ. შეიძლება ლაპარაკი დადებითსა და უარყოფით თვისებებზე, რომელიც საგანს არა აქვს, იმისდა მიხედვით, რომელი მათგანი უფრო გვჭირდება. ასე ქმნიან პოეტები ზოგიერთ გამოთქმას. მაგალითად, „უსიმო ჩანგი და უჩანგო სიმღერა". ეს გამოთქმა მიღებულია თვისებების უარყოფით. ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ისეთი მეტაფორები, რომელიც მსგავსებას ემყარება, მაგალითად, გამოთქმა: „სალამური არის უჩანგო მელოდია".

7

სიტყვა მიზანშეწონილია მაშინ, თუ საგნის შესატყვისია, პათეტურია და ეთიკური. სიტყვა მიზანშეწონილია მაშინ, თუ მნიშვნელოვან მოვლენებზე არ არის ნათქვამი სასხვათაშორისოდ, ხოლო უმნიშვნელოზე სადღესასწაულოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში სიტყვა სასაცილო იქნება. ასე კლეოფონტი იქცევა. მას აქვს ასეთი გამოთქმები: „ქალბატონო, ლეღვის ხეო!" სიტყვა პოეტურია მაშინ, თუ შეურაცხყოფის შემთხვევაში მრისხანეა, ხოლო უღმერთო და სამარცხვინო მოქმედებისას უკმაყოფილებისა და სიფრთხილის გამომხატველი. თუ საგანი საქებია, მაშინ სიტყვა სადღესასწაულოა, თუ შესაბრალისია, მაშინ სტილი დაბალია. ასევე სხვა შემთხვევაშიც. თუ სიტყვა საგნის შესაბამისია, მაშინ ის სარწმუნოდ მოჩანს, რადგან ადამიანის სული ტყუვდება და ჰგონია, რომ ორატორი სწორად ლაპარაკობს. ამ შემთხვევაში მსმენელთ სწორი ჰგონიათ ის, რასაც ორატორი ჰყვება. საქმე ისეც რომ არ იყოს, როგორც ორატორი ლაპარაკობს, მსმენელი მაინც ფიქრობს, რომ სინამდვილეში ასე იქნება. მსმენელი ყოველთვის თანაუგრძნობს იმას, ვინც პათოსით ლაპარაკობს, თუნდაც არაფერს არ ამბობდეს. ამიტომ მრავალი ორატორი მსმენელებზე დიდ გავლენას ახდენს ხმაურითაც კი.

ეთიკური ხასიათის სიტყვაც ნიშნებით გამოიხატება, რადგან ნიშნები შესაბამისად თან ახლავს, როგორც გვარს, ისე მის თვისებას. ადამიანთა გვარში მე ვგულისხმობ ხნოვანებას, მაგალითად: ბავშვი, მამაკაცი და მოხუცი, აგრეთვე ქალი და კაცი, ლაკონელი ან თესალიელი. თვისებებში ვგულისხმობ იმას,

თუ როგორ ცხოვრებას ეწევა იგი, რადგან ყოველ თვისებას არ შეაქვს განსხვავება ადამიანის ცხოვრების ხასიათში. თუ ორატორი იხმარს ისეთ სიტყვებს, რაც მის თვისებას შეესატყვისება, ის ამით თავის ხასიათს გამოავლენს, რადგან გაუნათლებელი და განათლებული ადამიანები არც ერთსა და იმავეზე ლაპარაკობენ და არც ერთნაირად. მსმენელები თანაუგრძნობენ იმ ორატორებს, რომლებიც ხშირად ხმარობენ გამოთქმას: „ვინ არ იცის?“, ანდა „ყველამ იცის“. მსმენელი ეთანხმება ორატორს სირცხვილის გამო, რათა ისიც თანაზიარი იყოს ამ თვისებისა, რაც ყველას აქვს.

ამგვარი ხერხებისათვის საერთოა როგორც დროული, ისე
უდროო დროს გადაჭარბების თავიდან ასაცილებელი საშუა- 1408b
ლება: ორატორმა თვითონ უნდა გაიცხოს თავისი თავი, რადგან ჭეშმარიტი ჰგონიათ იმ ორატორის სიტყვა, რომელიც არ შალავს იმას, რასაც აკეთებს. შემდეგ, ორატორმა ყველა ეს ხერხი ერთბაშად არ უნდა გამოიყენოს, რადგან ამ შემთხვევაში მსმენელი არ ენდობა. მე ვგულისხმობ იმას, რომ თუ სიტყვები მკაცრია, არაა საჭირო ამის გამოხატვა ბგერითაც, სახითაც და სხვა საშუალებებითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მსმენელისათვის ნათელი გახდება ორატორის განზრახვა. თუ ორატორი ერთ ხერხს იყენებს, მეორეს კი არა, მაშინ ფარულად იმავე შედეგს მიაღწევს, რასაც ყველა ხერხის გამოყენებით. მაგრამ თუ იგი სათუთ გრძნობებზე მკაცრად ლაპარაკობს, ხოლო მკაცრზე სათუთად, მსმენელი მას არ დაუჯერებს. რთული სიტყვები, მრავალი ეპითეტი და ორიგინალური გამოთქმა უფრო პატეტურად მოლაპარაკეს შეშვენის ორატორს ეპატიება, თუ ის სიბრაზით ბოროტებას გამოხატავს როგორც „ცად ამწდომს“, ანდა „უზარმაზარს“ და თუ მსმენელნი აღტაცებაში მოიყვანა ან ქებით ან ძაგებით, სიძულვილით ან სიყვარულით, როგორც ისოკრატე ამბობს „პანეგირიკის“ ბოლოში: „დიდება და სახელი იმათ, რომელთაც გაბედეს!“[2] რასაც აღტაცებული ყიჟინა მოსდევს. რადგან მსმენელნი იმასვე განიცდიან, რასაც ორატორი. ყოველივე ეს შეჰფერის პოეზიას, რაც ღვთაებრივი შთაგონების შედეგია. ეს ხერხები ასე უნდა ვიხმაროთ, ანდა ირონიულად, როგორც გორგია ხმარობს მათ და რაზეც ლაპარაკია „ფედროსშიც“[3].

სიტყვას არ უნდა ჰქონდეს არც ლექსის სახე და არც ურიტმო უნდა იყოს, რადგან პირველ შემთხვევაში დამაჯერებელი არ იქნება და ხელოვნური გამოჩნდება. გარდა ამისა, დაბნევს მსმენელის ყურადღებას, რომელიც ელის მსგავსი მარცვლების განმეორებას, თუ როდის შეხვდება იგივე მარცვალი. აი, როგორც ბავშვები აიტაცებენ ხოლმე ციკრიკის შეკითხვას იმის შესახებ, თუ ვის ირჩევს თავის მეურვედ განთავისუფლებული და ყვირიან: „კლეონს“[4]. ურიტმო სიტყვა დაუსრულებელია, თუმცა საჭიროა, რომ სიტყვას დასრულებული სახე ჰქონდეს, ოღონდ არამეტრული. განუსაზღვრელი კი არც სასიამოვნოა და არც გასაგები. ყოველივე რიცხვით იზომება. სიტყვის სახეც რიცხვია, ანუ რიტმი, რომლის ზომას მისი ნაწილები შეადგენს. მაშასადამე, საჭიროა, რომ სიტყვას რიტმი ჰქონდეს, მაგრამ არა მეტრი, რადგან მაშინ ის ლექსი იქნებოდა. რიტმიც სავსებით ზუსტი არ უნდა ჰქონდეს. რიტმი ზუსტი იქნება მაშინ, თუ მას გარკვეული საზღვარი ექნება.

რიტმული სიტყვებიდან ზოგი საგმიროა, მაგრამ გამოთქმის დროს აკლია ჰარმონია.

მეორე იამბია, რომელსაც ხალხის სასაუბრო მეტყველებაში ვხვდებით. ორატორებიც უპირატესად იმას იყენებენ, რად-
1409a გან იამბი სადღესასწაულო განწყობას და ექსტაზს იწვევს. ტროქეი უფრო საცეკვაოს გვაგონებს, რაც ცხადია ტეტრამეტრიდან, რადგან ტროქეული რიტმი ტეტრამეტრია. განსახილველი დაგვრჩა პეანი, რომელსაც თრასიმაქესი[5] შემდეგ იყენებენ ისე, რომ არ იციან, თუ რას წარმოადგენს ის.

მესამეა პეანი, რომელიც ზემოთქმულ სახეთ უნდა მივაკუთვნოთ. მასში მოცემულია სამი მარცვალი ორთან მიმართებაში. პეანს აქვს აგრეთვე ერთნახევარი მარცვალი ერთთან მიმართებაში. აი, ეს არის პეანი. რიტმის დანარჩენი სახეები უნდა გამოვტოვოთ როგორც ზემოთქმულის გამო, ისე იმიტომ, რომ ისინი მეტრულნი არიან. პეანი კი უნდა განვიხილოთ, რადგან ზემოდასახელებული რიტმული სახეებიდან მხოლოდ ეს არის ლექსი. ამიტომ ის ყველაზე შეუმჩნეველია. ამჟამად ერთ პეანს იყენებენ სიტყვის დასაწყისში, მაგრამ ბოლო უნდა

განვასხვავოთ დასაწყისიდან. არსებობს პეანის ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო სახე. ერთი მათგანი გამოდგება დასაწყისში და მას ასე იყენებენ კიდეც. ამ პეახს თავში აქვს გრძელი მარცვალი, რომელსაც სამი მოკლე მარცვალი მოსდევს. მაგალითად:

„დალრგენეს ერტე ლუკიან“ (დელოსში დაბადებული, ანუ ლუკია).

„ხრუსეროკომა ჰეკატე პარ დირს“. (ოქროსთმიანი ჰეკატე, შვილი ზევსისა).

მეორე პეანი საწინააღმდეგო შედგენილობისაა. მასში ტაეპი იწყება სამი მოკლე მარცვლით, გრძელი მარცვალი კი ბოლოშია:

„მეტა დე გან ჰიუდატა ტ'ოკეანონ ეფანისე ნიუქს“ (მიწის შემდეგ ოკეანის წყლებიც დააბნელა ღამემ).

ლექსის ამ სახეს ბოლოში ხმარობენ, რადგან მოკლე მარცვლის დაუსრულებლობის გამო არ ტოვებს მთელის შთაბეჭდილებას. ლექსი კი საჭიროა, რომ დამთავრებული იყოს გრძელი მარცვლით და ამით ლექსის დასასრულიც ცხადი იყოს არა წერილობით ან განცხადებით, არამედ რიტმით. რომ სიტყვის რიტმი უნდა იყოს კეთილხმოვანი და არა ურიტმო, ანდა რა ჰქმნის კეთილხმოვანებას და როგორ იქმნება ის, ამის შესახებ ზემოთ უკვე იყო ნათქვამი.

9

სიტყვა უნდა იყოს უწყვეტი და ერთ მთელად შეკრული კავშირებით, როგორც ამას დითირამბების შესავალში ვხვდებით, ანდა პირიქით, წყვეტილი, როგორც ამას ადგილი აქვს ძველი პოეტების ანტისტროფებში. უწყვეტი სიტყვა უფრო ძველია მაგალითად, „ჰეროდოტე თურიელის ისტორიის გადმოცემა“[6]. ამ სახეს თავდაპირველად ყველა ხმარობდა, ახლა კი — ცოტანი. უწყვეტში მე ვგულისხმობ სიტყვას, რომელსაც დასასრული არა აქვს, თუ საუბრის საგანი არ დამთავრებულა. სიტყვის ასეთი სახე უსიამოვნოა განუსაზღვრელობის გამო, რადგან ყველას უნდა, რომ დასასრულს ხედავდეს. ამიტომაცაა, რომ სირბილის დროს მორბენალთ მოსახვევებში სუნთქვა

უპირთ და იღლებიან. ხოლო ადრე, როცა დასასრულს ხედავ-
დნენ, ასე არ იტანჯებოდნენ. ყოველივე ეს წარმოშობს უწყ-
ვეტ სიტყვას. ხოლო საწინააღმდეგო სახე არის პერიოდული
სიტყვა. პერიოდულში მე ვგულისხმობ სიტყვას, რომელსაც
აქვს დასაწყისი და დასასრული და ადვილად შესამჩნევი სიდი-
1409b დე. ასეთი სიტყვა სასიამოვნოა და ადვილად გასაგები, რადგან
უპირისპირდება განუსაზღვრელ სიტყვას. აგრეთვე იმიტომ,
რომ მსმენელს ჰგონია, რომ საქმე აქვს რაღაც განსაზღვრულ-
თან და დასრულებულთან. ხოლო ის, რაც არ განისაზღვრება
და არც დასასრული აქვს, უსიამოვნოა. ადვილად შესასწავლია
ის, რაც ადვილად დასამახსოვრებელია. ეს კი იმიტომ, რომ პე-
რიოდულ სიტყვას აქვს რიცხვი, რასაც ყველა ადვილად იმახ-
სოვრებს. მაშასადამე, მეტრულ სიტყვას ადვილად იმახსოვრე-
ბენ, ვიდრე არამეტრულს, რადგან მეტრულს აქვს რიცხვი,
რომლითაც ის იზომება[7]. პერიოდი უნდა დამთავრდეს აზრთან
ერთად და არ უნდა წყდებოდეს უცებ, როგორც სოფოკლეს
იამბებში:

„შეხედეთ, ესაა კალიდონი, მიწა პელოპონესის მხარისა!“[8]

ასეთი დაყოფისას შეიძლება გავიგოთ საწინააღმდეგო აზ-
რიც, როგორც ზემომოტანილ ლექსში, რომ კალიდონი ეკუთვ-
ნის პელოპონესს.

პერიოდი შეიძლება შეიცავდეს ნაწილებს, მაგრამ შეიძლე-
ბა მარტივიც იყოს. პერიოდული სიტყვა არის ერთი მთელი და
დასრულებული, შემდგარი ნაწილებისაგან, ადვილად წარმო-
სათქმელი ერთი ამოსუნთქვით და არა ნაწილ-ნაწილ, როგორც
ზემომოტანილი პერიოდი. „კოლონი“ არის პერიოდის ნაწილი.
მარტივია ის პერიოდი, რომელიც ერთი ნაწილისაგან შედგება.
არც პერიოდი და არც მისი ნაწილები არ უნდა იყოს მოკლე
ან გრძელი. მოკლე პერიოდი აბრკოლებს მსმენელს, რომელიც
მიისწრაფვის წინ იმ საზღვრისაკენ, რომელიც მას წარმოდგე-
ნილი აქვს. ხოლო სიტყვის შეწყვეტისას უკუიქცევა, როგორც
დაბრკოლებაზე დაჯახებისას. გრძელ პერიოდებში კი მსმენელ-
ნი ჩამორჩებიან, როგორც მოსეირნენი, რომელთაც თუ საზ-
ღვარი გადალახეს, თავის მგზავრებს ჩამოიტოვებენ. ასევე
გრძელი პერიოდიც შესავალს ემსგავსება. ასე წარმოიშობა

ის, რაზეც დასცინა დემოკრიტე ქიოსელმა[9] მელანიპიდეს რო-
შელმაც ანტისტროფების ნაცვლად შესავალი შეთხზა:

„ადამიანმა, ვინც განიზრახა სხვისთვის ბოროტი,
თავის თავს ავნო ყველაზე მეტად“.
„ვრცელი შესავლის შემთხზველს დიდი ზიანი მოაქვს
თავისთვის“[10].

იგივე უნდა ითქვას იმათ შესახებ, რომლებიც გრძელ პე-
რიოდებს ადგენენ. არც მოკლე ნაწილები ქმნიან ნამდვილ პე-
რიოდს, ისინი სწრაფად მიაქანებენ მსმენელს წინ.

პერიოდების ნაწილები ან ერთმანეთს მოსდევენ, ან ერთ-
მანეთს ეწინააღმდეგებიან. პირველის მაგალითია: „ხშირად
გამკვირვებია იმისა, ვინც სადღესასწაულო კრებები შემოიღო
და ფიზიკური შეჯიბრებები დააწესა“[11]. 1410a

დაპირისპირებულია სიტყვა, სადაც თითოეულ ნაწილს მე-
ორე ნაწილი უპირისპირდება, ანდა თვითონ არის საპირისპირო
ნაწილებისაგან შემდგარი. მაგალითად: „მათ ორივე მხარის
გული მოიგეს, როგორც იმათი, ვინც დარჩნენ, ისე იმათი,
რომლებიც მათ გაჰყვნენ. ამ უკანასკნელთ მისცეს იმაზე მეტი
მიწა, ვიდრე შინ ჰქონდათ, პირველთ კი საკმარისი დაუტო-
ვეს“. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ცნებები: „დარჩენა“,
„წაყოლა“, „საკმარისი“, „მეტი“. ანდა ასეთი გამოთქმა: „რო-
გორც ის, ვისაც ქონება აკლია, ისე ის, ვინც მისით სარგებ-
ლობს“. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ისეთი გამოთქმები,
როგორიცაა „ქონება აკლია“ ანდა „ქონებით სარგებლობს“.
ანდა ასეთი გამოთქმები: „ხშირად ხდება, რომ იმავე პირობებ-
ში, რომელშიც გონიერნი მარცხდებიან, უგუნურნი იმარჯვე-
ბენ“. „როგორც კი მიიღეს ჯილდოები დამსახურების გამო, ცო-
ტა ხნის შემდეგ ზღვაზე ბატონობაც მოიპოვეს“. „მან ბრძანა
მატერიკი გაეცურათ, ზღვა გაეცლოთ, ჰელესპონტზე ხიდი
გაედოთ, რომ ათონის მთისათვის ძირი გამოეთხარათ“. „მოქა-
ლაქეთ დაბადებულთათვის კანონით მოქალაქეობის აღკვეთა“.
„ზოგი მათგანი საშინლად დაიღუპა, ზოგი კი სამარცხვინოდ
გადარჩა“. „პირად ცხოვრებაში ბარბაროსებს ვიყენებთ რო-
გორც მსახურთ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი ვერ ვამჩნევთ
ჩვენი მრავალი მოკავშირის მონურ მდგომარეობას“. „ან სი-

ცოცხლეშივე უნდა გქონდეს, ანდა სიკვდილის შემდეგ დაკოვო". ანდა პითოლაესა და ლიკოფრონის თაობაზე ვიღაცამ სასამართლოში ათენელებს უთხრა: „ესენი, როცა შინ იყვნენ, გყიდდნენ თქვენ, აქ მოსულნი კი გყიდულობენ"[12]. ყოველივე ეს ზემოთქმულ შედეგს იწვევს. ასეთი გამონათქვამები სასიამოვნოა, რადგან მოვლენათა დაპირისპირება, ისევე როგორც პარალელების გავლება, აზრს ძალიან გასაგებსა ხდის. აგრეთვე იმიტომ, რომ იგი სილოგიზმსა ჰგავს, რადგან მხილება საწინააღმდეგო საბუთების თავმოყრაა.

აი ასეთია ანტითეზისი. ხოლო გათანასწორებაა, როცა პერიოდის ნაწილები ტოლია. მსგავსებაა, როცა თავსა და ბოლოში თითოეული მხარის კიდური წევრები მსგავსია: როცა დასაწყისი მთლიანად მეორდება ბოლოში. დასაწყისში ყოველთვის მოთავსებულია სახელები, ბოლოში კი კიდური მარცვლები, ანდა ერთი და იგივე სიტყვები სხვადასხვა ბრუნვაში, ანდა ერთი და იგივე სახელები. დასაწყისში მსგავსების მაგალითებია: „აგრონ გარ ელაბენ, აგრონ პარ ავტუ" (მიწა მიიღო მისგან, მიწა უნაყოფო). „ისინი შეიძლება საჩუქრებით მოგვემხრო და სიტყვებით დაგვეყოლიებია"[13]. ბოლოში მსგავსების მაგალითი: „ისინი ფიქრობდნენ, რომ ის მამა იყო, რადგან ის იყო ამის მიზეზი"[14]. „მრავალი საზრუნავით და მცირე იმედით"[15]. სხვადასხვა ბრუნვიანი სიტყვები ბოლოში: „იგი ღირსია იმისა, რომ სპილენძის ქანდაკება დაუდგან, თუმცა თვითონ სპილენძის გროშადაც არ ღირს"[16]. ბოლოში ერთი და იგივე სიტყვის განმეორების მაგალითი: „შენ მის სიცოცხლეში ცუდს ლაპარაკობდი მასზე, ახლა ცუდსა სწერ"[17]. ბოლოში
1410b მსგავსი მარცვლების მაგალითი: „რა საშინელი იქნებოდა შენი განცდა, უსაქმო ადამიანი რომ გენახა?"[18] ზოგჯერ ყველა ეს ხერხი ერთად გვხვდება: დაპირისპირებაც, ნაწილების იგივეობაც, ერთნაირი დაბოლოებაც. პერიოდების სხვადასხვა დასაწყისები თითქმის მთლიანად არის ჩამოთვლილი თეოდექტეს შრომებში[19]. არსებობს აგრეთვე ცრუ ანტითეზები, რასაც ვხვდებით ეპიქარმეს ლექსში[20]: „ხან მათს სახლში ვიყავი, ხან კი მათს ქვეყანაში".

განვიხილეთ რა ყოველივე ეს, ახლა უნდა ვთქვათ იმაზე, თუ როგორ წარმოიშობა სასიამოვნო და ფართოდ გავრცელებული გამოთქმები. მათი შექმნა შეუძლია ნიჭიერ და კარგად გავარჯიშებულ ადამიანს, რაც იმავე მეთოდით მტკიცდება. ვილაპარაკოთ მათ შესახებ, განვიხილოთ მათი სახეები. დავიწყოთ აქედან: ბუნებრივია, რომ ადვილად დასწავლა ყველასათვის სასიამოვნოა. სიტყვები რაღაცაზე მიგვანიშნებენ. მაშასადამე, ის სიტყვები, რომელიც ცოდნას გვაძლევს, ყველაზე სასიამოვნოა. ზოგი სიტყვა არ გვესმის, ზოგი კი, პირიქით, გვესმის ძალიან კარგად. ყველაზე კარგად გასაგებია მეტაფორები. მაგალითად, თუ პოეტი მოხუცებულობას ადარებს მოჭრილ ლერწამს[1], იგი გვასწავლის და გვიხსნის გვარეობითი ცნებებით. რადგან ორივე ცნება ჭკნობას გამოხატავს. იმავე შედეგს აღწევენ პოეტები შედარებებით, ამიტომ თუ შედარებები კარგად არის შერჩეული, ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ადრეცა ვთქვი[2], შედარება იგივე მეტაფორაა, ოღონდ მეტაფორისაგან განსხვავებით, მას დამატება აქვს. მაგრამ შედარება ნაკლებ სასიამოვნოა როგორც სიგრძის, ისე იმის გამო, რომ არ გვეუბნება „ეს“ არის „ის“, რასაც არც ჩვენი სული მოითხოვს.

როგორც სიტყვებიდან, ისე ენთიმემებიდან სასიამოვნოა ის. რომელიც ცოდნას სწრაფად გვაწვდის. მაშასადამე, არც ზერელე ენთიმემებია მოსაწონი (ჩვენ ზერელეს ვუწოდებთ ყველასათვის გასაგებ ენთიმემებს, სადაც საკვლევი არაფერია), არც ისინი, რომელიც გამოთქმის შემდეგაც გაუგებარია. მოსაწონია ის, რომელიც წარმოთქმის უმალვე გვაწვდის ცოდნას, რაც დასაწყისში არ გვქონდა და რომლის მოსაზრებას ჩვენი გონება ოდნავ დაგვიანებით იწყებს. ამ დროს წარმოიქმნება ცოდნის მიღების შთაბეჭდილება, რასაც პირველ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

შინაარსის მიხედვით ჩვენ ვარჩევთ ზემომოტანილ ენთიმემებს, ხოლო სახის მიხედვით იმათ, სადაც მოცემულია დაპირისპირება. მაგალითად, „ის, რაც სხვებისათვის საერთო ზავია, ის ჩვენს საწინააღმდეგოდ მიმართული ომია“[3]. აქ ერთმანეთს

უპირისპირდება ომი და ზავი. ხოლო სიტყვები, სადაც ნახმარია მეტაფორები, არ უნდა იყოს არც უცხო, რადგან ძნელი გასაგები იქნება, არც ზერელე, რადგან არავითარ განცდას არ აღძრავდა. ენთიმემა, რომელიც თითქოს თვალწინ წარმოგიისახავს საქმეს, უკეთ დაგვანახვებს მოქმედებას, ვიდრე ის ენთიმემა, სადაც მოქმედება მოშავალშია გადატანილი. მაშასადამე, საჭიროა ამ სამი ხერხის გამოყენება: მეტაფორების, ანტითეზებისა და სიტყვის ზემოქმედების ძალისა.

1411a მეტაფორების ოთხი სახიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია შედარებით მიღებული მეტაფორა. მაგალითად, პერიკლე ამბობდა ომში დაღუპული ახალგაზრდების შესახებ: „მათი გაქრობა სახელმწიფოდან, წელიწადიდან გაზაფხულის გაქრობას ჰგავს“[4]. ლეპტინე კი ლაკედემონელებზე ამბობდა: „ისინი არ დაუშვებენ იმას, რომ ელადა ცალი თვალით დაბრმავდეს!“[5] როდესაც ქარეტი[6] იჩქაროდა ანგარიშის ჩაბარებას ოლინთოს ბრძოლის შესახებ, კეფისოდოტე გაბრაზდა[7] და თქვა, რომ „მას სურს ანგარიშის ჩაბარება მაშინ, როდესაც ხალხს ყელში თოკი წაუჭირა“. ხოლო როცა ათენელთ მოუწოდებდა ევბეა დაელაშქრათ, ურჩია სურსათის ნაცვლად თან წაეღოთ მილტიადეს გადაწყვეტილება[8]. იმის გამო, რომ ათენელები შეუთანხმდნენ ეპიდავრესა და მთელ სანაპიროს, იფიკრატე გაბრაზდა და თქვა, რომ „მათ თავის თავს წაართვეს ომისათვის საჭირო მთელი სურსათი“[9]. პითოლაე პარალოსს[10] „ხალხის კეტს“ უწოდებდა, ხოლო სესტოსს[11] „პირეოსის ცხრილს“. პერიკლე მოითხოვდა ეგინას მოსპობას, რომელსაც პირეოსის „თვალის ბისტს“ უწოდებდა. მიროკლემ[12] თქვა, რომ ის არაფრით არ ჩამოუვარდება ერთ-ერთ პატივსაცემ პირს, რომელიც ერთი მესამედით არის თაღლითი, თვითონ კი ერთი მეათედით. ანაქსანდრიდეს[13] იამბში ლაპარაკია ქალიშვილებზე, რომლებმაც გათხოვება დააგვიანეს: „ქალიშვილებმა გამიხანგრძლივეს გათხოვების ვადა“. ან როგორც პოლიევქტე ამბობს, რომელიღაც სპევსიპეზე[14], რომელსაც დამბლა დაეცა, რომ „მას არ შეუძლია მშვიდად იყოს მაშინაც კი, როდესაც ხუთკალაპოტიანი ავადმყოფობა არგუნა ბედმა“[15]. კეფისოდოტე ტრიერებს უწოდებდა ჭრელ წისქვილებს[16], ხოლო კიუონი[17] სასადილოებს — ათენურ სატრაპეზოებს. ესიონი[18] ამბობდა:

„სახელმწიფო სიცილიაში გადაღვარესო“. „ამოიგმინა ელადამ“ — ესეც ერთგვარი თვალსაჩინო მეტაფორაა. აგრეთვე როგორც კეფისოდოტე აფრთხილებდა ხალხს, არ მოეწვიათ დიდი შეკრება[19]. ისოკრატე დღესასწაულზე შეკრებილთა შესახებ ამასვე ამბობდა, რაც საფლავის ქვაზე წერია: „ისინი, რომლებიც სალამინთან ბრძოლაში დაეცნენ, ღირსნი არიან იმისა, რომ ელადამ მათ საფლავზე თმები შეიჭრას, ნიშნად იმისა, რომ მათს სიმამაცესთან ერთად დაიმარხა ელადის თავისუფლება“[20]. მაგრამ ასე რომ ყოფილიყო ნათქვამი: „კარგი იქნებოდა, რომ ბერძნებს გამოეტირათ დამარხული სიმამაცე“ — ეს თვალსაჩინო მეტაფორა იქნებოდა მაგრამ გამოთქმა „სიმამაცესთან ერთად თავისუფლება“ ერთგვარი დაპირისპირებაა. ანდა როგორც იფიკრატემ თქვა: „ჩემი სიტყვების 1411b
გზა გადის ქარეტის ნამოქმედართა შუაგულში“ — ესაა მეტაფორის ანალოგიით მიღებული შედარება, რომელსაც თვალსაჩინოს ხდის გამოთქმა „შუაში“. გამოთქმა: „მოუწოდეთ საფრთხეს საფრთხეში ჩავარდნილთა დასახმარებლად“ — არის თვალსაჩინო მეტაფორა. ასევე ლიკოლეონტი[21] ქაბრიოსის დასაცავად ამბობს: „თქვენ არც სპილენძის მუხლმოყრილი ქანდაკების წინაშე გრცხვენიათ“[22]. ესეც მეტაფორაა, ნახმარი თვალსაჩინოების მიზნით, ოღონდ ამ შემთხვევისათვის და არა საზოგადოდ. იგულისხმება, რომ როცა ის საფრთხეშია, მის მაგიერ ქანდაკება სთხოვს. თუმცა პირველი სულიერია, მეორე უსულო. მაგრამ ესაა ქაბრიოსის მოქმედების გახსენება. გამოთქმაში: „ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ თავმდაბალნი ყოფილიყვნენ“[23]. სიტყვა „ცდილობდნენ“ ერთგვარი გაზვიადებაა. ანდა ასეთი გამოთქმა: „ღმერთმა დაანთო სულში გონების ცეცხლი“[24]. ორივე ეს სიტყვა თვალსაჩინოებას ემსახურება. „ჩვენ ომებს კი არ ვამთავრებთ, არამედ გადავდებთ ხოლმე“. ორივე ეს სიტყვა, როგორც „გადადება“, ისე „ზავი“ მოშავალს ეხება. „ზავით მიღებული ნადავლი უფრო მშვენიერია, ვიდრე ომით მიღებული“, რადგან უკანასკნელი ეხება მცირე ან ერთ რომელიმე შემთხვევას, ზავი კი მთელ ომს. თუმცა ორივე გამარჯვების ნიშანია. „სახელმწიფოს გაკიცხვა მოქალაქეთა შიერ დიდი ხარკია. ხარკი კი, როგორც ერთგვარი ზარალი, სამართლიანია“.

უკვე ვთქვით იმის შესახებ, რომ მხატვრული გამოთქმები წარმოიშობა მეტაფორებისა და შედარებების საფუძველზე და მათი მიზანი არის თვალსაჩინოება. ახლა უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა არის თვალსაჩინოება და როგორ მიიღება ის. მე თვალსაჩინოს ისეთ გამოთქმას ვუწოდებ, რომელიც საგანს მოქმედებაში გვიჩვენებს. მაგალითად, გამოთქმა: „კეთილი ადამიანი ოთხკუთხოვანია" — არის მეტაფორა, რადგან ორივე ცნება დასრულებულია, თუმცა მოქმედებას არ გამოხატავს[1]. ანდა ასეთი გამოთქმა: „ადამიანის მოწიფულობის ასაკი მის ძალთა აყვავების დროს ემთხვევა"[2]. მოქმედების გამოხატულებაა აგრეთვე ასეთი გამოთქმა: „შენ როგორც თავისუფალი"[3]. გამოთქმაში „ბერძნებმა ამის შემდეგ გაქუსლეს"[4] სიტყვა „გაქუსლეს" გამოხატავს მოქმედებას და ამავე დროს არის მეტაფორა. ჰომეროსი ხშირად ხმარობდა ისეთ მეტაფორებს, რომლითაც უსულო საგნებს სულიერად წარმოადგენდა. ყველა ამ შემთხვევაში აზრს დამაჯერებლობას აძლევს მოქმედება. ასევე ქვემომოტანილ მაგალითებში:

„მიწაზე უკან მიგორავდა ვერაგი ქვა"[5].
1412a „გაქანდა ისარი", „ეკვეთა გაბოროტებით",
„მიწაზე იდგნენ ჯიუტად სისხლის მწყურვალნი".
„გულგამგმირავი ისარი გაქანდა წინ ბოროტი ზრახვით".

ამ მაგალითებში ყოველივე გასულიერებულია, ამიტომაც ისინი მოქმედნი მოჩანან. თავხედობა და ვერაგობაც მოქმედებებია. ისინი შედარების საშუალებით მეტაფორებად არის გამოყენებული. და როგორ მიმართებაშიც არის ქვა სიზიფესთან, ისეთსავე მიმართებაშია ვერაგობა იმასთან, ვის მიმართაც არის ჩადენილი. ეს ხერხები კარგად გამოიყენა პოეტმა აგრეთვე უსულო საგნებში:

„აქაფებულ გრეხილ ტალღათა მთები ერთიმეორეს ეხეთქებოდა".

ამ მაგალითებში ყოველივე გამოხატულია ცოცხლად და მოძრავად. მოძრაობა კი მოქმედებაა.

როგორც უკვე ვთქვი, მეტაფორები უნდა შევადგინოთ

მახლობელი, მაგრამ არა სავსებით ნათლად მსგავსი მოვლენებიდან, როგორც ფილოსოფიაში ითვლება მიზანშეწონილად იპოვონ მსგავსება ერთმანეთისაგან დაშორებულ მოვლენებშიც კი. ან როგორც არქიტა ამბობს[6], ერთი და იგივეა მოსამართლე და სამსხვერპლო, რადგან ორივეს მიმართავენ ისინი, რომლებიც უსამართლობას განიცდიან. ანდა ვინმემ რომ თქვას: „ერთი და იგივეა ღუზა და ჩამოკიდებული კალათა, რადგან მათ რაღაც იგივეობრივი აქვთ". განსხვავება ისაა, რომ ერთი მაღლაა, მეორე კი დაბლა. „სახელმწიფოები გათანაბრდნენ" ნიშნავს ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებული ქალაქების გატოლებას ფართობითა და ძლიერებით[7].

მოხდენილი გამოთქმები მეტაფორებს წარმოადგენენ, სადაც მსმენელთა თვალის ახვევა ხდება. აზრი უფრო ნათელი ხდება მაშინ, როცა ცოდნა მიღებულია დაპირისპირების შედეგად. ამ შემთხვევაში თითქოს მეტაფორა უკარნახებს: „როგორი ჭეშმარიტებაა, მე კი ვცდებოდი". მშვენიერნი არიან აპოფთეგმებიც, რადგან იქ ორატორი არ ამბობს იმას, რასაც ფიქრობს. მაგალითად, სტესიქორე ამბობს: „ჭრიჭინები ერთმანეთს მიწიდან უმღერებენ"[8]. ამავე მიზეზით სასიამოვნოა კარგად შედგენილი გამოცანებიც. გამოცანა წარმოადგენს მეტაფორული ფორმით გამოთქმულ ცოდნას. თეოდორე მათ უჩვეულო გამოთქმებს უწოდებს[9]. იგი მაშინ იხმარება, როცა პარადოქსი გვაქვს და არა მაშინ, როცა შედეგები არ შეესაბამება ადრე მიღებულ თვალსაზრისს, როგორც ამბობს თეოდორე. იგი იხმარება როგორც ხუმრობა, სადაც გამოყენებულია ოდნავ მნიშვნელობაშეცვლილი სიტყვები, ანდა როგორც ისეთი ხუმრობა, რაც ემყარება ბგერების ცვლილებას, რაც მსმენელს ატყუებს. იგივე ითქმის ლექსებზე, რადგან მათში სულ სხვა რამაა ნაგულისხმევი და არა ის, რაც მსმენელს ესმის. მაგალითად,

„ის მიაბიჯებდა მოყინული ფეხებით".

მსმენელს ჰგონია, რომ თითქოს მას სანდლები აცვია. ეს გამონათქვამი გასაგები უნდა გახდეს მაშინვე, როგორც კი მას წარმოთქვამენ. როდესაც სიტყვების მნიშვნელობას სცვლიან, მაშინ მთქმელი იმას კი არ გულისხმობს, რასაც ამბობდა, არამედ იმას, რაც შეცვლილ სიტყვაში იგულისხმება.

მაგალითად, თეოდორე მიმართავს კითარაზე დამკვრელ ნიკონს[10]: „ეთრატეისე“ („თრაკიელმა გშვა“), თითქოს ეუბნებოდეს „თრატეი სე“ („ეს შენ გაშფოთებს“), რითაც მსმენელს ატყუებს. რადგან სინამდვილეში სრულიად სხვას გულისხმობს.

1412b მაშასადამე, ეს გამოთქმა სასიამოვნოა იმისათვის, ვისაც ის ესმის. მაგრამ ვინც არ იცის, რომ ნიკონი თრაკიელია[11], ის ვერ მიხვდება რომ აქ ხუმრობას აქვს ადგილი. ანდა ასეთი გამოთქმა: „შენ გინდა, რომ ის დაღუპო“[12]. ორივე შემთხვევაში საჭიროა, რომ წინადადება შესაბამისი შემართებით იყოს გამოთქმული. ანდა ასეთი მოხდენილი გამოთქმა: „ზღვაზე ბატონობა არ იყო ათენელებისათვის ბოროტების დასაწყისი, რადგან მათ ზღვიდან სარგებლობა ჰქონდათ“[13]. ანდა როგორც ისოკრატე ამბობს: „სახელმწიფოს ხელმძღვანელობა უბედურების დასაწყისი იყო“[14]. ორივე შემთხვევაში ორატორი არ ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, მაგრამ მსმენელი მას იღებს როგორც ჭეშმარიტებას. თქმა იმისა, რომ საწყისი საწყისია, არავითარ სიბრძნეს არ წარმოადგენს, მაგრამ გამოთქმაში სიტყვას „საწყისი“ იგი სულ სხვა აზრით ხმარობს, ე. ი. არ ხმარობს პირდაპირი მნიშვნელობით. ყველა ამ შემთხვევაში, თუ სიტყვა სათანადოდ არის ნახმარი, მოსაწონი იქნება, იქნება ეს ომონიმური, თუ მეტაფორული სიტყვათხმარება. მაგალითად, გამოთქმაში „ანასქეტე აუტანელია“ ნახმარია ომონიმური ხერხი, მაგრამ იგი მიზანშეწონილი იქნება იმ შემთხვევაში თუ ანასქეტე ნამდვილად აუტანელია[15], ანდა ასეთი გამოთქმა:

„უცხოელი ყოველთვის უცხო არ უნდა იყოს“. აქ ერთი სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით არის ნახმარი. იგივე მდგომარეობაა ანაქსანდრიდეს ხოტბაში:

„მშვენიერია სიკვდილი მანამ, სანამ გახდებოდე სიკვდილის ღირსი“. ანდა ასეთი გამოთქმა: „მშვენიერია სიკვდილი იმისა, ვინც სიკვდილი არ დაიმსახურა“, ანდა „ვისაც არაფერი არ ჩაუდენია ისეთი, რომ სიკვდილი დაემსახურებინა“. ამ გამოთქმებს ერთნაირი ფორმა აქვთ, მაგრამ ის წინადადება, რომელიც მოკლეა და გამოთქმულია დაპირისპირების გზით, უფრო მოსაწონია. ამის მიზეზი ისაა, რომ დაპირისპირება მეტ ცოდნას იძლევა. ხოლო მოკლე გამოთქმაში ცოდნა მსმენელამდე უფრო სწრაფად აღწევს. გამოთქმაში ყოველთვის დასრულებული უნდა იყოს ის, რაზეც მსჯელობა წარმოებს. გამოთქმა

შედგენილი უნდა იყოს სწორად, ხოლო ნათქვამი ჭეშმარიტი უნდა იყოს და არა გადაკრული. სხვადასხვა პიროვნებები სხვადასხვაგვარად უნდა იქნან დახასიათებული. მაგალითად, გამოთქმა: „უცოდველი უნდა მოკვდე“. ეს გამოთქმა მოხდენილი არაა, ანდა „ღირსეულმა კაცმა ღირსეული ცოლი უნდა შეირთოს“. არც ესაა მოხდენილი გამოთქმა. ფრაზა მაშინ იქნება მშვენიერი, როცა ორივე ხერხი იქნება გამოყენებული. როგორც, მაგალითად, „ღირსეულია სიკვდილი იმისა, ვინც არაა სიკვდილის ღირსი“. იქ, სადაც მეტია ასეთი გამოთქმები, სიტყვა უფრო მშვენიერიც იქნება. მაგალითად, ის სიტყვა, სადაც ნახმარია მეტაფორები, კერძოდ, ისეთი მეტაფორები, რომელიც შეიცავს ან დაპირისპირებას, ან გათანაბრებას, ან მოქმედებას.

როგორც ზემოთაც ვთქვი[16], არსებობს ისეთი შედარებებიც, რომლებიც როგორც მეტაფორები, ყოველთვის მოწონებას იმსახურებენ. ისინი ყოველთვის ორ საგანზე იხმარებიან, როგორც შედარებაზე დამყარებული მეტაფორა. მაგალითად, ჩვენ ვამბობთ ხოლმე, რომ „არეოსისათვის ფარი სასმისია“, ხოლო ისარზე, რომ „ის არის უსიმო ლირა“. ეს არაა მარტივი 1413a
მეტაფორები, მაგრამ ასეთი გამოთქმები: „ისარი არის ფორმინგი“[17], ანდა „ფარი-სასმისი“ — მარტივი მეტაფორებია. შედარებებს კი ასე აწარმოებენ: მაგალითად, მაიმუნს ადარებენ ფლეიტაზე დამკვრელს, ხოლო ახლომხედველს — მბეჟუტავ სანთელს. აქ ორივე მოვლენის დამცირებას აქვს ადგილი. შედარება მაშინ უფრო მოსაწონია, როცა მეტაფორულად არის ნახმარი. მაგალითად, ფარის შედარება არეოსის თასთან, ნანგრევების შედარება სახლის ნამსხვრევებთან, ანდა ასეთი გამოთქმა: „ნიკერატე პრატისისაგან ნაკბენი ფილოქტეტეა“[18]. ეს შედარება იხმარა თრასიმაქემ[19], როცა დაინახა რაფსოდობაში პრატისისაგან დამარცხებული, უსუფთაო და თმამოშვებული ნიკერატე. პოეტები მარცხს განიცდიან, როცა კარგ შედარებებს ვერ ხმარობენ. მაგრამ თუ მათ მოხდენილად ხმარობენ, მოწონებას იმსახურებენ. მე ვგულისხმობ შემდეგ შედარებას:

„ისე დაჰქონდა ფეხები, როგორც ნიახურის ღეროები“, ანდა

„ისე ებრძოდა, როგორც ფილამონი ტომარას“[20].

ყოველივე ეს შედარებაა, ხოლო რომ შედარება იგივე მეტაფორაა, ამაზე ბევრი იყო ნათქვამი.

ანდაზაც შედარებაა, ოღონდ ერთი გვარისა მეორე გვართან. მაგალითად, თუ ვინმემ წამოიწყო საქმე იმის იმედით, რომ მოგება ენახა, მაგრამ იზარალა, ამაზე იტყვიან, „ვითარცა კარპათოსელმა კურდღელი“[21], რადგან ორივემ ერთნაირად იზარალა. თუ საიდან და როგორ იწარმოება მახვილგონივრული გამოთქმები, ამის შესახებ უკვე იყო ნათქვამი.

მოხდენილი ჰიპერბოლებიც მეტაფორებია. მაგალითად, სახეში ნაცემ კაცზე ამბობენ, „ისე გამოიყურება, როგორც თუთის კალათა“. იგულისხმება, რომ სახე დაწითლებული აქვს. ეს გამოთქმა უფრო აზვიადებს ვითარებას. „ეს ისეთია, როგორც ის“ — აგრეთვე ჰიპერბოლაა. განსხვავდება მხოლოდ გამოთქმით. „როგორც ტომარასთან მებრძოლი ფილემონი“, ნიშნავს იმას, რომ იგი ჰგავს იმ ფილემონს, რომელიც ტომარას ებრძოდა. გამოთქმა: „დაგრეხილი ფეხები ისე მიჰქონდა, როგორც ნიახურის ღეროები“, ნიშნავს იმას, რომ ფეხები ისე ჰქონდა გაღუნული, რომ გეგონებოდა ფეხები კი არა, ნიახურის ღეროები ჰქონდა. არსებობს ისეთი ჰიპერბოლები, რომელიც უფრო ახალგაზრდობას შეჰფერის. ასეთი ჰიპერბოლა გამოირჩევა გაზვიადებით და მას უფრო გაბრაზებული ადამიანები იყენებენ. მაგალითად:

„ჩემთვის რომ მოეცა იმდენი, რამდენიც ქვიშა და
მტვერია აქ...[22]
არ შევირთავდი ატრევსის ძის აგამემნონის ასულს,
თუნდაც სილამაზეში ოქროს აფროდიტეს ედავებოდეს,
თუნდაც საქმით თვალსხივოსან ათენას ედრებოდეს“[23].

1413b ასეთ ჰიპერბოლებს უფრო ათენელი ორატორები იყენებენ. მათი გამოყენება მოხუცებისათვის შეუფერებელია.

12

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველ გვარში იხმარება ამ გვარისათვის შესაფერი სტილი, რადგან ერთი და იგივე არაა წერილობითი და საკამათო, საჯარო და სამოსამართლო სი-

ტყვები. საჭიროა ორივე ამ სახის სიტყვის ცოდნა. პირველი გულისხმობს ბერძნული ენის კარგ ცოდნას, მეორე კი იმას, რომ არ იყო იძულებული სდუმდე მაშინ, როცა გინდა ვინმეს რაიმე უთხრა. ზემოაღნიშნულ მდგომარეობაში ვარდებიან ისინი, რომლებმაც წერა არ იციან. წერილობითი სიტყვა ყველაზე ზუსტია, ხოლო საკამათო სიტყვა — ყველაზე მსახიობური. არსებობს მისი ორი სახე: ეთიკური და პათეტიკური. ამიტომაც მსახიობები ასეთივე დრამებს ეძებენ, ხოლო პოეტები — ასეთივე მსახიობებს. მკითხველებს მოსწონთ, მაგალითად, ქერემონი[1], რომელიც ლოგოგრაფოსივით ზუსტად წერს და დითირამბების მწერალი ლიკიმნიოსი[2]. დაწერილი სიტყვები, საკამათოსთან შედარებით სუსტნი მოჩანან, ხოლო ორატორების კარგად თქმული სიტყვები სუსტნი აღმოჩნდებიან წაკითხვისას. ამის მიზეზი ისაა, რომ ისინი გამოდგებიან მხოლოდ ზეპირ კამათში. ამიტომაცაა, რომ მსახიობური სიტყვა მსახიობის გარეშე მიზანს ვერ აღწევს და უბრალო მოჩანს. ისევე როგორც ერთმანეთთან დაუკავშირებლად ერთი და იგივეს განმეორება წერილობით სიტყვაში დასაგმობია, მაგრამ ზეპირ-მეტყველებაში ორატორები მას წარმატებით იყენებენ, რადგან ეს ხერხი მსახიობურია. ერთისა და იმავეს განმეორებისას საჭიროა გამოთქმის შეცვლა, როგორც ამაზე მიგვითითებს მსახიობის ხელოვნება:

„აი, ის, ვინც თქვენ გაგძარცვათ,
აი, ის, ვინც თქვენ მოგატყუათ,
აი, ის, ვინც სცადა ეღალატა თქვენთვის!“

ეგრე წარმოსთქვამდა მსახიობი ფილემონი[3] ანაქსანდრიდეს[4] „მოხუცთა სიგიჟეში“ სიტყვებს — „რადამანთისი და პალამედე“, „ღვთისმოსავთა“ პროლოგში კი სიტყვას „მე“. ხოლო ის, ვინც ვერ ახერხებს მსახიობობას, ჰგავს ადამიანს, რომელიც კუნძს მიათრევს[5].

იგივე ითქმის დაუკავშირებელ გამოთქმებზე: „მიეედი, შევხვდი, ვთხოვე“. აქაც საჭიროა მსახიობობა და არა ერთი და იგივე ხასიათითა და ტონით ლაპარაკი, თითქოს ერთსა და იმავეს ამბობდე. დაუკავშირებელ გამოთქმასაც აქვს თავისი იერი, რადგან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ერთსა

და იმავე მონაკვეთში ბევრს ამბობდეს ორატორი. კავშირი ბევრს ერთად აქცევს, მაგრამ კავშირის მოშორებისას ერთი ბევრად იქცევა. ამ დროს შთაბეჭდილების გაძლიერება ხდება. მაგალითად, „მივედი, ველაპარაკე, ვთხოვე". შთაბეჭდილე-
1414a ბა ისეთი იქმნება, რომ თითქოს ბევრი რამაა ნათქვამი, ამისავე მიღწევა სურს ჰომეროსსაც შემდეგ სიტყვებში:

„ნირევსე მოსული სიმედან,
ნირევსე აგლაიეს ძე,
ნირევსე — უმშვენიერესი"[6].

რაზედაც ბევრჯერ არის ნათქვამი, ის ბევრჯერაც იქნება დასახელებული, და თუ ბევრჯერ იქნება დასახელებული, ბევრიც გამოჩნდება. ასე რომ, ერთისა და იმავეს ბევრჯერ განმეორება პარალოგიზმის საშუალებით აძლიერებს შთაბეჭდილებას და კარგადაც გვამახსოვრდება, მიუხედავად იმისა, რომ პოეტი მას ქვემოთ სრულებით არ ახსენებს.

საჯარო სიტყვა ფერწერას ჰგავს, სადაც შექ-ჩრდილია გამოყენებული. რაც უფრო მეტი ხალხია დახატული ტილოზე, მით უფრო შორიდან უნდა შეხედო მას. მაშასადამე. ამ შემთხვევაში არ იქნება დაცული სიზუსტე და ორივე შემთხვევაცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს. სამოსამართლო სიტყვა უფრო ზუსტია, რადგან მიმართულია ერთი მოსამართლისაკენ. მასში ნაკლებად არის გამოყენებული ორატორული ხერხები. ეს იმიტომ, რომ მასში ადვილად დასანახია როგორც ის, რაც დამახასიათებელია საგნისათვის, ისე ის, რაც მისთვის უცხოა. ბრძოლას მოწინააღმდეგეებთან მასში ადგილი არა აქვს და მსჯელობაც უფრო დახვეწილია. სიტყვათა ყველა ამ სახეს ორატორები ერთნაირი წარმატებით ვერ იყენებენ, არამედ ის ორატორები აღწევენ წარმატებას, რომელთა სიტყვებში მეტია მსახიობური მხარე, თუმცა იქ ნაკლებია სიზუსტე. ასეთია ის სიტყვები, სადაც საჭიროა ხმა და რაც შეიძლება დიდი ხმა.

ეპიდეიქტიკური სიტყვა უფრო წერილობით გამოიყენება, რადგან ის წაკითხულ უნდა იქნეს. მეორეა სამოსამართლო სიტყვა.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია იმის განმეორება, რომ სიტყვა სასიამოვნო და ბრწყინვალე უნდა იყოს და რომ ეს მისთვის

უფრო მეტად არის საჭირო, ვიდრე სიბრძნე და კეთილშობილება და სხვა ეთიკური მხარეები. ორატორული სიტყვა რომ სასიამოვნო უნდა იყოს, ეს ნათელი გახდება, თუ სწორად განვსაზღვრავთ სტილის დადებით მხარეებს. მაგალითად, იმას, თუ რატომ უნდა იყოს სიტყვა ნათელი, არც დაბალი სტილისა, არამედ მიზანშეწონილი. თუ სტილი მრავალსიტყვიანია, ან მოკლე, არ იქნება ნათელი. აქედან ცხადია, რომ ყველაზე მიზანშეწონილია ზომიერი სიტყვა. ამრიგად, სიტყვის სიამოვნებას ზემოთქმული სამუალებებით ვაღწევთ: ჩვეულებრივი და უჩვეულო გამოთქმების შერევით, რითმით, დამაჯერებლობით და საგანთან შესატყვისობით.

ამრიგად, უკვე ვიმსჯელეთ სტილის შესახებ, ე. ი. როგორც იმაზე, რაც საერთოა ყველა სიტყვისათვის, ისე იმაზე, რაც დამახასიათებელია თითოეული სახისათვის ცალ-ცალკე; განსახილველი დაგვრჩა სიტყვების განლაგების საკითხი.

13

[სიტყვა შედგება ორი ნაწილისაგან, რადგან აუცილებელია დაადგინო ის საგანი, რაზედაც მსჯელობ და დაამტკიცო კიდეც. მაშასადამე, არ შეიძლება არ დაამტკიცო ის, რაზეც მსჯელობ და არ თქვა ის, რასაც ამტკიცებ. ის, ვინც ამტკიცებს, რამეს ამტკიცებს და ვინც რამეს ამბობს, ამბობს იმიტომ, რომ მერე დაამტკიცოს. ამათგან პირველი არის თხრობა, მეორე დასაბუთება, ისევე, როგორც სიტყვა ვინმემ რომ ორად გაყოს, რომელთაგან პირველი ნაწილია პრობლემის დაყენება, მეორე — მტკიცება. ახლა კი სიტყვებს სასაცილოდ ყოფენ. მოყოლა დამახასიათებელია მხოლოდ სამოსამართლო სიტყვებისათვის, ხოლო ეპიდიქტიკური და საჯარო სიტყვებისათვის თუ როდისაა მიზანშეწონილი მოყოლა, ან მოწინააღმდეგის შეხედულებების უარყოფა, ანდა მტკიცება დასკვნით ნაწილში, ამის შესახებ ახლა ვილაპარაკებთ. შესავალი, შედარება 1414b
და განმეორება საჯარო გამოსვლებში მაშინ არის საჭირო, როდესაც წინააღმდეგობას აქვს ადგილი, რასაც ვხვდებით ბრალდებისა და დაცვის და არა რჩევის დროს. დასკვნაც არ გვხვდება ყველა სამოსამართლო სიტყვაში, არც მაშინ, როცა სიტ-

ყვა მოკლეა, არც მაშინ, როცა საქმე ადვილად დასამახსოვრებელია. მაშასადამე, იგი იხმარება სიტყვის შემოკლების მიზნით.

ამრიგად, სიტყვის აუცილებელი ნაწილებია მოყოლა და მტკიცება. ეს ყველა სიტყვას ახასიათებს, მაგრამ სიტყვების უმრავლესობა შეიცავს შესავალს, მოყოლას, მტკიცებასა და დასკვნას. მტკიცებითი ხერხები გამიზნულია მოწინააღმდეგისათვის. ამის გაძლიერებას ემსახურება შედარება და მაშასადამე, ისიც მტკიცების ნაწილია. ვინც ყველა ამ ხერხს იყენებს, ის რაღაცას ამტკიცებს, მაგრამ არა შესავლით ან დასკვნით, რადგან ეს მხოლოდ გახსენებას ისახავს მიზნად. ისინი, რომლებიც სიტყვას ასე ყოფენ, ასხვავებენ მოყოლას, მონაყოლის ბოლოს და მონაყოლის შესავალს, მხილებასა და მის ბოლო ნაწილს, როგორც იქცეოდნენ თეოდორეს მიმდევრები. ის, ვინც რომელიმე გვარს გამოყოფს, მან მისთვის განსხვავებული სახელიც უნდა შექმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში აბდაუბდა და ლაყბობა გვექნება. ასე იქცევა ლიკიმნიოსი თავის „ორატორულ ხელოვნებაში“, შემოაქვს რა სიტყვები: „დინების მიმართულებით“, „გადახრა“ და „განტოტება“.

14

შესავალი არის სიტყვის დასაწყისი. იგი პოეზიაში პროლოგად იწოდება, მუსიკაში პრელუდიად. ყოველივე ეს დასაწყისია. ისინი გზის მაჩვენებლები არიან მომდევნოსათვის. მაგალითად, პრელუდია ჰგავს ეპიდიქტიკური სიტყვის შესავალს. ფლეიტისტები, რაც კი კარგი აქვთ დასაკრავად, თავშივე უკრავენ და პრელუდიაში აერთიანებენ. ასე უნდა იწერებოდეს ეპიდიქტიკური სიტყვები. ორატორმა, რის თქმაც უნდა, ერთბაშად უნდა თქვას და შეაკავშიროს, რასაც აკეთებენ კიდეც. ამის მაგალითია ისოკრატეს „ელენეს“ შესავალი[1], რადგან არავითარი კავშირი არაა ერისტიკულ მსჯელობასა და „ელენეს“ შორის. ამავე დროს, თუ შესავალში გადახრა ხდება, ეს დასაშვებია, რადგან სიტყვა მონოტონური აღარ იქნება.

მტკიცებით სიტყვებში შესავალი იხმარება ან საქებად ან საძაგებლად. მაგალითად, გორგია „ოლიმპიურ“ სიტყვაში

ამბობს: „მამაცნო ელინნო, მრავალთაგან პატივისცემის ღირსნო!“[2] ამ სიტყვაში გორგია აქებს იმათ, რომელთაც სახალხო დღესასწაულები შემოიღეს. ისოკრატე კი აძაგებს მათ იმიტომ, რომ ისინი „სხეულებრივ უპირატესობის მქონეთ პატივს სცემენ და საჩუქრებით აჯილდოებენ, ხოლო ბრძენთ არაფრით არ აჯილდოებენ“[3]. სიტყვა შეიძლება რჩევით დაიწყოს. მაგალითად, „საჭიროა კარგი ხალხის პატივისცემა“. ამიტომ აქებს არისტიდეს ორატორი. ანდა ასეთი შესავალი: „საჭიროა პატივი ვცეთ იმათ, რომლებიც არც ცნობილნი არიან, არც ცუდნი, არამედ კეთილნი, მაგრამ არ ჩანან, როგორც პრიამეს ვაჟიშვილი ალექსანდრე“. ავტორი ასეთ რჩევას იძლევა. სამოსამართლო სიტყვის შესავალი მიმართულია მსმენელებისადმი და ეხება ან პარადოქსულ, ან ძნელად გასაგებ მოელენებს, ან ყველასათვის ცნობილ შეხედულებას იმ მიზნით, რომ პატიებას მიაღწიოს. როგორც ქერილე[4] ამბობს: 1415a

„ახლაც, როდესაც ყველაფერი დანაწილებულია“.

ამრიგად, ეპიდიქტიკური სიტყვების შესავალი ამ ნაწილებისაგან შედგება: ქებისაგან, ძაგებისაგან, აკრძალვისა და მსმენელებისადმი მიმართვისაგან. შესავალი სიტყვა ან შორს დგას ძირითადი საგნისაგან, ან მასთან დაკავშირებულია. სამოსამართლო სიტყვის შესავალზე უნდა შევთანხმდეთ, რომ მას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც დრამის პროლოგს და ეპოსის შესავალს. ხოლო დითირამბული სიტყვების შესავალი ისეთია, როგორიც ეპიდიქტიკური სიტყვებისა. მაგალითად.

„შენი და შენი საჩუქრებისა და ნადავლის გამო“[5].

ეპოსისა და ორატორული სიტყვების შესავალი გამიზნულია თვალსაჩინოებისათვის, რათა მსმენელმა წინასწარ გაიგოს, თუ რაზე იქნება შემდეგში მსჯელობა და რათა გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდეს, რადგან გაურკვეველი სიტყვა დაბნეულობას იწვევს. მაგრამ როდესაც მსმენელს თითქოს ხელში აძლევ დასაწყისს, ამით საშუალებას აძლევ, რომ მისდიოს მსჯელობის მსვლელობას. მაგალითად,

„ღმერთქალო, უმღერე რისხვას[6],
მუზავ, მიამბე მამაც ადამიანზე[7].

მითხარ იმ დროზე, როცა ბრისხანე ომმა
აზიიდან ევროპისაკენ გადაინაცვლა!"[8]

ტრაგიკოსებიც იძლევიან ცნობებს დრამის არსის შესახებ, თუ მაშინვე არა, როგორც ევრიპიდე, შესავალში მაინც სადმე, როგორც სოფოკლე ამბობს:

„მამაჩემი პოლიბიოსი იყო"[9].

ასევეა კომედიაშიც. შესავლის აუცილებელი დანიშნულება და თვისებაა ნათელყოს მიზანი, რასაც სიტყვა ემსახურება.

დანარჩენი ხერხები, რასაც ორატორები იყენებენ, საერთოა ყველა სიტყვისათვის და საქმის გამოსწორებას ემსახურება. ისინი გამომდინარეობენ, როგორც ორატორის პიროვნებიდან, ისე მსმენელისაგან, ან მსჯელობის საგნიდან, ანდა მოწინააღმდეგე მხარისაგან. ბრალდება და მისი გაბათილება ეხება ან მოლაპარაკეს, ან მის მოწინააღმდეგეს, აგრეთვე დავის არ მოხსნას. ან მის დაწყებას. მაგრამ ის ერთნაირად არ იხმარება. ვინც იცავს, ბრალდების შესახებ დასაწყისში ლაპარაკობს, ვინც ბრალს სდებს — ბოლოში. თუ რატომ, ეს ცხადია, რადგან ვინც თავს იცავს და სასამართლოს წინაშე აპირებს წარდგომას. მან აუცილებლად უნდა მოსპოს ყველა დაბრკოლება და ამრიგად, დასაწყისშივე თავიდან აიცილოს ბრალდება, ხოლო ვინც ბრალს სდებს, ბრალდება ბოლოში უნდა გადაიტანოს, რომ მსმენელებმა ის კარგად დაიმახსოვრონ.

სიტყვა, მიმართული მსმენელებისადმი, გამიზნულია ან იმისთვის, რომ ორატორმა მსმენელთა კეთილგანწყობილება მოიპოვოს, ან იმისთვის, რომ მათში ბრაზი გამოიწვიოს, ან მათი ყურადღება მიიპყროს, ანდა პირიქით. რადგან მსმენელის ყურადღების მიპყრობა ყოველთვის არაა სასურველი, ამიტომ ბევრი ორატორი ცდილობს მსმენელი გააცინოს. ყოველივე ეს კი იწვევს იმის უკეთ გაგებას, რასაც ურჩევენ და აგრეთვე იმას, რომ ორატორი ზნეობრივად წმინდა პიროვნებად მოჩანდეს, რადგან უფრო მეტად ასეთ ორატორებს უსმენენ ხოლმე.
1415b მსმენელნი თანაუგრძნობენ დიდს, თავისებურს, საკვირველს. სასიამოვნოს. ამიტომ მსმენელი უნდა დავარწმუნოთ, რომ სიტყვა ამას შეეხება. მაგრამ თუ მსმენელის ყურადღების მიპყრო-

ბი არ გვინდა, მაშინ უნდა შთავაგონოთ, რომ საქმე უმნიშვნელოა ან მათ არ ეხება, ან სამწუხაროა.

დასამალი არაა, რომ ყოველივე ეს ეხება არა სიტყვებს, არამედ ცუდ მსმენელს, იმ მსმენელს, რომელსაც საქმის არსი არ იზიდავს. მაგრამ თუ მსმენელი ასეთი არაა, მაშინ არც შესავალია საჭირო. შესავალი ხომ იმისთვის არის გამიზნული, რომ მსმენელს გადასცეს საქმის არსი, რათა შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ საქმეს ისევე აბია თავი, როგორც სხეულს. ის საშუალებანი, რაც საჭიროა მსმენელის ყურადღების მისაპყრობად, საერთოა ყველა სიტყვის ნაწილისათვის, სადაც ეს აუცილებელია. ყურადღება სიტყვის დანარჩენ ნაწილში უფრო სუსტია, ვიდრე დასაწყისში. ამიტომ სასაცილოა ამ საშუალებების დასაწყისშივე გამოყენება, სადაც მსმენელნი ყველაზე მეტად არიან ყურადღებიანნი. ამიტომ, სადაც კი მოხერხდება, უნდა თქვას ხოლმე ორატორმა: „მომაპყარ ყური, რადგან საქმე თქვენ უფრო გეხებათ, ვიდრე მე". ანდა „მე თქვენ გეტყვით ისეთ საშინელ და საკვირველ რამეს, რაც არასოდეს არ გსმენიათ". ეს კი იგივეა, რაზედაც პროდიკემ[10] თქვა, რომ, „თუ მსმენელი თვლემას დაიწყებს, უნდა ჩაურთო 50 დრაქმიანი ამბავი". ეს ეხება მსმენელს, რომელიც არაა მსმენელი. შესავალში ყველა ორატორი ან ბრალს სდებს, ანდა მსმენელს შიშს უფანტავს. მაგალითად:

„მეუფეო, მე არ ვამბობ იმიტომ, რომ მეჩქარება"[11],
„რა საჭიროა ამდენი შესავალი"[12].

შესავალს იყენებენ აგრეთვე ისინი, რომლებსაც საქმე ცუდად აქვთ, ანდა ჰგონიათ, რომ ცუდად აქვთ საქმე. ამიტომ ისინი ამჯობინებენ ილაპარაკონ ყოველივე სხვაზე, საქმის გარდა. ამიტომაცაა, რომ ზონები კითხვაზე პირდაპირ კი არ პასუხობენ, არამედ გარშემო უვლიან საკითხს და მხოლოდ შესავალს აკეთებენ.

ამრიგად, უკვე ვთქვით იმის შესახებ, თუ როგორ განვაწყოთ მსმენელი ჩვენს სასარგებლოდ და ყველა სხვა ამდაგვარ საშუალებებზე.

კარგად აქვს ნათქვამი პოეტს:

„მომეცი ნება, მივიდე ფეაკებთან მეგობრად და მათი თანაგრძნობა მოვიპოვო!“[13]

მაშასადამე, საჭიროა ორატორი ამ ორი მიზნისკენ მიისწრაფოდეს. ეპიდიქტიურ სიტყვებში საჭიროა დავარწმუნოთ მსმენელი, რომ ვაქებთ ან თვითონ მას, ან მის ჩვეულებს, ანდა სხვა რამეს მისას. სოკრატე საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში სწორად ამბობს, რომ „ძნელი არაა აქო ათენელები ათენელთა შორის, ძნელია აქო ისინი ლაკედემონელებში“[14].

საჯარო სიტყვების შესავალი წარმოდგება სამოსამართლო სიტყვებიდან, თუმცა პირველთ ბუნებრივი შესავალი ნაკლებ სჭირდებათ, რადგან საქმე, რომელსაც სიტყვა ეხება, მსმენელთათვის ცნობილია. ასე რომ, თვით საქმეს შესავალი არ სჭირდება. ის სჭირდება ან ორატორს, ან მის მოწინააღმდეგეს. ანდა საჭიროა იმისთვის, რომ საქმე წარმოადგინონ არა ისე, როგორც ის არის, არამედ ან უფრო დიდად, ან მცირედ. მაშასადამე, საჭიროა, როგორც ბრალდება, ისე უარყოფა, ასევე საქმის მნიშვნელობის გადიდება ან დამცირება. აი, ამისთვის, ანდა სიტყვის გალამაზებისთვის არის საჭირო შესავალი. რადგან
1416a სიტყვა შესავლის გარეშე უშნოდ გამოიყურება. ასეთია გორგიას სახოტბო სიტყვა, მიმართული ელეელებისადმი[15]. იგი ყოველგვარი მანჭვა-გრეხისა და ხელების ქნევის გარეშე იწყებს: „ო, ელეავ, ბედნიერო ქალაქო!“

15

[რაც შეეხება ცილისწამებას, არსებობს ერთი ხერხი, რომლითაც კაცმა შეიძლება მისგან თავი დაიცვას. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვის მიერ არის ის თქმული, რადგან ეს ხერხი ზოგადია.]

საწინააღმდეგო შეხედულებათა უარყოფის მეორე ხერხი მდგომარეობს იმის ჩვენებაში, რომ ასეთი რამ ან არ არსებობს, ან არაა მავნე, ან არაა მავნე ვინმესთვის, ან არაა უსამართლო, არაა დიდი, არაა სამარცხვინო: კამათი ხომ ასეთ საკითხებს ეხება ხოლმე. მაგალითად, იფიკრატე მიმართავს ნავსიკრატეს[16]: „მან თქვა, რომ ჩაიდინა ეს და ზიანიც მიაყენა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ ეს დანაშაული არაა“. ანდა შეიმ-

ლება დამნაშავემ ხაზი გაუსვას თავისი მოქმედების სასარგებ-ლო მხარეს. რომ, მართალია, მან დანაშაული ჩაიდინა, მაგ-რამ სამაგიეროდ სახელი მოიხვეჭა. მართალია, ჩაიდინა რაღაც საშიში, მაგრამ სამაგიეროდ სარგებლობა მოიტანა და სხვა ამდაგვარი.

შემდეგი ხერხი მდგომარეობს იმის მტკიცებაში, რომ რაი-მე მოხდა ან შეცდომით, ან უბედური შემთხვევის გამო, ან აუცილებლობის გამო, როგორც სოფოკლე[17] ამბობს: იგი კან-კალებს არა იმიტომ, რომ როგორც ბრალმდებელი ამტკიცებს, მოხუცად მოაჩვენოს თავი, არამედ უნებურად, რადგან ის თა-ვისი ნებით არაა ოთხმოცი წლის. ანდა მიზეზად იმისა, რისთვი-საც დანაშაული იქნა ჩადენილი, შეიძლება სხვა რამ დავასახე-ლოთ. მაგალითად, რომ გვსურდა არა ზიანის მიყენება, არამედ სხვა რამ. რომ ჩაიდინა არა ის დანაშაული, რაშიც მას ბრალს სდებენ, არამედ სხვა, რასაც შედეგად ზიანი მოჰყვა: „ჩემი შე-ძულება სამართლიანი იქნებოდა მაშინ, მე რომ ეს ამა და ამ მიზნით ჩამედინა“.

მეოთხე ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ ბრალდება თვით ბრალმდებლის წინააღმდეგ შევატრიალოთ და ვამტკიცოთ, რომ ან ახლა, ან ადრე თვითონ მან, ან ვინმე მისმა მახლო-ბელმა ჩაიდინა ეს დანაშაული.

კიდევ ერთი, მეხუთე ტოპი: თუ სხვები ერთხმად ამბობენ, რომ ესენი არ არიან მონაწილე ამ დანაშაულისა. მაგალითად, ამბობენ, რომ უდანაშაულოა უზნეო კაცი, ან ესა და ეს, მა-შინ ესეც უდანაშაულო იქნება.

მეექვსე ტოპი: მითითება იმაზე, რომ სხვებსაც ედებოდათ ბრალი, ან სხვები სდებდნენ ვინმეს ბრალს, ანდა ბრალდების გარეშე ჰქონდათ ვინმეზე მიტანილი ეჭვი, როგორც ამ კაცზე. მაგრამ შემდეგ უდანაშაულო აღმოჩნდა.

მეშვიდე ტოპი მდგომარეობს ბრალდების იმაზე გადატა-ნაში, ვინც სხვას სდებს ბრალს, რადგან შეუსაბამობა იქნებო-და სანდო ყოფილიყო იმის სიტყვები, ვინც თვითონ არ არის სანდო.

მერვე ტოპი: თუ განაჩენი უკვე გამოტანილია, როგორც ევრიპიდე ეუბნება ქონების გაცვლის საპასუხოდ ჰიგიენონ-

ტეს[18], რომელიც მას ბრალს სდებდა უღმერთობაში იმის გამო, რომ ფიცის გატეხვისაკენ მოუწოდებდა:

„ჩემმა ენამ წარმოთქვა ფიცი, მაგრამ გული არ იფიცებოდა“.

ევრიპიდე ეუბნებოდა მას, რომ ის უმართებულოდ იქცევა, როდესაც სასამართლოში მოაქვს საქმე, რომლის თაობაზე განაჩენი გამოტანილი იყო დიონისეს დღესასწაულზე, სადაც მან, ევრიპიდემ, უკვე წარმოთქვა სიტყვა და კვლავაც წარმოთქვამს, თუ ჰიგიენონტე მოინდომებს მისთვის ბრალის დადებას.

შეცხრე ტოპი: რათა გააბათილო ცილისწამება, საჭიროა ნათელჰყო, თუ როგორია ეს ცილისწამება, რომ გადაწყვეტილება სინამდვილეს არ შეესაბამება და სასამართლოს განაჩენი უნდა შეაცვლევინო, როგორც დაუსაბუთებელი.

i1416b მეათე ტოპი საერთოა ორივე მხარისათვის და მდგომარეობს ნათესაური ურთიერთობის გამოყენებაში. მაგალითად, „ტევკროსში“ ოდისევსი ამბობს, რომ ტევკროსი პრიამეს ნათესავია, რადგან ჰესიონე, პრიამეს დაა[19]. ტევკროსი კი უპასუხებს, რომ მამამისი ტელამონი პრიამეს მტერია და რომ მას მეთვალყურეებისათვის ბრალი არ დაუდია.

მეთერთმეტე ტოპი, რომელიც ბრალდებულს შეუძლია გამოიყენოს, მდგომარეობს იმაში, რომ პატარა დიდად შეაფასო. დიდი — მცირედ, ანდა დაასახელო ბრალდებულის მრავალი დადებითი თვისება, მაგრამ გაიცხო ერთის გამო, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. ეს უაღრესად მოქნილი ხერხია, მაგრამ ამავე დროს უსამართლო, რადგან მასში არის მოცემული იმის ცდა, რომ სიკეთით ზიანი მიაყენო ადამიანს და სიკეთე ბოროტებაში გარიო.

მეთორმეტე ტოპი საერთოა ბრალდებულისა და დამცველისათვის. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი და იგივე საქმე შეიძლება ჩადენილი იყოს სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ რადგან ბრალმდებელს უნდა, რომ ყოველივე უარესად წარმოადგინოს, ამიტომ მან უნდა შეარჩიოს უარყოფითი მიზეზები, ხოლო დამცველმა — დადებითი. მაგალითად, ერთმა შეიძლება თქვას, რომ დიომედემ ოდისევსი იმიტომ აირჩია, რომ

ოდისევსი ყველაზე მამაცად ჩათვალა. მეორე მხარე უარყოფს ამას და ამტკიცებს, რომ დიომედემ ოდისევსი იმიტომ აირჩია, რომ ოდისევსი, როგორც უმნიშვნელო პიროვნება, მას ვერ დაუპირისპირდებოდა.

[აი, ყველაფერი ის, რაც შეიძლება ითქვას ბრალდების შესახებ.]

16

[ეპიდიქტიკურ სიტყვებში მონაყოლი ერთბაშად არ უნდა იქნეს მოცემული, არამედ ნაწილ-ნაწილ, რადგან განხილულ უნდა იქნეს ის მოქმედებანი, რასაც სიტყვა ეხება. რიტორიკული სიტყვის ერთი ნაწილი წარმოადგენს ბუნებრივ ფაქტებს (რადგან ორატორი ვერაფერს ვერ ამბობს საქმის მიზეზებზე). მეორე ნაწილი კი ხელოვნურია, რასაც ვიყენებთ მაშინ, თუ რაიმე დასაბუთება გვჭირდება, ანდა თუ საქმე უცნობია, ან თუ საჭიროა საქმის თავისებურების, მისი მნიშვნელობის, ან ყოველივე ამის ერთად ჩვენება. ამიტომ ზოგჯერ საჭიროა არა ყოველივეს თანმიმდევრული მოყოლა, რადგან მაშინ მტკიცება ძნელი დასამახსოვრებელი იქნება, არამედ საჭიროა ზოგიერთი საქმით დაამტკიცო] რომ ეს კაცი მამაცია, ზოგით — რომ ის არის ბრძენი ან სამართლიანი. ეს მსჯელობები არის უმარტივესი, პირველი კი — ჭრელი და არამარტივი.

ცნობილი საქმენი უნდა გავიხსენოთ, რადგან ბევრ საქმეს მოყოლა სჭირდება. მაგალითად, თუ აქილევსის ქება გინდა, რადგან მისი საქმეები ყველამ იცის, ამიტომ საჭიროა მხოლოდ გახსენება ამ საქმეთა. მაგრამ თუ კრიტიას ქება გინდა, მაშინ კი უნდა მოყვე, რადგან მისი საქმეები ბევრმა არ იცის. ახლა კი ზოგი სასაცილო მოთხოვნას აყენებს, რომ მონაყოლი სწრაფი უნდა იყოს. მაგალითად, ცომის მზელავს ვიღაცამ კითხვაზე, როგორი ცომი მოეზილო, მაგარი თუ რბილიო, უპასუხა: „კარგად მოზელა არ შეიძლება?“ აქაც იგივე მდგომარეობაა: არაა საჭირო ვრცლად მოყოლა, არც დიდი შესავლის გაკეთება და ვრცელი მტკიცება. კარგად მოყოლა არ ნიშნავს სწრაფად ან მოკლედ მოყოლას, არამედ მოყოლას ზომიერი სისწრაფით. 1417a
უნდა მოყვე ისე, რომ საქმე ნათელყო, ან შექმნა შთაბეჭდილე-

ბა, რომ რაღაც მოხდა, ან რომ ამან ზიანი მოიტანა, ან დანაშაულებრივი იყო, ან ისეთი სიდიდისა იყო მოქმედება, როგორიც ორატორს სურს რომ იყოს. მოწინააღმდეგე კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. საჭიროა აგრეთვე ისეთი მაგალითების მოტანა, რაც ორატორის სათნოებას გამოავლენს. მაგალითად, „მე ვარიგებდი მას, რომ სიმართლე ეთქვა და ბავშვები არ მიეტოვებინა". ასეთი მსჯელობა მოწინააღმდეგის ბოროტმოქმედებას ავლენს. მან მიპასუხა: „სადაც უნდა იყოს, მას ეყოლება ბავშვები". როგორც ჰეროდოტე ამბობს, ასე უპასუხეს აჯანყებულმა ეგვიპტელებმა[1]. ანდა უნდა ილაპარაკო იმაზე, რაც მოსამართლეებს ესიამოვნებათ.

(დაცვის დროს თხრობა ნაკლებ არის საჭირო, რადგან ამ შემთხვევაში საჭიროა იმის მტკიცება, რომ საქმე არ მომხდარა ან საზიანო არ ყოფილა, ან არ ყოფილა დანაშაულებრივი, ან არ ყოფილა ასეთი ზომის. ასე რომ, არაა საჭირო ლაპარაკი იმაზე, რაც ყველასათვის ცნობილია. თუ იმის მტკიცება არ იქნება საჭირო, რომ, მართალია, რაღაც მოხდა, მაგრამ ის უსამართლობა არ ყოფილა. მომხდარ საქმეებზე კი ისე უნდა ვიმსჯელოთ, რომ ისინი რომ არ მომხდარიყვნენ, დასანანი იქნებოდა, ან იქნებოდა საშინელება.) ამის მაგალითები გვაქვს „ალკინოეს თხრობაში"[2], რომელიც სამოცი ტაეპითაა მიმართული პენელოპესადმი. ანდა როგორც იქცევა ფავლოსი კიკლიკურ ეპოსში, ანდა როგორც ამას ადგილი აქვს „ენეესის" პროლოგში[3].

(თხრობას ეთიკური ხასიათი უნდა ჰქონდეს. ეს კი მაშინ მოხდება, თუ გვეცოდინება რა ეთიკური მოქმედება არის ჩადენილი.) ამას, ერთის მხრივ, ნათელყოფს არჩევანი, რადგან როგორიც არჩევანია, ისეთივეა ხასიათიც. ხოლო არჩევანს ნათელყოფს მიზანი. ამიტომაც მათემატიკოსების სიტყვებში ხასიათი არ ჩანს, რადგან მათ არჩევანთან არაფერი არა აქვთ საერთო. სოკრატელები კი, პირიქით, სულ ამაზე ლაპარაკობენ[4]. ის, რაც ხასიათს მოსდევს შედეგად, არის ხასიათის გამოვლენა. მაგალითად, „ლაპარაკის დროს ის მიმოდიოდა". ეს ავლენს თამამ და უხეშ ხასიათს. ხასიათი იმაშიც ვლინდება, თუ მსჯე-

ლობ არა რაიმე მოსაზრებით, როგორც ახლანდელი ადამიანები, არამედ შენი მიდრეკილების მიხედვით. მაგალითად, „მე მინდოდა, ამიტომ ავირჩიე“. „მით უკეთესი, თუ ის მე არავითარ სარგებლობას არ მომიტანს“. პირველი დამახასიათებელია გონიერი ადამიანისათვის, მეორე — კეთილისათვის, რადგან გონიერება სარგებლობას ეძებს, სიკეთე კი — მშვენიერებას.

თუ ის, რაზეც მსჯელობ, დამაჯერებელი არაა, სიტყვას წინ უნდა წარუმძღვარო მიზეზების ახსნა, რის მაგალითსაც იძლევა სოფოკლე „ანტიგონეში“. ანტიგონე ამბობს, რომ ის უფრო ძმაზე ზრუნავდა, ვიდრე ქმარზე და ბავშვებზე, რადგან მათი დაღუპვის შემთხვევაში სხვა ქმარ-შვილი ეყოლებოდა. რადგან

„ჰადესს არიან ჩემი მშობლები,
ვინღა მომივლენს მეორე ძმასა?!“[5]

როდესაც მიზეზს არ ასახელებ, არც დამაჯერებლად ლაპარაკობ. ამიტომ საჭიროა ახსნა, რომ ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ არ იცი, რას ამბობ, არამედ იმიტომ, რომ ასეთია ადამიანის ბუნება. ხალხს არ სჯერა, რომ ადამიანი ნებაყოფლობით მოქმედებს რაიმე სხვა მიზნით და არა სარგებლობის გამო. ამას გარდა, უნდა ილაპარაკო ვნებებზეც, მათგან გამომდინარე შედეგებზე, აგრეთვე იმაზე, რაც მსმენელებმა იციან, იმ თვისებებზე, რაც ახასიათებს ორატორს და მის მოწინააღმდეგეს — მაგალითად, „ის წავიდა და თან მრისხანედ გადმომხედა“. ან- 1417b
და როგორც ესქინე ამბობს კრატილეს შესახებ[6]:

„სტვენითა და ხელების ქნევით“.

ეს მსმენელებისათვის დამაჯერებელია, რადგან ის, რაც მათ იციან, მიანიშნებს იმაზე, რაც არ იციან. ამაზე მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა ჰომეროსიდან. მაგალითად,

„როგორც კი თქვა, მოხუცმა ქალმა სახეზე ხელები აიფარა“[7].

მართლაც, ისინი, რომლებიც ტირილს აპირებენ, თვალებზე ხელს იფარებენ. საჭიროა მსმენელთ თავიდანვე წარუდ-

გინო შენი თავი, რათა მათ ისე დაგინახონ, როგორიც ხარ და დაინახონ შენი მოწინააღმდეგეც. ოღონდ ეს ფრთხილად უნდა გააკეთო. რომ ეს ადვილია, შეიძლება შევნიშნოთ შიკრიკებზე დაკვირვებით, რომელთა შესახებ არაფერი არ ვიცით, მაგრამ მათზე მაინც რაღაც წარმოდგენა გვექმნება.

ხშირად საჭიროა მოყოლაც, მაგრამ ყოველთვის დასაწყისში არა. საჯარო გამოსვლებში მოყოლა ნაკლებაა საჭირო, რადგან ამ დროს მომავლის შესახებ არავინ არ ჰყვება. სადაც მოყოლას აქვს ადგილი, ის წარსულს ეხება. წარსულის მოგონება კი იმ მიზნით ხდება, რომ მომავალზე უკეთ ურჩიონ. ჰყვებიან აგრეთვე ბრალდების ან დაცვის მიზნით. ოღონდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე რჩევას მოითხოვს. თუ სიტყვა დამაჯერებელი არაა, მაშინ საჭიროა დაპირება და მაშინვე მიზეზის დასახელება იმათ წინაშე, რომლებსაც მსმენელები მოისურვებენ. როგორც იოკასტე კარკინეს „ოიდიპოსში"[8] განუწყვეტლივ ჰპირდება იმათ, ვინც მის შვილს ეძებდა. ასევე ჰემონი სოფოკლეს თხზულებაში[9].

17

საბუთები დამაჯერებელი უნდა იყოს. დასაბუთება კი საჭიროა, რადგან დავა ოთხი საკითხის გარშემო წარმოებს. ამ სადავო საკითხებს კი დასაბუთება სჭირდება. მაგალითად, დავა შეიძლება ეხებოდეს იმას, მოხდა თუ არა რაიმე. ამ საკითხის გადასაწყვეტად განსაკუთრებით ძლიერი დასაბუთებაა საჭირო. ანდა თუ დავა ეხება იმას, მიაყენა თუ არა ვინმემ ვინმეს ზიანი, ან რა სიდიდის იყო ზიანი, იყო თუ არა მოქმედება სამართლიანი და საერთოდ, მოხდა თუ არა ის? აქაც დასაბუთება იქნება საჭირო. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე დავაში დამნაშავეა მხოლოდ ერთი მხარე. მიზეზად არ შეიძლება დავასახელოთ უცოდინარობა, როგორც ზოგიერთი იქცევა ხოლმე. როცა დავა ეხება რაიმეს მართებულობას, ისინი დიდხანს ჩერდებიან ამ მხარეზე, სხვა მხარეებს კი ყურადღებას არ აქცევენ.

ეპიდიქტიკურ სიტყვებში ბევრი რამ შეიძლება გადაჭარბებულად იყოს ნაჩვენები, მაგალითად, მშვენიერება ან სარ-

გებლობა, რადგან აქ თვითონ საქმემ უნდა დაგვარწმუნოს მის მართებულობაში. ამიტომ მათ შესახებ ნაკლები საბუთები მოაქვთ. მოაქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე ნაკლებ არის დამაჯერებელი ანდა სხვა რაიმე მიზეზი არსებობს ამისთვის.

საჯარო სიტყვებში შეიძლება იდავო იმაზე, რომ რაიმე არ მოხდა ან მოხდა, რასაც ამტკიცებს მოწინააღმდეგე. მაგრამ არ იყო სამართლიანი ან სასარგებლო, ანდა ასეთი მნიშვნელობისა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, მოწინააღმდეგე ხომ არ ცრუობს რაიმე საქმის შესახებ, რადგან ეს იმის საბუთია, რომ ის სხვა რამეშიც იცრუებს. უფრო მეტად საჯარო 1418a
სიტყვებშია საჭირო მაგალითები. სამოსამართლო სიტყვებში კი საჭიროა ენთიმემები. პირველი მომავალს ეხება, ამიტომ იქ მაგალითის მოტანა აუცილებელია. ხოლო ენთიმემები ეხება არსებულს ან არარსებულს, რის დამტკიცებაც უფრო საჭიროა და აუცილებელი, რადგან მომხდარი საქმენი აუცილებელის სფეროს ეკუთვნის. ენთიმემები ზედიზედ არ უნდა ვიხმაროთ, არამედ შერეულად, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს ხელს შეუშლიან, რადგან რაოდენობასაც საზღვარი აქვს:

„მეგობარო, შენ იმდენი თქვი, რამდენსაც იტყოდა გონიერი კაცი“. პოეტი არ ამბობს „როგორც გონიერი იტყოდა“[1].

ენთიმემების ხმარება ყოველთვის არაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევე მოიქცევი, როგორც ზოგიერთი ფილოსოფოსი, რომელიც მსჯელობს ყველაზე ცნობილსა და სარწმუნოზე და არა იმაზე, საიდანაც დასკვნები გამოაქვთ. არც მაშინ იხმარო ენთიმემა, როცა პათოსის გამოწვევა გსურს, რადგან ენთიმემა ან პათოსს გაანელებს, ან უსარგებლო იქნება. ისევე როგორც ერთდროულად ერთმანეთის საწინააღმდეგო მოძრაობანი ერთმანეთს სპობს ან ასუსტებს. არც მაშინ უნდა იხმარო ენთიმემები, როცა სახასიათო სიტყვას ამბობ, რადგან მტკიცებას არც ეთიკური სახე ექნება და არც რჩევისა. გნომები კი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც თხრობის, ისე მტკიცების დროს, რადგან მათ ეთიკური ხასიათი აქვთ. „და მე მივეცი. თუმცა ვიცოდი, რომ არ უნდა მივნდობოდი მას“[2]. პათეტური გამოთქმის მაგალითია: „მე არ ვნანობ, თუმცა უსამართლო-

ბა განვიცადე. მის მხარეზეა სარგებლობა, მაგრამ ჩემს მხარეზე — სამართლიანობა".

საჯარო სიტყვებში დარწმუნება უფრო ძნელია, ვიდრე სამოსამართლოში, რადგან საჯარო სიტყვა მყობადს ეხება, სამოსამართლო კი — წარსულს, რაც წინასწარმეტყველთათვისაც არის ცნობილი. როგორც თქვა, ეპიმენიდე კრეტელმა[3], რომელიც წინასწარმეტყველებდა არა მყობადზე, არამედ იმ წარსულზე, რომელიც ბუნდოვანი იყო. სამოსამართლო სიტყვის საფუძველს კანონი წარმოადგენს და როცა საფუძველი არსებობს, მტკიცებაც ადვილია. ასეთ სიტყვაში ორატორი დიდ დროს არ ანდომებს მოწინააღმდეგის დაძლევას ან თავის თავზე ლაპარაკს, ან პათოსის აღძვრას. მას ეს ყველაზე ნაკლებ იტაცებს. დავის დროს საჭიროა ისე მოქცევა, როგორც ათენელი ორატორები იქცევიან, მათ შორის ისოკრატე, რომელიც რჩევის დროს ბრალს სდებს ლაკედემონელებს „პანეგირიკში"[4], ხოლო ქარეტს სიტყვაში „მოკავშირეების შესახებ"[5].

ეპიდიქტიკურ სიტყვაში საჭიროა ქების შემოტანაც, როგორც იქცევა ისოკრატე, რომელიც სიტყვას ყოველთვის რაიმეს უმატებს[6]. ანდა როგორც გორგიამ თქვა, რომ მას სალაპარაკო არასოდეს არ აკლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ აქილევსზე მსჯელობისას ის აქებს პელეასს, შემდეგ ეაკეს, შემდეგ ღმერთს, ასევე სიმამაცეს, რომელიც ამას ან იმას იწვევს, ან
1418b ასეთია ან ისეთი. თუ საბუთები გვაქვს, მაშინ სიტყვა ეთიკურიც იქნება და მტკიცებითიც. მაგრამ თუ ენთიმემები არა გვაქვს, მაშინ სიტყვა ეთიკური იქნება. ორატორს კი უფრო ეთიკური სიტყვა შეჰფერის, ვიდრე ზუსტი.

ენთიმემებიდან მამხილებელნი უფრო დამაჯერებელნი არიან, ვიდრე მტკიცებითნი, რადგან ის, ვინც ამხელს, უფრო ნათელყოფს მსჯელობას. ხოლო საწინააღმდეგო მსჯელობები ნათელი ხდება ერთმანეთთან დაპირისპირებით. მსჯელობა, მიმართული მოწინააღმდეგის უარსაყოფად, რაიმე ახალი სახის მსჯელობა კი არ არის, არამედ იგივე საბუთია, რომელიც არღვევს მოწინააღმდეგის შეხედულებებს ან საპირისპირო თვალსაზრისის წამოყენებით, ან სილოგიზმით. როგორც სამოსამართლო, ისე სათათბირო სიტყვაში ლაპარაკი უნდა დავიწყოთ საკუთარი საბუთებიდან, ხოლო შემდეგ გადავიდეთ მოწინააღმდე-

გის შეხედულებების დარღვევასა და უარყოფაზე. თუ მოწინააღმდეგის საბუთები ბევრია, ჯერ ამას უნდა შევეხოთ, როგორც მოიქცა კალისტრატე[7] მესენელების სახალხო კრებაზე. მან ჯერ ის უარყო, რაც მის მოწინააღმდეგეს უნდა ეთქვა, მერე კი საკუთარი აზრი გამოთქვა. ამრიგად, ორატორმა ჯერ მოწინააღმდეგის სიტყვა უნდა უარყოს და მისი საწინააღმდეგო დასკვნები მოიტანოს. მით უმეტეს მაშინ, თუ მოწინააღმდეგის სიტყვა დამაჯერებელი იყო. როგორც ის კაცი არაა სანდო, რომელსაც ბრალს სდებენ, ასევე ორატორიც, თუ მოწინააღმდეგის მიერ ადრე წარმოთქმული სიტყვა დამაჯერებელი იყო. საჭიროა მსმენელებში შეამზადო ნიადაგი მომავალი სიტყვისათვის, რასაც მიაღწევ საწინააღმდეგო თვალსაზრისის უარყოფით. მაშასადამე, საჭიროა დაარღვიო მოწინააღმდეგის თუ ყველა დებულება არა, უმრავლესობა, ან სარწმუნო, ან ადვილად დასარღვევი მაინც, და შემდეგ დაასაბუთო საკუთარი თვალსაზრისი.

„ჯერ ღმერთების თანამებრძოლი გავხდები, რადგან მე, ჰერა...“[8] აქ პოეტი ყველაზე მარტივს შეეხო.

აი ის, რაც გვინდოდა გვეთქვა დასაბუთების შესახებ. რაც შეეხება ეთიკურ სიტყვას, ანდა სიტყვას თავის თავის შესახებ, ეს ან შურს გამოიწვევს, ან საყვედურს სიტყვის სიგრძის გამო, ან საერთოდ, რაიმე წინააღმდეგობას. სხვა საგანზე ლაპარაკი კი ნიშნავს ლაყბობას, ან გაუნათლებლობას. ამიტომ საჭიროა, რომ სხვა ალაპარაკო, როგორც მოიქცა ისოკრატე სიტყვაში „ფილიპეს შესახებ“ და სიტყვაში „ქონების გაცვლის თაობაზე“, ან როგორც არქილოქე დასცინის, როცა ალაპარაკებს მამას თავისი ქალიშვილის შესახებ იამბებით:

> „ფულისათვის უიმედო და ისეთი, რაზეც შეფიცვა შეუძლებელი იქნებოდა, არ არსებობს“[9].

ხოლო დურგალ ქარონს ალაპარაკებს იამბებით, რომელიც ასე იწყება:

> „მე არ მიზიდავს გიგესის ქონება“[10].

ანდა როგორც სოფოკლე ალაპარაკებს ანტიგონეს დასაცავად ჰემონს მამის წინაშე ისე, თითქოს სხვის ნათქვამს ჰყვებო-

დეს[11]. ზოგჯერ საჭიროა, რომ ენთიმემები გნომებად ვაქციოთ. მაგალითად, „საჭიროა, რომ გონიერმა ადამიანმა ზავი დასდოს მაშინ, როცა ბედი სწყალობს. რადგან ასე მეტ სარგებლობას ნახავს“. ეს, გადაკეთებული ენთიმემად, ასეთ სახეს მიიღებს: „თუ საჭიროა ზავი მაშინ, როცა მეტია სარგებელი და ხელსაყრელიცაა, მაშასადამე, საჭიროა ზავი დავდოთ მაშინ, როცა ბედი გვწყალობს“.

18

1419a კითხვის დაყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა მოწინააღმდეგემ ორი საწინააღმდეგო დებულებიდან ერთ-ერთი უკვე წამოაყენა. ასე რომ, კმარა ერთი კითხვა, რომ უაზრობა მივიღოთ. მაგალითად, პერიკლემ ჰკითხა ლამპონს[12] საეკლესიო რიტუალების საიდუმლოების შესახებ. მან უპასუხა, რომ ამ საიდუმლოთა უზიარებელი ვერაფერს ვერ გაიგებსო. მაშინ პერიკლე შეეკითხა: „შენ თუ გესმის?“ და როცა ლამპონმა დადებითად უპასუხა, უთხრა: „შენ როგორღა გაიგე, როცა უზიარებელი იყავი?“

მეორე: კითხვის დაყენება უნდა მაშინ, როცა ორი წანამძღვრიდან ერთი ნათელია, ხოლო მეორეზე შემკითხველისათვის ცნობილია, რომ დადებით პასუხს მიიღებს. როცა ორატორმა ერთი წანამძღვარი უკვე ხელთ იგდო, აღარ უნდა ჰკითხოს მეორეზე, რაც თავისთავად ნათელია, არამედ დასკვნა უნდა გააკეთოს. როგორც ჰკითხა სოკრატემ მელეტეს, რომელიც ამტკიცებდა, რომ სოკრატე ღმერთებს უარყოფს[13]: „ვაღიარებ თუ არა დემონებს?“ და როცა მელეტემ დაუდასტურა, კვლავ ჰკითხა: „არიან თუ არა დემონები ან ღმერთის შვილები ან რაღაც ღვთაებრივნი?“ და როცა მან ესეც დაუდასტურა, თქვა: „არსებობს კი ისეთი კაცი, რომელიც ღმერთის შვილების არსებობას ამტკიცებს, ხოლო ღმერთებს კი უარყოფს?“

მესამე: შეკითხვა საჭიროა მაშინ, როცა ორატორს სურს დაამტკიცოს ის, რომ მოწინააღმდეგე ან თავის თავს ეწინააღმდეგება, ან ყველასაგან მიღებულ შეხედულებას.

მეოთხე: როცა მოწინააღმდეგეს სხვაგვარად არ შეუძლია პასუხის გაცემა, თუ არა სოფისტურად, რადგან როდესაც იგი

ასე მსჯელობს, რომ რამე არსებობს და არც არსებობს, სადმე არსებობს და არც არსებობს, მაშინ მსმენელნი ხმაურობენ ნიშნად იმისა, რომ არ ესმით, თუ რას ამბობს ორატორი.

სხვა შემთხვევებში კითხვების გამოყენება არაა საჭირო, რადგან თუ მოწინააღმდეგემ პასუხი გაგცა, შენ დამარცხებული აღმოჩნდები. არც ბევრი კითხვების დაყენებაა საჭირო მსმენელთა სისუსტის გამო. ამიტომ ენთიმემებიც, რაც შეიძლება, მოკლედ უნდა შევადგინოთ.

პასუხი უნდა გავცეთ ორაზროვან კითხვებს დანაწევრებულად და არა მოკლედ. ხოლო იქ, სადაც ჩვენს მსჯელობაში წინააღმდეგობა ჩანს, საჭიროა პასუხი მაშინვე გავცეთ, სანამ მოწინააღმდეგე კიდევ რამეს გვკითხავდეს, ან დასკვნას გამოიტანდეს. რადგან ძნელი არ უნდა იყოს იმის გაგება. თუ რაზე წარმოებს დავა. როგორც ეს, ისე მოწინააღმდეგის მსჯელობის დარღვევა ჩვენთვის ცნობილია „ტოპიკებიდან"[14]; როდესაც დასკვნა უკვე გამოვიტანეთ და დასკვნა კი კითხვას იწვევს, მაშინ ამის მიზეზი უნდა დავასახელოთ. მაგალითად, სოფოკლეს ჰკითხა პისანდრემ[15]: „შენც ისე ფიქრობდი, როგორც სხვები, რომ საჭირო იყო ოთხასის საბჭოს აღდგენა?" სოფოკლემ დადებითად უპასუხა. „რატომ? განა შენ არ იცოდი, რომ ეს ცუდი იყო?" მან ამაზეც დადებითად უპასუხა. „მაშ, შენ ცუდად მოქცეულხარ". ამაზე იმან უპასუხა: „დიახ, მაგრამ არ არსებობდა უკეთესი გზა". ასევე ლაკონელმა, რომელიც ეფორად ყოფნის დროს პასუხისგებაში იყო მიცემული, კითხვაზე: „ჰგონია, თუ არა მას, რომ სამართლიანი იყო მისი ამხანაგების სიკვდილით დასჯა?" დადებითი პასუხი გასცა. კითხვა: „განა შენ იმასვე არ სჩადიოდი, რასაც ისინი?" აგრეთვე დაადასტურა. „მაშ, შენი სიკვდილიც სამართლიანი იქნება?" ამაზე კი უპასუხა: „არა, რადგან ისინი ქონების მოხვეჭის მიზნით მოქმედებდნენ ასე, მე კი ჩემი შეგნებით". მაშასადამე, კითხვა არ
უნდა დასვა მაშინ, როცა დასკვნა უკვე გამოტანილი გაქვს და 1419b
არც დასკვნა უნდა გამოთქვა შეკითხვის სახით, თუ ძალიან ღრმად არა ხარ დარწმუნებული შენს სიმართლეში.

რაც შეეხება ხუმრობას, მას ერთგვარი გამოყენება აქვს კამათის დროს. გორგიაც ამბობს, რომ საჭიროა მოწინააღმდეგის სიდინჯე სიცილით გაანადგურო, ხოლო სიცილი სიდინჯით,

რაშიც ის მართალია. „პოეტიკაში“[16] ჩვენ ნათქვამი გვაქვს. თუ ხუმრობის რამდენი ფორმა არსებობს, რომელთაგან ზოგი თავისუფალ ადამიანს შეეფერის, ზოგი კი არა. თუ ვის რა შეეფერის, თვითონ უნდა შეარჩიონ. ირონია უფრო კეთილშობილურია, ვიდრე მასხარაობა, რადგან პირველი ხუმრობს საკუთარი სიამოვნებისათვის, მასხარა — სხვისთვის.

19

ეპილოგი ოთხ ნაწილს შეიცავს: პირველი, თავის სასარგებლოდ და მოპირდაპირის საწინააღმდეგოდ მსმენელის განწყობა; მეორე, საბუთების მნიშვნელობის გაზრდა ან შემცირება; მესამე, მსმენელში პათოსის გამოწვევა, და მეოთხე: განმეორება.

ბუნებრივია, რომ მას შემდეგ, რაც ორატორმა თავისი თავი მართალ კაცად წარუდგინა მსმენელთ, ხოლო მოპირდაპირე ცრუდ, შეიძლება აქოს ან აძაგოს შესაბამისად და მსმენელიც საამისოდ განაწყოს. ორატორი ორიდან ერთ გზას ირჩევს: ან უნდა დაამტკიცოს, რომ მას მსმენელთათვის ან საერთოდ, ყველასათვის სიკეთე სურს, ანდა რომ მოწინააღმდეგეს მსმენელთათვის ან ყველასათვის ბოროტი უნდა. თუ როგორ მოვახერხოთ ეს, ე. ი. როგორ წარმოვადგინოთ ვინმე კარგად ან ცუდად, ამისთვის ჩვენ ტოპები დავასახელეთ[17]. მას შემდეგ, რაც ეს დავამტკიცეთ, ბუნებრივია საბუთების მნიშვნელობის გაზრდა ან შემცირება. ის, რაც მოხდა, უნდა დავადასტუროთ და მისი მნიშვნელობაც შევაფასოთ და როგორც საგნები არსებული საგნებიდან იზრდება ბუნებრივად, ასევე უნდა ვაწარმოოთ მნიშვნელობის გაზვიადება ან დამცირება. ამისთვის კი პირველ ყოვლისა, ტოპები გამოგვადგება. მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, თუ რამდენ, როგორ ან რა მნიშვნელობის საგნებთან გვაქვს საქმე, შეიძლება მსმენელში პათოსის გაღვიძება, ე. ი. მასში სიბრალულის, ან შიშის, ან სიბრაზის, ან სიძულვილის, ან შურის, ან შეჯიბრის, ან სიყვარულის გრძნობის აღძვრა[18]. თუ როგორი ტოპები გამოდგება ამისთვის, ამაზეც უკვე ვილაპარაკეთ[19]. ასე რომ, ისღა გვრჩება რომ ზემოთქმული გავიხსენოთ. როგორც ზოგიერთი ამბობს, ეს შეიძლება შე-

სავალში, რაც სწორი არ არის. ისინი მოითხოვენ აგრეთვე, ნათქვამი რომ ადვილად გასაგები იყოს, ხშირად გავიმეოროთ. შესავალში ისე უნდა ილაპარაკო, რომ დაფარული არ დარჩეს ის, თუ რაზე იქნება მსჯელობა. დასკვნაში კი მოკლედ უნდა თქვა, რომ დაამტკიცე ის, რაც გინდოდა დაგემტკიცებინა. უნდა დაიწყო ასე:

„ამგვარად, დავამტკიცეთ ის, რის დამტკიცებასაც ვაპირებდით". ეს შეიძლება აჩვენოთ მოწინააღმდეგის შეხედულებასთან საკუთარის შედარებით, თუ ერთსა და იმავე ფაქტზე
1420a რას ამბობთ ორივე. ანდა პირდაპირ განაცხადოთ, რომ „ის ამას ამბობს, მე ამას და რა მოხდებოდა, მას რომ ეს ემტკიცებინა და არა ეს?" ანდა შეიძლება კითხვა დასვათ: „რა დარჩა დასამტკიცებელი?" ანდა „რა დაამტკიცა მან?" ან ასე, ან შედარების გზით, ანდა ბუნებრივად, როგორც ვაჩვენეთ: ჯერ საკუთარი შეხედულებების გადმოცემით და მერე, თუ მოისურვებთ, მოწინააღმდეგის შეხედულებებისა. მიზანშეწონილია, რომ სიტყვის ბოლო ნაწილი იყოს წყვეტილი სახისა, როგორც ეპილოგი და არა უწყვეტი სიტყვა. მაგალითად,

„მე გითხარით, თქვენ მოისმინეთ, ჩემი საქმე თქვენს ხელთაა, გადაწყვიტეთ!"[20].

შენიშვნები

წიგნი პირველი

1

1. სიტყვა „დიალექტიკას“ არისტოტელე აქ ხმარობს „ფილოსოფიის“ მნიშვნელობით.

2. არისტოტელეს აზრით, რიტორიკა, ანუ მჭევრმეტყველება იმიტომ ეწოდებოდა ფილოსოფიას, რომ მათ, ორივეს ზოგადი ობიექტი აქვთ შესასწავლი.

3. ენთიმემა — რიტორიკული დასკვნა.

4. პოლისი ერთდროულად ნიშნავს როგორც ქალაქს, ისე სახელმწიფოს, რადგან ძველ საბერძნეთში ქალაქები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ.

5. არეოპაგში მოწინააღმდეგე მხარეებს ნება ეძლეოდათ ელაპარაკათ მხოლოდ საქმის შესახებ. მცირეოდენი გადახვევის შემთხვევაშიც კი მათ სიტყვა ერთმეოდათ.

6. სიტყვა „რიტორი“ აქაც და ქვემოთაც ნახმარია ორატორის, მჭევრმეტყველის მნიშვნელობით.

7. იხ. „ტოპიკა“, წ. I, თ. II.

8. არისტოტელე რიტორიკისა და დიალექტიკის საგნად წინააღმდეგობებსაც თვლის. მაგრამ რადგან მათი კვლევის საგანი ძირითადში არის ჭეშმარიტება, ხოლო წინააღმდეგობის ორივე მხარე არ შეიძლება ერთდროულად ჭეშმარიტი იყოს, ამიტომ რიტორიკასაც სწორედ ეს მხარე, ჭეშმარიტება, აინტერესებს.

9. როგორც ამ ადგილიდან, ისე საერთოდ, „რიტორიკიდან“ ცხადი ხდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძველ საბერძნეთში მჭევრმეტყველებას.

10. არისტოტელე დიალექტიკასა და რიტორიკას უპირისპირებს სოფისტიკას, რომელიც, მათგან განსხვავებით, ემყარება არა ცოდნას, არამედ მიდრეკილებას.

2

1. დანარჩენ მეცნიერებათაგან განსხვავებით, დიალექტიკასა და რიტორიკას არა აქვთ გარკვეული ობიექტი, ამტკიცებს არისტოტელე.

2. არისტოტელე ორატორის წარმატებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის

ზნეობას. თუ ორატორი ზნეობრივია, მის სიტყვას ექნება დამაჯერებლობა და პირიქით. მაგრამ წარმოდგენა ორატორზე წინასწარ კი არ უნდა გვქონდეს შემუშავებული, არამედ უნდა გამომდინარეობდეს მისი სიტყვებიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ არისტოტელე ორატორულ ხელოვნებას მჭიდროდ უკავშირებდა ეთიკას.

3. ვნებებს არისტოტელე ეხება „რიტორიკის“ II წიგნში.

4. აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ არისტოტელე რიტორიკას ეთიკისა და დიალექტიკის განშტოებად მიიჩნევს.

5. „ანალიტიკა“, I, II, 23.

6. „ანალიტიკა“, II, I, 1, 10 და „ტოპიკა“, I, 1.

7. ტოპიკა“, I, 10.

8. დედანში ინდუქციის აღმნიშვნელია „ეპაგოგიური მეთოდი“.

9. „მეთოდიკები“—არისტოტელეს ნაწარმოები, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ რომელსაც ასახელებენ დიოგენე ლაერტელი „არისტოტელეს ცხოვრებაში“ (XXIV) და დიონისიოს ჰალიკარნასელი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეს ნაწარმოები დაკარგული არ უნდა იყოს და მასში უნდა იგულისხმებოდეს II „ანალიტიკები“, სადაც ეს ადგილი გვხვდება I წიგნის 1 თავში.

10. იგ. „რიტორიკა“, II, 20—24.

11. არისტოტელეს აზრით, ყოველი მეცნიერების საბოლოო მიზანი არის არა კონკრეტული საგნების კვლევა, არამედ ზოგადის, ანუ საყოველთაოს დადგენა.

12. პირველი სილოგიზმი არისტოტელეს განხილული აქვს I „ანალიტიკების“ I წიგნის მე-4 თავში.

13. დორიეესი — როდოსელი დიაგორას შვილი. ცხოვრობდა პელოპონესის ომის დროს. მას მრავალჯერ გაუმარჯვია ოლიმპიურ შეჯიბრებებში. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე პოლიტიკურ ცხოვრებაში. ცნობილია ქსენოფონტის „საბერძნეთის ისტორიის“ I ტომიდან. პინდარემ მას ხოტბა შეასხა ოლიმპიურ ოდაში.

14. „ანალიტიკები“, I, 1, 8—14.

15. „ტეკმერიონ“ ნახმარია საბუთის მნიშვნელობით.

16. „ანალიტიკები“, I, 2, 27.

17. იგულისხმება უფროსი დიონისიოსი — სირაკუზის ტირანი. პისისტრატეს და თეაგენეს არისტოტელე ახსენებს „პოლიტიკაში“ (V, 5).

18. ტოპები არისტოტელეს განხილული აქვს „რიტორიკის“ II წიგნის 23-ე და 24-ე თავებში.

3

1. „ტელოს“ (მიზანი) ნიშნავს აგრეთვე „ბოლოს“, დასასრულს.

2. „ილიადა“, XVIII.

3. არისტოტელე გულისხმობს ზოგად წანამძღვრებს, რომელთაც ასხვავებს რიტორიკული ანუ კერძოობითი წანამძღვრებიდან.

1. არისტოტელე ორატორისგან მოითხოვს სიკეთისა და ბოროტების ცოდნას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ არისტოტელე რიტორიკასა და, საერთოდ, ხელოვნებას უკავშირებს ეთიკას. ზნეობისა და ეთიკის ვარდა, არისტოტელე ორატორისაგან ემპირიულ ცოდნასაც მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში იმის კარგად ცოდნას, რაზედაც ორატორი ლაპარაკობს.

2. არისტოტელე ორატორული ხელოვნებისაგან ასხვავებს ლოგიკას, რომელიც წანამძღვრებსა და დასკვნებს ეხება.

3. პირველში იგულისხმება სოკრატეს თვალსაზრისი, მეორეში სტოელებისა, მესამეში ეპიკურელებისა, მეოთხე საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისია.

4. ლაკედემონელი ქალები ცნობილი იყვნენ ზნეობრივი თავაშვებულობით, სიზარმაცით, სახელმწიფო მმართველობაში ზედმეტი ჩარევით. არისტოტელეს აზრით, ამიტომ მათ ზიანი მოჰქონდათ როგორც კანონმდებლობისათვის, ისე სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. დაახლოებით ანალოგიურად ახასიათებს არისტოტელე მათ „პოლიტიკაში“ (II, 9, 5). შეად. ევრიპიდეს „ანდრომაქე“, (595—8). ქსენოფანე და პლუტარქე უფრო დადებით აზრს გამოთქვამდნენ ლაკედემონელი ქალების შესახებ.

5. სიამოვნების აქ მოცემული არისტოტელესეული განსაზღვრება გამორიცხავს ყოველგვარ სარგებლობას.

6. საჩუქრებისა და პატივისცემის სხვა ფორმებთან ერთად არისტოტელე ასახელებს კვებას სახელმწიფოს ხარჯზე. როგორც ცნობილია, ეს ჯილდო მოითხოვა სოკრატემ სასამართლო პროცესზე სახელმწიფოს წინაშე თავისი დამსახურების საფასურად. თავის დაბლა დახრა, ადგილის დათმობა და სხვ. არისტოტელეს მიაჩნია პატივისცემის გამოხატულებად ბარბაროსებში.

7. ჰეროდიკე სელიმბრიელი, ექიმი და საექიმო ტანვარჯიშის მასწავლებელი, იყო უაღრესად სუსტი ჯანმრთელობისა, მაგრამ ყოველდღიური ვარჯიშისა და რეჟიმის დაცვის შედეგად მიუღწევია ღრმა მოხუცებულობამდე. იგი თავის პაციენტებს ურჩევდა ფეხით სიარულს ათენიდან მეგარამდე, რაც 70 მილს შეადგენდა.

8. პენტათლი — ხუთჭიდში გამარჯვებული: ხტომაში, ბადრის ტყორცნაში, შუბის ტყორცნაში, სირბილსა და ჭიდაობაში.

9. პანკრატისტი: კრივისა და ჭიდაობის მცოდნე სპორტსმენი.

10. როგორც აქედან ჩანს, ძველ საბერძნეთში უდიდესი ყურადღება ექცეოდა სპორტს როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და დღეგრძელობის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას.

11. „ტექნე“ — ხელოვნება. აქ ეს სიტყვა ნახმარია მედიცინის ხელოვნების, ანუ მედიცინის მეცნიერების მნიშვნელობით.

6

1. აქ ვლინდება პლატონის გავლენა არისტოტელეზე, რომელიც სიკეთეს სასარგებლოდ თვლის. აქვე თავი იჩინა არისტოტელეს უტილიტარისტულმა ტენ-

დენციამ, რაც სხვაგან ასე შესამჩნევი არაა, თუმცა ზოგჯერ უპირისპირდება ამ გაგებას.

2. აქ არისტოტელე კვლავ აიგივებს სარგებლობასა და სიკეთეს. მეორეს მხრივ, სიკეთეს განსაზღვრავს, როგორც თავისთავად სასურველს, ე. ი. როგორც ისეთ მოვლენას, რომელსაც არავითარი გარეშე მიზანი არა აქვს. ამას გარდა, ის სიკეთეს უკავშირებს აზროვნებას, რაც რაციონალისტური ტენდენციაა მის ფილოსოფიაში.

3. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის, რომ არისტოტელე სიამოვნებას აიგივებს სიკეთესთან, მეორე მხრივ კი მშვენიერებასთან. ამრიგად, მივიღეთ ტრიადა: მშვენიერება, სიამოვნება და სიკეთე, რომელნიც იგივეობრივნი არიან. მეორეს მხრივ, საყურადღებოა ის, რომ ისინი სასურველნი არიან თავისთავად. ამ თვალსაზრისმა განაპირობა კანტის საყოველთაოდ ცნობილი კონცეფცია დაუინტერესებელი მშვენიერების შესახებ.

4. არისტოტელე აქ სიამოვნებას ისეთსავე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც სიცოცხლეს.

5. „ილიადა", I, 255.

6. იქვე, II, 176.

7. იქვე, 298.

8. ანდაზა ეხება იმ ადამიანებს, რომელთაც საქმე ბოლომდე არ მიჰყავთ. ამიტომ არისტოტელე მათ ამსგავსებს იმათ, რომელთაც შორიდან მოტანილი კოკა სახლთან უტყდებათ.

9. ნაწილი კორინთელებისა ტროელების მხარეს იბრძოდა, ამიტომ, ცხადია, რომ ტროას მათ მიმართ არ ექნებოდა არავითარი პრეტენზია. სიმონიდე, როგორც ეტყობა, აქებდა კორინთელებს, მაგრამ კორინთელებმა ეს შეურაცხყოფად მიიღეს.

10. ორი მაგალითი ამოღებულია ჰომეროსიდან, მესამე და მეოთხე ისოკრატეს „ელენეს ქებიდან", გვ. 215—217. იგივე მაგალითი მოიტანა არისტოტელემ „რიტორიკის" II წიგნის 23-ე თავში.

7

1. არისტოტელე აქ ისევე, როგორც შემდეგში კანტი, უპირატესობას ანიჭებს მოვლენებს, რომლებსაც მიზანი თავის თავში აქვთ, შედარებით იმ მოვლენებთან, რომელთაც მიზანი თავის გარეთ აქვთ.

2. ლეოდამანტი — ათენელი მოქალაქე, პოლიტიკოსი და ორატორი, ისოკრატეს მოწაფე და ესქინეს მასწავლებელი. ლეოდამანტის მოწაფეა კალისტრატე, რომელმაც ქაბრიოსს ბრალი დასდო სამშობლოს ღალატში. პოლიტიკაში იგი თებელების მომხრე იყო. გაგზავნილ იყო ელჩად თებელებთან. ტიმოთესა და ქაბრიასთან ერთად მუშაობდა სარდლად, იყო არქონტიც. მას სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, რის გამოც სამშობლო დატოვა, თუმცა ჯარიმას ვერ გაექცა.

3. ეს სიტყვები ეკუთვნის პოეტ პინდარეს (ოლიმპ. ოდა, I, 1). პინდარეს აქ ციტირებულ სიტყვებში იგულისხმება თალესის მოძღვრება, რომლის მიხედვით, ყველაფრის საწყისია წყალი.

4. არისტოტელე აქაც სიამოვნებას მშვენიერებასთან აიგივებს, მეორე მხრივ. მშვენიერება მიაჩნია სასურველად თავის თავად.

5. „ილიადა“, II, 9, 592—594.

6. სიმონიდეს ლექსი, ფრაგმ. 163. ლექსი ეხება მოქალაქეს, რომელიც წინათ მეთევზე ყოფილა, ხოლო ოლიმპიურ შეჯიბრებაში გამარჯვების შედეგად დიდი პატივისათვის მიუღწევია.

7. ოფიკრატე — ათენელი სარდალი, ფეხსაცმლების მკერავის შვილი. იგივე სიტყვები არისტოტელეს მოტანილი აქვს „რიტორიკის“ I წიგნის მე-9 თავში.

8. „ოდისეა“, XXII, 347.

9. არისტოტელე ამ სიტყვებს ახსენებს აგრეთვე III წიგნის მე-10 თავში. როგორც ჩანს, ეს სიტყვები პერიკლეს არ უნდა ეკუთვნოდეს. იგი გვხვდება სირაკუზელი ტირანის გელონეს მიმართვაში ბერძნული სახელმწიფოების დეპუტატებისადმი, რომლებიც დახმარებას თხოულობდნენ (იხ. ჰეროდოტე, VII, 162, თუკიდიდე, II, 35).

8—9

1. „მონარქია“ ბერძნული სიტყვაა: „მონოს“ — ერთი, „არქოს“ — მმართველი.

2. „სახელმწიფო“, III, 7—18.

3. მშვენიერების აქ მოტანილი განსაზღვრების მიხედვით, ის თავისთავად სასურველია, სასიამოვნოა, საქებია და კეთილი, რაც მშვენიერების ეთიკურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

4. აქ არისტოტელე გვეელინება კერძო საკუთრების დამცველად. ამიტომ სხვისი ქონების უკანონოდ მითვისება მას უსამართლობად მიაჩნია.

5. არისტოტელე ილაშქრებს სქესობრივი თავაშვებულობის წინააღმდეგ.

6. არისტოტელე ხაზს უსვამს მშვენიერებისა და სათნოების თითქმის ყველა სახეთა იგივეობას. გარდა ამისა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ სათნოებებს, რომელიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება.

7. ფრ. 55.

8. ფრ. 28.

9. არისტოტელე გულისხმობს სასახლეებს, დეკორაციულად გაფორმებულ ბაღებსა და სხვ., რაც ბერძნებისათვის შემოსავლის წყაროს არ წარმოადგენდა.

10. ლაკონელებმა გრძელი თმების ტარება შემოიღეს არგოსელებზე გამარჯვების შემდეგ.

11. არისტოტელეს დამამცირებლად მიაჩნია სხვისთვის რაიმე სამუშაოს შესრულება, ე. ი. დაქირავებული შრომა, ანდა თავისუფალი მოქალაქის მიერ იმ სამუშაოს შესრულება, რაც მონებს ევალებოდათ.

12. პარალოგიზმი — ყალბი დასკვნა.

13. არისტოტელეს ისევე, როგორც პლატონს, სათნოების უმაღლეს ფორმად სიკეთე მიაჩნდა.

14. პლატონი სოკრატეს ამ სიტყვებს ათქმევინებს დიალოგში „მენექსენე“, 235 D.

15. ეს ადგილი დამოწმებულია მე-7 თავში.

16. ეს ეპიგრამაც მე-7 თავშია დამოწმებული.

17. ეს სიტყვები ამოღებულია ეპიტაფიიდან, რომელიც სიმონიდემ მიუძღვნა ათენელი ტირანის ჰიპიასის ქალიშვილს არქედიკეს, რომელიც ლამფსაკოელი ტირანის ეანტიდეს მეუღლე იყო. შემდგომში არქედიკეს ძმებიც ტირანები გახდნენ.

18. ეს სიტყვები ამოღებული უნდა იყოს ისოკრატეს „ევაგორადან“, გვ. 197.

19. ჰიპოლოქეს შესახებ არ არსებობს არავითარი ცნობები. ჰარმოდიონისა და არისტოგიტონის შესახებ კი ცნობებს გვაწვდის თუკიდიდე (ნ. I, თ. 54—59). მათ მოკლეს ათენის ტირანი ჰიპარქე, ტირან პიზისტრატეს შვილი.

20. არისტოტელეს ცნობების სიზუსტეს მოწმობს ისოკრატეს მოღწეული სიტყვები.

10

1. იხ. „ნიკომაქეს ეთიკა“, III, თ. 1—4.

2. „რიტორიკა“, II, 9.

3. დედანშია „ჰექსის“, რაც შეიძლება ნიშნავდეს როგორც თვისებას, ისე ქონებას. ამ შემთხვევაში ის ქონებას გამოხატავს.

4. აქ კარგად ვლინდება არისტოტელეს დემოკრატიზმი, რადგან, მისი აზრით, მთავარია არა ადამიანის კანის ფერი, არამედ მისი სულიერი თვისებები.

5. „რიტორიკა“, II, 12—18.

6. იქვე, II, 2.

7. იქვე, I, 6.

11

1. სიამოვნება არისტოტელეს ესმის, როგორც ბუნებრივი მდგომარეობა, ან ამ მდგომარეობისადმი დაბრუნება.

2. არისტოტელე ამ სიტყვებს მიაწერს პოეტ ევენე პაროსელს, სოკრატეს თანამედროვეს. მაგრამ იგივე სიტყვები აქვს თეოგნიდესაც (ტ. 470).

3. ევრიპიდეს დაკარგული ტრაგედია „ანდრომედა“-დან (ფრ. 133). ეს სიტყვები დამოწმებული აქვს ციცერონსაც.

4. „ოდისეა“, XV, 400—409.

5. „ილიადა“, XVIII, 109.

6. იქვე, XXIII, 108. შდ. „ოდისეა“, IV, 183.

7. ევრიპიდე. „ორესტე“, 234. ელექტრას სიტყვები ძმის მიმართ. იგივე სიტყვები აქვს მოტანილი არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკაში“, VII, 13.

8. არისტოტელე აქ ავითარებს თვალსაზრისს ხელოვნების, როგორც მიბაძვის და ხელოვნების გნოსეოლოგიური დანიშნულების შესახებ.

9. „ოდისეა“, XVII, 218.

10. „ნიკომაქეს ეთიკა“, IX, 8.

11. იქვე, IX, 4.

12. ევრიპიდეს ტრაგედია „ანტიოპე“-დან (ფრ. 183), რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. იგივე სიტყვები აქვს მოტანილი პლატონს „გორგიაში“.

13. ამასვე ამბობს არისტოტელე მე-3 წიგნის ბოლოს. რადგან „პოეტიკაში“ გაკვრითაა მსჯელობა სასაცილოს თაობაზე, არის საფუძველი ვარაუდისათვის, რომ არისტოტელეს „პოეტიკამ“ სრული სახით ვერ მოაღწია.

12

1. „რიტორიკა“, II, 19.

2. აქ დასახელებული ძენონი ისევე, როგორც მისი მოქმედება, უცნობია.

3. არისტოტელე გულისხმობს ათენელ პირატებს, რომელთაც გაძარცვეს კართაგენელთა გემები იმ იმედით, რომ სასამართლო პროცესი კართაგენიდან ათენამდე დიდხანს ვერ მიაღწევდა ათენიდან კართაგენის სიშორის გამო.

4. მიდიელნი (ტომი მცირე აზიაში) ცნობილნი იყვნენ სიმხდალითა და ნებივრობით.

5. „მოქმედებაში“ არისტოტელე გულისხმობს ეაპრობისა და სასამართლო საქმეების წარმოებას.

6. კალიპოსი — ათენელი მოქალაქე. პლატონის მეგობარი. იგი ტირან დიონს გაჰყვა სირაკუზაში, მას შემდეგ, რაც ათენში დაუახლოვდა. იქ მის წინააღმდეგ ააჯანყებს სირაკუზელებს და მოკლავს კიდეც. ამის შესახებ დაწერილებით იხ. პლუტარქე, „დიონის ცხოვრება“.

7. ენეზიდემე — ლეონტინელი ტირანი. მას დაასწრო სირაკუზელმა ტირანმა გელონმა მეზობელი ქალაქის დაპყრობა, რისთვისაც მას ენეზიდემმა ჯილდოდ კოტაბოს სათამაშო გაუგზავნა.

კოტაბოსი — თამაშის თავისებური სახეობა, გავრცელებული სიცილიაში. ჭურჭელს ათავსებდნენ წყლის ზედაპირზე, ზემოდან აწყვეთებდნენ ღვინოს, სანამ ჭურჭელი არ ჩაიძირებოდა. მოგებული რჩებოდა ის, ვინც ადრე ჩაძირავდა მას.

8. იასონი — თესალიელი ტირანი.

13

1. სოფოკლე, „ანტიგონე“, 456.

2. ემპედოკლე (ფრ. 487) აკრაგანტელი. როგორც ჩანს, თხზულება მას ლექსად დაუწერია. გამოთქმული ჰქონია თვალსაზრისი მკვლელობის საწინააღმდეგოდ, რაც მას პითაგორელებიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული.

3. ალკიდამანტი — ელეელი სოფისტი გორგიას მოწაფე, ორატორი. მოღწეულია მისი ორი სიტყვა. დაკარგულია აქ ნახსენები სიტყვა „მესენელების მიმართ“. სქოლიასტი აქ მოტანილ ადგილს უმატებს შემდეგ სიტყვებს: „ღმერთმა

ყველა თავისუფალი დაბადა. ბუნებას მონად არავინ შეუქმნია". სიტყვა ეხებოდა მესენელების აჯანყებას სპარსელების წინააღმდეგ.

4. არისტოტელე ბრძოლის ველიდან გაქცევას თვლის საზოგადოებრივ დანაშაულად. ამიტომ რომელიმე კერძო პირისადმი ჩადენილი დანაშაული მას ისე მძიმე დანაშაულად არ მიაჩნია, რამდენადაც მას არ მოაქვს ზიანი მთელი საზოგადოებისათვის.

5. „რიტორიკა", I, 10,3.

6. იქვე, I, 10.

7. იქვე, I, 5—6.

8. იქვე, I, 3.

9. იქვე, II, 2.

10. იქვე, I, 11—12.

11. არისტოტელე ასხვავებს ორგვარ კანონს: ბუნებრივს, რომელიც აუცილებელია და დაწერილს, შექმნილს ადამიანების მიერ, რომელიც არაა აუცილებელი, რადგან არაა ზუსტი, შეიცავს შეცდომებს და რომელსაც ადამიანები ასრულებენ იძულებით, ემორჩილებიან რა სახელმწიფოს ძლიერებას.

12. იხ. „ნიკომაქეს ეთიკა", V, 20.

13. არისტოტელე ამტკიცებს, რომ დამნაშავის დასჯისას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, ვიდრე თვით დანაშაულს.

14

1. მელანოპეს შესახებ ცნობები მოეპოვება აგრეთვე პლუტარქეს „დემოსთენეს ცხოვრებაში" (თ. 13). ჩვენამდე მოღწეული ცნობებით მელანოპე გადასახადებს სწორად არ კრეფდა. მას ქრთამი აუღია კალისტრატესაგანაც კი, რომელიც მისი მტერი იყო.

2. ობოლი (ὁ ὀβολός) 1 უდრის $^1/_6$ დრახმას, როგორც წონის ერთეული უდრის 0,728 გრამს.

3. სოფოკლე — ორატორი პელოპონესის ომის დროს და არა ტრაგიკოსი სოფოკლე. მას არისტოტელე ქვემოთაც მოიხსენებს.

15

1. „ბუნებრივ საბუთებს" არისტოტელე უწოდებს „არატექნიკურ საბუთებს", რაც ორატორის მიერ არაა მოპოვებული ხელოვნური ეზით.

2. სოფოკლე, „ანტიგონე", 458 და ქვემოთ. ეს სიტყვები უკვე მოტანილი ჰქონდა არისტოტელეს „რიტორიკის" მე-13 თავში, ამიტომ აქ მოაქვს შემოკლებით, როგორც უკვე ცნობილი.

3. „ძველ" და „ახალ" მოწმეებში იგულისხმება სასამართლო პროცესის წინამორბედი და თანამედროვე მოწმენი.

4. ათენელებს დავა ჰქონდათ მეგარელებთან კუნძულ სალამინის თაობაზე. ორივე მხარეს მოწმეებად ჰყავდათ ლაკონელები. ამას გარდა, ათენელებმა დამატებით საბუთად მოიტანეს ჰომეროსის ლექსი, რომლითაც მტკიცდებოდა ის,

რომ სალამინი ათენელებს ეკუთვნოდა: „აიანტმა სალამინიდან თორმეტი გემი მოიყვანა და იქ გაამწკრივა, სადაც ათენელთა ფალანგნი იდგნენ“ („ილიადა,“ II, 557—558). დავა ათენელთა სასარგებლოდ გადაწყდა.

5. პერიანდრე — ერთ-ერთი შვიდ ბრძენთაგანი, რომელმაც 200 ჰეგზამეტრის შემცველი „დარიგებანი“ დაწერა. უცნობია, თუ რაზე დაობდნენ ტეხედოსელები და სიგეიონელნი და არც ისაა ცნობილი, პერიანდრეს წიგნი გამოიყენეს, თუ ზეპირი გამონათქვამი.

6. კლეოფონტი — ცნობილი დემაგოგი პელოპონესის ომის დროს, კრიტიას მოწინააღმდეგე. იგი სიკვდილით იქნა დასჯილი.

7. კრიტია — სოკრატეს თანამედროვე, ერთ-ერთი ოცდაათ ტირანთაგან.

8. იხ. ჰეროდოტე, VII, 141.

9. ეს სიტყვები ეკუთვნის კვიპროსელ კიკლიკოს პოეტს სტასინეს. ანალოგიური სიტყვებით მიმართა კიროსმა კრეზეს (იხ. ჰეროდოტე, I, 155).

10. ევბულე — ცნობილი ორატორი, დემოსთენეს თანამედროვე და მოწინააღმდეგე. სამხედრო მოღვაწე. მისი აქ დასახელებული სიტყვა დაკარგულია. ქარეტი — არისტოტელეს თანამედროვე ათენელი მხედართმთავარი. არქიბიონის შესახებ არაფერი არაა ცნობილი. პლატონი — კომიკოსი პოეტი და არა ფილოსოფოსი.

11. იხ. „რიტორიკა“, II, 23.

12. ქსენოფანე — მცირე აზიის ქალაქ კოლოფონიდან. მე-6 საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი, ელეური სკოლის ფუძემდებელი. იგი ელეაში კოლოფონიდან გადასახლდა, სადაც საკუთარი ფილოსოფიური სკოლა ჩამოაყალიბა.

წ ი გ ნ ი მ ე ო რ ე

1

1. „რიტორიკა“, I, 9.
2. იქვე, I, 2.

2

1. კლეონში იგულისხმება არა რომელიმე კონკრეტული პიროვნება, არამედ მოტანილია ნიმუშად, როგორც აღმნიშვნელი ნებისმიერი კონკრეტული პიროვნებისა.

2. „ილიადა“, XVIII, 109, 110.

3. იქვე, I, 356.

4. იქვე, IX, 648.

5. იქვე, II, 196.

6. იქვე, I, 82.

7. ნაგულისხმევი უნდა იყოს პლატონის მოძღვრება იდეებზე და ამ მოძღვრების მიმდევრები.

8. იგულისხმება ანტიფონტეს ტრაგედია „მელეაგრე“, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. პლექსიპე — მელეაგრეს ბიძა, ალთეას ძმა. მელეაგრე კლავს გარეულ ტახს, რომლის თავს და ტყავს მიართმევს ატალანტას, არკადიის მეფის ასულს. ბიძები პლექსიპე და ტოქსევსი გაბრაზებულნი არიან მასზე, მაგრამ მელეაგრე ორივეს კლავს.

3

1. „რიტორიკა“, II, 12.

2. ფილოკრატე — ცნობილი ელევსინელი ორატორი, დემოსთენეს შეურიგებელი მტერი. დემოსთენე მას „სამშობლოს მოღალატეს“ უწოდებდა. მას ბრალი ედებოდა ე. წ. „ფილოკრატეს ზავში“.

3. ერგოფილე დამარცხდა თრაკიის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან კალისთენემ ნაადრევად შეკრა ზავი მეფე პერდიკასთან. ერგოფილე გაძევებულ იქნა სამშობლოდან და დაუსწრებლად მიესაჯა სიკვდილით დასჯა კალისთენესთან ერთად 362 წელს.

4. კალისთენე შესაძლებელია, არისტოტელეს დისწული იყოს.

5. „ოდისეა“, IX, 504.

6. „ილიადა“, XXIV, 54.

4

1. ეს განსაზღვრება გვხვდება „ნიკომაქეს ეთიკაში“, VIII, 2.

2. აქ არისტოტელე დიდად აფასებს საკუთარი შრომით მცხოვრებ ადამიანებს, რაც სრულებით არ ავლენს მის არისტოკრატიულ ტენდენციებს.

3. ჰესიოდე, „სამუშაონი და დღენი“, 25.

5—8

1. შესაძლებელია, ევრიპიდეს მაგიერ იგულისხმებოდეს ჰიპერიდე, რადგან ევრიპიდე ელჩი არასოდეს არ ყოფილა. ჰიპერიდე კი ხშირად იყო ხოლმე ელჩად. იგი ათენელებმა სირაკუზაშიც გაგზავნეს ელჩად ზავზე მოსალაპარაკებლად. სირაკუზელებმა ათენელების წინადადება უარყვეს. რაზეც ჰიპერიდემ უპასუხა: სირაკუზელებო, თქვენ პატივი უნდა გეცათ ჩემი ელჩობისათვის, რადგან მე თქვენთან პირველად ვარ მოსული მეგობრული მოლაპარაკებისათვის.

2. სამოსის მიწების პირველი განაწილება მოხდა 439 წელს, როცა პერიკლემ სამოსელების აჯანყება ჩაახშო.

3. როგორც პლუტარქე გვაცნობებს, ანტიფონტე ელჩად იყო სირაკუზაში. ტირანმა დიონისიოსმა ჰკითხა, თუ რომელი სპილენძია უკეთესი, რაზეც ანტი-

ფონტმა უპასუხა: „ის, რომლისაგანაც ათენელებმა ჩამოასხეს პარაოდიონისა და არისტოგიტონის ქანდაკებები. ამის გამო ტირანმა ანტიფონტე სიკვდილით დასაჯა.

4. ლიკეიონში, როგორც ჩანს, მიღებული იყო ღარიბი მოგზაურებისათვის რაიმე ნაჭერის მიწოდება დაძინების დროს წამოსახურავად.

5. დიოპეითე იყო ათენელი სარდალი, რომელიც ხშირად არის მოხსენებული ფილიპე მაკედონელის დროს. მის საქებრად სიტყვა წარმოთქვა დემოსთენემ. არაფერია ცნობილი მისი სიკვდილის შესახებ. არაა ცნობილი არც ის, თუ რა გაუქირდა მას და რატომ დასჭირდა სპარსთა მეფის დახმარება.

6. აქ არისტოტელეს უზუსტობა მოუვიდა, რადგან ჰეროდოტეს ცნობით (III, 14), ვისაც ეს გადახდა, იყო არა ამასისი, არამედ მისი ვაჟიშვილი ფსამენიტოსი.

9—12

1. „ილიადა“, XI, 542.

2. სქოლიასტის ცნობით, ეს სიტყვები ეკუთვნის ესქილეს.

3. ნაგულისხმევია ის კლდეები, რომელიც გიბრალტარის სრუტის აღმოსავლეთით მდებარეობს, იქ, სადაც ხმელთაშუა ზღვა ერთვის ატლანტიკის ოკეანეს.

4. ეს ანდაზა ეკუთვნის ჰესიოდეს („სამუშაონი და დღენი“). იგივე ფრაზა მოტანილი აქვს არისტოტელეს ზემოთ (წ. II, 4).

5. პიტაკე — ერთ-ერთი შვიდ ბრძენთაგანი. სქოლიასტი შენიშნავს, ამფიარაოსში იგულისხმება არგოსელი წინასწარმეტყველი, რომელიც თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ მონაწილეობდა თებელებთან ბრძოლაში, სადაც ის დაიღუპა კიდეც. გაუგებარია, თუ რას ნიშნავს აქ მოტანილი სიტყვები.

6. ქილონი — ერთ-ერთი შვიდ ბრძენთაგანი. სქოლიასტის შენიშვნით, მისი ძირითადი დებულება ყოფილა „არაფერი უზომოდ“. ზოგი ისტორიკოსი ამ სენტენციას სხვა ფილოსოფოსს მიაწერს.

13—15

1. ბიანტე — ერთ-ერთი შვიდ ბრძენთაგანი. კრეზეს თანამედროვე.

2. არისტოტელე მშვენიერებას არა მხოლოდ უთანაბრებს სიკეთეს, არამედ მასზე მაღლა აყენებს.

3. არისტოტელემ 49 წელი აიღო, როგორც კვადრატული რიცხვი (7×7).

4. როგორც გადმოგვცემენ, ალკიბიადეს ვაჟიშვილი „მაიმუნი“ იყო მამასთან შედარებით. ხოლო ლისიასის ცნობით, ის ნიმუში იყო უკიდურესი გარყვნილებისა. უფროსი დიონისეს ვაჟიშვილი მთელი ცხოვრების განმავლობაში მმართველი იყო, რომელიც ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა.

5. კიმონის შვილზე არაფერია ცნობილი.

6. პლატონი „პირველ ალკიბიადეში“ უარყოფითად ახასიათებს სოკრატეს შვილებს. ასევე უარყოფითად ახასიათებს მათ სენეკა თავის წერილებში (104).

16—18

1. დიოგენ ლაერტელის ცნობით (იხ. მისი „არისტიპეს ცხოვრება"). ერთხელ დიონისიოსმა არისტიპეს ჰკითხა: „რატომ არის, რომ ფილოსოფოსები მდიდრებს ემსახურებიან, მაგრამ მდიდრები ფილოსოფოსებს არასოდეს?" — ეს იმიტომ, უპასუხა არისტიპემ, რომ ფილოსოფოსებმა იციან რა უნდათ, მდიდრებმა კი არა" (შეად. პლატონი, „სახელმწიფო", VI, 283).
2. „რიტორიკა", II, 12—14 და 15—17.
3. იქვე, I, 8.
4. იქვე, I, 3.
5. იქვე, I, 4—8.
6. იქვე, I, 9, 10—15.
7. იქვე, I, 9, 40.

19

1. ტრიერი — გემი ნიჩბოსნების სამი მწკრივით.
2. აგათონი — ტრაგიკოსი პოეტი, რომელსაც ახსენებს პლატონი „ნადიმში", სადაც ის გამოყვანილია როგორც გამარჯვებული. მაგრამ მისი გამარჯვების დროს პლატონი უნდა ყოფილიყო 11 წლისა. სხვა ცნობით, იგი სოკრატესა და სპევსიპეს თანამედროვეა. უცნობია, თუ რომელი წყაროდან არის ამოღებული აქ მოტანილი სიტყვები.

20

1. ლიბიური არაკების სამშობლოა აფრიკა. ლიბიური არაკები ცხოველთა სამყაროს არაკების რიცხვს მიეკუთვნება. ეს არაკები აქვს ნახსენები კვინტილიანეს. ძველი გრამატიკოსის ცნობით, თუ ეზოპეს არაკებში გამოყვანილი იყვნენ როგორც ჭკვიანი, ისე სულელი პერსონაჟები, ლიბიურში — მხოლოდ ჭკვიანნი.
2. აქ მოტანილია ისტორიაში ცნობილი ფაქტები. კერძოდ, ნაგულისხმევია სპარსეთის მეფე არტაქსერქსე III, რომელმაც 350 წელს დაიპყრო ეგვიპტე.
3. ჰიმერა — ქალაქი სიცილიის ჩრდილოეთით, რომელიც დაიპყრო აგრიგენტელმა ტირანმა ფალარისმა, დაახლოებით, 300 წელს.

21

1. გნომი — სენტენცია, ნაკვესი, ბრძნული გამონათქვამი.
2. ენთიმემებისა და სილოგიზმების შესახებ იხ. „რიტორიკა", 1, 2.
3. ევრიპიდე, „მედეა", 296.
4. ევრიპიდე, „სთენობეა", ფრ. 661. არისტოფანეს „ბაყაყებში" ამ სიტყვებს ამბობს ევრიპიდე.

5. ევრიპიდე, ჰეკუბა, § 58.

6. ეს სიტყვები ეკუთვნის ან სიმონიდეს, ან ეპიქარმეს.

7. ევრიპიდე, „ტროელი ქალები“, 1051.

8. არისტოტელე რიტორიკულ ენთიმემას ადარებს ლოგიკურ სილოგიზმს.

9. ავტორი უცნობია.

10. ეს სიტყვები უნდა ეკუთვნოდეს ეპიქარმეს.

11. აპოფთეგმები — სენტენციები, ბრძნული გამონათქვამები.

12. სტესიქორემ, იმისთვის, რომ ლოკრელები დაეთანხმებინა, არ ეომათ მეზობლებთან, უთხრა, რომ ომის დროს ყველაფერი გადაიწვება და ამიტომ ჭრიჭინები ისხდებიან არა ხეებზე, არამედ დედამიწაზე.

13. „ილიადა“, XII, 243.

14. იქვე, VIII, 309.

15. „რიტორიკა“, I, 5, 14.

16. თუკიდიდე, I, 90.

17. ნაგულისხმევი უნდა იყოს იფიკრატე, რომელიც დაბალი წარმოშობისა იყო და ამიტომ არ უნდა ეკისრა მხედართმთავრობა.

22

1. „რიტორიკა“, I, 2 ან II, 21.

2. ევრიპიდე, „იპოლიტე“, 989.

3. თუ რა გააკეთეს ათენელებმა გადასახლებული ჰერაკლიდების დასახმარებლად, ცნობილია ისოკრატეს „პანეგირიკიდან“ და ლისიას მიერ საფლავზე წარმოთქმული სიტყვიდან.

4. ათენელები ჰეგემონიის შენარჩუნების მიზნით მრავალ უსამართლობას ჩადიოდნენ. მაგალითად, მათ აიძულეს ეგინელები დაეტოვებინათ სამშობლო, თუმცა ისინი მათი დამხმარენი იყვნენ სალამინთან ბრძოლაში. ასევე მოექცნენ ისინი პოტიდეის მცხოვრებთ.

5. „ტოპიკა“, I, 14.

6. კიკნოსი — პოსეიდონის შვილი, რომელიც აქილევსმა დაახრჩო.

23

1. „რიტორიკა“, I, 13.

2. ამ სიტყვების ავტორი უცნობია.

3. ევრიპიდეს დაკარგული ტრაგედია „თიესტედან“, ფრ. 396.

4. თეოდექტე — პლატონისა და ისოკრატეს მოწაფე, არისტოტელეს დიდი მეგობარი. ავტორი ორმოცდაათი ტრაგედიისა, აგრეთვე „რიტორიკის ხელოვნებისა“.

5. ნიკანორი — ალ. მაკედონელის ერთ-ერთი სარდალი. ალ. მაკედონელის შემდეგ მართავდა მაკედონიის ნაწილს, მაგრამ მოინდომა მთელი საბერძნეთის ხელში ჩაგდება. იგი მოკლულ იქნა კასანდრეს მითითებით.

6. ლაპარაკია ევფრონზე, რომლის ისტორიას ჰყვება ქსენოფონტე „ჰელენიკაში“, VII, 3.

7. ლექსი ამოღებულია ანტიფონტის ტრაგედია „მელეაგრედან“. მოტანილი სიტყვები მიმართულია ტოქსევსისა და პლექსიპეს დის, ენევსის ცოლის ალთეასადმი. ტოქსევსი და პლექსიპე მოკლა ენევსის ვაჟმა მელეაგრემ.

8. თეზევსმა ელენე მოიტაცა ალექსანდრეზე ადრე.

9. ტინდარიდები — კასტორი და პოლიდევკე, ელენეს ძმები, რომლებმაც მოიტაცეს ლევკიპეს ქალიშვილები. ჰექტორმა მოკლა პატროკლე, ხოლო ალექსანდრემ (პარისმა) აქილევსი. ეს არგუმენტები ამოღებული უნდა იყოს ალექსანდრესადმი მიძღვნილი ხოტბიდან.

10. ფრაგმენტი ლისიას სიტყვიდან, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. იფიკრატეს სიტყვა ისტორიაში ცნობილია სახელწოდებით „ქანდაკების შესახებ“. მოტანილი ადგილიდან ირკვევა, რომ იფიკრატეს შეპირდნენ ქანდაკებას, თუ ის სპარსელებს დაამარცხებდა, მაგრამ როდესაც მან ისინი დაამარცხა, ჰარმოდიონმა მას უარი უთხრა. მისი სიტყვა მოტანილი აქვს მრავალ ისტორიკოსს. უცნობია მხოლოდ ჰარმოდიონის პიროვნება.

11. მეფე ფილიპემ თებელებს ფოკელებთან ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწია ჰერსონესის ბრძოლების წინ. ამიტომ ისინი მას გზას ვერ დაუკერძნენ. ამ ფაქტზე მითითება აქვს აგრეთვე დემოსთენეს. ოღონდ აქ მოტანილი სიტყვების წყარო უცნობია.

12. „ტევკროსი“ — სოფოკლეს დაკარგული ტრაგედია. ეს ტრაგედია ნახსენები აქვს არისტოტელეს აგრეთვე III წიგნის მე-15 თავში. იფიკრატემ ეს სიტყვა გამოიყენა არისტოფონტის წინააღმდეგ თავდასაცავად, რომელიც ცნობილი ორატორი იყო.

13. ამ არგუმენტაციას იყენებს სოკრატე „პლატონის აპოლოგიაში“ ათეიზმში ბრალდებისაგან თავდასაცავად. ეს ადგილი ციტირებული აქვს არისტოტელეს III წიგნის მე-18 თავში.

14. ჰარმოდიოსი და არისტოგიტონი ცნობილი არიან იმით, რომ მათ ტირანის ბატონობა დაამხეს, მოკლეს ჰიპარქე.

15. „ალექსანდრე“-ში იგულისხმება ალექსანდრეს (პარისი) სიტყვა. ალექსანდრე (პარისი) ამ სიტყვაში თავს იცავს უზნეობაში ბრალდებისაკან იმით, რომ მას სავსებით აკმაყოფილებს ელენეს სიყვარული და რომ მის გარდა, მას არავინ არ სურს.

16. მაკედონიის მეფე არქელაოსი ცდილობდა თავის კარზე ფილოსოფოსების შემოკრებას. ეპატიჟებოდა სოკრატესაც, რომელმაც ამ მოპატიჟებაზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ მეფეს სამაგიეროს ვერ გადაუხდიდა.

17. „ტოპიკები“, I, 15 და II, 3.

18. პეპარეთოსი — ერთ-ერთი კიკლადთაგანი. ვის ეკუთვნის „პეპარეთული სიტყვა“, ან რას ეხებოდა იგი, გაურკვეველია.

19. თეოდექტეს „კანონში“ უნდა იგულისხმებოდეს თეოდექტეს მიერ წარმოთქმული სიტყვა.

20. უცნობია, თუ ალკიდამანტეს რომელი სიტყვაა ნაგულისხმევი. „იტა-

ლიელებში" ნაგულისხმევი უნდა იყოს დიდი საბერძნეთის მცხოვრებნი. „ფილოსოფოსებში" კი ეპამინონდა და პელოპიდა.

21. ავტოკლე — ათენელი ორატორი, სტრომბიქიდას შვილი, ელჩი სპარტაში. უცნობია, თუ რატომ დასდო მან ბრალი მიქსიდემიდეს, რომელმაც უარი განაცხადა არეოპაგში გამოცხადებაზე, ანდა ეინაა მიქსიდემიდე. მას ქსენოფონტი უწოდებს უაღრესად მკვირმეტყველს (იხ. ქსენოფონტი, საბერძნეთის ისტორია, VII, 3, 5). შურისძიების ღმერთქალები — ერინიები, იგივე ევმენიდები, არეოპაგში გამოცხადდენ ორესტეს საქმეზე.

22. გაურკვეველია, იგულისხმება საფოს რომელიმე ლექსი, თუ მისი ზეპირი გამონათქვამი.

23. არისტიპე — ცნობილი ფილოსოფოსი, კირენეს სკოლის ფუძემდებელი.

24. ქსენოფონტე ამ ისტორიას მიაწერს აგესიპოლისს, პლუტარქე — აგესილაოსს. ამიტომ აქ შესაძლებელია სახელი ჰეგესიპე დამახინჯებული იყოს (იხ. ქსენოფონტე, „ჰელენიკა",IV, 7, 2).

25. ისოკრატეს შეუთხზავს „ელენეს ხოტბა".

26. ევაგორა — კვიპროსის მეფე, რომელსაც ხოტბა მიუძღვნა ისოკრატემ.

27. კონონი — ათენელი სარდალი. ბრძოლაში დამარცხებულმა თავი შეაფარა კვიპროსის მეფეს ევაგორას.

28. თეოდექტეს მიაკუთვნებდნენ „სოკრატეს აპოლოგიას".

29. კალიპოსი — ათენელი ორატორი, რომელიც ისოკრატეს მოწაფე უნდა ყოფილიყო. მას არისტოტელე ახსენებს ამ წიგნის მე-19 თავში.

30. ქარიდემონ ევბეელი — სარდალი, რომელიც ხან ათენელთა მხარეს იბრძოდა, ხან მათ წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, მიაღწია დიდ წარმატებებს და ათენელი მოქალაქეც გახდა. სტრაბაქსი მონაწილეობდა კორინთოს ომში. მეთაურობდა სამხედრო ნაწილს. მანაც მიაღწია ათენის მოქალაქეობას.

31. უცნობია, თუ საიდან არის ამოღებული ქსენოფანეს ეს სიტყვები.

32. შდრ. „ილიადა", X, 218.

33. პამფილე — პლატონის მოწაფე. ციცერონის ცნობით, კუნძულ სამოსზე მისი მოწაფე იყო ეპიკურე.

34. ანდროკლე პითევსიდან — ათენელი დემაგოგი, ალკიბიადეს ერთ-ერთი ბრალმდებელი „დამსხვრეული ქანდაკებების" საქმეში. მის შესახებ ცნობებს გვაწვდის პლუტარქე „ალკიბიადეს ცხოვრებაში" (თ. 19) და თუკიდიდე (VIII, 65).

35. ლეოდამანტე — ატარნეველი, ისოკრატეს მოწაფე. ეპქინეს ტნობით, იგი ორატორობაში დემოსთენესაც კი სჯობდა. იგი ეკუთვნოდა ოლიგარქიულ პარტიას, ხოლო თრაზიბულე — დემოკრატიულს.

36. ლევკოთეა (ინო)—კადმოსის ასული და ადამანტეს მეუღლე. მან თავის ვაჟ მელიკერტესთან ერთად ხმელთაშუა ზღვაში თავი დაიხრჩო. ორივე ზღვის ღვთაებებად გამოაცხადეს.

37. კარკინე — ათენელი პოეტი IV საუკუნისა, არისტოფანეს თანამედროვე. მას დაწერილი ჰქონია 16 ტრაგედია, რომელთაგან არც ერთმა არ მოაღწია. „რიტორიკის" III წიგნის მე-16 თავში არისტოტელე ახსენებს მის „ოიდიპოსს".

38. თეოდორე ბიზანტიელი — სოკრატეს თანამედროვე. არისტოტელემდე

ყველაზე დიდი ავტორი „ორატორული ხელოვნებისა". მას ასახელებენ როგორც სხვები. ისე არისტოტელე „რიტორიკის" III წიგნის მე-11 და მე-13 თავებში. აქ მოტანილი ადგილი მოწმობს, რომ მას ორატორულ ხელოვნებაზე ბევრი წიგნი უნდა ჰქონდეს დაწერილი.

39. „სიდეროს" — რკინა, რაც ამავე დროს (ფორმით „სიდერო") ქალის სახელადაც იხმარებოდა. მოტანილი ადგილი ამოღებულია სოფოკლეს ტრაგედია „ტეროსი"-დან.

40. თრაზიბულე კოლოტელი და კონონი ცნობილი არიან ათენის პოლიტიკური ცხოვრებიდან. სიტყვა „თრაზიბულე" ეტიმოლოგიით ნიშნავს სულით ძლიერს, რაც ამავე დროს ადამიანის სახელადაც იხმარებოდა.

41. ჰეროდიკე შეიძლება იყოს გორგია ლეონტინელის ძმა, ანდა სელიმბრიელი ექიმი. „რიტორიკის" I წიგნის მე-5 თავში იგი მოხსენიებულია როგორც სელიმბრიელი ექიმი.

42. თრაზიმაქე ეტიმოლოგიით ნიშნავს ომში მამაცს. იხმარებოდა მამაკაცის სახელად.

43. პოლოსი — მამაკაცის სახელი, წარმომდგარია სიტყვიდან „პოლოს", რაც კვიცს ნიშნავს. აქ ნახსენები პოლოსი აკრაგენტელია. ამის შეს. იხ. პლატონის „გორგია".

44. დრაკონის მკაცრ კანონებზე ანდაზები შეიქმნა.

45. ჰეკაბე ანუ ჰეკუბა — ევრიპიდეს „ტროელი ქალების" კმირი. სახელი „აფროდიტე" წარმოდგა სიტყვიდან „აფროსიუნე", რაც „უგუნურებას" ნიშნავს.

46. ქერემონი — ტრაგიკოსი პოეტი. არისტოტელე მას ახსენებს აგრეთვე „რიტორიკის" III წიგნის მე-12 თავში.

47. „პენთოს" ნიშნავს მწუხარებას, უბედურებას. პენთევსი მამაკაცის სახელია.

24

1. ისოკრატეს „ევაგორადან" (65—69).

2. ეს კალამბური უნდა ეკუთვნოდეს პოლიკრატეს, რომელმაც დაწერა ნაწარმოები „თაგვების ქება". სიტყვა „მისტერია" წარმოებულია სიტყვიდან „მიუს", რაც „თაგვს" ნიშნავს.

3. კალამბური ეკუთვნის პინდარეს. ამოღებული უნდა იყოს მისი ერთ-ერთი დაკარგული სიმღერიდან, რომელსაც ეწოდებოდა „პართენია" და რომელსაც მღეროდნენ ფლეიტის აკომპანიმენტით. „პანი" კიბელას ძაღლს ნიშნავდა. კიბელა, ბერძნების წარმოდგენით, ბუნების ერთ-ერთი უძლიერესი ღმერთქალია. მას ყოველთვის თან ახლდა „პანი". ძაღლისათვის ამ სახელის წოდება მის ქებას ნიშნავდა.

4. პანი (ὁ Πάν) ზევსისა და ჰერმესის შვილი, ტყეების, ჯოგების, საქონლისა და მწყემსთა ღმერთი. სალამურის გამომგონებელი, თსის ფეხების მქონე.

5. ჰერმესი საერთო იყო როგორც მიწიერი, ისე ციური და მიწისქვეშა ღმერთებისათვის (ამის შეს. იხ. ჰორაციუსი, ოდები, I). ჰერმესს თელიდნენ აგრეთვე გზის ღმერთად. ამიტომ თუ მგზავრი რაიმეს იპოვიდა და მეორე ეტყოდა „ნა-

ხევარი პერმესი" — ეს იმას ნიშნავდა, რომ მპოვნელს მისთვის ნაპოვნის ნახევარი უნდა მიეცა.

6. დედანში ორივე შემთხვევაში ნახმარია „სიტყვა", მაგრამ ერთ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით, მეორე შემთხვევაში — სახელის ანუ დიდების მნიშვნელობით.

7. ევთიდემე — ქიოსელი სოფისტი, რომელიც ამავე დროს მოგზაურკავე იყო. მის შესახებ ჩვენ ვიცით პლატონის დიალოგიდან „ევთიდემოსი" (277). აქ მოტანილი სოფიზმი არისტოტელეს ნახსენები აქვს აგრეთვე „„სოფისტურ გაბათილებებში".

8. რადგან ადამიანმა ცალ-ცალკე ტრიერისა და პირეოსის არსებობა იცის, მაშასადამე, მას ეცოდინება ისიც, რომ ტრიერი პირეოსში დგას. თუმცა იგი შესაძლებელია პირეოსში არ იდგეს.

9. პოლიკრატე — სოფისტი, რომელმაც დაწერა საჩივარი სოკრატეზე და ეგვიპტის მეფის ბუსირისის ქება. მის საწინააღმდეგოდ ისოკრატემ დაწერა ნაწარმოები „ბუსირისი". პოლიკრატეს დაუწერია აგრეთვე თრასიბულეს ხოტბაც. თრასიბულემ დაამხო ოცდაათი ტირანი, ამიტომ მას ათენის განმათავისუფლებელსაც უწოდებენ. პოლიკრატეს ეკუთვნის აგრეთვე „თაგვების ხოტბა". დამოწმებული ფაქტი იხ. ჰეროდოტეს „ისტორიაში" (II, 141).

10. ამ შემთხვევამ მისცა სოფოკლეს სბაბი დაეწერა დრამა სათაურით „ბერძნების შეკრება", ანუ „ნადიმი".

11. იგულისხმება ალექსანდრეს „ხოტბა", რომლის ავტორი და შინაარსი უცნობია.

12. დემადე — დემოსთენეს თანამედროვე ორატორი, რომელმაც უდიდეს წარმატებებს მიაღწია. იგი იცავდა მაკედონური პარტიის ინტერესებს. მან ამ სიტყვაში დემოსთენეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც არისტოტელე დემოსთენეს ახსენებს.

13. აგათონი — ტრაგიკოსი პოეტი, რომელიც ნახსენები აქვს პლატონის „ნადიმში".

14. კორაქსი სიცილიელი, რომელიც რიტორიკის პირველ მასწავლებლად ითვლება.

25

1. არისტოტელეს მსჯელობა ემყარება სიყვარულის პლატონურ გაგებას, რომლის მიხედვით, სიყვარული არის ნაკლებობის განცდა, რაც იწვევს სწრაფვას დანაკლისის შევსებისაკენ.

2. არისტოტელეს მხედველობაში აქვს ბიბლისის სიყვარული თავისი ძმის კავნოსისადმი (იხ. ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", IX, 454 და შემდეგ).

3. პიტაკეს შეს. იხ. არისტოტელე, „პოლიტიკა", II, 9—12 და „ნიკომაქეს ეთიკა", III, 6.

4. „რიტორიკა", I, 2, 18.

5. „ანალიტიკა", I, 11, 27.

6. იქვე.

წიგნი მესამე

1

1. „რიტორიკა“, I, 2.

2. იქვე, II, 22.

3. გლავკონ ტეოსელს აქვს სამი ნაშრომი „დეკლამაციის შესახებ“. მას ახსენებს არისტოტელე „პოეტიკის“ 25-ე თავში და პლატონი „იონში“ (530 D).

4. თრასიმაქე ქალკედონელი ბითვინიიდან გადავიდა ათენში, სადაც ასწავლიდა ორატორულ ხელოვნებას. იყო ლისიასის თანამედროვე და ავტორი მრავალი შრომისა რიტორიკაში. დასახელებული ნაშრომი ეხებოდა ორატორული ხელოვნების წესებს. არისტოტელე ასახელებს მას აგრეთვე „რიტორიკის“ II წიგნის 23-ე თავში და III წიგნის მე-8 და მე-11 თავებში, პლატონი „სახელმწიფოში“ (წ. II, თ. 1).

5. არისტოტელე რამდენიმეჯერ აღნიშნავს, რომ გორგია ლეონტინელი წერდა ლექსებს.

6. ამის შეს. იხ. „პოეტიკა“, თ. 4—24.

7. იქვე, თ. 20—22.

2

1. „პოეტიკა“, თ. 21.

2. თეოდორე — ტრაგიკოსი მსახიობი. მას არისტოტელე ახსენებს აგრეთვე „სახელმწიფოს“ მე-7 წიგნის ბოლო თავში. თეოდორეს თავისი ძლიერი ხმით შეეძლო მიებაძა ნებისმიერი პიროვნებისათვის.

3. „პოეტიკა“, 21.

4. „რიტორიკა“, III, 3—7.

5. „პოეტიკა“, 22.

6. კიბელას ქურუმები მისი სახელით მათხოვრობდნენ და სამგიეროდ ჰპირდებოდნენ მტრების განადგურებას კიბელას მიერ, ანდა ცოდვების მიტევებას. ისინი კულტის მსახურთა ყველაზე დაბალ რანგს განეკუთვნებოდნენ. მეჩირაღდნეებს კი საპატიო ადგილი ეკუთვნოდათ ელევსინის მისტერიაში. კალიასი ეკუთვნოდა ერთ-ერთ ცნობილ და მდიდარ საგვარეულოს ათენში. მას მოიხსენიებს ქსენოფონტე „საბერძნეთის ისტორიაში“, II, 3.

7. სირაკუზელ ტირან დიონისიოსს უყვარდა პოეზია და თავის გარშემო იკრებდა გამოჩენილ ტრაგიკოსებს. ამ ადგილას ნაგულისხმევია დიონისეს დღესასწაული, რომლის დროს მსახიობები ღმერთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

8. ევრიპიდე, 705.

9. ნაგულისხმევია ათენელი პოეტი და ორატორი დიონისიოსი, რომელიც ცხოვრობდა ათენში მე-5 ს. პელოპონესის ომის დროს. იგი ცნობილი იყო როგორც პოლიტიკური მოღვაწეც. მას მეტსახელად შეარქვეს „სპილენძისა“, რადგან ბერძნებს ურჩია, რომ ფული მხოლოდ სპილენძისგან გამოეჭედათ (ამის შეს. იხ. ათენეოსი, XV, 669).

10. ლიკომნიოსი—ქიოსელი ორატორი, გორგიას მოწაფე. დაწერილი ჰქონია ნაწარმოები „ორატორული ხელოვნების შესახებ“ და თვითონაც ასწავლიდა ორატორულ ხელოვნებას. „რიტორიკის“ მესამე წიგნის მე-13 თავში არისტოტელე უსაყვედურებს მას, რომ უხეირო მეტაფორებს ხმარობს. იგი ყოფილა დითირამბების ავტორიც, რასაც გვაცნობებს ათენეოსი.

11. ბრისონი — ჰერაკლეელი სოფისტი, ისიდორეს ძე, მათემატიკოსი, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ არსებობს მრგვალი კვადრატი. არისტოტელე მას ახსენებს აგრეთვე I წიგნის მე-9 თავში და „ცხოველთა ისტორიაში“ (VI, 5 და II, 11).

12. იგულისხმება ევრიპიდეს „ორესტე“, 1604.

13. არისტოტელეს მხედველობაში ჰყავს ანაქსილაე რეგიონელი.

14. არისტოფანეს, ანტიკურობის ამ უდიდესი კომედიოგრაფის „ბაბილონელები“ არ შემონახულა.

3

1. ლიკოფრონი — სოფისტი და არა პოეტი. მისი პიროვნება უცნობია.

2. ალკიდამანტე — გიორგიას მოწაფე, ისოკრატეს თანამედროვე და მისი მოწინააღმდეგე.

3. სკირონი — მითიური ყაჩაღი, რომელიც ათენისა და მეგარას საზღვართან იტაცებდა და ხოცავდა მგზავრებს. „დამღუპველი“ სწორედ მტაცებელს გულისხმობს.

4. არაკი ეხება დებს ფილომელასა და პროკნეს, რომელთაგან ერთი ბულბულად იქცა, მეორე მერცხლად. ამიტომაც ბულბულს ახლაც ფილომელას უწოდებენ.

4

1. ჰომეროსი, „ილიადა“, XX, 161.

2. ანდროტიონი — ათენელი ანდრონიკეს შვილი, დემოსთენეს თანამედროვე, ისოკრატეს მოწაფე, პოლიტიკური მოღვაწე.

3. იდრიეესი — კარიელი მეფის მავზოლეს ძმა, ცხოვრობდა IV საუკუნეში.

4. თეოდამანტე, არქიდამე, ევქსენე — სამივე პიროვნება უცნობია.

5. შეად. „ილიადა“, XXII, 164.

6. პლატონი, „სახელმწიფო“, IV, 469 D.

7. იქვე, VI, 488 a.

8. იქვე, 601 b.

9. თუკიდიდე, I, 115.

10. ეს სიტყვები ამოღებულია დემოსთენეს დაკარგული სიტყვიდან.

11. დემოკრატე — ათენელი ორატორი, დემოსთენეს თანამედროვე.

12. ანტისთენე — გორგიას მოწაფე, კინიკური სკოლის ფუძემდებელი.

13. კეფისოდოტე — კერამეველი ორატორი. მისი სიტყვის მრავალი ადგილი ეხება დემოსთენეს. აქედან ორი ადგილი მოტანილი აქვს არისტოტელეს ამ წიგნის მე-10 თავში.

5—6

1. კრეზემ ჰკითხა დელფოსელ წინასწარმეტყველს — გაელაშქრა თუ არა კიროსის წინააღმდეგ. წინასწარმეტყველმა დაუდასტურა (ამის შეს. იხ. ჰეროდოტე, I, 53, 91).

2. არისტოტელე აქ გულისხმობს ჰერაკლიტეს სტილის სირთულეს.

3. ამ სიტყვების ავტორი უცნობია.

4. ევრიპიდე, „იფიგენია ტავრიდელი", 727.

5. ანტიმაქე კოლოფონიდან — ეპიკოსი პოეტი. ცხოვრობდა პელოპონესის ომის დროს. სიტყვები ამოღებულია მისი პოემიდან „თებე". მას დიდად აფასებდნენ ძველ საბერძნეთში და ხშირად პომეროსის გვერდით აყენებდნენ.

6. ტეემესოს მთა — მცირე მთა ბეოტიაში, რომელიც თებედან აღმოსაკლეთით 100 სტადიონის მანძილზე მდებარეობს.

7—9

1. კლეოფონტი — ზოგი მას მიიჩნევს ათენელ ორატორად და დემაგოგად, ზოგი ტრაგიკოს პოეტად. ჩვენამდე არ მოაღწია მისმა არც ერთმა სიტყვამ. ძველი ისტორიკოსები ადასტურებენ მის სიტყვაუხვობას და სტილის კომიკურ მხარეს. ეხერხებოდა უმნიშვნელო მოვლენებზე მსჯელობა, როგორც მნიშვნელოვანზე. არისტოტელე მას ახსენებს I წიგნის მე-15 თავში, აგრეთვე „სოფისტურ გაბათილებებსა" და „პოეტიკაში".

2. ისოკრატე, „პანეგირიკი", § 86.

3. გორგიას ეს სიტყვა დაკარგულია. „ფედროსის" შესახებ არისტოტელე მიუთითებს სოკრატეს სიტყვაზე პოეზიის შესახებ, რომელშიც გამოსჭვივის პლატონის ირონია პოეზიაზე (იხ. „ფედროსი", 238 d, 241 c).

4. როგორც ჩანს, ყოველი განთავისუფლებული მონა ვალდებული იყო მფარველად რომელიმე თავისუფალი მოქალაქე აერჩია.

5. თრასიმაქე ითელება პეანის გამომგონებლად.

6. ჰეროდოტე ჰალიკარნასელი, რომელიც შემდეგ გადასახლდა თურიაში — სამხრეთ იტალიაში. მოტანილი ადგილი ამოღებულია მისი ისტორიული შრომიდან.

7. ჰეროიკული ჰეგზამეტრი: 2×1×1=——⏑⏑

იამბი: ⏑— ანუ 1×2.

ტროქე: —⏑, 2×1.

პეონი: —⏑⏑⏑, ან ⏑⏑⏑—2×3, ან 3×2.

8. „მელეაგრე", ფრ. 215.

9. დემოკრიტე ქიოსელი — მუსიკოსი, მოღვაწეობდა მე-5 ს. შუა წლებში.

10. იხ. ჰესიოდე „სამუშაონი და დღენი" (265, 266). მეორე სტროფი გადმოკეთებულია სიტყვებიდან: „ცუდი რჩევა მრჩეველისათვისაა უარესი".

11. ამოღებულია ისოკრატეს „პანეგირიკიდან".

12. ლიკოფრონი და პითოლაე — ალექსანდრე ფერეელის ცოლისძმები. მათ დის დახმარებით მოკლეს ალექსანდრე და მის ქონებას დაეპატრონენ. მიაღწიეს ათენის მოქალაქეობასაც. მათ ებრძოდა ფილიპე მაკედონელი. ისინი თავდაპირველად მტრულად იყვნენ განწყობილნი ათენელების მიმართ, მაგრამ შემდეგ დახმარებას თხოვდნენ მათ.

13. ჰომეროსი, „ილიადა", IX, 526.

14. მოტანილია ლექსი ბოლოში მსგავსი მარცვლებით, ანუ რითმით.

15. ანალოგიურია ეს მაგალითიც, ბოლოში მსგავს მარცვლებს შეიცავს.

16. მოტანილია ლექსი, რომლის ბოლო სიტყვები მეორდება, მაგრამ სხვადასხვა ბრუნვაში.

17. ამ ლექსში მეორდება სიტყვა ერთსა და იმავე ფორმაში.

18. მაგალითისათვის მოტანილია ლექსი ბოლოში მსგავსი მარცვლებით.

19. თეოდექტე — ისოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს მოწაფე. მან დაწერა „რიტორიკა", სადაც ავითარებდა არისტოტელეს რიტორიკის ძირითად დებულებებს. ამიტომაც არისტოტელე თეოდექტეს შრომებს ისე ასახელებს, როგორც საკუთარს.

20. ეპიქარმე კოსელი — ცნობილი კომიკოსი პოეტი, რომელიც ცხოვრობდა მე-6—5 სს.

10

1. ჰომეროსი, „ოდისეა", XIV, 214.

2. „რიტორიკა", III, 4.

3. ეს სიტყვები ამოღებულია ისოკრატეს მიმართვიდან ფილიპესადმი (73).

4. „რიტორიკა", I, 7.

5. ლეპტინე, ათენის საპატიო მოქალაქე, დემოსთენეს თანამედროვე. იგი მოითხოვდა გადასახადებისაგან განთავისუფლების შეზღუდვას, რასაც წინააღმდეგობას უწევდა დემოსთენე. ეს სიტყვები მან წარმოთქვა სახალხო კრებაზე, სადაც თებელებთან ბრძოლაში დამარცხებული ლაკონელები ათენელებს დახმარებას სთხოვდნენ.

6. ქარეტი — ათენელი მხედართმთავარი, ცნობილი უზნეობით. როდესაც ოლინთოსი ებრძოდა ფილიპე მაკედონელს, ათენელებმა ოლინთელებს გაუგზავნეს ჯარი ქარეტის მეთაურობით.

7. კეფისოდოტე — მე-4 საუკუნის ათენელი მხედართმთავარი და ორატორი.

8. სქოლიასტის განმარტებით, როგორც მილტიადემ გაილაშქრა ქსერქსეს წინააღმდეგ მარათონთან, ასევე ათენელები უნდა დახმარებოდნენ ევბეას თებელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მილტიადეს გადაწყვეტილება გალაშქრებაზე იმდენად სწრაფი იყო, რომ საყოველთაოდ ცნობილი გახდა.

9. იფიკრატე — ათენელი მხედართმთავარი. არისტოტელე ახსენებს მას აგრეთვე I წიგნის მე-7 თავში.

10. პარალოსი ათენის სახელმწიფო ხომალდი.

11. სესტოსი — ქალაქი ჰელესპონტზე პატარა ნავსადგურით.

12. მიროკლე დემოსთენეს თანამედროვე ათენელი ორატორი და პოლიტიკოსი, ანტიმაკედონური პარტიის მომხრე. „პატივსაცემ კაცში" ნაგულისხმეია ევბულე. მოგებათა მის მიერ მოტანილი ცხრილი მოწმობს, რომ იგი მექრთამე ყოფილა, რაშიც მას ბრალი ედებოდა კიდეც.

13. ანაქსანდრიდე—კომედიოგრაფი კუნძულ როდოსიდან, ზოგის აზრით, იონიიდან. ცხოვრობდა მე-4 ს. პირველ ნახევარში ათენში. მე-12 თავში დასახელებულია მისი კომედიები „გერონტომანია" და „ღვთისნიერნი".

14. პოლიევქტე — ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და ორატორი, დემოსთენეს მეგობარი, ანტიმაკედონური პარტიის მომხრე. სპევსიპეში უნდა იგულისხმებოდეს არისტოტელეს თანამოწაფე, პლატონის დისწული და მისივე მიმდევარი. დიოგენე ლაერტელიც ადასტურებს, რომ მას აპოლექსია დაემართა.

15. არისტოტელე გულისხმობს დამნაშავეთა დასასჯელ საშუალებას — ხის ხუნდს ხუთი ჭრილით: ხელ-ფეხისა და თავისათვის.

16. შედარება წისქვილთან შესაძლებელია ნახმარია იმიტომ, რომ ტრიერზე მუშაობა ისევე ძნელი იყო, როგორც მონების მუშაობა წისქვილზე, ანდა იმიტომ, რომ ტრიერებით ათენში პური შემოჰქონდათ.

17. იგულისხმება დიოგენე კინიკოსი, რომელიც თავის თავს ძაღლს უწოდებდა. ამიტომ დედანში დიოგენეს მაგიერ ნახმარია სიტყვა „ძაღლი" (ციუონ). ფიდიტიები ეწოდებოდა სპარტელების პატარა ნადიმებს და მათთან ათენელების სასადილოების შედარება დაცინვას წარმოადგენს.

18. ესიონი — დემოსთენეს თანამედროვე ორატორი, მისი თანამოწაფე და ამხანაგი. მას ახსენებს პლუტარქე „დემოსთენეს ცხოვრებაში".

19. ამოღებულია ისოკრატეს სიტყვიდან „ფილიპეს მიმართ" (გვ. 84).

20. არაზუსტი ციტატი ლისიასის ეპიტაფიიდან, სადაც ლაპარაკია არა სალამინთან, არამედ ჰელესპონტთან დაღუპულ ათენელებზე.

21. ლიკოლეონტი — ათენელი ორატორი, ისოკრატეს მოწაფე. მისი სიტყვებიდან ცნობილია ერთი — „ქაბრიოსის დასაცავად".

22. ქაბრიოსი — ცნობილი ათენელი მხედართმთავარი, რომელიც ქანდაკებაში გამოსახულია მუხლმოყრილი, რადგან მან ჯარს უბრძანა, მტერს მუხლმოყრილი შეხვედროდა. ქანდაკება გორაზე იდგა და მისი დანახვა მოედნიდანაც შეიძლებოდა. არისტოტელე ქანდაკების ამ პოზაში თითქოს მთხოვნელ ქაბრიოსს გულისხმობს. ქაბრიოსს 366 წელს ბრალი ედებოდა ღალატში, მაგრამ გამართლებულ იქნა.

23. სიტყვები ამოღებულია ისოკრატეს „პანეგირიკიდან", 151.

24. ესეც და მომდევნო მაგალითიც ამოღებულია ისოკრატეს დასახელებული შრომიდან.

11

1. ეს გამოთქმა არისტოტელეს მოტანილი აქვს აგრეთვე „ნიკომაქეს ეთიკაში" (წ. I, თ. 8). ამოღებულია სიმონიდეს ლექსიდან (ფრ. 5). მოხსენიებულია აგრეთვე პლატონის „პროტაგორაში" (339).

2. ისოკრატე, „ფილიპეს მიმართ", 10.

3. იქვე, 127.

4. ევრიპიდე, „იფიგენია ავლიდში“, 79, 80.

5. „ოდისეა“, XI, 598. მომდევნო მაგალითიც ამოღებულია „ილიადა“ და „ოდისეა“-დან.

6. არქიტა ტარენტელი — სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, პლატონის მეგობარი და პითაგორას მიმდევარი, მათემატიკოსი.

7. ისოკრატეს სიტყვიდან „ფილიპეს მიმართ“, გვ. 40.

8. სტესიქორეს ეს ფრაზა არისტოტელეს მოტანილი აქვს აგრეთვე II წიგნის 21 თავში.

9. თეოდორე ბიზანტიელი, სოკრატეს თანამედროვე ორატორი. მას არისტოტელე რამდენიმეჯერ ახსენებს (იხ. „რიტორიკა“, II, 23).

10. ნიკონი თრაკიელი — ავტორი კომედიისა „კითარედოსი“.

11. მოტანილი მაგალითი ემყარება ზმნა „თრასსო“-ს ორგვარ მნიშვნელობას.

12. ხუმრობა, რომელიც ემყარება სიტყვა „პერსაი“-ს ორგვარ ვნიშვნელობას: „სპარსელი“ და „დაღუპვა“.

13. ხუმრობა, დამყარებული სიტყვა „არქე“-ს ორგვარ მნიშვნელობაზე: „დასაწყისი“ და „ბატონობა“, ან „ხელმძღვანელობა“.

14. ისოკრატე, „ფილიპეს მიმართ“, 61.

15. სიტყვა „ანასქეტოს“ ორგვარი მნიშვნელობითაა ნახმარი: საკუთარი სახელისა და „აუტანელის“.

16. „რიტორიკა“, III, 4.

17. ფორმინგი — კითარის თავისებური სახეობა.

18. ნიკერატე — მხედართმთავარ ნიკიას ვაჟიშვილი. მას ზეპირად სცოდნია „ილიადა“ და „ოდისეა“. ეჯიბრებოდა რაფსოდებს, მაგრამ ერთ-ერთ შეჯიბრში დამარცხა პრატისმა. რაც შეეხება ფილოქტეტეს, იგი ბერძნებმა დატოვეს კუნძულ ლემნოსზე ტროაზე ლაშქრობის დასაწყისში. ამ კუნძულზე მან ცხრა წელი გაატარა ტანჯვაში. ამიტომ მაყურებელი შეჩვეული იყო სცენაზე მის ხილვას გაწეწილი, დაუვარცხნელი თმით.

19. თრასიმაქეს თაობაზე იხ. „რიტორიკა“, II, 23.

20. ფილამონი — ცნობილი ათლეტი, რომელიც ყველგან იმარჯვებდა, თავისუფალ დროს კი ანდომებდა ვარჯიშს ქვიშიანი ტომარით. აქ შედარება ნახმარია დაცინვით იმ კაცზე, რომელიც ღონით ფილამონს ვერ შეედრება, მაგრამ ფილამონივით მონდომებით ვარჯიშობს.

21. კარპათოსი — კუნძული, სადაც მცხოვრებლებმა ორი კურდღელი მიიყვანეს. კურდღლები შემდეგში ისე მომრავლდნენ, რომ მცხოვრებლებს მთელი ნათესები გაუნადგურეს. კარპათოსელები დიდხანს ნანობდნენ თავის შეცდომას.

22. „ილიადა“, IX, 385.

23. იქვე, IX, 388—390.

1. ქერემონი — ათენელი ტრაგიკოსი პოეტი, იყენებდა მოხდენილ მხატვრულ ხერხებს. არისტოტელე მას ახსენებს აგრეთვე II წიგნის 23-ე თავში.

2. ლიკიმნიოსი ქიოსელი — გორგიას მოწაფე, „რიტორიკის“ ავტორი და მშვერმეტყველების მასწავლებელი. არისტოტელე აკრიტიკებს მას უხეირო მხატვრული ხერხების გამოყენების გამო. მის შესახებ ცნობები აქვს აგრეთვე ათენეოსს (III, 2).

3. ფილემონი — მენანდრეს თანამედროვე და მოწინააღმდეგე. როგორც ირკვევა, მის დეკლამაციურ პათოსს აძლიერებდა ერთი და იგივე სიტყვების განმეორება. ეს ფილემონი არ უნდა ავრიოთ „ახალი კომედიის“ ავტორში.

4. ანაქსანდრიდეს ახსენებს არისტოტელე ამ წიგნის მე-10 თავში.

5. „კუნძს მიათრევს“ — ამ გამოთქმაში არისტოტელე გულისხმობს ორატორის მონოტონურ სიტყვას, რაც მას უარსაყოფად მიაჩნია.

6. „ილიადა“, II, 671.

14—15

1. ისოკრატე „ელენეს“ შესავალში ამბობს, რომ სოფისტები ცდილობენ საუბრის თემად აირჩიონ რაიმე უჩვეულო მოვლენა.

2. ეს ადგილი მოტანილია გორგიას დაკარგული „ოლიმპიური სიტყვიდან“. როგორც ჩანს, გორგია ამ სიტყვაში მოუწოდებდა ბერძნებს ებრძოლათ ბარბაროსების წინააღმდეგ.

3. ისოკრატე „პანეგირიკში“ ჩამოთვლის ათენელების ღირსებებს და მოუწოდებს სპარსელების წინააღმდეგ საბრძოველად. მას მიზანშეწონილად მიაჩნდა ათენელების ჰეგემონია. სიტყვაში იყო აგრეთვე არისტიდესა და ალექსანდრეს ქება.

4. ქერილე სამოსელი ცხოვრობდა პელოპონესის ომის დროს. მან გალექსა ბერძნების ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ, გამოიყენა ისტორიული მასალა. მისი ნაშრომი იმდენად მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რომ მას ჰომეროსის პოემის გვერდით აყენებდნენ. მისი შრომიდან მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწია.

5. ავტორი ამ სიტყვებისა უცნობია.

6. „ილიადა“, I, 1.

7. „ოდისეა“, I, 1.

8. სავარაუდოა, რომ ეს ორი სტრიქონი ამოღებული იყოს ქერილეს დაკარგული ისტორიული ეპოსიდან.

9. გაკვირვებას იწვევს ის, რომ არისტოტელე ამ ლექსს ათავსებს სოფოკლეს ტრაგედიის შესავალში მაშინ, როდესაც ის ტექსტის სიღრმეშია. კერძოდ, 774-ე სტრიქონში.

10. პროდიკე — სოფისტი კოსიდან. მოღვაწეობდა მე-6—5 სს. მას ახსენებს პლატონი „პროტაგორასა“ და „კრატილოსში“ (384). პროდიკე ორმოცდაათ დრაქმიან ამბავში გულისხმობდა მსმენელებს, რომლებსაც მისთვის

მეევრმეტყველების სწავლებაში ორმოცდაათი დრაქმა გადაუხდიათ. აქ იგი დაცინვით ხმარობს ამ გამოთქმას იმის გამოსახატავად, რომ უყურადღებო მსმენელს სჭირდება რაიმე გასართობი ყურადღების გასამახვილებლად.

11. სოფოკლე, „ანტიგონე", 229.

12. ევრიპიდე, „იფიგენია ტავრიდში" (1162), სადაც იმართება საუბარი იფიგენიასა და მის ძმას შორის. ძმა შენიშნავს იფიგენიას, რომ ასეთი ვრცელი შესავალი საჭირო არ არის.

13. „ოდისეა", VI, 327. არისტოტელე გულისხმობს მეგობრობასა და სიბრალულს, რითაც შეიძლება როგორც მსმენელთა, ისე მოსამართლის მომხრობა.

14. არისტოტელე ამ სიტყვას ახსენებს აგრეთვე I წიგნის მე-9 თავში.

15. გორგიას „ბერძნების ქება" თითქმის მთლიანად დაკარგულია.

16. ნავსიკრატე ერითრეიდან, ისოკრატეს მოწაფე, ორატორი. უცნობია მიზეზები, რის გამოც მას ბრალი დასდეს.

17. ნაგულისხმევი უნდა იყოს ტრაგიკოსი პოეტი სოფოკლე, რომელმაც მიაღწია ღრმა მოხუცებულობას. ცნობილი არაა, თუ რატომ დასჭირდა მას აქ მოტანილი სიტყვები. ყოველ შემთხვევაში არა პროცესზე თავისი შვილის წინააღმდეგ, რომელიც მას სიგიჟეში სდებდა ბრალს.

18. ევრიპიდე, „იპოლიტე", 612. როგორც ჩანს, ევრიპიდეს სიტყვები ევრიპიდესვე წინააღმდეგ გამოიყენა ჰიგიენონტმა. მას მკაცრად დასცინოდა არისტოფანე. ჰიგიენონტის პიროვნება უცნობია.

19. ოდისევსი ცდილობდა, რომ ტევკროსი წარმოედგინა ათენელთა მტრად, ტევკროსი კი ამტკიცებდა, რომ დედამისი ჰესიონე პრიამეს დაა.

16

1. ესაა ამბოხებული ეგვიპტელების პასუხი. ისტორია ეხება ეგვიპტელი ჯარისკაცების ნაწილის აჯანყებას, რომლებიც აჯანყების შემდეგ ეთიოპიაში გადავიდნენ.

2. „ოდისეა", XXIII, 264—284, 310—343. ოდისევსი პენელოპეს მოკლედ უყვება იმას, რაც ალკინოეს ვრცლად უამბო ოთხ სიმღერაში (IX—XII). ეს ნაწილი ცნობილია, როგორც უაღრესად ვრცელი მონაყოლი. არისტოტელეს იმის თქმა უნდა, რომ მონაყოლს განმეორებას მაშინ აქვს აზრი, თუ ის შთაბეჭდილებას აძლიერებს.

3. „ენეესი" — ევრიპიდეს ტრაგედია, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. როგორც აქედან ირკვევა, ტრაგედია უაღრესად კომპაქტური უნდა ყოფილიყო. სოკრატესა და მისი მიმდევრების თემა იყო პრაქტიკული სიბრძნე. ეთიკური თვითგამორკვევა კი იყო პლატონის დიალოგების ძირითადი მიზანი.

4. არისტოტელე აქ მიგვანიშნებს იმაზე, რომ სოკრატე და მისი მიმდევრები ძირითადად ეთიკურ საკითხებს იკვლევდნენ წინააღმდეგ მათემატიკოსებისა.

5. „ანტიგონე", 911—912.

6. ესქინეში იგულისხმება ლისანიოსის შვილი, სოკრატეს მოწაფე, რომელმაც შვიდი სოკრატული დიალოგი დაწერა, მაგრამ ყველა დაიკარგა. რაც შეეხე-

ბა კრატილოსს, მას პლატონმა უძღვნა დიალოგი „კრატილე“. კრატილესაგან ისწავლა პლატონმა ჰერაკლიტეს ფილოსოფია.

7. „ოდისეა“, 361.

8. ტრაგიკოსი კარკინე გარდაიცვალა არისტოტელეზე სამოცი წლით ადრე. მის შესახებ იხ. „რიტორიკის“ II წიგნის 23-ე თავი.

9. სოფოკლე, „ანტიგონე“, 683—727.

17—19

1. „ოდისეა“, IV, 204. მენელაოსის სიტყვა ნესტორის ვაჟის პისისტრატესადმი.

2. როგორც ამ, ისე მომდევნო სიტყვების ავტორი უცნობია.

3. ეპიზენიდე კნოსელი, კუნძულ კრეტადან, შვიდი ბრძენის თანამედროვე. მასზე გავრცელებული იყო მრავალი მითი.

4. ისოკრატეს „პანეგირიკს“ არისტოტელე ახსენებს III წიგნის მე-14 თავში.

5. ისოკრატეს სიტყვა „მოკავშირეების შესახებ“, რომელიც მიმართული იყო ათენელებისადმი, ატარებს სათაურს „ზავის შესახებ“. იგი ათენელებს მოუწოდებდა დაედოთ ზავი ქიოსთან, როდოსთან და ბიზანტიასთან, რომლებთანაც ამ დროს ათენელები ომს აწარმოებდნენ.

6. როდესაც ისოკრატე აქებს ბუსირისს, აქებს მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებსაც, იქვე აქებს პითაგორას, რომელმაც ფილოსოფია ეგვიპტიდან საბერძნეთში შემოიტანა. „ელენეს ქებაში“ აქებს თეზევსის სათნოებას და კეთილშობილებას. ამართლებს ალექსანდრეს. თუმცა ყოველივე ეს მისი სიტყვის უშუალო თემა არ იყო. ასევე იქცეოდა გორგიაც. ამიტომ მას თავისუფლად შეეძლო ეთქვა, რომ სალაპარაკო არასოდეს არ აკლდებოდა.

7. კალისტრატე — ცნობილი ათენელი ორატორი მე-4 საუკუნეში. გაუგებარია, თუ მისი ცხოვრების რომელ ეპიზოდს გულისხმობს არისტოტელე.

8. ევრიპიდე, „ტროელი ქალები“, 969—971.

9. არქილოქე — VII საუკუნის პაროსელი პოეტი. დანიშნული იყო ლიკამბეს ქალიშვილ ნეობულეზე, მაგრამ მას უარი უთხრეს. ამის შემდეგ არქილოქე მწარედ დასცინოდა მამასა და ქალიშვილს.

10. გიგესი — ლიდიის მეფე, რომლის სიმდიდრე ანდაზად იქცა.

11. „ანტიგონე“, 683—692.

12. წინასწარმეტყველი და ქურუმი პერიკლეს დროს.

13. ეს ადგილი ამოღებულია პლატონის „სოკრატეს აპოლოგიიდან“ ოდნავ შეცვლილი ფორმით.

14. არისტოტელე, „ტოპიკა“, VIII, თ. 4.

15. პისანდრეს ხშირად ახსენებს თუკიდიდე მე-8 წიგნში. არისტოტელეს ის ნახსენები ჰყავს „რიტორიკის“ I წიგნის მე-14 თავში.

16. არისტოტელეს „პოეტიკაში“ არაფერი არა აქვს ნათქვამი ხუმრობის ფორმების შესახებ, რაც გვაფიქრებინებს, რომ არისტოტელეს „პოეტიკამ“ სრული სახით არ მოაღწია.

17. „რიტორიკა“, I, 9.

18. იქვე, II, 19.

19. იქვე, II, 1—11.

20. ვარაუდობენ, რომ ეს მაგალითი დასკვნის შესახებ ერთგვარი გამოძახილია ლისიასის დასკვნისა სიტყვაში, რომელიც ერატოსთენეს წინააღმდეგ იყო მიმართული.

პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

აგათონი — 136, 160
აგამემნონი — 192
აგლაიე — 194
აზია — 158
ავტოკლე — 151
ათენა — 55, 192
ათენი, ათენელები —68, 91, 116, 144, 145, 150, 151, 184, 186, 190, 192, 200, 208
ათონის მთა — 183
ათონი — 183
აიანტე — 123, 154, 155
ალექსანდრე —55, 149, 150, 152, 159, 160, 197
ალკეოსი — 66
ალკიბიადე, 132
ალკიდამანტე —85, 151, 172, 173
ალკინოე — 204
ალკმეონე — 148
ალფესიბოე — 148
ამასისი — 120
ამფიარაოსი — 128
ანაქსანდრიდე — 186, 190, 193
ანასქეტე — 190
ანაქსაგორა — 151
ანდროკლე პითიესელი — 155
ანდროტიონი — 174
„ანტიგონე“ — 85, 90, 205
ანტიგონე — 85, 90, 205, 209
ანტიმაქე — 177
ანტისთენე — 174
ანტიფონტე —102, 117, 154
არგოსი — 61, 89
არეოსი — 142, 175, 191
არისტიდე — 149, 197
არისტიპე — 151
არისტოგიტონი — 69, 150, 159
არისტოფანე — 171
არისტოფონტი — 149
არქელაოსი — 150
არქიბიონი — 92
არქიდამე — 174
არქილოქე — 151, 209
არქიტა — 189
ატიკა, ატიკელი — 142
ატრევსე — 192
აფროდიტე — 157, 192
აქეია, აქეველები — 177
აქილევსი — 44, 55, 100, 106, 145, 146, 149, 159, 174, 203, 208

ბაბილონი, ბაბილონელი — 171
ბეოტია, ბეოტიელი — 174
ბიანტე — 129
ბრისონე — 170

ბელონი — 83
გიგესი — 209
გლავკონ ტეოსელი — 166
გორგია — 167, 171, 173, 179, 196, 197, 200, 208, 211

დარიოსი — 138
დემადე — 160
დელოსი — 181

დელფოსი — 152
დემოკრატე — 174
დემოკრიტე ქიოსელი — 183
დემოსთენე — 148, 160, 174
დიომედე — 146, 154, 202, 203
დიომედნონტი — 147
დიონი — 83
დიონისიოსი — 41, 117, 132, 159, 169, 170
დიონისე — (ღმერთი) — 175, 202
დიოპითე — 120
დორიევსე — 39
დოდონისი — 151
დრაკონი — 157

ეაკე — 208
ეგვიპტე — 138, 204
ეგინა, ეგინელი — 145, 186
ევაგორა — 152
ევბეა — 186
ევბულე — 92
ევთინე — 137
ევთიდემე — 158
ევკტემონე — 89
ევრიპიდე — 79, 116, 157, 168, 170, 198, 201, 202
ევქსენე — 174
ესიონი — 186
ეზოპე — 138 139,
ელადა, ელინი — 116, 145, 154, 157, 186, 187, 197, 200
ელეა, ელეელი — 156, 200
ელენე არგოსელი — 55, 152, 160, 196
ემპედოკლე — 85
ენეესი — 149, 204.
ენესიდემე — 83
ეპიდავრე — 186
ეპიმენიდე კრეტელი — 208
ეპიქარმე — 61, 184
ერგოფილე — 105
ესიონი — 186
ესქინე — 205

ზევსი — 100, 123, 181

თეაგენე მეგარელი — 41
თებე, თებელი — 148, 149, 151
თეაკელები — 200
თესევსი — 55, 149, 152
თემისტოკლე — 92
თეოდამანტე — 174
თეოდექტე — 148, 151, 152, 153, 154, 155, 158, 184
თეოდორე — 156, 168, 189, 190, 196
თესალია, თესალიელნი — 84, 178
თეატალისკე — 151
თრასიბულე — 156, 157, 158
თრასიმაქე — 166, 180, 191
თრაკია, თრაკიელები — 190

იასონი — 84, 156
იდე — 159
იდრიევსი — 174
ილიონი — 55
იოკასტე — 206
ისმენია — 151
ისოკრატე — 69, 136, 152, 153, 179, 187, 190, 196, 197, 208, 209
იტალია, იტალიელნი — 151,
იფიკრატე — 61, 68, 140, 149, 150, 153, 169, 186, 187, 200

კავნიოსი — 161
კალიასი — 38, 109, 169
კალიდონი — 182
კალისთენე — 105
კალიოპე — 170,
კალიპოსი — 83, 152, 154
კალისტრატე — 58, 88, 209
კართაგენი, კართაგენელები — 82
კარკინე — 156, 206
კარპათოსი, კარპათოსელნი — 192

ეფისოდოტე — 174, 186, 187
ეიდიასი — 116
ეიკნოსი — 146
ეიმონი — 132
ეიუონი — 186
ეკლეონი — 99, 175, 180
ეკლეფონტი — 91, 170
ეონონი — 152
ეორაქსი — 161
ეორინთო, ეორინთელნი — 55
ეორისკე — 113
ეკატილე — 205
ეკეზე — 176
ეკეონტე — 90
ეკიტია — 91, 203

ლაკედემონი — 49, 67, 68, 145, 151
ლაკონელნი, ლაკედემონელები — 178, 186, 200, 208, 211
ლამპონი — 210
ლამფსაკოსი, ლამფსაკოსელები — 151
ლევკოთეა — 156
ლეოდამანტე — 58, 156
ლეპტინე — 186
ლიბია, ლიბიური — 138
ლუკია — 181
ლიკიმნიოსი — 170, 193, 196
ლიკოლეონტი — 187
ლიკოფრონი — 171, 172, 184
ლიკურგე — 151
ლუკია — 181
ლოკრელები — 141

მარათონი — 144
მიქსიდემიდე — 151
მანტია — 150
მედეა — 156
მელანოპიდე — 183
მელანოპე — 88
მვლეაგრე — 61, 102, 154
მელეტე — 210
მესენა, მესენელი — 85, 147, 209
მიდია, მიდიელნი — 82, 170
მილტიადე — 186
მიტილენე — 151
მიროკლე — 186
მიქსიდემიდე — 151

ნავსიკრატე — 200
ნიკანორი — 148
ნიკერატე — 191
ნიკონი — 190
ნირევსე — 194

ოდისევსი — 55, 105, 154, 155, 202, 203
ოლიმპო, ოლიმპიელნი — 19, 39, 61, 68, 152, 158
ოლინთოსი — 186
ოიდიპოსი — 206
ორესტე — 158

პალამედე — 193
პამფილე — 154
პანი — 158
პარალოსი — 186
პაროსი — 151
პატროკლე — 44, 149
პელეასი — 208
პელოპონესი — 182
პენელოპე — 204
პენთევსე — 157
პერიანდრე ეორინთელი — 91
პერიკლე — 62, 132, 174, 186, 210
პეპარეთა, პეპარეთელები — 150
პითაგორა — 151
პითოლაე — 184, 186
პინდარე — 158
პირეოსი — 158
პისანდრე — 211
პისისტრატე — 41
პირეოსი — 158, 186
პიტაკე — 128, 162
პლატონი — 92, 151, 174
პლექსიპე — 102

პოლიბიოსი — 198
პოლიევქტე — 186
პოლიკრატე — 158, 159
პოლინიკე — 85
პოლოსი — 157
პოტიდეა, პოტიდელები — 145
პრატისი — 191
პრიამე — 55, 197, 202
პროდიკე — 199
პროტაგორა — 161, 176

რადამანთისი — 193

საბერძნეთი — 138
სალამინი — 91, 144, 187
სამოსი — 116, 139, 174
საფო — 66, 151
სიგეიონი — 91
სიზიფე — 188
სიმე — 194
სიმონიდე — 55, 68, 132, 171
სირაკუზა — 116
სიცილია — 187
სკვითი — 68
სკირონი — 172
სოკრატე, სოკრატელები — 38, 40, 68, 109, 132, 138, 150, 152, 200, 204, 210
სოლონი — 91, 151, 152
სოფოკლე — 85, 89, 90, 156, 182, 198, 201, 205, 206, 209, 211
სპარსი — 138
სპევზიპე — 186
სტესიქორე — 138, 141, 139
სტილბონი — 151
სტრაბაქსი — 153

ტეგეა — 61
ტევკროსი — 149, 202
ტევმესოს მთა — 177
ტელამონი — 123, 202
ტელეფე — 170
ტენედოსი, ტენედოსელნი — 91, 159
ტინდარიდები — 149
ტროა, ტროელები — 55, 146

ფაელოსი — 204
ფალარისი — 138, 139
ფეაკები — 200
ფედროსი — 179
ფილემონი — 193
ფილიპე — 149, 209
ფილოკრატე — 105
ფილომელა — 173
ფოკეა, ფოკელები — 149
ფილოქტეტე — 191

ქაბრიოსი — 58, 187
ქარეტი — 92, 186, 187, 208
ქარიდემონი — 153
ქარონი — 209
ქერემონი — 157, 193
ქერილე — 197
ქილონი — 129, 151
ქიოსი, ქიოსელები — 151
ქსენოფანე — 95, 153, 156
ქსერქსე — 138, 172

ძენონი — 81

ჰალისი — 176
ჰარმოდიონი — 69, 149, 150, 159
ჰეგესიპე — 152
ჰეკაბე — 157
ჰეკატე — 181
ჰელესპონტი — 183
ჰემონი — 206, 209

ჰერა — 209
ჰერაკლეს სვეტები — 125
ჰერაკლიდე, ჰერაკლიდელები — 145
ჰერაკლიდელები — 145
ჰერაკლიტე — 176
ჰერმესი — 158
ჰეროდბკე — 51, 157
ჰეროდოტე — 204
ჰეროდოტე თურიელი — 181
ჰესიონე — 202
ჰექტორი — 105, 146, 149
ჰიგიენონტე — 201, 202
ჰიერონი — 132
ჰიმერა, ჰიმერიელნი — 138
ჰიპარქე — 159
ჰიპიასი — 38
ჰიპოლოქე — 69
ჰომეროსი — 55, 76, 91, 151, 188, 194, 205

შინაარსი

არისტოტელე და მისი „რიტორიკა“ 5
წიგნი პირველი 31
წიგნი მეორე 97
წიგნი მესამე 165
შენიშვნები . . 214
პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 241

გამომცემლობის რედაქტორი ჯ. ქირია
მხატვარი თ. მალხაზიშვილი
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ც. მოლოდინი
სბ 450
გადაეცა წარმოებას 3.VII.79. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.V.81.
საბეჭდი ქაღალდი № 60×84 1/16 პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 14,2 სააღრ.-საგამომც. თაბახი 11,71
ტირაჟი 20 000. შეკვეთის № 2424
ფასი 1 მან. 50 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.
Издательство Тбилисского университета,
საქ. სსრ. მეცნ. აკად.
თბილისი, 380060, კუტუზოვის, 19
Типография АН ГССР,
Тбилиси, 380060, Кутузова, 19.

თბილისის უნივერსიტეტის „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის“ გამოცემები

გ ა მ ო ვ ი დ ა

1. ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ი, მოგონებები სოკრატეზე, სოკრატეს აპოლოგია,
2. ჰ ე რ ო დ ო ტ ე, ისტორია, ტ. I, II,
3. ორფიკული არგონავტიკა ,
4. ს ა ფ ო, ლირიკა,
5. ო ვ ი დ ი უ ს ი, მეტამორფოზები,
6. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, რიტორიკა.

დ ა ს ა ბ ე ჭ დ ა დ მ ზ ა დ დ ე ბ ა:

1. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, განმარტებისათვის, კატეგორიები,
2. კ ა რ ლ ფ რ ი დ რ ი ხ გ ა უ ს ი, აბსოლუტურ ზომაზე დაყვანილი დედამიწის მაგნეტიზმის დაძაბულობა,
3. ა ნ ს ე ლ მ კ ე ნ ტ ე რ ბ ე რ ი ე ლ ი, ჰეშმარიტებისათვის,
4. თ ო მ ა ს მ ო რ ი, უტოპია,
5. დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი, განმარტებისათვის,
6. ე რ ა ზ მ რ ო ტ ე რ დ ა მ ე ლ ი, ქება სისულელისა,
7. ჰ ე ს ი ო დ ე, პოემები და ფრაგმენტები,
8. ჰ ო რ ა ც ი უ ს ი, ოდები,
9. კ ვ ა ნ ტ უ ს ჰ ო რ ა ც ი უ ს ფ ლ ა კ უ ს ი, პოეტური ხელოვნებისათვის.